



ბესარიონ ჯორბენაძეს
დაბადებიდან 60 წლისთავზე
უძღვნიან ამ კრებულს
მოწაფეები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი.

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება

ბესარიონ ჯორბენაძეს



გამომცემლობა „ქართული ენა“
თბილისი
2003

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძეს 2002 წლის 31 აგვისტოს 60 წელი შეუსრულდა. 2003 წლის 10 მაისს 10 წელი გასრულდა მისი გარდაცვალებიდან...

წინამდებარე კრებულს მასწავლებლის ხსოვნას უძღვნიან მისი მოწაფეები. ბ. ჯორბენაძის ხელმძღვანელობით 19 საკანდიდატო დისერტაცია იქნა დაცული (10 მის სიცოცხლეში); მოწაფეთაგან 4 უკვე დოქტორია, რამდენიმე მალე წარდგება კათედრაზე, როგორც დისერტანტი...

ამ კრებულით გვინდოდა გვეჩვენებინა ბ. ჯორბენაძის როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელის მეცნიერული თვალსაწიერი და ნაყოფიერება.

შემდგენელ-რედაქტორი – გიორგი გოგოლაშვილი

საგამომცემლო ჯგუფი: მარინე ბერიძე
კონსტანტინე კაკიტაძე
ციცინო კვანტალიანი
მარინე კიკონიშვილი
რუსუდან ლანდია
ნანა ლოლაძე
ნინო ჭუმბურიძე

ISBN 99928-820-8-5

„ურდულის“ ეტიმოლოგიისათვის

კარის მიკეტვის სემანტიკის გამოსახატავად ქართულში სხვადასხვა ზმნური ფორმაა გამოყენებული. ჩვენი სტატიის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს ამ ფორმათა სრული აღწერა და კვლევა, მაგრამ ის მასალაც, რასაც ერთი თვალის გადავლებით შეიძლება მივწვდეთ, ძალზე საინტერესო ჩანს, როგორც ფორმოზოლოგიური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. ამ მნიშვნელობით ქართულში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დიალექტში გვხვდება: დაკეტვა, დაკლეთა, დაკლიტვა, დახურვა, დაგმანვა, მიძ(ე)რა (მესხ.), დაგულვა (კახ.), მიჯრა, დაჭშვა / დაქსვა, მოკრძალვა, მიგდება (დაგდება), დამსკუალვა... და სხვა ფორმები.

ცხადია, ფორმათა ეს მრავალფეროვნება თვით კ' ან ფორმისა და დაკეტვის საშუალებათა სიმრავლით უნდა აიხსნას.

ძველ ქართულშივე გვაქვს აღნიშნული მნიშვნელობით გამოყენებული სხვადასხვა ფორმა:

დაკლეთა — დახურვა, დაჭშვა: „დაკლიტე კარი და დაპბექდე ბექლითა შენითა“ O. დან. 14, 10 (აბულაძე), (საბასთან „დაკლეთვა“ ფორმა არ დასტურდება).

დაჭშვა — „გდება“, „მოკრძალვა“, „დახურვა“ (აბულაძე).

დაჭშვაჲ / დაქსვაჲ / დაჭრშვაჲ — დაკეტვა (სარჯველაძე).

დაჭშვა — კარის დაჭრა — კარის დაკლეთა (სარჯველაძე).

მოკრძალვა — დაჭშვა: „მოკრძალეს გარეგნით მათსა“ G — „დაჭშეს კარნი“ M მსაჯ. 9, 511 (აბულაძე).

მოკრძალული — დაჭშული, გარემოხვეული (აბულაძე).

გდება — „დაჭშვა“: „კარნი ქორისანი ეგდენ G — „კარნი მის ქორისანი დაჭშული იყვნეს“ M... (აბულაძე).

დაგდება — „დამსკუალვა“, „დახურვა“, „დაჭშვა“: დაუგდნა კარნი G — დამსკუალნა კარნი“ M, მსაჯ. 3, 23 (აბულაძე).

საბას ლექსიკონში „მიგდება“ ასეა განმარტებული:

მიგდება — გინა მიპყრობა, გინა საქმისა ამაზე დადება, გინა ზედ შეგდება რისამე, გინა კარის მიჯრა.

გარდა ამისა, საბასთან განმარტებულია: **საჯშველი** — კართ დასამარებელი კლიტენი; საკლიტე — კლიტის შესაყოფელი...

საყურადღებოა, რომ „დაგმანვა“ და „დაკეტვა“ ფორმები ძველ ქართულში არ ჩანს (თავისთავად საინტერესოა „დაკეტვა“, „საკეტი“ ფორმების ენაში დამკვიდრების ისტორიის კვლევა. დღეს სწორედ მათ აიღეს თავის თავზე უამრავი სინონიმური ფორმის ფუნქცია. როდიდან ჩნდება ეს ფორმა ენაში და რა წარმომავლობისაა, უდაოდ საინტერესოა. არის ეს „დაკლეტვა / დაკლიტვა“-ს ფონეტიკური ვარიანტი თუ დამოუკიდებელი დიალექტური ფორმაა კეტი-ძირიდან წარმომდგარი: კეტი — კეტვა, სა-კეტი-).

როგორც ვნახეთ, ძველ ქართულში კარის მიხურვის მნიშვნელობით ძალზე აქტიურად გამოიყენება „გდება“, „მიგდება“ ზმნა. თანამედროვე სალიტერატურო ენაში ეს ზმნა აღნიშნული მნიშვნელობით უკვე აღარ გვაქვს. ძველი ქართულის ვითარებას მხარს უბამს დიალექტების ჩვენებაც:

მიგდება — მიხურვა კარისა. მუუგდე კარი — მიხურე კარი (ღლონტი). ეს ფორმა ლექსიკონში მხოლოდ გურულის მასალით არის დამოწმებული, თუმცა, იგი ჩვეულებრივ სხვა დიალექტებშიც გვხვდება.

სწორედ **გდ-ებ-ა** ზმნის **გდ-** ძირი გამოიყოფა ქართული „საგდული“ ფორმაში, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „რაზის“, „საკეტის“ აღნიშვნა.

„საგდოლი“ საბასთან ასეა განმარტებული:

საგდოლი — კარის მიგდების გასაყრები, კარის მისაგდებელი გასაყრები, კარის კეტი.

საგდული, **საგდოლი**, **საგდოლა**, **საგდოლე**, ფორმები დადასტურებულია დიალექტთა უმრავლესობაში; აღ. ღლონტი ამგვარ განმარტებას გვაძლევს.

საგდოლი, **საგდოლა**: — (რაჭ. თუშ. ხევს.). კარის დასაკეტი. „კარი აბია რკინისა, საგდოლი მისი გრძელია (შ. ძიძიგ.); ვერტიკალური ურდული (ნ. სადღვეცი — თ. უთურ-გაიძე); კარების საკეტია შიგნიდან (ნ. კუდი,

ა. კინჯ.) კარის მოგდების გასაყრები (საბა), კარების დასაკეტი (დ. ჩუბ.).

საგდული — ზ. იმერ. ურდული

საგდოლე — ლეჩხ. 1. წისქვილის წყლის გადამკეტი;

2. საღორის კარის ჩასაკეტი ჭოხი. ნ. საგდული.

საგდოლა — გურ. წისქვილის წყლის გადასაგდები ფიცარი.

განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებო ფორმაა დადასტურებული ქსნის ხეობის ქართულურში: „**უგდული**“. აღ. ღლონტის ლექსიკონში ეს ფორმა მოხმობილია ვ. სომხიშვილის მასალაზე მითითებით და განმარტებულია როგორც „**ურდული**“.

„ურდული“ და „საგდული“ ფორმათა სემანტიკური და ფორმობრივი მიმართების საკითხს შეეხო კორნელი დანელია. მან პირველმა დაუკავშირა ეს ფორმები ერთმანეთს და გამოთქვა ფრთხილი ვარაუდი, რომ „**ურდული**“, თუ დავუშვებთ, რომ უ ასიმილაციით არის მიღებული ო-სგან, ზანური ფორმაა, ქართულში დამკვიდრებული. ამასთან, ავტორი ეყრდნობა გ. როგავას ცნობილ წესს (როგავა, 1949, გვ. 504), რომლის მიხედვითაც აქცესიურ კომპლექსებში მეგრულში გ გვაძლევს რ-ს და თვლის, რომ -გდ- და -რდ- ძირები ისე შეესატყვისება ერთმანეთს, როგორც გზება - რზამა, საგზალი - ორზოლი და ა. შ. (დანელია, 1991, გვ. 627).

ვფიქრობთ, ამ ვარაუდს უეჭველს ხდის ჩვენ მიერ მოხმობილი მასალაც. „გდება“, „მიგდება“ ზმნის აქტიური გამოყენება კარის მიხურვის მნიშვნელობით ძველ ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში და „**ურდული**“ ფორმის გვერდით „**უგდულისა**“ და „**საგდულის**“ არსებობა ამ ფორმებში სრულიად ბუნებრივად გამოგვაყოფინებს -გდ- და -რდ- ძირებსა და სა-, უ ← ო დანიშნულების პრეფიქსებს.

საყურადღებოა, რომ ქართულში ერთმანეთის გვერდით დამკვიდრდა როგორც საკუთრივ ქართული (საგდული), ისე ზანური წარმოების (უგდული, ურდული) ფორმები, მაშინ, როცა ამ მნიშვნელობით ეს სიტყვები ზანურში არ გვხვდება, მეტიც, არც -გდ-, -რდ-ძირი დასტურდება მსგავსი ფუნქციით.

ვფიქრობთ, რომ ისევე, როგორც „ურდული“, „უგდული“ ფორმაც ზანიზმად უნდა ჩაითვალოს, ამით ო- პრეფიქსიან ზანიზმთარიცხვი ქართულში კიდევ ერთი ერთეულით გაიზრდება.

-გდ- ძირის შემცველი ფუძე ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით ზანურში არ დასტურდება. უკავშირებენ ქართულ -გდ- და მეგრულ -რდ- (ა-რდ-ებ-ა) ძირებს (როგავა, 1949, 504; დანელია, 1991, 627).

არდება ზმნა მეგრულში მხოლოდ ფრაზეოლოგიზმებშია დამოწმებული („დუდიშ არდება“ = თავის აგდება); გდება, აგდება ზმნის მნიშვნელობით ის სხვა შემთხვევებში არ გვხვდება. ი. ყიფშიძე ამ ზმნას „ზემოთ აგდების“ მნიშვნელობითაც განმარტავს: არდება — აგდება „ПРОЦАТЬ ВЕРХ“ (ყიფშიძე, 1946 გვ. 509) თუმცა, ვიმეორებთ, ეს მნიშვნელობა „არდება“ ზმნას დღეს მეგრულში არ უდასტურდება.

როგორც უკვე ითქვა, -გდ- ძირის შესატყვისად მეგრულ -რდ-ს მიიჩნევენ გ. როგავას ცნობილ წესზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც აქცესიურ კომპლექსებში გ- გვაძლევს რ-ს (როგავა, 1949, გვ. 504).

როგორც თვით გ. როგავა შენიშნავს, გდება და ვარდნა ფუძეთა ურთიერთობის საკითხი 1946 წ. თავის ზეპირ გამოსვლაში დაუსვამს არნ. ჩიქობავას (როგავა, 1949, გვ. 505) და გამოუთქვამს ვარაუდი, რომ ამ ფუძეებს რდ და გდ საერთო ელემენტი უნდა ჰქონდეთ: რდ ← გდ, ხოლო რდ- ძირიანი ვარიანტი მეგრული დიალექტის მონაცემი უნდა იყოს ქართულში.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ ძირთა მიმართების კვლევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ვ. თოფურიას ადრეულ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრება რ-ზაშა ფორმასთან დაკავშირებით. მკვლევარი შლის ამ ფორმას, ძირად ზ-ს გამოყოფს, გ-ს დაკარგულად მიიჩნევს, რ-ს კი მეგრულის ნიადაგზე განვითარებულად (თოფურია, 1979, გვ. 46), რ-ს განვითარება უცხო არ არის მეგრულისათვის, ხოლო აქცესიური კომპლექსების დაძლევის მეორე გზად ხშულის დაკარგვას თვითონ გ. როგავაც ადასტურებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ გ → რ ერთადერთი გზა არ არის არაკანონიკური კომპლექსის სუპერაციისა და შესაძლოა, აქცესიური კომპლექსური პირველი წევრის დაკარგვითაც შეიცვალოს (როგავა, 1949, გვ. 504).

ვ. თოფურიას მოსაზრება 1925 წელს არის გამოთქმული და არ არის გათვალისწინებული 1949 წ. გამოქვეყნებულ გ. როგავას წერილში. ვფიქრობთ, მკვლევრის მოსაზრება საკმაოდ ანგარიშგასაწევია.

საწევია. თუკი აღნიშნულ ფორმებში ხშულს დაკარგულად მივიჩნევთ, რ-ს კი განვითარებულად, მაშინ ბუნებრივია, გაჭირდება რ-ს ძირისთვის მიკუთვნებაც და ჩვენთვის საინტერესო ფორმები ასე დაიშლება: სა-გდ-ულ-ი, უ-გდ-ულ-ი, უ-რ-დ-ულ-ი.

ჩვენი აზრით, სავსებით დასაშვებია, დადგეს -რდ- ძირის დაშლის საკითხი -რ-დ- უ-რ-დ-ულ-ი და ა-რ-დ-ებ-ა ფორმებში. ასეთ შემთხვევაში კი უნდა გაირჩეს ორი შესაძლებლობა:

1. არის ეს -დ- ძირი გ-ს დაკარგვის შედეგი და ქართული გდ-ს შესატყვისი (გდ → დ → რდ), თუ

2. გვაქვს დამოუკიდებელი -დ ძირი, რომელსაც განუვითარდა რ თანხმობანი, როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, „საკუთრივ მეგრულ ნიადაგზე“.

ეს მეორე შესაძლებლობაც არ ჩანს გამორიცხული. ამას გვაზარაუდებინებს სვანური ლა-დ = „ურდული“ ფორმა, რომელიც ზემოთ განხილული „უგდული“, „საგდული“, „ურდული“ ფორმების გვერდით დგება. ლა- იმავე რიგის მაწარმოებელია, რაც ქართული სა-; ზან. ო-, -დ- კი „დება“ ზმნის ძირეულ მასალასთან არის დაკავშირებული.

სემანტიკა სრულიად გამჭვირვალეა: ლა-დ აღნიშნავს კარის საკეტს, ხოლო მოქმედება, რომელიც დაკეტვისას სრულდება, კარზე რაღაცის მიღებას გულისხმობს.

არ არის გამორიცხული, რომ „ურდულის“ -დ- ძირიც დება ზმნასთან იყოს დაკავშირებული. საყურადღებოა, ისიც, რომ დიალექტებში საგდული და ურდული აბსოლუტური სინონიმები არ არის — ორივე აღნიშნავს საკეტს, მაგრამ საგდული ვერტიკალური (!) საკეტია. ალ. ლლონტი ასეც განმარტავს: საგდოლ-ი — ვერტიკალური ურდული (ლლონტი, 1984), ურდული კი — ჰორიზონტალურად გადაებული რაიმე კეტი, ან ჯოხი.

როგორც ჩანს, სახელდებისას აქ ამოსავალი იყო ის მოქმედება, რაც სრულდებოდა კარის დაკეტვისას: ჩაგდება ან მიგდება რისამე; მიღება, დაღება რისამე (შდრ.: „ბოქლომის დაღება, საკეტის დაღება“...).

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

დანელია, 1991 — კ. დანელია, მეგრულ-ქანური ლექსიკონის საკითხები: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. II, თბ., 1991.

თოფურია, 1979 — ვ. თოფურია, შრომები, III, თბ., 1979.

ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1993.

როგავა, 1949 — გ. როგავა, ქართველურ ენათა ბგერათ-შესატყვისობიდან, მეგრ. რ — ქართ. გ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, X, № 8, თბ., 1949.

სარჯველაძე, 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 1984.

ღლონტი, 1984 — ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

ეფეშიძე, 1994 — И. Кипшидзе, Мингрелко-русский словарь рჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

ჩიქობავა, 1958 — არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1958.

მწკრივი და ნაკვთი

(ზმნის მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიების
გამიჯვინისათვის კართულში)

ტრადიციულად, ქართული ზმნის უღლების სისტემაში განიხილება 11 მწკრივი (// ნაკვთი).

ზმნურ კატეგორიათაგან ა. შანიძე განიხილავს: პირს, რიცხვს, დროს, კილოს, გზისობას, აქტს, თანამდევრობას („უღლების“ კატეგორიები), ასპექტს, გეზს, ორიენტაციას, გვარს, ქცევას, სიტუაციას, კონტაქტს („წარმოქმნის“ კატეგორიები). „უღლები-ბისა“ და „წარმოქმნის“ კატეგორიათა გამიჯვინისთვის ა. შანიძე მოიხმობს მწკრივის გამეორების პრინციპს. (იხ. შანიძე, 1973, გვ. 236); თუმცა, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს თ. უთურგაიძე, „ამ კლასიფიკაციით არ ჩანს, რატომ დარჩნენ უღლების კატეგორიებში პირი და რიცხვი. ისინი მწკრივის -შექმნაში არ მონაწილეობენ, როგორც წარმოქმნის კატეგორიები, ამავე დროს, იმეორებენ მწკრივებს“ (უთურგაიძე, 2002, გვ. 80).

ფაქტია, რომ ზმნის უღლებისას მწკრივთა მიხედვით (ტრადიციულად, მიიჩნევენ, რომ ზმნა იუღლება აგრეთვე პირთა მიხედვითაც) იცვლება დრო, კილო, გზისობა, აქტი და თანამდევრობა. სწორედ ამ კატეგორიათა გამაერთიანებელ რთულ კატეგორიად (ზეკატეგორიად) გამოაცხადა ა. შანიძემ მწკრივი: „სხვა კატეგორიები მარტივია, დაუშლელი, მწკრივი კი რთულია და შეიცავს რამდენიმე კატეგორიას“ (შანიძე, 1941, გვ. 217).

გ. გოგოლაშვილის აზრით, მწკრივის „რაობის ამგვარი გაგება ჩვენთვის სადავოა, მაგრამ არ უარყოფთ იმას, რომ ნაკვთი კატეგორიაა... მწკრივი ისეთივე მონაცემია ზმნის სისტემაში, როგორც ბრუნვა სახელის სისტემაში“ (გოგოლაშვილი, 1988, გვ. 79).

ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია მწერებს (// ნაკვთს) არ მიიჩნევენ **გრამატიკულ კატეგორიად** (ჩიქობავა, 1948, გვ. 8; თოფურია, 1956).

ბ. ჯორბენაძის აზრით, „ნაკვთი არის ზმნის ფუნქციონირების (ენაში ზმნის არსებობისა და გამოყენების) ფორმა. უდვლილება ზმნის მორფოლოგიაში იმავე რიგის მოვლენაა, რაც სახელთა მორფოლოგიაში ბრუნება“ (ჯორბენაძე, 1984, გვ. 17).

ცნობილია, რომ **გრამატიკულ კატეგორიას ქმნის** კომოგენურ ნიშანთა ერთობლიობა (სისტემა); ამავე დროს, გრამატიკული კატეგორია გამოიყოფა საპირისპირო ფორმათა არსებობის საფუძველზე; მაგალითად, **პირის კატეგორია** ზმნაში.

ფორმებში:

გ-აშენებ

აშენებ

აშენებ-ს

3 თანაზომიანი (ზოგადი, კომოგენური ნიშანი — აგენსზე მითითება) ფორმა დაპირისპირებულია **რომლობის** თვალსაზრისით. ორ ფორმას საკუთარი ნიშანი აქვს აფიქსის სახით. მესამე ფორმა (**აშენებ**) ნულოვანი ნიშნითაა წარმოდგენილი.

2 თანაზომიანი (კომოგენური ნიშანი — პირის **რომლობა**) ფორმა დაპირისპირებულია **როგორობის** თვალსაზრისით. თითოეულ ფორმას საკუთარი ნიშანი აქვს აფიქსის სახით:

გ-იშენებ ~ მ-იშენებ

იშენებ ~ გ-იშენებ (დაპირისპირება — **პირი სუბიექტური ~ პირი ობიექტური**).

თანაზომიან ფორმათა დაპირისპირების საფუძველზე გამოიყოფა **რიცხვის კატეგორია**:

ა. **ვაშენებ ~ ვაშენებ-თ** (საერთო ნიშანი — რიცხვზე მითითება; დაპირისპირება — **მხოლობითი ~ მრავლობითი**; პრივატული, ოპოზიცია).

ბ. **მ-იშენებს ~ გვ-იშენებს**

აკეთებ-ს ~ აკეთებ-ენ (ამ შემთხვევაში როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვის

ფორმებს საკუთარი მორფოლო-
გიური ნიშნები მოეპოვებათ).

ქცევა გარდამავალ ზმნებში სამწევრიანი სისტემითაა წარ-
მოდგენილი:

ა. გ-წერ ~ გ-ი-წერ ~ გ-უ-წერ (0 ~ ი- ~ უ-);

ბ. გ-ა-შენებ ~ გ-ი-შენებ ~ გ-უ-შენებ (ა- ~ ი- ~ უ-).

შენიშვნა: ვინაიდან საარვისო (ნეიტრალური) ქცევა
ნულოვანი ნიშნითაც გამოიხატება, მკვლევართა ნა-
წილი ა- პრეფიქსს არ მიიჩნევს საარვისო ქცევის
მარკერად).

ქცევის კატეგორიასთან მიმართებაში, ა. შანიძე საუბრობს „სა-
ზედაო სიტუაციაზე“. ეს კატეგორია გარკვეული ტიპის ზმნებზე ა-
ხმოვანი თავსართის დართვით, ზოგიერთ ზმნისწინთან კომბინაციაში
გამოვლინდება:

დაწერა ~ და-ა-წერა (მი-ა-წერა)

დაკლა ~ და-ა-კლა (0 ~ ა-)

დახატა ~ და-ა-ხატა (მი-ა-ხატ-ა)

კონტაქტის კატეგორია ორი დაპირისპირებული ფორმის სა-
ფუძველზე გამოიყოფა:

ააშენა ~ ააშენ-ებინ-ა (0 ~ -ებინ);

დაწერ-ა ~ და-ა-წერ-ინ-ა (0 ~ ა- - -ინ);

კამს ~ ა-კმ-ეგ-ს (0 ~ ა- - -ეგ);

მოჭრა ~ მო-ა-ჭრ-ეგინ-ა (0 ~ ა- - -ეგინ);

დახატა ~ და-ა-ხატ-გინ-ა (0 ~ ა- - -გინ).

ასპექტის, გეზისა და ორიენტაციის კატეგორიები ზმნისწინის
ფუნქციონირებასთანაა დაკავშირებული; ოპოზიცია: სრული ასპექტ-
ტი ~ უსრული ასპექტი — ზმნისწინის დართვა-არდართვითაა შე-
პირობებული:

კლავს ~ მო-კლავს

გკეცე ~ და-გკეცე (0 ~ ზმნისწ.)

უთხრია ~ გამო-უთხრია

სხვადასხვა ზმნისწინის დართვით, ოპოზიციურ ფორმებს ვიღებთ
გეზის კატეგორიის ფარგლებში:

და-წერა ~ ჩა-წერა ~ გადა-წერა (და- ~ ჩა- ~ გადა-).

მო- ზმნისწინი ხააქეთო ორიენტაციის მარკერია:

გავიდა ~ გა-მო-ვიდა

ავიდა ~ ა-მო-ვიდა

(0- ~ მო-)

წავიდა ~ წა-მო-ვიდა

გვარის კატეგორია ყველა ზემოხსენებული კატეგორიისგან განსხვავდება: არ არსებობს **მორფოლოგიური** (ფორმობრივი) ნიშანი, რომელიც ერთი გვარის ფორმებს მეორესთან დააპირისპირებს; მიუხედავად ამისა, გვარი, როგორც კატეგორია, უსათუოდ უნდა გამოიყოს ზმნის ფორმაწარმოების სისტემაში.

ბ. ჯორბენაძის აზრით, გრამატიკული მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ სპეციალური ნიშნებით (ფორმანტებით), არამედ ყალიბით — მორფემათა არანაირების მკაცრად განსაზღვრული კანონზომიერებით (იხ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 65-66).

ამ თვალსაზრისის მიხედვით, გვარის კატეგორია გამოიყოფა შემდეგი თანაზომიანი ფორმების დაპირისპირების საფუძველზე:

მოქმედებითი	ვნებითი	საშუალი
ა-გორ-ებ-ს ~	გორ-დ-ებ-ა ~	გორ-ავ-ს
ა-მეფ-ებ-ს ~	მეფ-დ-ებ-ა ~	მეფ-ობ-ს
ა-წვ-ენ-ს ~	წვ-ებ-ა ~	წევ-ს
ხატ-ავ-ს ~	ი-ხატ-ებ-ა ~	ხატ-ი-ა

შენიშვნა: სტატუსისა (დინამიკურობა ~ სტატიკურობა) და გარდამავლობის კატეგორიებს, რომლებიც გვარის კატეგორიასთან მიმართებაში განიხილება, ჩვენ არ მივიჩნევთ ზემოთ განხილულ კატეგორიათა ტოლფასად, რის შესახებაც ცალკე მსჯელობაა საჭირო; ამჭერად, უბრალოდ, არ შევეხებით ამ საკითხებს.

პირის, რიცხვის, ქცევის, სიტუაციის, კონტაქტის, ასპექტის, გეზის, ორიენტაციის, გვარის მიხედვით დაპირისპირებული ნებისმიერი ფორმა იცვლება დრო-კილოთა ნაკვთების (მწკრივთა) მიხედვით.

ყველა ზემოთ წარმოდგენილი კატეგორია გრამატიკულია; ამის შესახებ არავინ დავობს; განსხვავებულია კლასიფიკაცია: რამდენად შეიძლება მათი მიჩნევა წარმოქმნის (ანუ სიტუაწარმოების) კატეგორიებად?

წარმოქმნა ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოებას გულის-

ხმობს. ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი კი **საწყისია** (// **მასდარია**). ა. შანიძის განმარტებით, „საწყისი ზიარი კატეგორიაა მოქმედებითისა და ვნებითისათვის“ (შანიძე, 1973, გვ. 559). თ. უთურგაიძის აზრით, „გვარის შეცვლა რომ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლას იწვევდეს, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ერთი **საწყისი** (ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის გამომხატველი შესაბამისი სახელური ფორმა — კ. გ.) ჰქონოდათ გვარის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს“ (უთურგაიძე, 2002, გვ. 81); იგივე შეიძლება გავიმეოროთ სხვა კატეგორიების მიმართაც, რომლებიც წარმოქმნისად მიიჩნევიან.

ამდენად, გვარიც, ქცევაც, პირიც, რიცხვიც — არა წარმოქმნის (სხვაგვარად — სიტყვაწარმოებითი), არამედ „ულლების“ (სხვაგვარად — ფორმაწარმოებითი) გრამატიკული (მორფოლოგიური) კატეგორიებია.

აქვე დგება საკითხი: რატომ განიხილება ზმნის პირთა მიხედვით ცვლა განსაკუთრებულ რანგში (შდრ. **ულლება პირთა მიხედვით — ულლება მწკრივთა მიხედვით**). ამ მიდგომის მიხედვით, ზმნის ამა თუ იმ პირის ფორმა **საულლებელ ერთეულად** მიიჩნევა(!).

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ დაპირისპირება — **ვაშენებ ~ აშენებ ~ აშენებს** — ისეთსავე მიმართებაშია ზმნის ულლების (იგულისხმება ტრადიციული მწკრივთა მიხედვით ულლება) სისტემასთან, როგორც, დავუშვათ, სამწევროვანი დაპირისპირება — **ვაშენებ ~ ვიშენებ ~ ვუშენებ**. სხვაობა ოდენ სემანტიკურია: პირველ შემთხვევაში ზმნური მარკერი აგენსის რომლობაზე მიუთითებს, მეორეგან — მოქმედების შედეგის მიმართებაზე (კუთვნილებით-დანინშულებითი თვალსაზრისით) მოქმედებაში მონაწილე რომელიმე პირისადმი (აქტანტისადმი).

ა. შანიძე ასპექტს წარმოქმნის კატეგორიად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ გარკვეული წინააღმდეგობა იქმნება თვით მისი სისტემის ფარგლებში: „აწმყოს წრის მწკრივები უსრული ასპექტისაა, მყოფადის წრისა კი — სრულისა“ (შანიძე, 1973, გვ. 263). იმავდროულად, სრული და უსრულასპექტიანი ფორმები ერთ მწკრივშია გაერთიანებული დრო-კილოთა მეორე და მესამე სერიაში (**გჭამე ~ შევჭამე; მიჭამია ~ შემიჭამია**).

პრინციპის ბოლომდე გატარების შემთხვევაში, მივიღებდით ან

16 მწკრივს (ამ პრინციპს მისდევს დ. ყიფიანი, აგრეთვე ა. არაბული — იხ. ყიფიანი, 1982; არაბული, 1992), ან 8 მწკრივს (გ. გოგოლაშვილი, ქ. დათუკიშვილი — იხ. გოგოლაშვილი, 1988; დათუკიშვილი, 1998).

16 მწკრივის გამოყოფა იმ შემთხვევაში მიგვაჩნია შესაძლებლად, თუკი ასპექტს ისეთი კატეგორიების სტატუსში განვიხილავთ, როგორცაა დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა (ანუ იმ ხემანტიკურ კომპონენტთა რანგში, რომლებიც ქმნიან „მწკრივის“ რთულ კატეგორიას).

ვფიქრობთ, ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ხსენებულ კატეგორიებთან გათანაბრება შეუძლებელია.

დავიწყებთ იმით, რომ ასპექტური (სრული ~ უსრული) დაპირისპირება ქართული ზმნის უღლების სისტემაში სპეციალური მარკერის (ზმნისწინის) საშუალებით აისახება; მაშასადამე, ასპექტი მორფოლოგიური კატეგორიაა; რაც შეეხება დროს, კილოს, გზისობას, აქტს, თანამდევრობას — გრამატიკული კატეგორიის განსაზღვრაში ისინი ვერ ხვდებიან: ერთი მწკრივის ფორმა შესაძლოა, უპირისპირდებოდეს სხვა მწკრივის ფორმას, მაგალითად, დროის მიხედვით (ვაკეთებ ~ გავაკეთე), მაგრამ ამ დაპირისპირებას სემანტიკურ პლანში არ ეძლევა ფორმოზომიერე ობიექციის სახე; მეტიც — ერთსა და იმავე ფორმას ზოგჯერ რამდენიმე დროის და კილოს შინაარსის გადმოცემაც შეუძლია (გოგოლაშვილი, 1988, გვ. 58-81).

გზისობა (ერთგზისი ~ მრავალგზისი) და დიურატიულობა (წუგვტილი // წერტილოვანი ~ უწყვეტელი // განგრძობითი // დიურატიული) ასპექტის ქვესახედ განიხილება (მაჭავარიანი, 1974; ჭობენაძე, 1995, გვ. 74). არც გზისობა, არც დიურატიულობა ფორმოზომიერი ნიშნით ზმნურ ფორმაში არ აისახება; ასპექტი (სრული ~ უსრული) თანამედროვე ქართულში წარმოადგენს მწკრივთა პარადიგმაში უცვლელ კატეგორიას, ხოლო გზისობა და დიურატიულობა — პარადიგმაში ცვალებადი კატეგორიებია (დათუკიშვილი, 1998, გვ. 55). ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია დიურატიულობის გამოიყვანა ასპექტისგან და მათი დროის, კილოს, აქტის, თანამდევრობის რანგში განხილვა.

ბოლოდროინდელ ლინგვისტურ შრომებში ხსენებულ კატეგორიათა თაობაზე გამოთქმულია მოსაზრება: „დრო და კილო (აგ-

რეთვე: აქტი, თანამდევრობა, გზისობა, დიურატიულობა — კ. გ.) არ არის მორფოლოგიური კატეგორიები“ (გოგოლაშვილი, 1988, გვ. 77). აქვე მითითებულია, რომ ეს კატეგორიები კი არაა, ე. წ. „მწკრივის ელემენტებია“ (გოგოლაშვილი, 1988, გვ. 77). ბ. ჯორბენაძე საუბრობს „სემანტიკურ კატეგორიებზე“ საზოგადოდ და დროს, კილოს ზმნაში ამ რიგისად მიიჩნევს (ჯორბენაძე, 1986, გვ. 134).

ბ. ჯორბენაძე სემანტიკურ კატეგორიებს შედგენილობის მიხედვით რთულ და მარტივ კატეგორიებად ყოფს: მარტივ კატეგორიად მიიჩნევს ისეთს, რომელიც მოიცავს მხოლოდ ერთ, გაუდიფერენცირებელ მნიშვნელობას; რთულია ისეთი სემანტიკური კატეგორია, რომელიც ორ ან მეტ მარტივ სემანტიკურ კატეგორიას აერთიანებს (ჯორბენაძე, 1986, გვ. 135).

ვფიქრობთ, მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიების გამიჯვნა საშუალებას იძლევა, სხვა კუთხით განვიხილოთ სინონიმურად მიჩნეული ტერმინები — ნაკვთი და მწკრივი; პრობლემა-სადაში ამ კუთხით მიდგომა კი მოხსნის იმ არსობრივ განსხვავებას, რაც იმთავითვე იყო ჩადებული ამ ტერმინთა განსაზღვრისას.

ნაკვთი ა. ჩიქობავასთვის კატეგორიას არ წარმოადგენს, „ტექნიკურ ტერმინად“ მიიჩნევა (ჩიქობავა, 1948, გვ. 8); ეს მიდგომა იმთავითვე გამორიცხავს მისი ა. შანიძისეული „მწკრივის“ სინონიმური მნიშვნელობით გამოყენების შესაძლებლობას (მწკრივი, როგორც ითქვა, ა. შანიძის მიხედვით, „რთული გრამატიკული კატეგორიაა“); მწკრივი მართლაც რთული კატეგორიაა, მაგრამ არა მორფოლოგიური, არამედ სემანტიკური: რთული სემანტიკური კატეგორია, რომელიც აერთიანებს ისეთ მარტივ სემანტიკურ კატეგორიებს, როგორიცაა დრო, კილო, გზისობა, დიურატიულობა, აქტი, თანამდევრობა. თითოეულს ამ კატეგორიათაგან არ გააჩნია მორფოლოგიური (ფორმობრივი) გამოხატვის უნარი და ზმირად კონტექსტურად გამოვლინდებიან (ჯორბენაძე, 1980, გვ. 364; გოგოლაშვილი, 1988, გვ. 58-78; გოჩიტაშვილი, 2002, გვ. 94).

მწკრივის, როგორც რთული სემანტიკური კატეგორიის კვლევა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული და, უნდა ითქვას, რომ სრულიად სხვა პრინციპებს ეფუძნება, ვიდრე ნაკვთის, როგორც „ზმნის ფუნქციონირების ფორმის“ (ჯორბენაძე, 1984, გვ. 17) ანალიზი. წარმოების პრინციპის მიხედვით, ზმნურ-ფორმათა აგების

კანონზომიერებანი ერთ ზმნურ ფუძესთან 8 ნაკვთს გამოგვაყოფინებს (გოგოლაშვილი, 1988, გვ. 157). მწკრივის შემადგენელ მარტივ სემანტიკურ კატეგორიათა („სემანტიკურ კომპონენტთა“) ყველა შესაძლო კომბინაციის კვლევა ფუნქციურ-სემანტიკური (არა წმინდა მორფოლოგიური!) ანალიზის მიზანია. ამ თვალსაზრისით, ტრადიციულ 11 მწკრივს უნდა დაემატოს რამდენიმე კომბინაცია, სემანტიკურ პარამეტრთა სასრული „ჯაჭვისა“ (გოჩიტაშვილი, 2002, გვ. 94), რომელთა ცალკე განხილვა შანიძის 11-მწკრივიანი ტრადიციული სისტემის ფარგლებში ვერ ხერხდება; მეორე მხრივ, უნდა დადგინდეს, ამ მარტივ სემანტიკურ კატეგორიათაგან რომლები არიან ურთიერთმეთავსებადნი, რომლები გამორიცხავენ ერთმანეთის არსებობას და ა. შ. აუცილებლად მიგვაჩნია, დაისვას ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელების საკითხი პრობლემის სრულყოფილად ამოწურვის მიზნით.

ლიტერატურა

არაბული, 1992 — ა. არაბული, ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4; თბ., 1992.

გოგოლაშვილი, 1988 — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

გოჩიტაშვილი, 2002 — ქ. გოჩიტაშვილი, ზმნის მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიების ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, № 2, თბ., 2002.

დათუკიშვილი, 1998 — ქ. დათუკიშვილი, ზმნური კატეგორიების კლასიფიკაცია უღვლების სისტემასთან მიმართებით: საენათმეცნიერო ძიებანი, № 7, თბ., 1998.

თოფურია, 1956 — ვ. თოფურია, მწკრივის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, თბ., 1956.

მაჭავარიანი, 1974 — გ. მაჭავარიანი; ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 4, თბ., 1974.

უთურგაძე, 2002 — თ. უთურგაძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

ყიფიანი, 1882 — დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამმატიკა, სანკტ-პეტერბურლი, 1882.

შანიძე, 1941 — А. Г. Шанидзе, Категория ряда в глаголе, Общие вопросы формообразования глаголов на примерах грузинского языка; საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოაპზე, X, თბ., 1941.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ჩიქობავა, 1948 — ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I; თბ., 1927.

ჯორბენაძე, 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

ჯორბენაძე, 1984 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის უღვლილების პრინციპები: ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი; ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1980.

ჯორბენაძე, 1986 — Б. Джорбенадзе, Грузинский глагол; Тб. 1988.

ჯორბენაძე, 1995 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995.

„ყოფს“ და „ქმნა“ მეშველზმნიან ალწერით ფორმათა სემანტიკისათვის ძველ ქართულში

ძველ ქართულში მრავლად დასტურდება ზმნის ალწერითი ფორმები. ნაირგვარია მათი სემანტიკური ფუნქციებიც.

„ყოფს“ და „ქმნა“ მეშველზმნიან ალწერით ფორმათა დიდი ნაწილი გარდაქცევის სემანტიკას გამოხატავს: იქმენ სარკინოზ და სპასალარ-გყო შენ ქუეყანასა ზედა ქართლისასა (10, 211); შეაერთებს თავსა ხორცთა თანა და გვრგვინოსან-ჰყოფს თავსა (8, 367); და განიზრახა, რადთამცა მონასტერ-ყო აღგილი იგი (5, 72); ქართთა სულისა წმიდისადათა უდაბნოდ ქალაქ-ყო სიმრავლით მონაზონთადათა (3, 191); მრავლად უბოროტეს-ყო და სიმრავლეცა და ღმერთი გინებულ-იქმნა (2, 42); სახარებითა თვისითა ლმობიერ-ყო მიქაელ ქრისტეს-მოყუასისა მეფისაჲ (10, 97); არამედ მირეან, მამამან მისმან, აუგოან-ყო უჟამოდ შესწრაფებითა (9, 288); რადთამცა მოაოჯრა და ყოვლითურთ უმკვდრო-ყო (10, 208); ხოლო წმიდამან, ვითარცა ცნა მიზეზი შეკრებისაჲ, და რამეთუ ებისკოპოს-ჰყოფენ, შეუძნდა ფრიად (10, 239); რადთა მიერ მიმართებულნი ძვრხილულ-ჰყოფენ მეფობასა ასანოფსსა (2, 43); ვინაჲ მოწაფისა მის ურწმუნოებაჲ ჩუენისა სარწმუნოებისა დედა-იქმნა (6, 171); და ძელი იგი ღმრთეებაჲ ჩუენთს ყრმა იქმნა (8, 296); და ყრმა წულ იქმნა ამისგან მისდა, რომელსაც ავიად სახელ-სდვა (2, 37); და მუნ მონაზონ იქმნა და ათანასი დიდსა პატივსა უყოფდა ორთაჲ (12, 341); დღეს საყდარი ზეცისა საყდარ იქმნების (6, 201).

„ყოფს“ და „ქმნა“ მეშველზმნიან ალწერით ფორმათა ერთ ნაწილს მოეპოვება შესაბამისი ორგანული წარმოების ვარიანტები, მაგრამ გარდაქცევის სემანტიკა ანალიზურ ფორმებში უფრო წარმოჩენილია: უფროსი დიდ-გყავ შენ სიმცირისაგან (2, 39); შდრ.: განადიდა უფალმან წყალობაჲ თვისი (14, 54); და ყოვლისა ქუეყნი-

ერისა ზრუნვისაგან წმიდა-ჰყო სული თვისი (11, 219); შდრ.: გან-
ვწმიდე მე სახლისა ჩემისაგან ყოველნი მსხუერპლნი (14, 79); განა-
ნათლა გონებაჲ მისი და მხიარულ-ყო (11, 111); შდრ.: განმამხია-
რულე მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა (14, 64); უკა-
ნადსკნელ მოსწყუდნა იგინი, რომელნი შემწე იქმნეს ბოროტსა მის
მისისა (1, 199); შდრ.: შემეწიე ურწმუნობასა ჩემსა (14, 497).

სახელური კომპონენტის თავისებურ სემანტიკას უკავშირდება
ის გარემოება, რომ ზოგჯერ ღირს ორგანული წარმოებით მისი გა-
ზმნავება (დრო-კილოთა II სერიის ნაკვთთა ფორმებით): ხოლო წმი-
დამან პეტრე მიწეზ-ყო მიზეზი რადმე (10, 246); რომელი-იგი
ღონე-ყო კაცსა ზედა (1, 199); და ტყუე-ყო სული მისი (7, 399).

ანალიზური წარმოების ფორმაში გარდაქცევის სემანტიკა იჩ-
რდილება, თუ სახელურ კომპონენტად წარმოდგენილია მასდარი: და
ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერე-
თისასა, ზრახვა-ყო (9, 12); და კრება-ყო და ბრძანა (6, 238);
წარგზავნა-ჰყო ამისათვის თეიმურაზისა კახეთად (13, 23); და მივი-
და და ბრძოლა-უყო სხუასა ნათესავსა მისსა (8, 288); შეიჭურა სა-
ჭურველითა და დევნა-უყო (9, 263).

ზოგჯერ „ყოფს“ და „ქმნა“ მეშველზმნიანი აღწერითი ფორმე-
ბით გამოხატულია მიმსგავსების სემანტიკა. ამგვარი შემთხვევები მა-
შინ გვაქვს, როცა ზმნურ კომპონენტს მოსდევს „ვითარცა“ და სახე-
ლობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელური წევრი: და
აჰა ესერა კაცი იგი იქმნა ვითარცა მკუდარი (9, 343); დაეცა და
განიჭრწნა და იქმნა ვითარცა არარაჲ (6, 265).

ზოგჯერ აღწერით ფორმას (იმის მიხედვით, თუ რა შინაარსითაა
იგი გამოყენებული კონტექსტში) ერთ შემთხვევაში მოეპოვება შესა-
ბამისი ორგანული წარმოების ვარიანტი, ხოლო სხვა შემთხვევაში —
არა. მაგალითად, თუ „უარის-ყოფა“ წარმოება დასტურდება „უარ-
ყოფის“ შინაარსით, მას არ ეძებნება შესაბამისი სინთეზური ვარიან-
ტი: შენ ღმერთი ჰეშმარიტი უვარ-ჰყავ (9, 15); სარწმუნობაჲ
უვარ-უყოფიეს მას (9, 116); მამაჲ შეილსა უვარ-ჰყოფდა (6,
222); თუ უარის-ყოფა გამოხატავს „უარობის“, „უარის თქმის“ ში-
ნაარსს, მას შესაძლებელია დაეძებნოს ორგანული ფორმა: მის თანა
შერთვასა ყოვლადვე უვარ გჰყოფთ (3, 189); შდრ.: ვითარცა ყო-
ველნი უვარებდეს, ჰრქუა პეტრე (14, 420); იხილეს, რომელსა-იგი

პირველ უვარებდეს (14, 420).

სრულ-ყო ფორმას, თუ იგი გამოყენებულია „დასრულების“ ან „შესრულების“ სემანტიკის გამოსახატავად, ეძებნება შესაბამისი ორგანული წარმოების ვარიანტი (სრულ-ყო — დაასრულა, შეასრულა), მაგრამ, თუ სრულ-ყო ფორმით გამოხატულია „სრულყოფის“ (შდრ.: სრულყოფილი) შინაარსი, მას ორგანული წარმოება არ უდასტურდება: და სარბიელი ესე მოლუაწებისაჲ სრულ-ყო (11, 105); ძმანი მრავალნი შეკრიბნა და თანადგომითა მამათა ჩუენ-თაჲთა სრულ-ყო ყოველივე საქმე შენებისაჲ (10, 66); და მის მიერ სრულ-ყო თხოად მორწმუნეთა მისთაჲ (15, 63); უკუეთუ არა სრულ-ჰყო სიტყუად ჩემი (11, 184); შდრ.: რაჟამს შეასრულეს იფქლი იგი ჰამად (14, 488), მაგრამ: და სრულ-გჟავნ ყოვლითა კურთხევითა (11, 137).

სახელის თავისებურ სემანტიკას უკავშირდება ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ მისგან ჰირს გარდამავალი ზმნის ორგანულად წარმოება: გოდოლთა მიერ დიდთა აღმატებულ-ყვნა ესენი (2, 24).

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა გასაზმნავებელი სახელის (მაგ., საობიექტო მიმღეობის) „ე-“ პრეფიქსიანი ფორმით (ორგანული ვარიანტით) წარმოება ჰირს, რაც კვლავ სახელის სემანტიკას უკავშირდება: არამედ რაჲთა მსმენელთა მათ სარგებელ-ვეყო (5, 126).

ზოგჯერ „ყოფს“ მეშველზმნიან აღწერით წარმოებას არ მოეპოვება შესაბამისი ორგანული ვარიანტი იმის გამო, რომ მოცემული მიმღეობის ფორმის გაზმნავება ორპირიანი გარდამავალი ზმნის სახით არ ხერხდება (გვაქვს მონაწილეობს, მაგრამ არ დასტურდება *ამონაწილეობს). აღსანიშნავია ისიც, რომ „მონაწილე“ ფორმის გაზმნავება გაძნელებულია დრო-კილოთა II სერიის ნაკვთებით: ეკლესიისა ევლოგიასა მონაწილე-ყო და სულისა თვისისა შვილად უწოდა (10, 115).

ზოგჯერ ორგანული ფორმის უქონლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მოცემული სახელისაგან გართულებულია ვნებითი გვარის სინთეზური ფორმით წარმოება: რამეთუ უკუეთუ ქმნეს კაცმან კეთილი და მის ზედა აღზუავნა და ამპარტავან-იქმნა (4, 45).

წარმოშობით „ყოფს“ მეშველზმნიან აღწერით ფორმათა სახელური კომპონენტი შეიძლება იყოს პაციენსი (დაღად-ყო, ბრძოლა-

ყო), პაციენსის მსაზღვრელი (ცულ-ყო, ლმობიერ-ყო), აგენსი (მამულ-ეყო, წყარო-მეყავნ) ან მისი მსაზღვრელი (უზრუნველ-ეყო); „ქმნა“ მეშველზმნიან აღწერით ფორმათა სახელური წევრი კი — აგენსი (ტყუე-იქმნა), მისი მსაზღვრელი (დიდ-იქმნა), პაციენსის მსაზღვრელი (გესლოვან-ქმნა).

ძველ ქართულში ზმნის აღწერითი ფორმები უპირატესად მაშინ დასტურდება, როცა ორგანული წარმოება კირს. სინთეზური ვარიანტების უქონლობა ხშირად განპირობებულია სახელის (სახელური კომპონენტის) თავისებური სემანტიკით. ეს არის ძირითადად ნათესაობის სემანტიკის გამომხატველი სახელები (დედა-იქმნა, მამა-იქმნა, შვილ-იქმნა, წულ-იქმნა და სხვა), ადამიანის სხეულის შემადგენელი ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები (ველ-ყო, თავ-ყო, თუალ-ჰყოფს, სახედ-ყო, გუამ-იქმნა და სხვა), რელიგიური რეალიების გამომხატველი სახელები (მოძღუარ-იქმნა, მონაზონ-იქმნა, ანგელოზ-იქმნა, ხუცეს-იქმნა, ეპისკოპოს-იქმნა, ეპისკოპოს-ყო, საყდარ-იქმნა, ტაძარ-იქმნა, მონასტერ-ყო და სხვა), მცენარეთა და ცხოველთა აღმნიშვნელი სიტყვები (ხედ-იქმნა, ვარდ-იქმნა, ძაღლ-იქმნა და სხვა), კულტურის რეალიები (წიგნ-იქმნა), ქვეყნის, ქალაქის, სახლის აღმნიშვნელი სიტყვები (მამულ-ეყო, ქალაქ-ყო, სახლ-ყო).

როგორც ჩანს, სემანტიკურ მხარეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღწერით ფორმათა გამოყენებისას ძველ ქართულში. „ყოფს“ და „ქმნა“ მეშველზმნიანი აღწერითი ფორმები უპირატესად მაშინ დასტურდება, როცა გარდაქცევის სემანტიკის წარმოჩენაა საჭირო (მოშიშ-ჰყოფს, მობანავ-იქმნა, მოშურნე-იქმნა და სხვა მრავალი).

წყარო

1. ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი: ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, თბ., 1983.
2. იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. მელიქიშვილმა, თბ., 1988.
3. კიმენი, ტ. II, ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, თბ., 1946.
4. მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით: ძველი ქართული ენის ძეგლები, 8, თბ., 1955.

5. მაშათა ცხოვრებანი, ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.

6. სინური მრავალთავი 864 წლისა, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1959.

7. ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია: ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, IV, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, თბ., 1982.

8. შატბერდის კრებული X საუკუნისა: ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, I, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.

9. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს), თბ., 1964.

10. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს), თბ., 1967.

11. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, 1967, მეტაფრასული რედაქციები (XI-XII სს).

12. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVII სს), თბ., 1968.

13. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI (მარტისიკა), თბ., 1980.

14. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ილ. აბულაძე, თბ., 1973.

15. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1971.

თავისებურად ნაწარმოები მიმღებობების შესახებ
დ. კლდიაშვილის თხზულებებში

მიმღებობის წარმოება ქართულში მრავალფეროვანია. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „არსად არ არის არეული სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ფორმები, როგორც მიმღებობაში“ (შანიძე, 1973, გვ. 186).

მიმღებობათა წარმოების თვალსაზრისით სხვაობას აჩვენებს ძველი და ახალი ქართული. ძველში მიმღებობებს თემის ნიშნები გადაჰყვებოდა, ახალ ქართულში — არა. თემის ნიშნის მოკვეცვა მორფოლოგიური ზეგავლენით ხდება და დაკავშირებულია ხმოვანმონაცვლე და ერთთემიან ზმნურ ფუძეებთან.

რას გვიჩვენებს ამ მხრივ დავით კლდიაშვილის თხზულებებზე დაკვირვება?

როგორც ცნობილია, დ. კლდიაშვილის ნაწარმოებებში აისახა ე. წ. შუაიმერული მეტყველება, რომელიც რიგი თავისებურებებით ხასიათდება. აქ მიმღებობათა ფორმები ყურადღებას იქცევს, როგორც ამოსავალი ფუძის თვალსაზრისით, ასევე — ფორმათა წარმოების მხრივაც.

მიმღებობის წარმოებისას, როგორც ვიცით, პრეფიქსებია ნიშანდობლივი: მ-, ნა-, სა-; მ- პრეფიქსიანი მიმღებობა მოქმედებითი გვარისად მიაჩნიათ. მას აწმყოს ღროისად თვლიან, ნა- პრეფიქსიანს — ნამყო ღროისად, სა- პრეფიქსიანს კი — მყოფადისად (ჩიქობავა, 1985, გვ. 53).

მ- პრეფიქსს შეიძლება დაერთოს -ელ სუფიქსი, რომელიც მხოლოდ ინ-იან ზმნათა მიმღებობაში არის აუცილებელი, სხვა შემთხვევაში სუფიქსი შეიძლება დაერთოს, შეიძლება — არა.

დ. კლდიაშვილის ნაწერებში ორივენაირი ფორმა დასტურდება:

შე-მ-მატ-ი : „ის ცდილობდა, ოჯახის შემმატი გზა ეპოვა“ (I, 288);
შე-მ-მატ-ებ-ქლ-ი „ეს სიტყვები... სიმწარის შემმატებლად
ხდებოდნენ“ (II, 191);

მ-ცნ-ობ-ი „სანდროს ახლო მცნობი იუცხოებს ამ აზრს“ (II,
145);

მ-გმ-ობ-ელ-ი „ღმერთს ვაწყენიებთ, რომ მისი მგმობელი ვი-
ტიროთ“ (I, 12);

ოდენ პრეფიქსული წარმოება ახასიათებს ზოგიერთ საობიექტო
მიმღეობასაც:

გა-სა-რებ-ი „წინ გვარიანი გზა მაქვს გასარები“ (II, 67);

სა-კავ-ი „ქვები თანდათან ემატებოდა და ამაგრებდა წყლის
საკავს“ (I, 332);

-ავ თემისნიშნითაა ზმნათაგან მ- პრეფიქსით ნაწარმოებ მიმღეო-
ბურ ფორმებში დავით კლდიაშვილთან ყოველთვის თემის ნიშნებია
წარმოდგენილი:

სინჯ-ავ-ს → მ-სინჯ-ავ-ი სონია გრძნობდა მასზე მიჩერებულ
მსინჯავ თვალს“ (I, 252);

ყინ-ავ-ს → მ-ყინ-ავ-ი „მეინავი... ქარი უსიამოვნოდ სისინებ-
და“ (I, 274);

სა- და ნა- პრეფიქსიანი ფორმები პარალელურ ფორმებს გვიჩ-
ვენებენ: 1) როცა დაცულია თემის ნიშანი:

კბილ-ავ-ს → სა-კბილ-ავ-ი: „ბესარიონმა ის იყო უშოვა თავის
გამაჯავრებელს საკბილავი“ (I, 294);

წირ-ავ-ს → სა-წირ-ავ-ი : „რძალ-დედამთილმა მუხლები მოი-
ყარეს და მიართვეს შესაწირავი“ (I, 253);

ზიდ-ავ-ს → სა-ზიდ-ავ-ი „საზიდავი ნავთი ბათუმისკენ მიდი-
ოდა“ (I, 176);

2) არ ჩანს თემის ნიშანი:

ქაჩ-ავ-ს → ნა-ქაჩ-ი „ნაქაჩი ანდა წყალმაჭარა! — ეგეც საკი-
თხავია?!“ (II, 43);

ხურ-ავ-ს → ნა-ხურ-ი „აქა-იქ ჩანდა ისლით ნახური ძელულე-
ბი“ (I, 252);

* მითითებულია ერთი გამოცემის მიხედვით: დ. კლდიაშვილი, თხზულებანი ორ
ტომად, თბ., 1952.

ლოც-ავ-ს → ნა-ლოც-ი „მაკრინეს შენალოცო მარილი მიეცა ამ დედაკაცისათვის“ (II, 30);

-ავ თემის ნიშანი ჩანს აგრეთვე სხვა თემის ნიშნებით წარმოდგენილ ან უთემისნიშნო ზმნურ და სახელურ ფუძეთაგან ნაწარმოებ მიმღეობებში:

თვლის → ჩამოსათვალ-ავ-ი „ეს გაშოვნეიე ორმოცი თუმნით და ვეჟილი რა ჩამოსათვალავია?“ (I, 59);

ჯღაბნის → მჯღაბნ-ავ-ი „ვერაფრით ვერ მოდრიკეს ეს გზაბნეული მჯღაბნავი“ (II, 207);

აცხუნებს → მცხუნ-ავ-ი „მზის მცხუნავი სხივები არ ხვდებოდა“ (II, 170);

ცნობილია, რომ „აწმყოს ფუძის გამოყენება მიმღეობის საწარმოებლად ახალი ვითარების ამსახველია, კერძოდ, აწმყოს წყების დრო-კილოთა ჩამოყალიბების შემდეგდროინდელი“ (ოსიძე, 1975, გვ. 201);

დავით კლდიაშვილის ნაწერებში ყურადღებას იქცევს ნა- პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობები:

ნა-ყურ-ებ-ი (მნახველი) „განათლებული და ნაყურები ადამიანია“ (II, 106);

ნა-ყოლ-ი „ორი ქმრის ნაყოლი იყო“ (I, 167);

მო-ნა-რებ-ი : მეც საიქიოს მონარები ვარ“ (14769—13).^{*}

ასეთივე წარმოების ჩანს მიმღეობის ტიპის სახელებიც:

ჩუმათ → ნა-ჩუმათ-ებ-ი „ნაჩუმათებად ყრიდა ცრემლებს“ (I, 43);

უცბად → ნა-უცბად-ებ-ი || ნაუცბადეთი (ნაუცბათევი) || უცებ → ნაუცებები: „რადგან ნაუცებებია, ვითომ გვებატიება“ (I, 211);

წირვა → ნა-წირვ-ებ-ი „ნაწირვები იყო“ (I, 186);

მიმღეობის ტიპის სახელები, როგორც ცნობილია, „მიმღეობებს ჰგვანან როგორც სემანტიკურად და ფუნქციო—მნიშვნელობის მხრივ, ისევე წარმოების თვალსაზრისითაც“ (ზურაბიშვილი, 1972, გვ. 133).

ნა- პრეფიქსიან საობიექტო მიმღეობებს ან ეკარგებათ -ავ თემის ნიშანი, ან ევ-ს გვაძლევენ:

„ნამალევადა დაეტკობ გრძნობა, — დაემშვიდებინა გული“ (II, 93);

„ქურდულად, ნაპარევადა... ფეხი შედგა ამ გრძნობამ“ (I, 82);

* მითითებულია ავტოგრაფის ნომერი.

სა - არ პრეფიქსებით აწარმოებს მწერალი მიმღეობებს:

„რამ მოგიყვანა ამ დასაქცევარში, ბატონო?“ (I, 218);

„ეს სამჭობინარე იქნებოდა მისთვის“ (I, 271);

„რითია დასაწუნარი იმისთანა ახალგაზრდა?“ (I, 29);

„საქნარი მოლელული ჯობია“ (I, 121);

შეიძლება შეიცვალოს სუფიქსი: სა - ერ ან სა - ურ ფორმებით:

„გაალმასებული დაუხვდა ზენათი სამუშევრიდან სალამოს შინ დაბრუნებულ ქმარს“ (I, 352);

„არ იყო საქებურო ასეთი მოქმედება, მართალია, მაგრამ მეტი გზა არ იყო“ (II, 187);

გვხვდება სა - ის აფიქსებით წარმოებული მიმღეობებიც:

შე-სა-ბრალ-ის-ი: „როგორი შესაბრალისი ვარ მე“ (14748,45);

მო-სა-ხმარ-ის-ი: „მირბოდნენ, ეგებ მოსახმარისი შეიქნესო“ (14680-13);

სა-წყენ-ის-ი: „მაპატიეთ, რომ ასე გელაპარაკებით და თუ საწყენისია, მაპატივთ“ (14748, 223);

ასევე საყურადღებოა სა - ო პრეფიქს-სუფიქსით მიღებული სა-ობიექტო მიმღეობები, რაც ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი:

სა-სირცხ-ო: „შენ გეშინია, ჩემო ოტია, სასირცხო საქმეში ჩაგაგლო?!“ (I, 214);

სა-შიშრ-ო: „ლუკა სრულიად საშიშრო არ არის მისთვის“ (14748, 213); „ალექსი საშიშრო მტერია“ (14748, 213);

ცნობილია, რომ შუაიმერულში, ისე როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში (კახური, მესხური, ჭავჭავური), მიმღეობის მოსალოდნელი სუფიქსის ნაცვლად სხვა მაწარმოებელია გამოყენებული, განსაკუთრებით ხშირია ილ - ულ სუფიქსთა მონაცვლეობა.

ილ → ულ: „თავი მოვაწყინე ყველას დაფქულის თხოვით“ (II, 262);

„ფოთოლგაცვინული, გატიტვლებული ხეები ვეღარ მალავდნენ, უფრო გამოაჩინეს პატარ-პატარა სახლები“ (I, 274);

„ბავშვები ტალახში ჩამდგარიყვნენ ტიტველა ფეხებით და გათუთხნულნი ზელავდნენ მას (I, 197);

„რამოდენიმე ბავშვი გარს შემოხვეოდა წელში აბ-ზუკულ გამხდარ ღორს“ (I, 324);

-ულ სუფიქსი ითვლება -ილ ფორმანტის ლაბიალიზებულ ვარიანტად (შანიძე, 1973, გვ. 574; ოსიძე, 1957). კერძოდ, -ულ სუფიქსის უ მიღებული უნდა იყოს ვი კომპლექსისაგან, რომელსაც ქმნის თემისნიშნისეული -ვ და -ილ სუფიქსისეული ი (არაბული, 1979, 197);

ულ → ილ: „შენი მტერი იქნა ასე დამსილი“ (I, 124);
„უცებ წამოიძახა... ჭუჭყიანი ყაბალახით თავზე მობურჯილმა“ (I, 293);
„თვალეზადმოკუსვილ ნინოიაზე უკეთეს ქალს მოვიყვან“ (14669-208);

მონაცვლეობის შედეგად ფუძე შეიძლება შეუკუმშავად იყოს წარმოდგენილი: „მეტისმეტად დაღალული ვარ!“ (II, 27);
ოფლით გაღვარული თავდაუზოგელად განაგრძობდა გადაზიდვას“ (I, 329);

იცვლება ფუძე: ჩამორებული > ჩამოვლილი
„ჩამორებული ლეკურია, შენ დაგვრჩი მარტო“ (II, 27);
„სად არ ვყოფილვარ, ცის კიდე მაქვს შორებულო (II, 62);

იკარგება თემის ნიშანი: „სულ ერთიანად გადატყაული ექნება ზურგი“ (I, 127);
საობიექტო მიმღეობის უკუთქმითობა მხოლოდ უ- პრეფიქსითაა ნაწარმოები:

„ეშინოდა ვინმეს არ შეეტყუებინა შვილებამოწყვეტილი დედაბერი შვილის უყოლის მაგიერ (I, 186);

დასტურდება თავისებურად წარმოებული ფორმები:
შემფარე „შემფარე ვინ მყოლებია?“ (I, 19);
შემდარე „შემდარე არავინა ჰყავს“ (II, 26);

საყურადღებოა ისიც, რომ დ. კლდიაშვილი დამნაშავეს ნაცვლად იყენებს ფორმას — დანაშაული:

„მე მართლა დანაშაული ვარ, შენ სწორი მითხარი“ (14748, 374);
„მაშო ვითომც დანაშაული იყვეს“ (14748, 378).

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, დ. კლდიაშვილის თხზულებებში მიმღეობათა ნაირგვარად წარმოებული ფორმები დასტურდება. გარკვეული კანონზომიერება აქ არ დგინდება, რაც დამახასიათებელია შუაიმერულისათვის.

ლიტერატურა

არაბული, 1979 — ა. არაბული, ძველი ქართულის ნამყოფ დროის საობიექტო მიმღეობის მორფემური ანალიზი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, № 6, თბ., 1979.

ზურაბიშვილი, 1971 — თ. ზურაბიშვილი, მიმღეობის ტიპის სახელები ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბ., 1971.

კლდიაშვილი, 1952 — დ. კლდიაშვილი, თხზ. 2 ტომად, თბ., 1952.

ოსიძე, 1957 — ე. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში: თსუ-ს შრომები, 67, თბ., 1957.

ოსიძე, 1975 — ე. ოსიძე, მიმღეობა ქართულში, თბ., 1975.

შანიძე, 1973 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ჩიქობავა, 1985 — არნ. ჩიქობავა, უბრეფიქსო მიმღეობათა წარმოებისა და ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულში: იბერო-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული, XII, თბ., 1985.

ანაბარი ღა აგანათ ლექსეგათა მნიშვნელობის
ცვლილებისათვის ქართულში

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ანაბარი განმარტებულია, როგორც მიბარებულსავით A; მიბარებულივით x; **იანაბრა** ანაბ(ა)რად ინდო AB; მანაბრა ნაბარად მომცა AB (ორბელიანი, 1993).

დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს: ანაბარი ამანათი, მიბარებული ნივთი. სამ. სომხ. 201; ქილ. 205, 330; სამ. ვ. 208; ალბ. 83; დედა მიწის ანაბრად; на произволе сырой земли (ჩუბინაშვილი, 1984).

ქეგლი: ანაბარ-ი (ანაბრისა) 1. სხვასთან მიბარებული რამ. ანაბარი მგელმაც იცის (ანდაზა). 2. ახ. შემნახველ სალაროში შეტანილი ფული. შემნახველი სალარო ანაბარზე იხდის. 3. პროცენტის წლიურად. — მომგებიანი ანაბარი.

აქედან შეანაბრე (შეანაბრისა) ფინ. ანაბრის (მნიშვ. 2) პატრონი, ანაბრის შემტანი.

საყურადღებოა, რომ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ანაბრის განსამარტავად მოყვანილია სიტყვა **ამანათი**. ხოლო ამანათს იგი ასე განმარტავს:

„ანაბარი, ნივთი მიბარებული ან გაგზავნილი ვისთანმე“.

ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონშიც“ ანაბრის სინონიმებია: **ამანათი** (ამანათი მგელმაც იცისო), **შენატანი**, **შესატანი** (ნეიმანი, 1978).

ქეგლში ამანათის ორი მნიშვნელობაა მოტანილი:

„[არაბ. ამანათ] 1. შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც სადმე იგზავნება (ჩვეულებრივ ფოსტით)... 2. ძვ. მძევალი. 3. მიბარებული, მინდობილი რამ.“

განვიხილოთ პირველი სიტყვა — ანაბარი.

ანაბარი აშკარად ქართული წარმომავლობის ფორმაა, ნაშენარი სახელი (სახელზმნა); ე. წ. წინავითარების აღმნიშვნელი ფორმა.

რომელიც ნაწარმოებია აბარებს ზმნისაგან. აბარებს ასეა განმარტებული ქეგლში: (აბარა, უბარებია) გრდმ. საზიარო აწმყო ზმნური ერთეულისათვის: დააბარებს, მიაბარებს, ჩააბარებს, გააბარებს. 1. [მაშო] მოკითხვას მიაბარებდა შენთან... (შ. არაგვ.) კიდევ აბარებს: „თავს გაუფრთხილდი, ნასვამმა ბრწყვად არ დაიძინო!“ (ვაჟა). იხ. დააბარებს. 2. მგზავრი ბარგს აბარებს შემნახველ კამერაში. — სკოლაში... აბარებენ ბავშვებს (შ. არაგვ.) მამა-დავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს (აკაკი). იხ. მიაბარებს. 3. კოლმეურნეობები სახელმწიფოს დიდძალ მარცვლეულს აბარებენ. — გაბარებ ამ ჩემს ცოლ-შვილსაც, შენ გმორჩილებდეს ყველაო (ვაჟა). სტუდენტები სახელმწიფო გამოცდებს აბარებენ. იხ. ჩააბარებს. 4. ძველი თავადები გლეხის ოჯახში აბარებდნენ შვილებს გასაზრდელად. იხ. გააბარებს.

ანაბრის შინაარსის უფრო თვალსაჩინოდ წარმოსაჩინად მოვიყვანთ კიდევ ერთ სახელზმნურ ფორმას: აბარება (აბარებისა) შესანახავად, სამეთვალყურეოდ, მოსავლელად მიცემა, — მიბარება. [ანიკო] ხბოების აბარებაზე ხან ვის ეხვეწა, — ხან ვისა (ბაჩ.) (ქეგლ.)

როგორც ვხედავთ, აბარება — შესანახავად, სამეთვალყურეოდ, მოსავლელად მიცემა — ცოცხალი ფორმაა ენაში. სწორედ აბარებს, აბარება უნდა ელოს საფუძვლად ა-ნა-ბარ-ი ლექსემას. ანაბარი — რაც მიაბარეს, ჩააბარეს, გააბარეს. მსგავსი წარმოება ქართლისათვის ბუნებრივია. რაც შეეხება ა-პრეფიქსს, მისი მნიშვნელობა აქ, განსხვავებით: მსგავსი წარმოების სიტყვების (ანაცერი, ანახეთქი, ანაგლეჯი, ანაბუქლი) ა-საგან, დასაზუსტებელია, თუმცა აბარება ფორმის არსებობა გვაგვარაულებინებს, რომ მისი ფუნქცია ცისტორიულად იგივე უნდა იყოს.

ანაბარის სემანტიკის დასაზუსტებლად საყურადღებოა ზმნისართ ანაბარა¹ს განმარტება: მარტოოდენ ერთი ვისიმე ან რისამე მოიძედე (ყოფნა), მხოლოდ ერთი ვისიმე შემყურედ, ვისიმე ხელში (ყოფნა). შდრ. ამარა. ბედის ანაბარა. — სანდროს ოჯახი პატარა ძმის ანაბარა დარჩა (ი. გედევ.). ქეთოს მამა მოუკვდა და დარჩა დედინაცვლის ანაბარა (ექ გაბ.). 0 ღვთის ანაბარა²ს. ძვ. უპატრონოდ, მიუხედავად. ბიჭი გუთნეულს გაუშვებდა ღვთის ანაბარას (ს. მგალობ.) (ქეგლ.)

ყველა მოყვანილ განმარტებაში ანაბარა ნიშნავს მიბარებულს, ჩაბარებულს; რომ ვინც ჩაიბარა, მან უნდა უპატრონოს მას, რაც ჩააბარეს ან ჩაიბარა. ბედის ანაბარა. აღამიანი, ვინც თავი ბედს ჩააბარა, ან იძულებულია ბედს მიენდოს. ფრაზა — ღვთის ანაბარა, როგორც ვნახეთ, განმარტებულია როგორც „ძვ. უპატრონოდ, მიუხედავად“. ჩვენი აზრით, მითითება „ძველი“ აქ ზედმეტია, რადგან ეს გამოთქმა ჩვეულებრივი სინტაგმაა თანამედროვე ქართულში და მისი ამოსავალი მნიშვნელობა სწორედ ღმერთს მიბარებული, ღმერთისთვის ჩაბარებული, ღვთის ნანდობია. უარყოფითი მნიშვნელობა ამ გამოთქმას გვიან უნდა მიეღო.

საყურადღებოა ანაბარა¹ და ამარა-ს მიმართება. ამარა — მხოლოდ და მხოლოდ ერთი რისაშე მქონე. სოფლელი გლეხის შვილი ვარ, მკადითა გამოზრდილია, უქულო, ჩოხის ამარა, ქალამნებგაცვეთილია (ი. დავით.). [წყლიდან] ამოხდა, ქვაზე ჩამოჭდა, მარტოკა შარვლის ამარა (ვაჟა). მარტოდ-მარტოდ მოდიოდა ხანჯლის ამარა (ვ. ბარ.).

ჩვენი აზრით, ამარა-ს კიდევ ერთი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს. ის უნდა აღნიშნავდეს ვინმეს (რაიმეს) იმედად ყოფნას, ვინმეზე (ან რაიმეზე მინდობას, მიბარებას). ანაბარას საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში ამ სიტყვას თავისუფლად შეიძლება ჩავანაცვლოდ სიტყვა იმედად, იმედით. სწორედ იმედი ლექსემა გამოყენებული ანაბრის განმარტებისას (რაც არ გვხვდება ამარას განმარტებაში). შდრ. ძმის ანაბარა — ძმის იმედად; დედინაცვლის ანაბარა — დედინაცვლის იმედად (ამ სიტყვას უარყოფითი დამოკიდებულების ელფერი შეიძლება გადაჰკრავდეს (უიმედოდ), რასაც „დედინაცვლისადმი“ საერთოდ დამკვიდრებული მიმართება განაპირობებს); ბედის ანაბარა — ბედის იმედად; ღვთის ანაბარა — ღვთის იმედად (და არა უპატრონოდ). ასევე შეიძლება ჩავანაცვლოთ ანაბარა ამარას განმარტებაში მოყვანილ ილუსტრაციაში — ხანჯლის ამარა — ხანჯლის იმედად (ხანჯალს მინდობილი). შდრ. მეგობრის ამარა — მეგობრის ანაბარა. ასეთი სემანტიკით ურთიერთჩანაცვლება შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ ეს ზმნისართები სულიერ (ან მათთან გატოლებულ საგნებს) მიემართება. ხანჯლის ანაბარა, ხანჯლის ამარა (ხანჯალს შეუძლია დაგვხმაროს).

სიტყვის მნიშვნელობის განვითარება შეიძლება ასე წარმოვიდ-

გინოთ: ანაბარი ნაზმნარი სახელია (აბარებს ზმნური ფორმიდან მიღებული), წინა ვითარების აღმნიშვნელი სიტყვაა, რომელიც მიემართება იმ საგნებს, რომლებიც ვინმეს ან რამეს ჩააბარეს შესანახად, მოსავლელად, საპატრონოდ, განვითარების გარკვეულ ეტაპზე მისი მნიშვნელობა დაკონკრეტდა და დღეს უკავშირდება მხოლოდ საფინანსო-საბანკო დაწესებულებაში თანხის მიბარებას, აქედან **მეანაბრე** — ადამიანი, ვინც ფული შემნახველ სალაროში, ბანკში მიაბარა.

რაც შეეხება **ამანათს**.

ამანათის ქართულ დიალექტებში დადასტურებული მნიშვნელობები გარკვეულად უკავშირდება ქეგლ-ში დამოწმებულ მნიშვნელობებს:

1. (მოხ., ფშ., მთიულ., გუდამაყრ.) ხიზანი, შემოფარებული, უმიწაწყლო (ო. ქაჯ., ი. ქეშიკ., ე. ვირს.)

2. (ქართლ.) მიბარებული რამ.

3. სტუმარი (შ. ძიძ. ანგარიში). არაბ., თურქ. emanet (ლონტი, 1984).

მეორე მნიშვნელობა „მიბარებული რამ“ ზუსტად შეესაბამება ანაბრის პირველ მნიშვნელობას „სხვასთან მიბარებული რამ“ (ქეგლ) ისე, როგორც ქეგლ-ში მოტანილი ამანათის მე-3 მნიშვნელობა — „მიბარებული, მინდობილი“ ანაბრის (ამანათის 1 მნიშვ.) სემანტიკას — მძევალი.

ქეგლ: მძევალი (მძევლისა) 1. ძვ. პირობის სიმტკიცისათვის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო წინდად მიცემული-დატოვებული ადამიანი. [ასპარუგის] შვილი სპარსეთის მეფეს მძევლად ჰყავდა წაყვანილი (ივ. ჯავახ.). „ჩემს შვილებს გამოგიგზავნი მძევლად“ (ნ. ლორთქ.) 2. საბუდარში ჩადებული (ან ჩატოვებული) კვერცხი კვერცხისმდებელი დედლის მოსაბირებლად.

ამ უკანასკნელი მნიშვნელობით **მძევალი** დიალექტებში მ-ს გარეშე გვხვდება (შდრ. ძევალი). „დედლის მობირება“ ნიშნავს, რომ დედალს საბუდარში ჩატოვებული კვერცხით ილუზიას უქმნიან, რომ მის დადებულ კვერცხს არავინ ეხება.

მძევლის პირველი მნიშვნელობა დასტურდება ი. აბულაძის, საბასა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში.

მძევალ ლექსემის სემანტიკა გულისხმობს ნდობის, მინდობის ელემენტს. მაგრამ „წინდად მიცემული კაცი“, რა თქმა უნდა, არ

გულისხმობს იმას, რომ ადამიანის „წინდად მიცემა“, „მძევლობა“ ნებაყოფლობითი ინსტიტუტია. ის უფრო ხშირად გულისხმობს ძალდატანებას. ამაზე მიუთითებს ძველ ქართულშივე დადასტურებული ზმნური ფორმა **მომძევლება**, რომელიც ი. აბულაძის მიერ ასეა განმარტებული: „დაგირავება, დატყვევება: „სიყუარულითა ამით საწმიდისადათა მოიმძევლებდა ყოველთა წინაწარმეტყუელთა“ მრთ. S. ი. ოქრ.-გურიტ. 228,36; „მოიმძევლა წყალობად ღმრთისად მის ზედა“ მ. სწ. 110,18; „მოიმძევლნეს გულნი კაცთაგანი“ ბალ. 73, 22“ (აბულაძე, 1973).

აქედან ნათელია **ამანათის** დიალექტებში დადასტურებული პირველი და მესამე მნიშვნელობის ურთიერთმიმართება.

1. ხიზანი, შემოფარებული, უმიწაწყლო — მძევალი — წინდად მიცემული კაცი, რომელიც მძევლობის მდგომარეობაში ყოფნისას არის როგორც ხიზანი, შემოფარებული, უმიწაწყლო, ასევე ტყვეც (ომის ან რაიმე თავდასხმის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი ან მშვიდობიანი მოსახლე).

2. სტუმარი 1. ვისიმე სანახავად, მოსაკითხავად მოსული ან ს განგებოდ მოწვეული, დაპატიჟებული პირი. 2. გადატ. სადმე დროც ბით, შემთხვევით მყოფი; უცხო, გარეშე (ლლონტი, 1984).

სტუმრისა და ხიზნის მნიშვნელობები გარკვეულად ახლოს დგას მძევლისა და, შესაბამისად, ამანათის მნიშვნელობებთან.

ცხადია, რომ **ამანათი (მძევალიც)** პოლისემიური სიტყვაა. მისი აღნიშნვის თავდაპირველი ობიექტი უნდა ყოფილიყო სწორედ ადა მიანი, რომელიც გადაადგილების შემდეგ ნებით თუ უნებლიეთ მიწლობილი იყო სხვა ადამიანებზე.

გადაგზავნილი ნივთის აღნიშვნა **ამანათს** დაეკისრა მისი მნიშვნელობის დავიწროების ნიადაგზე.

ძველ ქართულში შენახვის აღსანიშნავად სხვა ტერმინებიც იხმარებოდა. კერძოდ, განიხილავს რა წინადადებას გ. მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ — „წარავლინა ერი იგი ხანძთას, მაშინ თვთ წარვიდა ქორთას, რამეთუ მუნ ნამარხნე მისი იც რადთაცა წარილო“-ო, ნ. მარი აღნიშნავს, რომ ნამარხე. ორნაირ ჯ შეიძლება გავიგოთ: ან „რაიმე შესანახად დატოვებული 'ჩონდა“, ან „მიცვალებული ჰყავდა“-ო [მარი, გვ. LXVI].

ივ. ჭავჭავაძის მიერ აღარებს რა ამ ტერმინს ლათინულ ბერძნულ

და სომხურ დაბადების წიგნებთან, ასკენის, რომ ნამარხევი შენახულს ნიშნავს [ჯავახიშვილი, 1984, გვ. 334]. ასევეა ეს სიტყვა განმარტებული ილ. აბულაძის ლექსიკონში — განძი, საცავი, შესანახავი, მიბარებული, ქონება.

ძველ ქართულშივე გვაქვს ტერმინი — ვედრო.

ვედრ-ი ანდერძი, ალთქმა, მიბარებული: „ვედრი იგი დაიმარხე“ | ტომ. 6,20 (ილ. აბულ.).

ივ. ჯავახიშვილს ვედრო შენავედრი-ს შეკვეცილ ფორმად მიაჩნია. მისი აზრით, „ქართული „ვედრი“ ანუ „შენავედრი“ ზედმიწევნით უდრის რომაული სამართლის depositum-ს, ფრანგულს le dépôt-ს, გერმანულის die Verwahrung-ს.

აღსანიშნავია, რომ მე-XII ს.ს. ძეგლებში „ვედრი“ და „შენავედრი“ ჯერ არა ჩანს, მაგრამ ბექა-აღბუღას სამართალში, რომლის საკუთრად აღბუღას დროს შედგენილ კანონებში ამ ცნების გამოსახატავად უკვე არაბული ტერმინი „ამანათი“ იხმარება, მაინც თვით მოქმედების აღსანიშნავად ძეგლებურად „შევედრება“ ზმნაა დატოვებული... ამგვარად, ირკვევა რომ „შენავედრი“, ანუ „ვედრი“ ძველი ტერმინია, რომელიც საღმრთო წერილის ქართულად თარგმნის დროს განმტკიცებულ-შეკვეცილი ყოფილა. მე-XIII ს-მდე ეს ტერმინი იხმარებოდა, როდესაც მის მაგიერ ნასესხები ტერმინი „ამანათი“ შემოსულა. მაშასადამე, „ამანათი“ ტერმინის შეთვისება ამავე დროს თვით ცნების შეთვისებასაც არ ნიშნავდა, რომლისათვისაც ქართულს, როგორც დავრწმუნდით, საუკუნეთა განმავლობაში საკუთარი ტერმინი მოეპოვებოდა“ [ჯავახიშვილი, 1984, გვ. 335].

შდრ. ვედრ-ი „მწირი“, უცხო, გადმოხვეწილი: „უფალმან დაიცუნის ვედრნი“ ა, „უფალმან დაიცუნის მწირნი“ გ, ფს. 145,9; ვედრსა და ობოლსა და ქურთვისა ნუ კმძლავრობთ“ I, იერემ. 22,3 (ი. აბულ.).

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

მარო, 1911 — Н. Марр, Георгий Мерчул, Жизнь св. Григория хандзинского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра, СПб. 1911.

ნეიმანი, 1978 — ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

ორბელიანი, 1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1993.

ჩუბინაშვილი, 1989 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ჭავჭავიძე, 1984 — ივ. ჭავჭავიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1984.

დლონტი, 1984 — ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

შე- ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი ღანიშნულება

ძველ ქართულში შე- ზმნისწინი ძირითადად აღნიშნავდა გარედან შიგნით მიმართულ მოქმედებას (მარტიროსოვი, 1953, გვ. 88; ვეშაპიძე, 1967, გვ. 198). ეს მნიშვნელობა მას შენარჩუნებული აქვს დღესაც: შე-ვიდა, შე-იყვანა, შე-ანთებს, შე-აღებს, შე-აბნევს და ა. შ. შე- ზმნისწინი თავისი მნიშვნელობით უპირისპირდება გა-(გან-) ზმნისწინს (ჯანაშვილი, 1906, გვ. 68; ვეშაპიძე, 1967, გვ. 196, აფრიდონიძე, 1980, გვ. 91).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია შე- ზმნისწინის კიდევ რამდენიმე მნიშვნელობა:

შე- ზმნისწინი აღნიშნავს გარშემო მოქმედებას, მოძრაობას: შე-იბაძს, შე-იორტყამს, შე-ახვევს, შე-ფუთნის, შე-გოზავს... (ჩუბინაშვილი, 1855, გვ. 74; მარტიროსოვი, 1953, გვ. 88-89; ვეშაპიძე, 1967, გვ. 197, 212-213).

შე- ზმნისწინი აღნიშნავს ქვევიდან ზევით მიმართულ მოქმედებას: შე-ჯდება, შე-ყრის, შე-აგდებს, შე-ასხამს, შე-ტყორცნის... (ორბელიანი, 1928; შანიძე, 1980, გვ. 258; მარტიროსოვი, 1953, გვ. 89; კვაჭაძე, 1981, გვ. 244). ასეთ ზმნებში შე- ზმნისწინი რამდენადმე საზედაო სიტუაციაზე მიანიშნებს.

შე- ზმნისწინი აღნიშნავს მოქმედების ოდნაობას, სიცოტავებს: შე-ათბობს, შე-ასუსტებს, შე-არბილებს, შე-აფერადებს, შე-ალამაზებს, შე-აშველებს, შე-ათეთრებს და სხვა ზმნებში (შანიძე, 1980, გვ. 258; მარტიროსოვი, 1953, გვ. 88; ვეშაპიძე, 1967, გვ. 213; კვაჭაძე, 1984; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, გვ. 427). შე-ათეთრებს ზმნაში იგულისხმება ოდნაობაც და ქვევიდან ზევით მიმართული მოქმედებაც.

შე- ზმნისწინის ეს მნიშვნელობა „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ ცოტა განსხვავებულად არის წარმოდგენილი:

შე- ზმნისწინი „აღნიშნავს რისამე ზედაპირზე მოქმედებას, ზედაპირის (ან მთლიანად საგნის) რაიმეთი დაფარვას ან რაიმეში მოქცევას:

ა). საგანი ექცევა რაიმეში (გარედან შიგნით მიმართულება): შე-ახვევს, შე-ბურავს, შე-კრავს, შე-კონავს...

ბ). მოქმედება ხდება რაიმე სიბრტყეზე: შე-მურავს, შე-ათეთრებს...“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, გვ. 427)...

აქვე ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე შე- ზმნისწინის სხვა მნიშვნელობებზეც:

შე- ზმნისწინი „გამოხატავს საურთიეროთ მოქმედებას: შე-ხვდება, შე-ეტაკება, შე-ეზბოლება, შე-ეკამათება, შე-ეჭიდება, შე-ერკინება... (ჩვეულებრივ, ამ მნიშვნელობით გვხვდება ეპრეფიქსიან ვნებითებთან).

გამოიყენება შეერთების, შეკრების სემანტიკის გამომხატველ ზმნებთან: შე-კრებს, შე-კერავს...

გამოიყენება ირიბი ობიექტისადმი მიმართული მოქმედების გამომხატველ ზმნებთან: შე-სჭიკჭიკებს, შე-ჰმღერის, შე-სძახის, შე-სტირის...

გამოხატავს მოძრაობის თანამდევ მოქმედებას: შე-ანთებს (= შევა და გაანთებს)“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, გვ. 427-428).

საინტერესოა ამ ბოლო დროს გამოთქმული მოსაზრება, რომელიც შე-ს/ჰ-R მიმდევრობას შეეხება, „მოცემულ მოდელში სემანტიკური დომინანტა არის შე- ზმნისწინის ძირითადი დიფერენციალური ნიშანი: მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის პროქსიმალური მიჯნა, მასთან მიჯრა/დამთხვევა. შე- ზმნისწინი ახდენს ს-/ჰ-ს შესაძლებელ ფუნქციათა შორის სწორედ ამ კონკრეტული მნიშვნელობის აქტუალიზაციას“ (მაჭავარიანი, ჩიქქე, 2002, გვ. 55).

ვფიქრობთ, წინასწარ გამოიზნული მოქმედება ივარაუდება შე- ზმნისწინიან ზმნეში — შე-უკვეთს, შე-ამზადებს, (= წინასწარ გაამზადებს). რა თქმა უნდა, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზმნური ფუძის მნიშვნელობას.

მოულოდნელობა ივარაუდება შე-ასწრებს, შე-ისწრებს, შე-ამთხვევს ზმნეში. აქ იგულისხმება გაუთვალისწინებული შემთხვევა, ფათერაკი. შეიძლება, ეს მნიშვნელობა ივარაუდებოდეს — შე-ხვდება, შე-ემთხვევა ფორმებში — გაუთვალისწინებელი, წინასწარ

დაუბეგმავი მოქმედება. თითქოს საპირისპირო მოქმედებებია: ერთ შემთხვევაში შე- ზმნისწინი გადმოსცემს წინასწარ გამიზნულ, გათვალისწინებულ მოქმედებას — შეუკვეთს, შეამზადებს და მეორე შემთხვევაში, მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ მოქმედებას — შე-
-**ხსწრებს**, შეამთხვევს ზმნებში. მაგრამ აქ საბოლოოდ ერთ მნიშვნელობამდე მივდივართ. ეს არის სივრცეში მოქმედება, სივრცეში მოქმედების განფენილობა.

ფიქრობთ, ეს მნიშვნელობა ჩანს სხვა შე- ზმნისწინიან ზმნებში.

შე- ზმნისწინი ხშირად მიუთითებს ერთმანეთისაკენ მიმართულ მოქმედებაზე: შე-**აერთებს**, შე-**ურევს**, შე-**ატაკებს**, შე-**აჯობრებს**, შე-**აბრძოლებს**, შე-**აყვარებს**, შე-**არბევს**, შე-**კრავს**. ყველა ამ შემთხვევაში ერთმანეთში მოქმედების გარევა, მათ შუა, მათ შორის, მათ შიგნით მიმდინარე მოქმედებები ივარაუდება. ირ. ვეშაპიძე ამ შემთხვევებს განასხვავებს. მისთვის შე- ზმნისწინით გადმოიცემა როგორც შეერთების შინაარსი (მაგ.: შეერთება, შეკრება, შეწყობება, შეუღლება, შეთხზვა), ისე ურთიერთდაპირისპირებული მოძრაობაც (მაგ.: შეხვედრა, შეტაკება, შეჯახება) (ვეშაპიძე, 1967, გვ. 211-212).

შე-**აერთა**, შე-**ურია** თუ შე-**ატაკა**, შე-**აჯობრა**, შე-**აბრძოლა** ზმნებში ზმნისწინი ერთსა და იმავე მოქმედებაზე მიანიშნებს. ეს არის ერთმანეთში (მათ შუა, მათ შიგნით) მიმდინარე მოქმედება. აქ ყველგან სივრცეში მოქმედება, რაღაცაში შიგნით შესვლა, შერევა იგულისხმება. ზმნური ფუძის სემანტიკაა რომ გვაფიქრებინებს, თითქოს ზმნისწინი სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს. აქ ყველგან ზმნისწინი ერთი მნიშვნელობით გამოიყენება, მაგრამ ზმნური ფუძეების მნიშვნელობა არის ხან ერთმანეთისაკენ მიმართული, ხან კი ერთმანეთს დაპირისპირებული, რაც უზმნისწინო ფორმებშიც კარგად ჩანს: **აერთებს**, **ურევს**, **ატაკებს**, **აჯობრებს**, **აბრძოლებს**. ამ მოქმედებებს შე- ზმნისწინი სივრცეში ურთიერთისკენ მიმართულ მნიშვნელობას ანიჭებს. შე-**აერთებს**, შე-**ურევს** ზმნებისმაგვარი მოქმედება ჩანს გა-**აერთიანებს**, გა-**ურევს** ზმნებში. მაგრამ შე- ზმნისწინით გადმოიცემა მოქმედების ერთმანეთში, შიგნით არევა, სივრცეში მოქმედება. აქ კარგად ჩანს შე- ზმნისწინის კავშირი -**ში** თანდებულთან. თითქმის ყველა ზმნასთან სახელი -**ში** თანდებულის ბრუნვაში ივარაუდება: შეურია ერთმანეთში, ერთმანეთში შობა-
-**დინა** შეჯახება და ა. შ.

ყველა ამ შემთხვევაში შე- ზმნისწინს ერთი მნიშვნელობა აქვს — მოქმედება ხდება შიგნით, სივრცეში. ერთი მხრივ, შე-თხზავს, შე-კერავს, შე-აერთებს, შე-აყვარებს, შე-არბივებს, შე-აწებებს, შე-ადუღებს და, მეორე მხრივ, შე-აბრძოლებს, შე-ატაკებს, შე-აჯახებს, შე-აჭიბრებს ზმნები ისეთ მოქმედებებს გულისხმობს, როდესაც საგნის, ობიექტის ირგვლივ გარკვეული სივრცე მოიაზრება და მოქმედება ამ სივრცეში, შიგნით მიმდინარეობს. ეს ფაქტობრივად ერთი მნიშვნელობაა, მაგრამ განსხვავებულ ზმნურ ფუძეებში არის რეალიზებული. ამიტომ გადმოიყვამ ამ ზმნების მნიშვნელობები ერთი და იმავე შე- ზმნისწინით. შებრძოლების დროს ბრძოლის ველია ერთიანი სივრცე და შიგნით მიმდინარეობს მოქმედება, ბრძოლა. ასევე, შეჯიბრების დროს მოედანი ქმნის სივრცეს და შიგნით მიმდინარეობს შეჯიბრი. თითქმის ასეთივე ვითარებაა შეერთება, შეწებება, შეუღლება და მსგავსი შინაარსის ზმნებში. ამათგან თითქოს განსხვავებულია შე-თხზავს და შე-კერავს ზმნები. მაგრამ ეს ასე ერთი შეხედვით ჩანს. სინამდვილეში შე-თხზავს სხვა არაფერია, თუ არა შიგნით სივრცეში (ამ შემთხვევაში გონებაში) მიმდინარე მოქმედება. ასევეა შე-კერავს ზმნის შემთხვევაშიც. აქ სივრცედ მოიაზრება კერვის ობიექტი, ვთქვათ, რომელიმე ქსოვილი და ამ სივრცეში სრულდება მოქმედება. ამიტომ განსხვავდება ერთმანეთისაგან შე-კერავს და და-კერავს ზმნები. შეკერავს ზმნით გადმოცემული მოქმედება მთელ სივრცეს მოიცავს, დაკერავს კი — პატარა მონაკვეთს, განსაზღვრულ არეს.

შე- ზმნისწინისათვის დამახასიათებელია ნელ-ნელა, თანდათანობით მოქმედების ჩვენებაც.

ნელ-ნელა, ბოლოსკენ მოქმედების მიმდინარეობა ჩანს შე-ათავებს ზმნაშიც. შე- ზმნისწინს, უკვე აღვნიშნეთ, რომ ირგვლივ, გარშემო მოქმედების აღნიშვნაც შეუძლია. შე-ასრულებს, შე-ათავებს ზმნებში ეს მნიშვნელობაც იკვეთება. მოქმედება იწყება, ნელ-ნელა ვითარდება, ფართოვდება და ისე მიდის ბოლოსკენ, ისე იშლება სივრცეში. ჩვენ ვნახეთ, რომ შე- ზმნისწინისთვის არც ქვემოდან ზემოთ მიმართული მოქმედების ჩვენებაა უცხო — შე-ჭდება, შე-აგდება ზმნებში ეს მნიშვნელობა ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მნიშვნელობები კარგად არის ცნობილი. შე- ზმნისწინის ამ მნიშვნელობებზე ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილეს აკ. შანი-

ქმ, არ. მარტიროსოვმა, ლ. კვაჭაძემ (შდრ. შანიძე, 1980, გვ. 258; მარტიროსოვი, 1953, გვ. 89, კვაჭაძე, 1981: გვ. 244).

ეს მნიშვნელობები ყველა ცალ-ცალკე არის აღნიშნული, მაგრამ ჩვენ მათ ერთმანეთს ვუკავშირებთ. ამიტომ არის შესაძლებელი შეზმნისწინით მათი გადმოცემა. ოღნაობა, ირგვლივ, გარშემო მიმდინარე მოქმედება, ნელ-ნელა, თანდათანობით მიმდინარე პროცესი ჩანს შე-ჭრის ზმნაშიც. შე-ჭრის ზეს ტოტებს — იგულისხმება ცოტ-ცოტას, დაბლიდან და თანდათანობით გვერდებიდან მოაჭრის და ისე ავა მალა, ბოლომდე. ცოტა მოჭრა იგულისხმება წა-აჭრის ზმნაშიც, მაგრამ აქ ჩანს ზემოთ, ზედა არეში მიმდინარე მოქმედება — ზემოდან, წვერების მოჭრა. აქ წა- ზმნისწინით ოღნაობაც გადმოიცემა, რასაც ვერ ვიტყვი — წააჭრის თავს — შემთხვევაში, სადაც სწორედ ზემოთ, ზედა არეში მიმდინარე მოქმედება ივარაუდება. შე-ჭრის თმას — აქაც პროცესი ნელ-ნელა, ირგვლივ თუ თანდათანობით, ერთიანად მიმდინარეობს. შე- ზმნისწინი, ვფიქრობთ, ამ მნიშვნელობას გამოხატავს შე-კერავს ზმნაშიც. კერვის პროცესი ვითარდება და თანდათანობით იღებს დასრულებულ სახეს. აქ მთლიანი პროცესი იგულისხმება: კერავს — შეკერავს — ახლის დაწყებას და მის დამთავრებას, შეკერავს მოიცავს. რა თქმა უნდა, აქ მოქმედების სახე, სრული ასპექტიც თავის ფუნქციას ასრულებს, ასევე ზმნის მნიშვნელობაც.

და- ზმნისწინის მნიშვნელობა ქვემოთ, კონკრეტულ ადგილზე მოქმედებას ან ზემოდან მოქმედებას ითვალისწინებს; ზოგჯერ ეს მოქმედება ქვემოთ, დაბოლოებისაკენ, ფინალისაკენ არის მიმართული, მაშინ როდესაც შე- ზმნისწინიან ზმნებში სივრცეში, სიმაღლისაკენ მიმართული მოქმედება ჩანს. და- ზმნისწინი კონკრეტულ, შემოსაზღვრულ ადგილს გულისხმობს, მაშინ როდესაც შე- ზმნისწინით მოქმედება სივრცეში არის მიმართული. ეს ჩანს და-კერავს — შეკერავს, და-ასრულებს — შე-ასრულებს, და-ყრის — შე-ყრის, და-აგდებს — შე-აგდებს ზმნებში. დაყრის მაგიდაზე, მიწაზე რაიმეს, მაგრამ შეყრის მალა, სახურავზე ან სხვა სიმაღლეზე რაიმეს. ეს მოქმედება ჩანს ხალხი შეყარა ზმნაშიც. აქ „ჩვენს სიმაღლეზე“ მოქმედება მაინც იკვეთება. შე-აგროვა ზმნაშიც შე- ზმნისწინის იგივე მნიშვნელობა ჩანს: კი არ დააგროვა ან შოაგროვა, არამედ შეაგროვა. შე- ზმნისწინი სივრცეში, შიგნით მოქმედებას გულის-

ხმობს, ეს კარგად ჩანს სიტყვათშეხამებებშიც. მაგ., ცნობები შეაგროვა, გამოცდილება მოაგროვა, ქულები დააგროვა. უფრო ითქმის ცნობები შეაგროვა და არა მოაგროვა ან დააგროვა. ასევე, თითქმის არ ითქმის გამოცდილება შეაგროვა ან ქულები შეაგროვა. შე-, მო- და- ზმნისწინები გროვ ზმნურ ფუძეს განსხვავებულ მნიშვნელობებს აძლევს.

ცნობები შეაგროვა, ე. ი. ცნობები შეკრიბა;

გამოცდილება მოაგროვა, ე. ი. რაც ნახა, განიცადა, სრულად მოუყარა თავი;

ქულები დააგროვა დაახლოებით ნიშნავს — ქულები ერთად მოაგროვა.

ფულთან დაკავშირებით კი სამივე ზმნისწინი გამოიყენება. ფული შეაგროვა, მოაგროვა, დააგროვა.

ფული შეაგროვა, ე. ი. ფული შეკრიბა, შეაერთა;

ფული მოაგროვა, ე. ი. ფულს მოუყარა თავი, სასრულობა ივარაუდება;

ფული დააგროვა, ე. ი. ერთ ადგილზე მოაგროვა.

ზოგჯერ სივრცეში მოქმედება გარკვეულ სიმაღლესაც გულისხმობს — შე-ყრის ხალხს და ასევე, შე-უდგა აღმართს, შე-დგა სკამზე, მაგრამ შედგა ბერად. ეს კი ნიშნავს, რომ ბერად გახდომის პროცესი, მართალია, შედგა, შესრულდა, მაგრამ არ დასრულებულა. ერთჯერადი მოქმედება კი არ იგულისხმება, არამედ ისეთი, რომელიც ისევ გაგრძელდება (რაც ბუნებრივია, რადგან ბერი გახდა და ბერობის პროცესი გაგრძელდება). ეს ჩანს შეუდგა მუშაობას — ამ ფორმაშიც. რამდენადაც და- ზმნისწინს ზმნაში ფინალობის მნიშვნელობა შეაქვს (და-ასრულებს, და-ამთავრებს, და-აბოლოებს...), იმდენად შე- ზმნისწინს მოქმედების დაწყებისა და გრძლივობის, ხანგრძლივობის მნიშვნელობა აქვს. დაასრულა, მაგრამ შე-ასრულა სიმღერა, როლი, დავალება, შეუდგა აღმართს, შეუდგა მუშაობას, შედგა ბერად, სადაც იგულისხმება, როგორც — შეუდგა ბერობას, დაიწყო ბერობა, ისე რაღაც დონით სიმაღლეს, სიმაღლისაკენ სწრაფვაც, რადგან ბერული მოღვაწეობა სულიერ მოღვაწეობას, სულიერ სიმაღლესაც გულისხმობს. შე- ზმნისწინის ეს მნიშვნელობა ჩანს შე-მართებით ზმნისართშიც, სადაც ზემალალი, ზეაწეული ტონი ივარაუდება.

ბერული ცხოვრების აღმნიშვნელი ზმნები და- ზმნისწინითანაც გადმოიცემა: დაეუღლა, დაუღლებული, მაგრამ აქ ადგილზე დამატება იგულისხმება. ჩანს, რომ ბერი იმ განსაზღვრული ადგილებიდან აღარ გამოდის, ერთ კონკრეტულ ადგილს ირჩევს.

შე- ზმნისწინით ყველა ამ ზმნაში სივრცეში განფენილი მოქმედება გადმოიცემა. ოდნაობა, ნელ-ნელა, თანდათანობით მიმდინარე პროცესი, სიმაღლეზე მოქმედება, ირგვლივ, გარშემო მიმართული მოქმედება თუ სივრცეში განფენილობა ერთმანეთს უკავშირდება და ერთმანეთის მონათესავე, ერთმანეთში გადახლართული მნიშვნელობებია. საბოლოოდ ყველა ერთია — სივრცეში განფენილობაა და ამ განფენილობაში მოქმედების პროცესის დაწყებაც ივარაუდება. სწორედ აქ ჩანს ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება. ზმნისწინი ზმნის მოქმედებას წარმოაჩენს, აკონკრეტებს და თავისი მნიშვნელობით განსაზღვრულ სახეს, განსაზღვრულ მოქმედებას, განსაზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებს. მართო შე- ზმნისწინს კი არა, საერთოდ, ყველა ზმნისწინს შეაქვს ზმნაში თავისი რაღაც, კონკრეტული მნიშვნელობა, ლექსიკურ მნიშვნელობას ვგულისხმობთ. ზოგჯერ ერთი ზმნისწინის მონათესავე მნიშვნელობები ისეა გადახლართული, რომ ზმნაში ერთდროულად ორი ან მეტი გაგება შეაქვს.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1980 — შ. აფრიდონიძე, გა(5) — და და- ზმნისწინები ანტონიმებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, VII, თბ., 1980.

ვეშაპიძე, 1967 — ი. ვეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულში, თბ., 1967.

კვაჭაძე, 1981 — ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, I, თბ., 1981.

მარტიროსოვი, 1953 — ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, თბ., 1953.

მაჭავარიანი, ჩიქვე, 2002 — მ. მაჭავარიანი, პ. ჩიქვე, შე-ს/პ-R მიმდევრობისათვის: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XIII, თბილისი, 2002.

ორბელიანი, 1928 — ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბზ., ტ. III, თბ., 1980.

ჩუბინაშვილი, 1855 — Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, С.-Петербург, 1855.

ჯანაშვილი, 1906 — მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფ., 1906.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

კომპეტენციის ცნება ენათმეცნიერებაში

სხვა სამეცნიერო დისციპლინებისაგან განსხვავებით ლინგვისტიკაში გაცილებით მეტი პრობლემა გვხვდება დარგის მეტაენის თვალსაზრისით. ეს არც არის გასაკვირი: ამ შემთხვევაში ხომ ენის შესახებ ვსაუბრობთ ენისავე საშუალებით. ამიტომაც ვაწყდებით ხშირად ორაზროვნებას, სინონიმებს, ჭარბ ინოვაციებს საენათმეცნიერო ტერმინთმობარებაში. თუმცა ბევრი ტერმინი თანდათან ზუსტდება. ეს ბუნებრივი პროცესია. ამასობაში უფრო ნათლად გასააზრებელი ხდება ის ცნება, რომელიც აღინიშნება ამ ტერმინით და, აქედან გამომდინარე, უფრო ადვილად და სრულყოფილად ვწვდებით შესაბამისი მოვლენის არსს.

ზემოთქმულის კარგი დადასტურებაა ტერმინი „კომპეტენცია“ (მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს „ამა თუ იმ დარგისათვის აუცილებელ საფუძვლიან ცოდნას“). საენათმეცნიერო ტერმინად იგი დაამკვიდრა ამერიკელმა ლინგვისტმა ნ. ჩომსკიმ: „ენათმეცნიერების თეორიას პირველ რიგში აინტერესებს სრულიად ჰომოგენურ სამეტყველო კოლექტივში მყოფი იდეალური მოლაპარაკე და მსმენელი, რომლებმაც თავიანთი ენა იციან სრულყოფილად და რომლებზეც ისეთი არარელევანტური ფაქტორები, როგორებიცაა მეხსიერების შეზღუდვა, დაბნეულობა, ყურადღებისა და ინტერესის გადატანა, შეცდომები (იქნება ეს შემთხვევითი თუ ჩვეულებითი), გავლენას არ ახდენენ მათ მიერ ამ ენის ცოდნის რეალურ მობარებაში ჩართვის დროს“ (ჩომსკი, 1965, გვ. 3). ცხადია, რომ აქ ავტორისათვის ამოსავალია იდეალიზაციის პრინციპი და, შესაბამისად, იგი საფუძველშივე მიჯნავს ერთმანეთისაგან „კომპეტენციას [competence] (მოლაპარაკისა და მსმენელის მიერ ენის ცოდნას) და შესრულებას [performance], ენის რეალურ გამოყენებას კონკრეტულ სიტუაციებში“ (იქვე, გვ. 4). ჩომსკის ეს გამიჯვნა მაშინვე ფ. დე სოსიურისეულ

დიქტომიას მოგვაგონებს.* როგორც ცნობილია, ფერდინანდ დე სოსიურმა ერთმანეთისაგან გამიჯნა ენა (langue) — გრამატიკული სისტემა, და მეტყველება (parole) — ენის საზოგადოებრივი გამოყენება (სოსიური, 1977, გვ. 52-53). მისი აზრით, ენა (langue) ჰომოგენურია, ხოლო მეტყველება (parole) ჰეტეროგენული; უფრო მეტიც, ენა (langue) შეიძლება შესწავლილ იქნეს ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებისაგან მოწყვეტით. ამ უკანასკნელ დებულებას მივყავართ იქამდე, რასაც თავის დროზე უ. ლაბოვმა უწოდა „სოსიურის პარადოქსი“, რაც იმაში გამოიხატება, რომ, თუკი საერთო სარგებლობის ენის (langue) შესასწავლად საჭიროა მონაცემები მხოლოდ ერთი ინფორმანტისაგან (და ეს ინფორმანტი ჩვეულებრივ არის თვით ენათმეცნიერი, რომელიც თავის ინტუიციას ეყრდნობა), ინდივიდუალური მეტყველების (parole) გამოსაკვლევად მთელი საზოგადოების ენაა შესასწავლი (ლაბოვი, 1972, გვ. 185-186).

სპეციალურ ლიტერატურაში ენა/მეტყველების ტიპის დიქტომიების გამოყოფის დაფიქსირება შეიძლება როგორც სოსიურამდე, ასევე მის შემდეგ. აღნიშნულის კარგი თვალსაჩინოებაა ვ. ფონ ჰუმბოლდტი, რომელმაც ენაში ერთმანეთისაგან განასხვავა *ergon*, როგორც შემოქმედების პროდუქტი, და *energeia*, როგორც შემოქმედება; „იმომფანტული ელემენტების მიხედვით შეუძლებელია გავიგოთ

* იმის ნათესაყოფად, რომ სოსიური ამ მხრივ სულაც არ იყო პიონერი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ციტატების მოყვანა: „საუკუნეთა განმავლობაში ენათმეცნიერები ცდილობდნენ, „მიეგნოთ“ ენის იდეალიზებული, „სუფთა“ ფორმისათვის, რომელიც ჩამალული იყო მისი გამოყენების რეალური და უაღრესად ცვალებადი ფაქტების მასაში. მე-19 საუკუნის ლინგვისტთათვის (არანაკლებ, ვიდრე პლატონისათვის) „სუფთა“ ფორმა არსებობდა მხოლოდ წარსულში, ხოლო თანამედროვე მეტყველება განიხილებოდა მის „გაფუჭებულ“ სახესხვაობად“ (ბელი, 1980, გვ. 37). ან კიდევ: „ონისე თრაკიელის თანამედროვემ, მარკუს ტერენციუს ვარონმა „შენიშნა განსხვავება, რომელიც პონიერია აბსტრაქციაში: არსებულ ენასა და ცალკეული პიროვნებების მიერ გამოყენებულ ენას შორის. ამ გამიჯნამდე იგი მივიდა ძველების, თანამედროვეების, პოეტების მიერ სხვადასხვაგვარად ხმარებისადმი ყურადღების მიქცევის გზით (De Lingua Latina X-4)“ (დინინი, 1967, გვ. 111-112).

** ამ მხრივ საინტერესოა ე. კასირერის კომენტარი: „ენა არც მექანიზმია და არც ორგანიზმი, არც მკვდარი საგანია, არც ცოცხალი. იგი სულაც არ არის საგანი, თუ ამ ტერმინით ჩვენ ფიზიკურ ობიექტს ვვლისებობთ, იგი ენაა, ადამიანის მოღვაწეობის განსაკუთრებული სახე. რომელსაც ვერ აღწერთ ფიზიკის, ქიმიის ან ბიოლოგიის ტერმინებით. ეს ფაქტები საუკეთესოდ და ყველაზე ლაკონურად დაადასტურა

ის, რა არის უმაღლესი და უნატიფესი ენაში; ამას შეიძლება ჩავწვდეთ მხოლოდ გაბმულ მეტყველებაში“ (ჰუმბოლდტი, 1984, გვ. 70). როგორც ზემოთ ითქვა, პარალელები საკმაოდ მოიპოვება (იხ. შარაძენიძე, 1974), თუმცა ტერმინი „კომპეტენცია“ პირველად მაინც ჩომსკისთან დაფიქსირდა. სხვათა შორის; ამის შემდეგ ეს ტერმინი ძალზე ფართოდ გამოიყენებოდა (და გამოიყენება) არა მარტო ენათმეცნიერებაში, არამედ სხვა დისციპლინებში და, შესაბამისად, ავტორები გვთავაზობენ სხვადასხვა სახის „კომპეტენციებს“. ამ თვალსაზრისით შესამჩნევია ორი ტენდენცია: 1) ლიტერატურათმცოდნეები მოიხსენიებენ „სალიტერატურო კომპეტენციას“ (კალერი, 1975), „პოეტურ კომპეტენციას“ (ბირვოში, 1976), „რიტორიკულ კომპეტენციას“ (შტაინმანი, 1982), „ნარატიულ კომპეტენციას“ (მაკლოუელი, 1979); 2) ლინგვისტები მოიხსენიებენ „სასაუბრო კომპეტენციას“ (ოქსკინანი, 1974), „ინტერაქციულ კომპეტენციას“ (მიჰანი, 1972), „სოციალურ კომპეტენციას“ (ელმონდსონი, 1981), „სოციოლინგვისტურ კომპეტენციას“ (ერვინტრიბი, 1972), „რეცეპტიულ/პროდუქტიულ (არა)კომპეტენციას“ (ტროიკი, 1969); ჩომსკიმ (1980) გამოყო „პრაგმატული კომპეტენცია“. ეს იყო გარკვეული რეაქცია მისი ადრინდელი მოსაზრებების დაუსრულებელ კრიტიკაზე. სხვათა შორის, სწორედ ამ კრიტიკულმა მოსაზრებებმა შეუწყო ხელი კომპეტენციის ცნების დაზუსტებას ენათმეცნიერებაში, რაც ლინგვისტური აზროვნების წინსვლისა და განვითარების შეუქმე მიმდინარეობდა.

კომპეტენციის ჩომსკისეული განმარტება წარმოაჩენს უკიდურეს „გრამატიზმს“. იქ გათვალისწინებულია მხოლოდ ლინგვისტური მხარე და სრულებითაა უგულვებელყოფილი ნებისმიერი სოციალური, სიტუაციური თუ პრაგმატული ფაქტორი.

ნ. ჩომსკის აღნიშნული ნაშრომის გამოკვეყნებიდან ორი წლის შემდეგ იბეჭდება დ. ჰაიმზის (1967)^{***} კრიტიკული სტატია, რომელშიც მან აჩვენა, რომ ენის ფლობა გულისხმობს არა მარტო მისი გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას, არამედ საკმაოდ ნათელ წარმო-

ვ. ფონ ჰუმბოლდტი, როდესაც მან განაცხადა, რომ „ენა არის არა *energeia*, არამედ *energeia*“ (კასირერი, 1947, გვ. 110).

*** ტელიორი (1988) ცდება, როცა ამბობს, რომ ჰაიმზმა პირველად 1971 წელს წაკითხულ საკონფერენციო მოხსენებაში განიხილა საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება. სინამდვილეში ეს გაცილებით ადრე მოხდა.

დგენასაც იმის შესახებ, თუ რომელ სამეცნიერო სიტუაციაში უნდა გამოვიყენოთ ესა თუ ის სიტყვა და გრამატიკული კონსტრუქცია. მოგვიანებით გამოქვეყნებულ ნაშრომებში ჰაიმზმა უფრო და უფრო წამოსწია წინ სოციალური და კულტურული ფაქტორების რელევანტურობის საკითხი: „საკომუნიკაციო კომპეტენცია არის ის, რაც უნდა იცოდეს მოლაპარაკებ კულტურულად ღირებულ ვითარებაში წარმატებული კომუნიკაციის განსახორციელებლად“ (ჰაიმზი, 1968, გვ. 103).

კომპეტენციის ცნების პოპულარობა გამოწვეული იყო იმითაც, რომ საკმაოდ ბევრი სპეციალისტი გრძნობდა მისი დაზუსტების აუცილებლობას. ნიშანდობლივია, რომ მათ შორის იყო ნ. ჩომსკიც, რომელიც არაერთხელ შეეხო აღნიშნულ პრობლემას: „პიროვნებას, რომელმაც შეისწავლა ენა, ათვისებული აქვს იმ წესთა სისტემა, რომლებიც სათანადო სახით უკავშირებენ ერთმანეთს ბგერასა და მნიშვნელობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მას ათვისებული აქვს გარკვეული კომპეტენცია, რომელსაც იგი იყენებს მეტყველების გენერირებისა თუ გაგების დროს“ (ჩომსკი, 1970, გვ. 184). თუმცა მისი დაზუსტება უკვე არა მარტო მის ოპონენტებს, არამედ მომხრეებსაც აღარ აკმაყოფილებს. საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება უკვე ფართო მოხმარებაში შემოდის და ისეთი სპეციალისტებიც კი იყენებენ მას, რომლებიც ჩომსკისა და ჰაიმზის პაექრობაში პირველის მხარეზე არიან. გერმანელი მეცნიერი ი. ჰაბერმასი ამბობს: „საკომუნიკაციო კომპეტენცია უნდა დავუკავშიროთ იმ წესთა სისტემას, რომლებიც წარმოქმნის იდეალურ სამეცნიერო სიტუაციას, და არა ენობრივ კოდებს, რომლებიც ენასა და უნივერსალურ პრაგმატიკას უკავშირებს რეალობაში არსებულ როლებრივ სისტემებს. სხვებთან ერთად დელ ჰაიმზიც ხმარობს ტერმინს „საკომუნიკაციო კომპეტენცია“ ვიწრო, სოციოლინგვისტური გაგებით“ (ჰაბერმასი, 1970, გვ. 147). ჩვენი აზრით, ჰაბერმასი აქ გარკვეულ წინააღმდეგობაში ვარდება, რადგანაც ვიწრო გაგებით სწორედ ჩომსკისთან და მის მომხრეებთან იხმარებოდა ტერმინი კომპეტენცია. სოციოლინგვისტები მათ აკრიტიკებდნენ იმისათვის, რომ მათ მიერ მოცემულ განმარტებებში გათვალისწინებული არ იყო ენის სოციალური ბუნება. სწორედ ამის გამო გამოყო ჰაიმზმა „საკომუნიკაციო კომპეტენცია“, ხოლო ს. ერვინ-ტრიპმა „სოციოლინგვისტური კომპეტენცია“. თუმცა ორივე ეს

სიტყვათშეხამება მაინც ტერმინოლოგიური სინონიმის შემთხვევას წარმოადგენს.^{****}

სპეციალურ ლიტერატურაში გაჩაღებული კამათის დროს გარკვეული ტერმინოლოგიური უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად კანალმა და სუენმა (1980) გადაწყვიტეს დაეკონკრეტებინათ შემოთავაზებულ ცნებათა მნიშვნელობანი: „ჩვეულებრივ, ტერმინი „საკომუნეკაციო კომპეტენცია“ გვხვდება მხოლოდ იმ ცოდნისა თუ უნარის აღსანიშნავად, რომელიც დაკავშირებულია ენის გამოყენების წესებთან, ხოლო ტერმინი „გრამატიკული კომპეტენცია“ იხმარება გრამატიკული წესების აღსანიშნავად“ (კანალი და სუენი, 1980, გვ. 5). თუმცა, როგორც გრამატიკული წესები იქნება გამოუსადეგარი ენის გამოყენების წესების გარეშე, ასევე არსებობს ენის გამოყენების წესები, რომლებიც უსარგებლო იქნება გრამატიკული წესების გარეშე. ამიტომაც, აღნიშნული ავტორების აზრით, საკომუნეკაციო კომპეტენცია მოიცავს გრამატიკულ და სოციოლინგვისტურ კომპეტენციებს“ (იქვე, გვ. 6). სინამდვილეში კი ზემომოყვანილი განმარტება არის ერთგვარი შუალედური პოზიციის პოვნის მცდელობა ისეთი ავტორების მხრიდან, რომლებიც ხედავენ კომპეტენციის ჩომსკისეული გაგების არასაკმარისობას, მაგრამ ამასთანავე ჭერ კიდევ არ არიან მზად ხმამაღლა აღიარონ ავტორიტეტული კოლეგის (ე. ი. ჩომსკის) პოზიციის სუსტი მხარეები. რაც მთავარია, საკომუნეკაციო კომპეტენცია მართლაც მოიცავს ენის ცოდნის ორივე აღნიშნულ ასპექტს. ამ მხრივ ძალიან თვალსაჩინო მაგალითი მოჰყავს რ. ლადოს: „კუბაში მეორე პირის ნაცვალსახელის ფამილარული ფორმა tū უფრო ფართოდ იხმარება, ვიდრე, მაგალითად, მექსიკაში. ორმა მექსი-

**** მოგვიანებით კიდევ ერთი ავტორი ალაპარაკდა სოციოლინგვისტური კომპეტენციის შესახებ. იგი გახლდათ ჟ. პოლსი. მან ამ ტერმინს უფრო დიდი მასშტაბი მიანიჭა (ჯგულისხმობთ მის „სოციოლინგვისტიკის შესავალს“, რომლის პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1992 წელს; ჩვენს ნაშრომში ვიყენებთ ამ წიგნის მე-5 გამოცემას (1994 წ.). ენის გამოყენება გულისხმობს საზოგადოებაში არსებული საუბრის სოციოლინგვისტური წესების ცოდნას... იმ ცოდნას, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანების უნარს გამოიყენონ ენა სათანადოდ, ეწოდება მათი *სოციოლინგვისტური კომპეტენცია*“ (პოლსი, 1994, გვ. 370). ღირსსაცნობია, რომ ავტორი სოციოლინგვისტურ კომპეტენციაში ყველა იმ ენისა და იმ ენათა არსებობის ფორმათა გამოყენების სათანადო ცოდნას გულისხმობს, რომლებიც მოცემულ ენობრივ კოლექტივში იხმარება საერთოფართოდ.

კელმა ქალიშვილმა გალანძლა ახალგაზრდა კუბელი ფამილარული ტანს გულისათვის. ახსნა-განმარტებების ვერავითარმა ნიაღვარმა ვერ დაარწმუნა ქალიშვილები იმაში, რომ ახალგაზრდა კაცს ფიქრალაც კი არ მოსვლია რაიმე უპატივცემულობის გამოხატვა მათ მიმართ“ (ლალო, 1989, გვ. 44). კუბელი ჰაბუკიცა და ის მექსიკელი ქალიშვილებიც ესპანურ ენაზე საუბრობდნენ. თუ ენის ერთადერთ დანიშნულებად შეტყობინების მიწოდებას მივიჩნევთ, მაშინ მათი ურთიერთობის დროს ეს ნამდვილად შესრულდა (საკუთრივ ლინგვისტური კომპეტენციის ხარჯზე). თუმცა, რასაკვირველია, ენა გაცილებით მეტი რამ არის, რისი დადასტურებაც იყო აღნიშნულ მხარეთა წარუმატებელი ურთიერთობა, რაც კუბელის მიერ შესაბამისი საკომუნიკაციო კომპეტენციის არქონის მიზეზი გახლდათ. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ფორმულა—ერთი ენა—ორი საკომუნიკაციო კომპეტენცია—შესაძლებელია. რა თქმა უნდა, უფრო რთულად არის საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც გვხვდება შემდეგი ფორმულის რეალიზაცია: ორი ენა—ორი საკომუნიკაციო კომპეტენცია. მაგალითად, როგორც ცნობილია, თანამედროვე ინგლისურში თითქმის არ გაირჩევა შენობით/თქვენობით მიმართვა გრამატიკის დონეზე. ამის გამო, ერთი ამერიკელი მეცნიერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ინგლისურად საუბრის დროს მრავალ შემთხვევაში ჩვენ არ ვფიქრობთ ისეთ რამეებზე, როგორიცაა თანამოსაუბრის სტატუსი ან ჩვენი და მისი ახლობლობის ხარისხი“ (სლობინი, 1976, გვ. 209). საპირისპირო სურათია ქართულში: „ქართულ ენაზე მოლაპარაკებ მეორე პირისადმი მიმართვაში სავალდებულოდ უნდა აჩვენოს, მიმართვა შენობითია თუ თქვენობითი (აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ შესაბამის ნაცვალსახელებს არ ვგულისხმობთ). ამ ვალდებულებას თვით ენის თავისებურებები ქმნის“ (კიკვიძე, 2000, გვ. 80). ეს იმას არ ნიშნავს, რომ, თუ ქართულს შევუდარებთ ისეთ ენას, რომელშიც გრამატიკულად მარკირებულია შენობით/თქვენობით მიმართვა, მაშინ ჩვენ მსგავს სურათს ვიხილავთ. მაგალითად, შვედურ ენაში გვაქვს du „შენ“ და Ni „თქვენ“ ნაცვალსახელები. ზმნაში ეს განსხვავება არ გადმოიცემა. თანამედროვე შვედურ საზოგადოებაში ძირითადად შენობით მიმართვაა მიღებული (სტრუდენტსა და ლექტორს შორისაც კი). ამიტომ, ამ ენაზე საუბრისას ქართული საკომუნიკაციო კომპეტენციის წესები მთლად გამოსადეგი ვერ არის. თუ შვედურის გრამატიკა მრავლად

იძლევა არამარკირებული მიმართვის ენობრივ საშუალებებს, ქართულში, პირიქით, მიმდინარეობს თავაზიანობის სემანტიკის მზარდი გრამატიკალიზაცია. ამის დასტურია ერთგვარი თანმეტობა (თავაზიანი თ-ს გაჩენა ნორმატიული გრამატიკის მიხედვით მოულოდნელ პოზიციაში: „არგი-თ; ბოდიში-თ; გამარჯობა-თ და ა. შ.). აქედან გამომდინარე, ქართულის შესწავლის დროს შევდური საკომუნიკაციო კომპეტენციის მქონე პიროვნებას მოუწევს არა მარტო სათანადო გრამატიკული წესების გაცნობა, არამედ მათი გამოყენების სოციოლინგვისტური წესებისა. ასე რომ, ენობრივი კომპეტენცია, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ გრამატიკის კანონების ცოდნა. სწორედ ამიტომ უპრიანია, ვისაუბროთ საკომუნიკაციო (სოციოლინგვისტურ) კომპეტენციაზე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენი აზრით, ვერც სოციოლინგვისტური კომპეტენცია წარმოაჩენს სრულად იმას, რასაც ჩვენ ენის ცოდნას, ენის ფლობას ვუწოდებთ. თუ უცხოელი შეისწავლის ქართულის მიმართვის ფორმებთან დაკავშირებულ გრამატიკულ და პრაგმატულ წესებს, იგი თავისით ვერ შექმნის, მაგალითად, ისეთ თანმეტ ფორმებს, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ისინი ხომ ფაქტობრივად ფაქულტატიური ფორმებია. „მართალია, ფაქულტატიური ნიშნავს არაძირითადს, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება ითქვას, რომ იგი არაკანონზომიერია, შემთხვევითია, რომ იგი ამორიდებულია ენის საერთო სისტემიდან“ (ჯორბენაძე, 1985, გვ. 20). სხვა მსგავსი (ჯერ დაუფიქსირებელი, თუმცა მოსალოდნელი) ენობრივი ფორმების გენერირებას ოდენ სოციოლინგვისტური კომპეტენცია ვერ ეყოფა; მხოლოდ ამგვარი კომპეტენციის მქონე ვერ შექმნის ისეთ ფორმებს, როგორებიცაა სულ ბოლო დროს ჯერჯერობით მხოლოდ პრესის ენასა და ზეპირმეტყველებაში დადასტურებული დედამდინარე, დედაქუჩა, დედახე და ა. შ. დედა ხომ მთავარს, ძირითადს, საფუძველთდამდებს ნიშნავს. მაშინ როცა, ინგლისურ ენაში დედის აღმნიშვნელ სიტყვას — mother — მხოლოდ შემდეგი სახის პროტოტიპული ეფექტები უჩნდება: surrogate mother „სუროგატი დედა“, foster mother „დედობილი“ biological mother „ბიოლოგიური დედა“ და მისთანანი. ამგვარი თვალსაჩინოების საფუძველზე ადვილი წარმოადგენია, როგორი შეიძლება იყოს დედაენაზე მოაზროვნე-მოლაპარაკე პირის გონითი მოღვაწეობის ზოგიერთი ქარგა, რომლებიც

შესაბამისი ენობრივ-კულტურული სამყაროს რელევანტურ ნიშნებს წარმოადგენს. გამოდის, რომ ენის, დედაენის ცოდნაში არის ისეთი კომპონენტები, რომლებსაც არ გულისხმობს კომპეტენციის აქამდე წარმოდგენილი, ერთი შეხედვით, ყველაზე სრულყოფილი მოდელე-ბიც კი.

„სამყარო გარემომცველი სინამდვილე ყოველდღიურ ცხოვრება-ში ისეა წარმოდგენილი, ისეა შეფასებული და ისეა „მოცემული“, როგორც მას არსებითად გვაწვდის დედაენა. ის წინასწარ გვიწესრი-გებს და შეფასებას აძლევს ჩვენს სასიცოცხლო სინამდვილეს“ (რა-მიშვილი, 2000, გვ. 118). მაშასადამე, არსებობს **კოგნიტიურ-სოციო-ოლინგვისტური კომპეტენცია**. თუ მიმართვის სოციოლინგვის-ტური წესები მხოლოდ კლიშეებია და მეტი არაფერი, მათი ჩანაც-ვლება ადვილად შეიძლება სხვა ერთეულებით. ეს წესები არა მარ-ტო ასახავს ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ღირებულებებს, არა-მედ ისინი კიდევაც ზემოქმედებენ მათზე, ე. ი. ჩვენზეც, ადამიანებ-ზეც. (ოდენ) სოციოლინგვისტური კომპეტენციის მქონე იცავს ინტე-რაქციის წესებს (ან ცდილობს დაიცვას ისინი); კოგნიტიურ-სოციო-ლინგვისტური კომპეტენციის მქონე კი ამ წესების წარმოძღვნი და, შეიძლება ითქვას, შემოქმედიცაა. უფრო მეტიც, კოგნიტიურ-სოციო-ლინგვისტური კომპეტენციის მატარებელი ზოგიერთ წესს წინაც კი აღუდგება და შეეცდება მათს გარდაქმნას. ეს საცნაური ხდება სხვა-დასხვა სახის ლინგვო-კულტურული მოდელების შეხვედრის დროს.

კოგნიტიურ-სოციოლინგვისტური კომპეტენციის ცნება ჰუმბოლ-დტისეულ გამოცდილებასაც გულისხმობს და მის შემდეგ მოღვაწე სპეციალისტების მოსაზრებებსაც. ღირსსაცნობია, რომ აქამდე კომ-პეტენციის ცნების განხილვისას მხედველობაში მიიღებოდა ენის მხო-ლოდ საკომუნიკაციო ფუნქცია. ამის შემხედვარე, არცაა გასაკვირი, რომ ამ ხნის განმავლობაში კვლავ და კვლავ იგრანობოდა ჩვენთვის ცნების დაზუსტების აუცილებლობა. საკომუნიკაციო (სოციოლინ-გვისტური) კომპეტენციის ცნება იმისათვის შემოიტანეს, რომ მო-მხდარიყო ენისა და მეტყველების, კომპეტენციისა და შესრულების ტიპის დიქტომიების ნეიტრალიზაცია. ეს უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი საფეხური იყო, ოღონდ არასაკმარისი. ჩვენი პოზიცია კი ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ენა არა მარტო ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარების საშუალებაა, არამედ აზრების წარმო-

ქმნის უეფექტურესი იარაღი და მოცემული ეროვნული კულტურის უშუალო შემადგენელი ნაწილიც.

კოგნიტიურ-სოციოლინგვისტური კომპეტენცია მოცემულ ენაზე მოაზროვნე და მოლაპარაკე ხალხის, ე. ი. ამ ენის შემოქმედის, უნარია, არა მარტო მოიხმაროს იგი, როგორც საურთიერთო კოდი, არამედ ცოცხლად შეინახოს და განავითაროს კიდევაც.

დაბოლოს, კოგნიტიურ-სოციოლინგვისტური კომპეტენციის ქონა მოცემული ეროვნული კულტურის სამყაროს კუთვნილების ნიშანია.

ლიტერატურა

ბელი, 1980 — Белл Р. Т. Социоллингвистика. Москва.

ბირვიში, 1976 — Bierwisch M. Social differentiation of language structure. Language in focus: foundations, methods and systems. Ed. by A. Kasher. Dordrecht.

დინენი, 1976 — Dinneen F. P. An Introduction to General Linguistics. New York.

ერვინ-ტრიპი, 1972 — Ervin-Tripp S. M. Children's sociolinguistic competence and dialect diversity. Early childhood education. Ed by I. Gordon. Chicago.

კალერი, 1975 — Culler J. Structuralist poetics. London.

კანალი და სუენი, 1980 — Canale M. and Swain. M. Theoretical bases of communicative approaches to second language teaching and testing. Applied Linguistics 1.

კასირერი, 1947 — Cassirer E. A. Structuralism in Modern Linguistics. Word, 1.

კიკვაძე, 2000 — ზ. კიკვაძე, მრავლობითი თუ თავაზიანი ფორმა: გრამატიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბ., 2000.

ლაბოვი, 1972 — Labov W. Language in the Inner City: Studies in the Black English vernacular. Philadelphia.

ლადო, 1989 — Ладо Р. Лингвистика поверх границ культур. В кн: Новое в зарубежной лингвистике, Вып. XXV, Москва.

მაკდოუელი, 1979 — McDowell J. H. Children's riddling. Bloomington.

მიჰანი, 1972 — Mehan H. Language using abilities. In: language sciences 22.

ოქს კინანი, 1974 — Ochs Keenan E. Conversational competence in children of Child Language 1.

რამიშვილი, 2000 — გ. რამიშვილი, დედაენის თეორია. დედაენა, მისი ფუნქციები და მისი სწავლება, თბ., 2000.

სლობინი, 1976 — Слобин, Д., Психолингвистика. В кн.: Слобин Д., Грин Дж. Психолингвистика, Москва.

სოსიური, 1977 — Соссюр Ф. де, Курс общей лингвистики. В кн: Соссюр, Ф. де, Труды по языкознанию. Москва.

ტილორი, 1988 — Taylor D. S. The Meaning and Use of the Term "Competence" in Linguistics and Applied Linguistics. Applied Linguistics 9, 2.

ტროიკი, 1969 — Troike R. Report of the 20th annual round table meeting in linguistics and language studies. Ed. by J. Alatis. Washington, D. C.

შარაძენაძე, 1974 — თ. შარაძენაძე, ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა, თბ., 1974.

შტაინმანი, 1982 — Steinmann M. Jr. Speech-act theory and writing. What writers know. Ed. by M. Steinmann. New York.

ჩომსკი, 1965 — Chomsky N. Aspects of the Theory of Syntax. Cambridge, Mass.

ჩომსკი, 1970 — Chomsky N. Remark on nominalization. Readings in English Transformational Syntax. Ed. by R. A. Jacobs and P. S. Rosenbaum. Waltham, Mass.

ჯორბენაძე, 1985 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები. თბ., 1985.

ჰაბერმასი, 1970 — Habermas J. Toward a Theory of Communicative Competence. Recent Sociology No. 2 (Patterns of Communicative Behavior). Ed. by H. P. Dreitzel. London.

ჰაიმზი, 1967 — Hymes D. Models of the interaction of language and social settings. Journal of Social Issues, No. 23.

ჰაიმზი, 1968 — Hymes D. The Ethnography of Speaking. Readings in the Sociology of Language. Ed. by J. Fishman. The Hague & Paris.

ჰაიმზი, 1987 — Hymes D. Communicative Competence. Sociolinguistics. An International Handbook of the Science of Language and Society. Ed. by Ulrich Ammon, Norbert Dittmar, klaus Mattheier. First Volume. Berlin, New York.

ჰოლმზი, 1994 — Holmes J. An Introduction to Sociolinguistics. London.

ჰუმბოლდტი, 1984 — Гумбольдт В. фон, О различий строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества. В кн: гумбольдт, В. фон, Избранные труды по языкознанию, Москва.

-ი ელემენტის ერთი ფუნქციისათვის ინბილოური
დიალექტის კაპურ კილოკავში

ინგილოური დიალექტის კაპურ კილოკავში, ისევე როგორც ძველ ქართულში (აგრეთვე მეგრულ-ჭანურში, სვანურსა და მთის კილოებში), გვაქვს კითხვითი ნაწილაკი -ა, მაგრამ ძვ. ქართული-საგან განსხვავებით, იგი იხმარება როგორც კითხვით სიტყვიან წინადადებაში, ასევე მის გარეშეც (იმნაიშვილი, 1966, გვ. 145).

გრ. იმნაიშვილი ა- კითხვითი ნაწილაკის დახასიათებისას შენიშვნის სახით აღნიშნავს, რომ: „კაპურში ზოგჯერ ნამყო დროში (მხ. რ. I და II პ.) -ო ხმოვანთან შესაძლებელია კითხვითი -ა არ იყოს, მაგ.: მე ვერ გოფგი? შენ გაფგი? და მისთ.“ (იმნაიშვილი, 1966, გვ. 145). გამოკვლევაში „ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში“ გ. იმნაიშვილი წერს: „კაპურშივე ნამყო წყვეტილის მრავლობით რიცხვში ყველგან (როგორც ბრძანებითში, ისე თხრობითში) I და II პირში გვაქვს -ო;... ეს -ო აქ შემთხვევითი არ უნდა იყოს. მას კითხვით წინადადებაში მხოლოდობით რიცხვშიც ვხვდებით ზმნის ამავე დროის სუფიქსად კაპურშივე; მაგ.: მე ვერ გოფგი? შენ გაფგი? რაფსა ეს, რა დოფნაფი?! დაფნაფი, ბაჟიოლო? რაფზე გაფციანი, კაყო? შიჰმელ გააჟეთი? შიშაფ მაფლი? თეთრ მაიტანი? მაფყოფნი? და სხვ. ეს **ინო** ალიაბათურშიც გვევლინება“ (იმნაიშვილი, 1954, გვ. 159).

მართლაც, მხოლოდობით რიცხვში -ო მხოლოდ კითხვით წინადადებაში გვხვდება. როგორც ჩანს, მას კითხვითი ნაწილაკის ფუნქცია აქვს დაკისრებული.

განვიხილოთ შესაბამისი მაგალითები:

I. სალიტერატურო ქართულის ნამყო ძირითადში ე. წ. ნართაული -ო ელემენტით გაფორმებულ ზმნებს (მო-ხ-ველ-ი, ჰ-ქენ-ი, მო-მ-ე-ც-ი) ინგილოური დიალექტის კაპურ კილოკავში ეს -ო დაერთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას კითხვითი ნაწილაკის ფუნ-

ქცია აქვს დაკისრებული:

კითხვითი:
„იმ სახლი პატრონმა თქო: —
კედემ მრხბლი (ქ.დ., 230)
„მაშ, როგო ქენი?“ (ქ.დ., 231)
„რა ჰქენი, გადა?“ (ლამბ., 251)
„პათაარ ჰქენი?“ (ქ.დ., 240)
„...ერ უულაბ არ მემეცი აზი-
ხან? (ლამბ., 274)
„სა ეყავი? (ლამბ., 267)
„კაცმა მითხრა — დააჟი
(ლამბ., 262)

თხრობითი:
„წამსულმა თქო: — ჰო, კედემ
მრველ (ქ.დ., 230)
„რაიც გინდ, ქენ“ (ლამბ., 260)
„შენ ტამსამუზ. მე მემეც“
(ლამბ., 282)
„მე ველაპარიკ, საც ვიყავ
(ლამბ., 267)
„შაუცხენზე, წავლეთ!“ (იმნ., 174)

II. სალიტერატურო ქართულის ნამყო ძირითადში -ე სუფიქსით გაფორმებული ზმნები (წა-ი-ღ-ე, გა-ა-კეთ-ე...) კაკურში ამ ფორმანტის გარეშეა წარმოდგენილი თხრობით წინადადებაში, ხოლო კითხვით წინადადებაში მათაც -ო მოუღით:

„რა ზაალა წადლი?“ (ლამბ., 257)
„სადთი იპოვნი, სადთი იყიდი?“ (ლამბ., 281)
„სა დადნახი, წოორი ჰემაგრ ეყო?“ (ლამბ., 292).
„დროზე წოდდ ერთორბად (ლამბ., 259)
„უგე მამალ მე მამყიდ“ (იმნ., 184)
„ჩემ მამად ნახ?“ (იმნ., 174)
„გადა! ეს რა გააკეთი?“ (იმნ., 187)
„რაბე გაიცინი?“ (იმნ., 174)
„აბე დოჰჯოცი?“ (ლამბ., 286)
„ჩონ სოფელში რაბე დოგორცხუნი?“ (ქ.დ., 231).
კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით -ო გვხვდება არა მარტო ნამყო ძირითადში, არამედ აწმყოშიც:

„იცი ეს ემენ ადგილია? (ლამბ., 260)
„მე კი ურუსულ ჰეჩრამ არ ვიცი“ (ლამბ., 260).
როგორც ცნობილია, ვ-ი-ცი ზმნა II სერიიდან არის გადმოსული და -ო სუფიქსით არის გაფორმებული. კაკურში კი თხრობით წინადადებაში -ო არ ჩანს უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ; როგორც წესი,

დამოწმებულია კითხვით წინადადებაში.

კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით გვევლინება აწმყოს მწკრივის ნიშანიც -**o**:

„რაბე კ ტ ი რ ი?“ (ქ.დ., 239)

„შიში ვერ კ ტ უ რ (ქ.დ.: 266)

„ნოხო, მართლა კ კ დ რ ვ ი?“

„მე კ კ დ რ ვ“ (ლაშბ., 271)

(ლაშბ., 271)

„მე შენ გებნებ“ (ქ.დ., 230)

„შენ რაბე არ მებნები?“

(ქ.დ., 230)

სხვა შემთხვევაში ფუძისეული -**o** არის გამოყენებული კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით:

„არ მიდღი ყარაულოვან?“ (ქ.დ., 236)

„აღ გადა, საპტყენ მიიღი?“ (ქ.დ., 239)

„სა მიდღი?“ (ქ.დ., 237)

„ღმერთთან მიუღ შაახოწნელა“ (ქ.დ., 237)

„ყარში გავღ, ჩემ მამაღ მოჰღდა გონი (ლაშბ., 264)

ანალოგიური ქმედება ახასიათებს -**ღ-o** ფუძისგან ნაწარმოებ ჩა- ზმნისწინიან ჩადენა ფორმას:

— „აღ კაცო, რას კ ჩეღი?“ (ლაშბ., 270)

აღსანიშნავია, რომ თემის ნიშანი -**o** სრულად არის წარმოდგენილი როგორც თხრობით, ასევე კითხვით წინადადებაში, კითხვის შინაარსს კი კითხვითი ნაწილაკი -**ა** გადმოგვცემს:

„ე ჩემ ფურ ჰყჸღ, იყიღია?“ (ლაშბ., 291)

„ორ რადმიბეთ რაბე მიშღია ჩუნ ყაჸმობას?“ (ქ.დ., 231).

ნამყო ძირითადთან შედარებით, აწმყოში მერყეობა გვაქვს: თხრობით წინადადებაში შეიძლება პარალელურად შეგვხვდეს ვიც || ვიცი, გებნებ || გებნები. ამის გამო, ზოგჯერ საჭირო ხდება ამ ზმნებთან დამატებით -**ა** კითხვითი ნაწილაკის დართვა. მაგ., ერთმანეთის გვერდით შეიძლება შეგვხვდეს ასეთი წინადადებები:

„შენ რაბე არ მებნები, რაბე მოსუხარავ?“ (ქ.დ., 230)

„ჰა, რას მებნები ახლა?“ (იქვე).

როგორც განხილული მაგალითები გვიჩვენებს:

1. -**o** ელემენტი კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით გვხვდება როგორც კითხვითისტყვიან წინადადებაში, ისე მის გარეშეც.

2. -**o** სუფიქსი ამ ფუნქციით გვხვდება ნამყო ძირითადისა და

აწმყოს I და II პირში. იგი შეიძლება იყოს უფუნქციო, ნართაული ელემენტიც და გარკვეული მორფოლოგიური დანიშნულების მქონე ფორმანტიც (აწმყოში).

3. -**ი** ამ შემთხვევაში უტოლდება -**ა** კითხვით ნაწილაკს და ცვლის მას I და II პირში. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ ფორმებთან -**ა** ნაწილაკი არ გვხვდება.

შეჯამება

ქ. დ. — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

ლამბ. — რ. ლამბაშიძე, ინგილოური კილო, ტექსტები: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 31, თბ., 1949.

მნ. — გრ. იმნაიშვილი, ინგილოური ტექსტები, კაკური მასალები, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

ლიტერატურა

იმნაიშვილი, 1966 — გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

იმნაიშვილი, 1954 — ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში: იკე VI, თბ., 1954.

უ და უ მთიულურში¹

უ და უ ბგერები მთიულურში ადვილი გასარჩევია სასაუბრო მეტყველების დროსაც და ლექსშიც, სადაც ეს ბგერები ერთმანეთს მარცვლის შექმნის უნარით უპირისპირდება.

მთიულურში უ-ს ქცევა მთლიანად პოზიციაზეა დამოკიდებული აქუ ფორმაში: დასტურდება არა მაქუ — არ მაქუ, კაცსა აქუ — კაცს აქუ ტიპის მიმართება.

უ-ს მარცვლოვანება დამოკიდებულია არა მომდევნო სიტყვის აგებულებაზე, ანდა თვითონ ამ უ-ს მახვილიანობაზე (ის ორივე შემთხვევაში უმახვილოა), არამედ წინამავალი სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის თვისებაზე: თუ წინამავალი სიტყვა ნულთან მონაცვლე ემფატიკური (ან ფუნქციით მასთან გათანაბრებული) ა ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ აქუ ერთმარცვლიანია, მიუხედავად იმისა, მიერთვის თუ არა იგი ენკლიტიკური ფორმით წინამავალ სიტყვას: მაგალითად:

(1) მარგვსა² აქუ ორი კბილი.

შდრ:

(2) მარგვსა აქუ კბილი და იმას უჭერიან ეს თაბახი.

(1) მაგალითში აქუ ფორმა ცალკე დგას, ენკლიტიკას არ ქმნის.

(2) მაგალითში კი აქუ ფორმა წინამავალ სიტყვასთან ერთად ერთ სარიტმო მონაკვეთშია მოქცეული (რასაც მახვილიანი ხმოვნის ადგილი ავლენს), მაგრამ მიუხედავად ამისა აქუ ფორმაში უ ორივე შემთხვევაში უმარცვლოა.

როცა წინამავალი სიტყვა ვერ დაირთავს ნულთან მონაცვლე

¹ ნაშრომი დაწერილია 1990 წელს და შემდგომ გამოქვეყნებული ლიტერატურა არ არის გათვალისწინებული.

² მახვილიანი ხმოვნის ალსანიშნავად გამოყენებულია გრძელი ხმოვნის გამომხატველი ნიშნები.

ხმოვანს, მაშინ მის მომდევნო პოზიციაში აქუ ფორმა თავისუფალია. ერთნაირად დასაშვებია:

„სახვეტელი მაქუ“ და „სახვეტელი მაქუ“.

„ქოჩორი აქუ დამდგარი“ და „ქოჩორი აქუ დამდგარი“.

ნულთან მონაცვლე ა-ს გაუჩინარების შემთხვევაში, უფრო ზუსტად, როცა ასეთი -ა პოზიციის მიხედვით დასაშვებია, მაგრამ წარმოდგენილი არ არის, თითქოს მის საკომპენსაციოდ, უ აუცილებლად სრულ ხმოვნად რეალიზდება: მარგვს აქუ.

ემფატიკური (ან ემფატიკურთან გათანაბრებული) ნულთან თავისუფლად მონაცვლე ა-ს გამოვლენის ყველა შესაძლო პოზიციის უშუალოდ მომდევნო აქუ ზმნა არის ერთმარცვლიანი (აქუ), თუ ეს -ა წინამავალ სიტყვაში წარმოდგენილია, და ორმარცვლიანი, თუ -ა არ ჩანს.

ნულთან არმონაცვლე ბოლოკიდური -ა-ს არსებობას წინამავალ სიტყვაში უ-ს ქცევა ანგარიშს არ უწევს და მის მომდევნო პოზიციაში იგი თავისუფალია:

„ესლა აქუ“ და „ესლა აქუ“, „პატარა აქუ“ და „პატარა აქუ“ თანაბრად დასაშვებია. ასევე თავისუფლად მონაცვლე ფორმებია: „სახლი ხისა აქუ“ და „სახლი ხისა აქუ“, რადგან ეს -ა (სახლი ხის-ა) ნულთან არ მონაცვლეობს (აქ ეს -ა სადერმაკაციო ფუნქციას ასრულებს; უთურგაიძე, 1988, გვ. 44).

აქუ და აქუ ფორმათა ასეთივე განაწილება შეინიშნება მოხეურშიც.

„აქუ“ ფორმას თავისუფლად ენაცვლება „აქვის“ და ქცევის ისეთსავე წესს ამჟღავნებს, როგორსაც „აქუ“: „აქვის“ ფორმის წინამავალ სიტყვას ან საერთოდ არ უნდა დაერთვოდეს ნულთან მონაცვლე ა („სახვეტელი აქვის“), ან თუ ასეთი დართვა შესაძლებელია, ეს შესაძლებლობა არ უნდა იყოს რეალიზებული. შეუძლებელი ფორმებია:

*არა აქვის, *სადა აქვის, *კაცსა აქვის... გავრცელებული ფორმებია:

არ აქვის || არ აქუ || არ აქუს

სად აქვის || სად აქუ || სად აქუს

კაცს აქვის || კაცს აქუ || კაცს აქუს

ამ შემთხვევაში უ თითქოს ისევე იქცევა, როგორც რ ლ მ

ბგერები; იგი უშუალოდ თვითონ კი არ ქმნის მარცვალს, არამედ ქმნის თანხმოვნისა და ხმოვნის კომპლექსს: თანხმოვანს დაბრკოლების ადგილის მიხედვით: ჭ > ზ, ხოლო თ არის დელაბიალიზებული უ. ამავე დროს, აქ, რა თქმა უნდა, არ არის გამოსარიცხი მორფოლოგიური ფაქტორიც: აქგ-თ-ს ფორმა სტატიკური ზმნის დაბოლოებას იმეორებს, შდრ.: აქვის, ჭყავის ფორმები ფშაურში და ხევსურულში. მაგრამ მათგან განსხვავებით აქ იგი აშკარად ფონეტიკურ გარემოცვაზე დამოკიდებული (შდრ. მთიულურშივე გავრცელებული მივალის, ინანის, უხარის... ტიპის ფორმები, რომელთა გამოვლენისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პოზიციას). ამიტომ აქ შეიძლება იგივე პროცესი ვივარაუდოთ, რაც ფუძეშიც ხდება: უ > ვთ (შდრ.: ხურჯინი > ხვირჯინი). რაც შეეხება ჭყავის ფორმას, ის მთიულურში არ დასტურდება, არის მხოლოდ ჭყავ.

თ. უთურგაიძე ხმოვანთა განაწილების წესებთან დაკავშირებით (კერძოდ, ორი ხმოვნის დიფთონგიზაციის გამო) აღნიშნავს: „აქ დგება თეორიულად მეტად საინტერესო საკითხი. თუ ე. წ. უმარცვლო ხმოვანი მარცვლოვან ხმოვანთა დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია, ასეთი უმარცვლო ვარიანტი დამოუკიდებელ ფონემად ჩაითვლება თუ როგორც ფონემა, ისე ხმოვნად უნდა იქნეს მიჩნეული; ანდა ამ ვარიანტების (ხმოვანი-თანხმოვანი) არსებობის საფუძველზე გამოვყოთ ცალკე კლასი (სონანტები)?“ (უთურგაიძე, 1976, გვ. 132).

აქუ და აქჭ ფორმებს ისე მკაფიოდ აქვთ განაწილებული გამოვლენის პოზიციები, რომ აქ შეიძლებოდა უ სონანტადაც ჩათვლილიყო, მაგრამ რადგან ასეთი რამ მხოლოდ ამ ერთ ფუძეში ხდება, ეს დაშვება უსაფუძვლო იქნება. თანაც, თუ მათ ნულთან მონაცვლე ა-ზე დამთავრებული ფორმების მომდევნოდ პოზიციები განაწილებული აქვთ, ნულთან არმონაცვლე ა-ს შემდეგ თავისუფლად მონაცვლეობენ.

უ და უ პირველ შემთხვევაში ერთმანეთის პოზიციურ ვარიანტებს წარმოადგენენ, მეორეში ფონეტიკურს. თუ დავყრდნობით ძველი ქართული ენის მონაცემებს, აქ ამოსავლად უნდა ვიგულისხმოთ აქუ, რომლის მარცვლოვანების საკითხიც ძველ ქართულშიც სადავოა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძველ ქართულში ე. წ. ემფატიკური ა-ს გამოვლენა არ იყო ფონეტიკურ გარემოცვაზე და-

მოკიდებული (და ამის გამო მას ძველ ქართულში ბრუნვის ნიშნის განუყოფელ ნაწილადაც მიიჩნევენ — უთურგაიძე, 1986, გვ. 51), მაშინ ისიც საფიქრებელია, რომ მთიულურში და მოხეურში გამოვლენილი განაწილება უ და ჟ ბგერების პოზიციებისა ახალია და ძველი ქართულის ფორმათა ასახსნელად არ გამოდგება. მაინც საგულისხმო ჩანს, რომ უ და ჟ ერთმანეთის პოზიციური ვარიანტები აღმოჩნდნენ და ეს მახვილის ადგილზე სრულიად არ არის დამოკიდებული, თანაც ეს ხდება არა მარტო მთიულურში, სადაც მახვილი ძირითადად ხმოვნის შეფარდებითი გრძლიობით გამოიხატება, არამედ მოხეურშიც, სადაც მახვილი ძირითადად ხმოვნის ინტენსიობის მატებას ემყარება. შესაძლებელია ძველ ქართულში უ-თი აღნიშნული ფონემა ან წყვილბაგისმიერი ჟ იყოს, ან სრულხმოვანი უ თავისი პოზიციის მიხედვით (თოფურია 1979, გვ. 158-164; ერთელიშვილი 1963, გვ. 85; შანიძე, 1976, გვ. 20-22), ხოლო ვ-თი აღნიშნული ფონემა — კბილბაგისმიერი ვ თანხმოვანი, რომელმაც შეიძლება მოგვცეს უმარცვლო უ-ც, თუკი ეს ვ უმარცვლო უ-სთვის დამახასიათებელ გარემოცვაში აღმოჩნდება (თოფურია 1979, გვ. 170-171) და ამ შემთხვევაში იგი უ-ს სახით ჩაიწერება (სცავს > მცუელი, მოვალ > მოხუალ...) (შანიძე, 1976, გვ. 23). დიალექტების ჩვენების მიხედვით, ამ პოზიციაში შესაძლოა (ვ)უ სრულ ხმოვანსაც წარმოადგენდეს.

ჟ/ვ- უ-ს მიმართებაზე მსჯელობისას ნავარაუდევია, რომ „არქაული ეპოქის ქართულში ადგილი ჰქონდა ჟ:უ მონაცვლეობას ისეთ პარადიგმატულ რიგებში, როგორიცაა ჰ-ს-უ:ს-ჟა:ს-უმა (შდრ. მეგრ. შუმა), [ს-თქუ:თქუ-ა:თქუმა] და მისთ“ (გამყარელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 49). როგორც ჩანს, შესაძლოა ასეთივე მონაცვლეობა ვივარაუდოთ ძველ ქართულ ენაშიც. არნ. ჩიქობავა ამას მახვილის ადგილის მონაცვლეობით ხსნიდა: ვთქუ — მახვილიანი უ მარცვლიანია, ვთქუა — უმახვილო უ — უმარცვლო (ჩიქობავა, 1942, გვ. 192). ამასთანავე, თედო უთურგაიძე წერს: „ძველ ქართულში ვ და ჟ სხვადასხვა ფონემები კი არ არის, არამედ ერთი ფონემის — ვ-ს ალოფონებია (უთურგაიძე, 1966). თავისი ქცევის მიხედვით ვ წყვილბაგისმიერების გვერდით დგას: „თუ /ვ მ/ ფონემებს მოვაქცევთ წყვილბაგისმიერთა კლასში, კლასის შიგნით ქვეკლასების გამოყოფა აღარ დაგვიკრძალავს... ბ ფონემები ისევე იქცევა, როგორც

მ ვ“ (უთურგაიძე, 1976, გვ. 81-82). ასევე წყვილბაგისმიერი ჩანს ვ წარმოთქმის მიხედვითაც C-V პოზიციაში: „ქვა, ქოლვა (< ქულვა) გვავარაუდებინებს, რომ ძველი ქართული ქვა გამოითქმოდა როგორც ქჭა. შესაძლებელია ქვა დაკავშირებული იყოს ქავ-თან“ (უთურგაიძე, 1966, გვ. 101). ძველ ქართულშივე შეინიშნება, რომ გარკვეულ პოზიციაში ვ გვაძლევს ჭ-ს. ეს ზოგჯერ ორთოგრაფიაშიც აისახებოდა. მართალია, შედარებით ძნელია ფონეტიკურ სახეზე მსჯელობა, მაგრამ ზეპირ წარმოთქმაში გავრცელებული ჭ ვ-ს ადგილას გვაფიქრებინებს, რომ ძველ ქართულშიც ასეთი რამ არ უნდა ყოფილიყო არაბუნებრივი. მაგალითად, მოხეურში -ყავ-(ვიყავ), რვა, ყველა, ყველი, ქვა და რამდენიმე სხვა ფუძეში, სადაც „ძველთაგან იყო კბილბაგისმიერი ვ... ჭ ისმის“ (ქავთარაძე, 1985, გვ. 13). ძველ ქართულში ვ ასოთი გამოხატული ბგერა მართლაც შეიძლება ზოგჯერ კბილბაგისმიერი იყოს, ზოგჯერ — წყვილბაგისმიერი, ხოლო უ-თი, როგორც თ. ჟორდანიას და ვ. თოფურია ვარაუდობდნენ, უძველეს ქართულში სრული ხმოვანი უნდა ყოფილიყო აღნიშნული (თოფურია, 1979, გვ. 163).

მთიულურში ვ-ს, როგორც კბილბაგისმიერ ბგერას, აქვს თავისი გამოვლენის რამდენიმე პოზიცია: CS-V: მოკლვა, ჯნვა... და V-V: მააქცივა, მადლივერი... ამავე პოზიციებში გვხვდება კბილბაგისმიერი ვ ფშურშიც, (სადაც აგრეთვე მასდარის ძველი ფორმები დასტურდება. მოხეურში V-V და #-V პოზიციაში დადასტურებულია ვ > ჭ პროცესი: ამბოჭი, ჭოჭი, საფლოჭი (უთურგაიძე, 1966, გვ. 106). თუმცა აქ ეს ჭ -ავ კომპლექსში მომხდარი ცვლილებების შედეგი ჩანს და ვ სხვა ხმოვნების გარემოცვაში (მააქცივა, მადლივერი... ტიპის ფორმებში) მოხეურშიც შენარჩუნებულია.

მთიულურში C-V ან #-V პოზიციაში უ არ იკუმშება: შუა, საშუალო, შუალა, შუათანა, შუალამე, უარესი და მსგავს ფორმებში უ არ უმარცვლოვდება. ასევე უცვლელი რჩება ამ პოზიციაში ჭ და არ იძენს მარცვლოვანებას. ამ მხრივ იგი სხვა აღმოსავლურ დიალექტებთან ერთად უპირისპირდება დასავლურს, სადაც C-V ან #-V გარემოცვაში შესაძლებელია როგორც უ-ს გაუმარცვლოება (საშუალო > საშუალო, უარესი > უარესი, უარი > ვარი, შუალამე > შუალამე...) ასევე უმარცვლო ჭ-ს გარდაქმნა მარცვლოვან ხმოვნად: „ზოგჯერ ეს უმარცვლო უ სრულხმოვანი ხდება და ლექსში მარცვალს შეადგენს;

მაგ.:

კამანდრობდა ლაზარენკო,
გადაგვიწუენ სახლები (ჩაისუბანი)

ამდენხანს უნდა მეთქუა,
ძალიან დევიგვიანე (სამება)

ცუარსა აძლევს ჩასაო (სამება)

სარი ხალხმა ამართუა (სამება)

როცა სული მოითქუა,
გადმოახტა ძალი სარეფს (სამება) და სხვ.

გზვდებით პირუკუ მოვლენასაც: ზოგიერთ სიტყვაში სალიტერატურო ქართულის სრულხმოვანი უ წარმოდგენილია უმარცვლო ჟ-ს სახით, მაგ.:

აღარ უყოფთ ბატონს შუაზე.

თეთრშავ ზღვებ შუაში მდებარე,
ფთა-ბარ-ტყე-მინდორ-ველოო (ჩაისუბანი) (იმნაიშვილი, 1974; გვ. 95).

გურულში C-V პოზიციაში უ-ს სახით რეალიზდება ვ-ც ზმნურ ფორმაში: ამართუა < ამართუა < ამართვა. საფიქრებელია, რომ გურულში დადასტურებული ფორმები მეორეულია და მისი ამოსავალია უმარცვლო ფორმები, ისევე როგორც სახელებში: ცუარი (გურ.) < ცუარი (ძვ.ქ.). თუმცა უძველეს ქართულში ცუარ- შეიძლება სწორედ ორმარცვლიანი იყო. შესაძლებელია გურულში ეს ურთიერთსაპირისპირო პროცესები იმით აიხსნას, რომ ქართულში მორფემის შიგნით დამახასიათებელია ურთიერთსაპირისპირო მიმართულების პროცესები: ჟა > ჟა: ცუარი > ცუარი, მაგრამ საპირისპიროდ: ჟა > ჟა (შუალამე > შუალამე), მორფემათა მიჯნაზე კი მხოლოდ ერთი გარკვეული მიმართულების პროცესები ხდება: ჟი > ჟი: ამართუა, გადაგვიწუენ (მდრ. მეგრული: ბარუა, ქარუა...). საპირისპირო პროცესი (უაჟ) მორფემათა მიჯნაზე არა ჩანს: ატყუებს >

ატყუებს > ატყვებს არ დასტურდება (თუმცა შესაძლებელია ატყვიებს ფორმა, ასევე ტყუილი > ტყვილი, როგორც ჩანს, ამ ბოლო შემთხვევაში, აქ ეს მორფემათა მიჯნად არ აღიქმება).

მიჩნეულია, რომ „რედუცირებული უ ისევე იწერებოდა ძველ ტექსტებში, როგორც ხმოვანი უ; მისი უმარცვლობა გასაგები გახდა წარმოთქმითა და წარმოთქმის შესატყვისი შემდგომდროინდელი მართლწერით: შესუა=შესვა, თქუა=თქვა...“ (თოფურია, 1979, გვ. 158).

შეიძლება ძველ ქართულში შესუა და მსგავს ფორმებში უ სწორედ მარცვლოვან ხმოვანს აღნიშნავდა და არა უმარცვლოს. მისი გაუმარცვლოების შემდეგ კი ეს ცვლილება მართლწერაშიც აისახა, რაც ჭერ ჭ-ს შემოღებით გამოიხატა, შემდეგ კი ჭ-სა და ვ-ს „გაერთმნიშვნელიანებით“. ხოლო ვ ძველ ქართულში, ისევე როგორც დღევანდელი დიალექტების დიდ ნაწილში, პოზიციის მიხედვით შეიძლება წყვილბაგისმიერი ყოფილიყო და შეიძლება — კბილბაგისმიერი. გარკვეულ პოზიციაში ვ უ-ს სახითაც ჩაიწერებოდა: „თუ ვ ბგერა უ, ხ, ჰ ბგერების შემდეგ აღმოჩნდა და მოსდევს ხმოვანი, იგი უმარცვლო უ-დ გადაიქცევა: მოვალს, მაგრამ მოხუალ“ (შანიძე, 1976, გვ. 22). არნ. ჩიქობავა მეგრულში მსგავს პოზიციაში დადასტურებულ უა მიმდევრობას მახვილის ადგილის გავლენას მიაწერს, ამავე დროს აღნიშნავს, რომ ეს მეორეული მოვლენაა (ჩიქობავა, 1942, გვ. 194). ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში ვ > უ > უ პროცესი მახვილთან არ არის დაკავშირებული.

მთიულურშიც დასტურდება შემთხვევა, როცა ვ ბგერა გვაძლევს არა უ-ს, არამედ უ-ს (თუმცა ეს თანხმოვანთშორის პოზიციაში ხდება): წვრთნა > =წურთნა, სწვრთნის > სწურთნის... ასევე იქცევა ვ ნასესხებ სიტყვაშიც: ვრცინი > ქვრცინი > ქურცინა... შესაძლოა ეს მაგალითებიც წარმოადგენდნენ მინიშნებას თანხმოვანთშორის მოქცეული უ-ს აკუსტიკური სახის შესახებ ძველ ქართულში (მოკუდა, ილუწის...). ხოლო გურული ცუარი, გადაგვიწუა და სხვა ფორმები, თუმცა ისინიც მეორეული ჩანს, მაგრამ ადასტურებს, რომ ქართულში C-V პოზიციაშიც შესაძლებელია უ სრულ ხმოვანს წარმოადგენდეს.

ნულთან არმონაცვლე ა-ს მომდევნო პოზიციაში აქუ და აქუ ფორმების თავისუფალი მონაცვლეობა მთიულურში გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ძველ ქართულშიც ეს ფორმები (აგრეთვე სახე-

ლებიც, მაგალითად დათუ და დათუ) გარკვეულ პოზიციაში თავისუფლად მონაცვლე ფორმები ყოფილიყო. თუმცა ამ დიალექტში, როგორც აღვნიშნეთ, ამ ფორმების განაწილება პოზიციების მიხედვით მეორეულია. აღსანიშნავია, რომ წურთნა ფორმისეული უ „ვეფხისტყაოსანში“ უკვე უმარცვლოა, მთის დიალექტებში კი იგი მარცვალს ქმნის... უფრო ძველ სასულიერო პოეზიაშიც უ უკვე ნარედუქციალია, თუმცა ამ უ-ს ბუნება საკმაოდ მერყევია მოგვიანოდაც (იხ. ქავთარაძე, 1964, გვ. 87-88).

ამავე საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ასეთსავე ურთიერთმიმართებას ავლენენ მთიულურში იქმ და იქამ ფორმები: რასა იქმ — რას იქამ. მაგრამ ამ დაპირისპირებაში სხვადასხვა დიალექტების მონაცემები იყრის თავს: ერთი მხრივ, „რასა იქმ“, ძველი და ამ დიალექტისათვის არა დამახასიათებელი, მეორე მხრივ, „რას იქამ“, სადაც ემფატიკური ა-ს უქონლობას განსაზღვრავს ე- პრეფიქსის არსებობა მომდევნო სიტყვის დასაწყისში (შდრ. უქამ) იქამ და უქამ მთიულურშიც, ისევე, როგორც ფშაურსა და ხევსურულში (ჭინჭარაული, 1960, გვ. 163), მხოლოდ მყოფადის მნიშვნელობით გვხვდება და აწმყოს გამოხატვა არ შეუძლია. აღსანიშნავია, რომ დიალექტებში ამ ფორმის (იქამ) არსებობას (თუ შენარჩუნებას) მახვილის გავლენას ვერ მივაწერთ.

თუ ემფატიკური ა-ს გამოვლენა თანამედროვე ქართულში დამოკიდებულია მომდევნო ფორმის პრეფიქსის მარცვლოვანებაზე, აქუ და აქჷ ფორმების განაწილება მთიულურში დამოკიდებულია წინამავალი ფორმის უნარზე — დაირთოს ან არ დაირთოს ემფატიკური ხმოვანი. ორივე შემთხვევაში ხდება მარცვალთა რაოდენობის მიხედვით რედუცირება ან სრული სახით წარმოდგენა (კუმშვა და კომპენსაცია), როგორც ერთი და იმავე შესაძლებლობის (თუ თვისების) გამოვლენის ორი გზა.

ლიტერატურა

გამყროოძე, მაქავარიანი, 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სინანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

ერთელიშვილი, 1963 — ფ. ერთელიშვილი, უმარცვლო უძველეს ქართულში: თსუ შრომები, ტ. 96, თბ., 1963.

თოფურია, 1979 — ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III, თბ., 1979.

იმნაიშვილი, 1974 — გრ. იმნაიშვილი, გურულისა და იმერულის ურთიერთმიმართების საკითხისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.

უთურგაიძე, 1966 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი: მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, თბ., 1966.

უთურგაიძე, 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

უთურგაიძე, 1986 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

ქავთარაძე, 1964 — ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის I, XII-XVIII სს., თბ., 1964.

ქავთარაძე, 1985 — ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

შანიძე, 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჩიქობავა, 1942 — არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, № 2, თბ., 1942.

ჰინჭარაული, 1960 — ალ. ჰინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

ჰინჭარაული, 1984 — ალ. ჰინჭარაული, CრC კომპლექსი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში: VI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ქუთაისი, 1984.

მრავალგზისობის გამოხატვა მოხეურ დიალექტში

ქართული ზმნისთვის დამახასიათებელ მორფოლოგიურ კატეგორიათა რიცხვში გზისობაც გვხვდება. მას აკ. შანიძე უღლების კატეგორიის განაკუთვნებს. გვაქვს დაპირისპირება: ერთგზისი და მრავალგზისი. მრავალგზისობას თუ ძველ ქართულში განსაკუთრებული მწკრივები გამოხატავდა, რაც დღეს ქართულ ენის მთის დიალექტებში შემოგვრჩა, ახალ ქართულში მისი გამოხატვა ძირითადად წყვეტილსა და მისგან ნაწარმოები ხოლმეობითის ფორმებს დაეკისრა.

ხოლმეობითის კატეგორიის გამოხატვა თავის მხრივ ასპექტის წარმოებას უკავშირდება. მრავალგზისობის კატეგორია ხომ უსრული ასპექტის ფორმაა. „უძველესი ქართულის ცნობილი განგრძობითი (დიურატიული) ასპექტი ასეთი გაგების შემცველი იყო“ (ქავთარაძე, 1961). დროთა განმავლობაში ასპექტურ ფორმათა საფუძველზე განვითარდა სათანადო დროის მწკრივები, და დროის ეს გრამატიკული ფორმები თავის მხრივ უკვე საფუძვლად დაედო თვით ასპექტს. „ზმნური ფუძე გვიჩვენებს არა მარტო მოქმედებას გარკვეულ დროში, არამედ ამ მოქმედების სახესაც: როგორია ეს მოქმედება — დასრულებულია დროის ამა თუ იმ მონაკვეთში, თუ დაუსრულებელი, მრავალგზისი, რეგულარულად მიმდინარე, თუ ერთგზისი“ (ქავთარაძე, 1961). „ასპექტი საკუთრივ ზმნური, საკუთრივ მორფოლოგიური მონაცემია“, რომელიც შეიძლება რამდენიმე სახისა იყოს: სრული და უსრული, განგრძობითი და მომენტობრივი, ერთგზისი და მრავალგზისი... ე. ი. „ასპექტი არ წარმოადგენს ზმნის კატეგორიას, იგი თვით მოიცავს რამდენიმე კატეგორიას“ (ჯორბენაძე, ხელნაწერი).

თუ ძველ ქართულში გვქონდა ერთგზისობა-მრავალგზისობის

მორფოლოგიური ოპოზიცია, გარკვეული პერიოდიდან „ერთგზისობა-მრავალგზისობის მიხედვით აგებული ბინარული სისტემა დაირღვა, მრავალგზისობის გამომხატველი ფორმები აღარ ფუნქციონირებენ ენაში, მაგრამ მრავალგზისობის ფუნქცია შემორჩა და მისი გამოხატვა ენამ ამჟერად პირველი (ერთგზისი) რიგის ფორმებს დააქისრა,

ასეთ ვითარებაში ერთგზისობა-მრავალგზისობის გარჩევა მთლიანად კონტექსტს დაექვემდებარა“ (ჯორბენაძე, 1995, გვ. 389). დროთა განმავლობაში მრავალგზისობის ორგანული წარმოება შეცვალა აღწერითმა წარმოებამ, ეს პროცესი კი „შეეხო ახალ ქართულ სალიტერატურო ენას და დიალექტების საკმაოდ დიდ ნაწილს (კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ყველა დიალექტს, აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტთაგან — ქართლურს, მესხურს [სამცხე-ჯავახურს], ნაწილობრივ — კახურსაც“ (ჯორბენაძე, 1995, გვ. 390).

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებმა მეტ-ნაკლები სხვაობით შეინარჩუნეს მრავალგზისობის გამოხატვის არქაული პრინციპი, რომლის მიხედვით დიალექტთა ორი ჯგუფი გამოიყო: ხევსურული, ფშაური და თუშური, ერთი მხრივ, და მოხეური მთიულურ-გუდამაყრული, მეორე მხრივ, კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავთან, ინგილოურთან და ფერეიდნულთან ერთად აღებული.

ხევსურულში, ფშაურსა და თუშურში ხოლმეობითის ძველი ქართულისებური წარმოება დაცულია III პირის ფორმებში; I და II პირის ფორმებში კი დამატებით შემოდის -ოდ სუფიქსი — ხევსურულსა და თუშურში, -ოდ სუფიქსი — ფშაურში:

ხევსურულ-თუშური:

გა-ვ-თიბ-დ-იდ-წ

გა-ს-თიბ-დ-იდ-წ

გა-ს-თიბ-დ-ი-ს

ფშაური:

გა-ვ-თიბ-დ-ოდ-ი

გა-ს-თიბ-დ-ოდ-ი

გა-ს-თიბ-დ-ი-ს

II ხოლმეობითი

გა-ვ-თიბ-იდ-წ

გა-ს-თიბ-იდ-წ

გა-თიბ-ი-ს

გა-ვ-თიბ-ოდ-ი

გა-ს-თიბ-ოდ-ი

გა — თიბ-ი-ს

მეორე ჯგუფის დიალექტებში ხოლმეობითის წარმოება ხდება -ო- სუფიქსისა და -ყე/-კე მორფემოიდების დართვით;

აღნიშნულ დიალექტთაგან ცალკე უნდა გამოიყოს მოხეური, რომელიც გრამატიკულ თვალსაზრისით რიგ თავისებურებებს გვი-

ჩვენებს. მეტად საყურადღებოა ხოლმეობითის მწკრივის ფორმების ხშირი გამოყენება მოხეურ მეტყველებაში. ამ დიალექტში ხოლმეობითის წარმოება, უმეტეს შემთხვევაში, ძველი ქართულის წესს იცავს. ჩვენ მიერ განხილულმა მასალამ გამოავლინა ხოლმეობითის სამგვარი წარმოება, რომელთაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ: ორგანული (I), კონტამინირებული (II) და -კე ნაწილაკიანი (III). ამათგან ორგანული (I) წარმოება გააერთიანებს იმ ფორმებს, რომლებიც ძველ ქართულში ცნობილია ხოლმეობითის მწკრივთა სახელით; კონტამინირებული (II) მოიცავს ფორმებს, რომლებიც წარმოშობით ორგანული წარმოებისაა, მაგრამ მნიშვნელობის გასაძლიერებლად -კე ნაწილაკი დაურთავს, და ბოლოს, -კე ნაწილაკიანი (III) წარმოება, როცა ნებისმიერი მწკრივის ფორმას შეიძლება -კე ნაწილაკი დაერთოს და გამოხატოს ხოლმეობითისთვის დამახასიათებელი მრავალგზისობა. მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, I და II წარმოება ძალზე დამახასიათებელი, თითქმის ტრადიციულია უფროსი თაობის მეტყველებისათვის, II და III წარმოება კი — ახალგაზრდა თაობისათვის, რომელთა მეტყველებაშიც თითქმის დაკარგვის გზაზეა I ანუ ორგანული წარმოება ხოლმეობითისა. მაგრამ თქმა იმისა, რომ ხოლმეობითის ფორმები უკვე იშვიათია მოხეურ დიალექტში — შეუძლებელია. რა თქმა უნდა, წარმოება, ფორმა, გამოხატულება ნელნელა იცვლება, მაგრამ ხოლმეობითის მწკრივის მიერ გამოხატული მრავალგზისობა მოხევეთა მეტყველებაში ჯერ კიდევ ფესვამდგარია.

განხილული მასალის მიხედვით გამოიყო ორი ძირითადი მწკრივი — უწყვეტლის ხოლმეობითი და II ხოლმეობითი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ III ხოლმეობითის (ე. წ. II თურმეობითის ხოლმეობითი) ფორმები მოხეურ მეტყველებაში არ არსებობს. ეძლიის (იქძლივის), ეძინის, ექორწინის, გეებნის, დეეთესის; ეგესრულის, ეკვებნის, ეუბნის, ეთქვის ფორმები უფროსი თაობის მეტყველებისთვის ჩვეულებრივია. აქვე შევნიშნავთ, რომ განხილულია აკ. შანიძის, ივ. ქავთარაძის მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული, აგრეთვე ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ყაზბეგის რაიონში 1989 წელს ჩატარებული ექსპედიციის დროს ჩაწერილი მასალები. გარკვეულ შემთხვევაში კი, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა გვაქვს მოხმობილი.

ორგანული წარმოება. როგორც უკვე ითქვა, მრავალგზისობის მნიშვნელობას ძირითადად გამოხატავს ორი მწკრივი: უწყვეტლის ხოლმეობითი და II ხოლმეობითი.

უწყვეტლის ხოლმეობითი: „მილამდე საჯნავად გავიდოდით, ერთი-ორი დღით ადრე ძოღებურს კარებზედა ჯორს დაუსომდით თხლად“ (ქავთარაძე, 1985, გვ. 84, 10); „აი, ზამთრის რო თოვლი მოიდისკე, თოვლი, დიდი მარკილებია, თივას რო ზიდვენკე, წავიდოდით, აი, ზეთ, სათიბოანთ ვეძახით, იქ ავსხდით, იქ დავსხდებოდით, ჩამოგქანდებოდით აქა მარკილებითა“ (მასალები, ყანობი, 11); „იქ წავიდოდით და ვილოცვიდით(კე) სუყელანი“ (მასალა ჩვენია); „სადლობელი ჩამაკიდებული გვქონდის საბლებით“ (მასალები, სნო, 26); „ჰქონდა მანდალინაი, უკრავდის, და მღერობდის იმაზე, გორთობდის“ (მასალები, გერგეტი, 7); „ჯოგი რო მოდიოდა... საქონლის ნახირი, იპარავდიან თურმე“ (მასალები, ფხელმე, 21).

II ხოლმეობითი: „ექიმთან მივიდი, გამამიწეროს წამალი და როგორც დამარიგის, ისე უწამლიდი“ (მასალები, ცდო, 3); „გამოიტანით კარზინეები იყო ადრე, იმ კარზინეებითა მატყლი ვიყიდით და წავიდით გახარებული“ (მასალები, ხურთისი, 7); „მანდ ჩავიტანით, დავფქვით და ამოიტანითკე“ (მასალები, ცდო, 4); „მოვწველითკე, ჩავწურით და ღალაზე მივიდოდით, ღალა დავაყენით“ (მასალები ყანობი, 9); „ის ყენი შაკმაზიან და დიდი ქალღლის ქუდი გაუკეთიან“ (მასალები, ცდო, 21); „იმ ღამეს იქ იქეიფიან, დაკლიან საკლავი, მახარშიან“ (მასალები, გერგეტი, 22); „დასწუველიან ავი კაცი, დალოციან კარგი კაცი“ (მასალები, გერგეტი, 13).

ეგრეთ წოდებულ კონტამინირებულ ფორმებშიც ორი ძირითადი მწკრივი გვხვდება: უწყვეტლის ხოლმეობითი და II ხოლმეობითი.

უწყვეტლის ხოლმეობითი: „ჩქარ-ჩქარ ნადირობდისკე, მთამსვლელი იყო“ (მასალები, გერგეტი, 5); „ბზეს ვსცრიდითკე“ (მასალები, ხურთისი, 3); „ჩვენ ადრე, სავარცხელს ვეძახით, იმაზე ვჩერდითკე“ (მასალები, ცდო, 2); „ქერებს სთესდიანკე და კარტოფილსა“ (მასალები, ყანობი, 17); „ჩეჩნები გვეცემოდნიანკე, ცხვრებს გვტაცებდნენ“ (მასალები, კარკუჩა, 1); „თავ-თავისთვი ვთამაშობდითკე ბალები“ (მასალები, გორისციხე, 8).

11 ხოლმეობითი: „გახდისკე ჩხუბი“ (მასალები, ფხელშე, 5); „წითლები ეფარისკე“ (მასალები, გორისციხე, 32); „ისეთი კარგი იყო რო სულ ერბო მაიწკრინისკე, ისეთი მსუქანი იყო“ (მასალები, სნო, 28); „ზოგი არცვი იცნობდა, ეგრე დანიშნაიანკე“ (მასალები, ყანობი, 21); „ერთურთს უშველითკე მეზობლებმა“ (მასალები, სიონი, 33); „უწამლიდიკე და მოვარჩინიკე და საჩუქარს მამლევდიანკე“ (მასალები, ცდო, 4).

აღნიშნულის გარდა, მოხეურში ძალზე ხშირია -კე ნაწილაკის დართვა ნებისმიერი მწკრივის ფორმასთან მრავალგზისობის აღნიშვნის მიზნით. ფორმაწარმოების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მსგავი ფორმები ხოლმეობითად ვერ ჩაითვლება, მაგრამ შინაარსით კარგად ითავსებენ ხოლმეობითისთვის დამახასიათებელი მრავალჯერადი მოქმედების გამოხატვის შესაძლებლობას. განხილული მასალის მიხედვით, კე ნაწილაკი დაერთვის ძირითადად სამი მწკრივის ფორმებს: აწმყოს, უწყვეტელსა და მყოფადს.

აწმყო: „გალოცებთკე ბიჭებს, ხატზე მივიყვანთ“ (მასალები, კარკული, 14); „მერე ზოგს რას წამლობენკე და ზოგს რას“ (მასალები, ყანობი, 7); „ეგეთი ტაცული დადგებაკე ემ დედაკაცებისა რო შიგრეულაიაკე“ (მასალები, გერგეტი, 7);

უწყვეტელი: „იყო აღრე, იქ გადიოდენკე სალოცავადა“ (მასალები, ფხელშე, 5); „გვიჯავრდებოდის, არ გვიშობდესკე“ (მასალები, სნო, 32); „და ეხვეწებოდენკე ღმერთსა, ხატსა თავისებურად“ (მასალები, გორისციხე, 12); „რაიც უნდოდათ, იმას აკეთებინებდესკე“ (ქავთარაძე, 1985. გვ. 391, 10).

მყოფადი: „დოღს გააკეთებენკე“ (მასალები, ცდო, 22); „ავავსებთკე ვედრასა“ (მასალები, ხურთისი, 4); „ავა ის მთა და აი, ეს მთა ერთურთი წამოვაკე და აი, ამ რუფ-რუფ წავაკე და გაღმა გავაკე“ (მასალები, ყანობი, 12).

მოხეურ მეტყველებაში ხშირია უწყვეტლის ხოლმეობითის ან II ხოლმეობითის ფორმებთან თურმე ნაწილაკის გამოყენება, თუ თანამოსაუბრე ლაპარაკისას უნახაობას, დაუსწრებლობას უსვამს ხაზს. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, როგორი წარმოებისაა ფორმა: „ვინღაც ჰყვანია ერთი ჩვენებური იქა, საკლავს თურმე უჭოდისკე“ (მასალები, გერგეტი, 4); „ველჩი სქერებიყო ჩირადი, იმ ჩირადსა ანთებდიანკე თურმე აღრე“ (მასალები, სნო, 20); „ჩვენ

ხალხი თურმე გამაითხოვიან“ (მასალები, სიონი, 26); „თურმე მივიდის ის დევი და უკან ურმის ქელებს ამოუწივის თურმე“ (მასალები, სნო, 21); „ჩგუფად დეეცნიან სოფელს, აი, ემისთანა ბაღლებსა, თურმე ჩაუარიან სადმე კალოში და თურმე ღლეწ-დიან“ (ქავთარაძე, 1985, 120, 15).

ჩვენ მიერ გამოყენებული მასალა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ხოლმეობითის მწკრივთა ფორმების წარმოებას, მათ ცვალებადობას დროის მცირე მონაკვეთში და დავასკვნით, რომ ხოლმეობითებს მოხეურ დიალექტში ფართო ადგილი უკავია და მცირეოდენი ფორმაცვალებით აქტიურად არსებობენ როგორც უფროსი, ისე მომდევნო თაობების მეტყველებაში.

ლიტერატურა

ქავთარაძე, 1961 — ივ. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.

ქავთარაძე, 1985 — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

ჯორბენაძე, 1995 — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

ჯორბენაძე, ხელნაწერი — ბ. ჯორბენაძე, ასპექტი ქართულში, 1983 (ხელნაწერი).

ბრძნობა—აღქმის ზმნები ქართულში

გრძნობა-აღქმის სემანტიკის ზმნები მრავალ ენაში საგულისხმო ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს ქმნიან. ინდოევროპულ ენებში აღნიშნული ზმნები ფორმობრივად გარდამავალ ზმნებთანაა გათანაბრებული, მაგრამ გარდამავალ ზმნათაგან მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევიან. ინგლისურში ამ სემანტიკის ზმნები ვერ აწარმოებენ პროგრესულ ასპექტს (ლაიონზი, 1978, გვ. 334), ასევე განსხვავებულ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს ქმნიან გერმანულში (ბენვენისტი, 1974, გვ. 145). სპეციფიკურ სურათს გვიჩვენებს ეს ზმნები მთის კავკასიურ ენებში.

გრძნობა-აღქმის ზმნათა თავისებურებანი, გარკვეულწილად, რეალური პროცესების ანარეკლია. ფინკი წერდა: „იმის შესაბამისად, რომ ნერვები იყოფა ცენტრიპეტულად (სენსორული) და ცენტრიფუგულად (მოტორული), პროცესებში, რომელთა ენობრივი ასახვაც ხდება, უნდა გაირჩეს აღქმისა და მოქმედების პროცესები“ (ფინკი, 1950, გვ.120). აქვე აღსანიშნავია, რომ ენები, სადაც განსხვავება პროცესების ხასიათში (მოქმედება თუ აღქმა) თანმიმდევრულად იქნება ასახული შესაბამის კონსტრუქციაში, არ არსებობს, თუმცა ასეთი განსხვავება შეიძლება თავისუფლად გამოიხატოს თითოეულ კერძო შემთხვევაში განსაკუთრებული ფორმით. იმ ენის ნიმუშად, სადაც არა ყოველთვის თანმიმდევრულად, მაგრამ უცილობელი სიზუსტით არის დიფერენცირებული ეს პროცესები შესაბამის ზმნურ ფორმებში, ფინკი ქართულს მიიჩნევს (ფინკი, 1950, გვ.122).

ქართულში ეს დიფერენციაცია სისტემურ ხასიათს ატარებს. იგი გამოხატულია განსხვავებული კონსტრუქციებით, პირის ნიშანთა განაწილებით, გრამატიკული დროის წარმოების თავისებურებით და სხვ. კერძოდ, ამ ზმნებში განმცდელი, შემფასებელი პირი მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა, ხოლო განცდის, შეფასების საგანი (ფართო

გაგებით) — სახელობითი ბრუნვით; შესაბამისად, ზმნაში პირველი ე. წ. მანის რიგის (ობიექტის) ნიშნებითაა წარმოდგენილი, მეორე — ე. წ. ვინის რიგის (სუბიექტის) ნიშნებით. პირის ნიშნთა ამგვარი განაწილება ქართველოლოგიაში ინვერსიის სახელით არის ცნობილი. ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ გრძნობა-აღქმის ზმნებში განმცდელი პირი არ წარმოადგენს ტრადიციულ სუბიექტს. სწორედ ამას გულისხმობდა ა. დირი, როდესაც მიუთითებდა, რომ გრძნობა-აღქმის გამოსახატავად კავკასიურ ენებს გაცილებით უფრო შესაფერისი კონსტრუქცია მოეპოვებათ, ვიდრე ზოგიერთ ინდოევროპულ ენას (დირი, 1950, გვ.18).

გრძნობა-აღქმის ზმნათა ლექსიკურ-გრამატიკული ჯგუფის ჩამოყალიბება ქართულში, როგორც ჩანს, ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც დღესაც მიმდინარეობს. თანამედროვე ქართულში ამ ჯგუფში გართიანებულია: 1. უძველესი ფორმაციის ე.წ. მედიოპასიური ზმნები მიყვარს, მშია... ტიპისა, 2. -ობ თემისნიშნისანი ე.წ. მედიოაქტიური ზმნები დარდობს, ფიქრობს... ტიპისა, 3. ენიანი ვნებითები ეზიზღება, ეჯავრება... ტიპისა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გრძნობა-აღქმის ზმნათა მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმათა პარალელურ წარმოებას გვიჩვენებს. ისტორიულად დასტურდება სამი ფორმა: **ეჭუს, ეჭვობს, ეეჭვება**. ზოგი ფორმა ენის განვითარების მანძილზე იკარგვის (მაგ. ეჭუს), ზოგი ფორმის რეალიზაცია არ ხდება, ან შინაარსობრივ სხვაობას გვიჩვენებს. ამდენად, სინქრონულ დონეზე ამ ზმნათა პარალელური წყვილები გვაქვს. ენაში დადასტურებულია ა) უყვარს — ყვარობს, ბ) დარდობს — ედარდება და გ) პრცხენია — ერცხვინება ტიპის პარალელური ფორმები. ამათგან, უფრო ხშირია (ა) და (ბ) ტიპის წყვილები, რაც შეეხება (გ) ტიპს, ეს ზმნები უპირატესად დროის მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს. პარალელური ფორმები სემანტიკურად ძალზე ახლოს არიან ერთმანეთთან.*

ა) **სძულს** — მტრული გრძნობა, სიძულვილი აქვს ვისიმე ან რისიმე მიმართ, — ეჯავრება, სძავს.

სძულობს — იხ. სძულს.

* მასალა აღებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან.

უკვირს — გაკვირვება იპყრობს, გაკვირვებულია, გაოცებულია.

კვირობს — უკვირს.

ბ) **დარდობს** — დარდი აქვს, ნაღვლობს, წუხს.

ედარდება — რისამე დარდი აქვს, აწუხებს, ენაღვლება.

თაკილობს — სათაკილოდ მიაჩნია, არ კადრულობს.

ეთაკილება — სათაკილოდ, არასაკადრისად მიაჩნია, ეჩობთირება, ეუხერხულება, ეუკადრისება.

არის შემთხვევები, როდესაც პარალელურ ფორმათაგან ერთს დამატებითი მნიშვნელობა აქვს.

უყვარს — ნათესაური, მეგობრული სიყვარულის გრძნობა აქვს...

ყვარობს — 1. საყვარლად ჰყავს, 2. იხ. უყვარს.

უხარია — სიხარულს გერის, სასიხარულოა მისთვის.

ხარობს — 1. სიხარულს განიცდის, უხარია, გახარებულია.
2. იზრდება.

სხვა მედიოაქტივთა მსგავსად, პარალელური ფორმა გაიჩინა წუხს ზმნამაც.

წუხს — წუხილით არის შეპყრობილი, — ნაღვლობს.

ეწუხება — წუხილი იპყრობს, — წუხს, დარდობს.

უყვარს ტიპისა და ედარდება ტიპის ზმნები ორპირიანი ე.წ. ინვერსიული ზმნებია. ამდენად, პარალელური წყვილები ამგვარად უპირისპირდებიან ერთმანეთს:

ინვერსიული	არაინვერსიული	არაინვერსიული	ინვერსიული
უყვარს	ყვარობს	დარდობს	ედარდება
უკვირს	კვირობს	ნაღვლობს	ენაღვლება
უხარია	ხარობს	ფიქრობს	ეფიქრება
სძულს	სძულობს	თაკილობს	ეთაკილება
სურს	სურობს	ძვირობს	ეძვირება

ყვარობს ტიპის გაჩენა პირველი პირის აქტიურობის „მოძალეობამ“ გახადა შესაძლებელი (ჯორბენაძე, 1980, გვ.61). ასე შეიქმნა გრძნობა-აღქმის სემანტიკის -ობ თემისნიშნის ე.წ. მედიოაქტიურ ზმნათა ყალიბი, რომელიც ენამ ნასახელარ ზმნათა საწარმოებლად გამოიყენა: დარდი — დარდობს, ნაღველი — ნაღვლობს, ფიქრი — ფიქრობს.

ყვარობს ტიპის გაჩენასა და გრძნობა-აღქმის ზმნათა სუბიექტურ წყობაზე გადასვლას მკვლევართა ერთი ჯგუფი ქართველურ ენათა ნომინატივიზაციის (აქტივიზაციის) ტენდენციით ხსნის, მაგრამ ვდარდობ ტიპის ზმნებთან შედარდება ტიპის პარალელური ფორმების გაჩენა საექვოს ხდის ამ მოსაზრებას. როგორც ჩანს, ინვერსიულობა გრძნობა-აღქმის ზმნებთან ფუნქციურადაა დაკავშირებული.

გარდა ამისა, პარალელური ფორმების გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გრძნობა-აღქმის ზმნათა სემანტიკის ლაბილურობაში ვეძიოთ, რაც კარგად ჩანს სინონიმური პერიფრაზირებისას.

მიყვარს —
 — სიყვარული მაქვს
 — საყვარელი არის ჩემთვის

მძულს —
 — სიძულვილი მაქვს
 — საძულველი არის ჩემთვის

უნდა აღინიშნოს, რომ გრძნობა-აღქმის ზმნათა სამივე სტრუქტურული მოდელი ძველ ქართულშივე გვხვდება. ამათგან (1) — ე. წ. მედიოპასივები უძველესი ფორმაციის ზმნებია. როგორც გ. კლიმოვი აღნიშნავს, რომ ეს ზმნები ძველ ქართულშივე გადმონაშთის შთაბეჭდილებას ტოვებენ, როდესაც გაჩნდა დროები, ამ კლასს პროლუქტიულობა უკვე დაკარგული ჰქონდა (კლიმოვი, 1980, გვ. 126).

ს. ბიხოვსკაია გრძნობა-აღქმის ზმნათა შეზღუდვის ერთ-ერთ პირობად ამ ზმნათა „სუბიექტური“ კონსტრუქციის, კერძოდ, ყვარობ ტიპის გაჩენას მიიჩნევს, რაც ძველ ქართულში ჩაისახა (ბიხოვსკაია, 1936, გვ. 42). ამასთან, მისი აზრით, მიყვარს — ყვარობ მიმართება, განსხვავებით ინდოევროპულისაგან (იგულისხმება რუს. *мне нравится*, გერმ. *mir gefaellt* კონსტრუქცია), ფაქულტატიური კი არ არის, არამედ ყვარობ ტიპს ინჰოატივის მნიშვნელობა აქვს (ბიხოვსკაია, 1936, გვ. 33).

ძველ ქართულშივე ამ სემანტიკით უკვე გამოიყენებოდა ენიანი ვნებითის ფორმები. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში ზოგიერთი ზმნის ფორმათა ერთგვარი სიჭრელე შეინიშნება. მაგალითად, შურს ზმნის შემდეგი ფორმები დასტურდება:

შურს: ნუ გშურნ უკეთურთა ფს. 36.1.

შურობს: რომელი შურობდეს თავსა თვსსა ზირ. 16,6

ემშურობს: კაცსა ჰკლავთ და ემშურობთ იაკ. 4.2.

ემშურება: ემშურებოდა რაქელ დასა თვსსა 0, დაბ.30,1.

მოგვიანებით მოხდა ამ ფორმების გარკვეულ სისტემაში მოქცევა. აშკარაა, რომ ამ ფუნქციით გაერთიანებული ზმნები ფორმობრივი უნიფიკაციისაკენ მიისწრაფვიან. ქართული, მისი დიალექტები და სხვა ქართველური ენები ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურს ასახავენ.

ყურადღებას იქცევს უძველესი ფორმაციის ზმნები. თანამედროვე ქართულში ეს ზმნები ძირითადად შემდეგი ტიპისაა: მარტივ-ფუძიანები: მიყვარს, მშურს, მძაგს, მიკვირს, მძულს, მსურს, მწამს.; -ი სუფიქსიანი: მშია, მწყურია, მიხარია, მეშინია, მრცხენია, მწაღია, მჭობია... აგრეთვე, -ავ სუფიქსიანი: მძინავს, მღვიძავს, მნებავს. ეს ზმნები ორპირიანია, სუბიექტური წყობით უღლებისას პირველი და მეორე პირის ფორმები მეშველ ზმნას დაირთავს, რაც ძველი ქართულისათვის უცხოა. მაგ. თან. მიყვარხარ, გიყვარვარ — ძვ. მიყუარ, გიყუარ. ზოგი ზმნა მხოლოდ ობიექტური წყობით იუღლვის მაგ. მეშინია, მრცხენია.

აღნიშნულ ზმნებს არ ეწარმოება დიფერენცირებული ნამყო, ზმნათა უმრავლესობა II სერიის ფორმებს არ შეივსებს, რადგან მათი სემანტიკა გამორიცხავს ნამყო წყვეტილის არსებობას. როგორც აკ. შანიძე მიუთითებს, აღნიშნულ ფორმათა კლება ორგანულია და ძველთაგან თანდაყოლილი (შანიძე, 1980, გვ.485).

ფორმათა შევსება ხდება ძირითადად ახლად ჩამოყალიბებულ მწკრივებში — მყოფადის წრეში, თუმცა ზოგი ზმნა არც ამ ფორმებს შეივსებს მაგ. უკვირს. ამ ზმნათაგან ნაწილს III სერიის ფორმები ეწარმოება მაგ. ჰყვარებია, სძულებია. ნაკლულ ფორმათა შევსება შესაბამისი ვნებითის ფორმით ხდება. ზმნათა ნაწილს პრეფიქსიანი ვნებითი ეწარმოება და შესაბამისად მყოფადის მწკრივებში ამ ფორმებს ინაცვლებს: უყვარს — ეყვარება, სძულს — ეძულება, სურს — ესურვება. ზმნათა ნაწილი კი სუფიქსიან ვნებითს იწარმოებს და მყოფადის ფორმებსაც ამ ტიპის ვნებითით ივსებს: სძაგს — შესძაგდება, სწაღია — მოსწაღდება, ჰშია — მოშივდება, სწყურია —

მოსწყურდება, უხარია — გაუხარდება, ასევე ეწარმოება მყოფადი ნასახელარ ზმნას შურს — შეშურდება.

შეინიშნება სუფიქსიან წარმოებაზე გადასვლის ტენდენცია: ძვ. ეწყურება — თან. წყურდება, ძვ. შეეშოა* — თან. მოშივლა.

საერთოდ, თავს იჩენს ფორმობრივი უნიფიკაციის ტენდენცია. მაგ. თანამედროვე ქართულში აღნიშნულ ზმნათაგან მოქმედებითი გვარის ფორმები ძირითადად იწარმოება ა—ებ კონფიქსით, ამავე წარმოებაზე გადადის ის ზმნები, რომელთაც ძველ ქართულში სხვაგვარი წარმოება ჰქონდა: თან. აძაგებს — ძვ. სძაგებს.

არა სძაგებდეს მოყუასს თვსს (მამ.სწ. 244,27)

ცვლილება განიცადა ზოგიერთი ზმნის ფუძემაც, კერძოდ, სურს ზმნა თანამედროვე ქართულში ათემატური ფუძის მქონეა, ძველში კი -ი სუფიქსიანი იყო (სურის), შესაბამისად, ნამყო უსრულში (უწყვეტელში) თან. სურდა — ძვ. სუროდა. -ი სუფიქსიანი ზმნები თანამედროვე ქართულში -ია წარმოებაზე გადავიდა — შეიცვალა მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ს → ა მაგ. ძვ. ეშინის — თან. ეში-ნია.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართულის -ი სუფიქსიანი ფორმები თანამედროვე ქართულში განსხვავებულ რეფლექსს იძლევა. მაგალითად,

ძვ. ქართ. მტკივის	თან. ქართ. მტკივა*
მწყურის	მწყურია
მსურის	მსურს

როგორც ბ. ჭორბენაძე მიუთითებს, არ არის გამორიცხული ძველ ქართულში მათი შემთხვევითი მსგავსება, „ასევე დასაშვებია წარმოშობით ერთგვაროვან ფორმათა გვიანდელი გადაფასება განსხვავებულ სისტემებში“ (ჭორბენაძე, 1980, გვ.164).

საყურადღებო სურათს გვიჩვენებს გრძნობა-აღქმის ზმნათა აწმყოს ფუძისა და სახელზმნათა მიმართება (სუხიშვილი, 1976, გვ. 73; ოსიძე, 1963, გვ. 14).

* აწმყოს ფორმა *ე-შ-ე-ი-ს ვერ დავადასტურეთ.

• ამ ფორმისათვის ამოსავლად ივარაუდება *მ-ტკივ-ან (სუხიშვილი, 1976, გვ. 76).

საგულისხმოა ერთი გარემოებაც, თანამედროვე ქართულში ნაკლები მწკრივების შევსების ტენდენციაა, მაგრამ არის ზმნები, რომლებიც პირიქით, კარგავენ ზმნური დროების წარმოების უნარს. ასეთი ვითარებაა მესმის ზმნასთან. გრძობა-აღქმის ზმნათაგან განსხვავებით მესმის ზმნას ძველ ქართულში უღლების სრული პარადიგმა ჰქონდა: მესმის — მესმა — მსმენია, თანამედროვე ქართულში არც ამ ზმნას ეწარმოება ნამყო სრული (წყვეტილი). რაც, ჩვენი აზრით, ამ ზმნის გრძობა-აღქმის ზმნებთან სემანტიკური გათანაბრების შედეგი უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთქმულით არ ამოიწურება ის თავისებურებანი, რომელიც ამ ზმნებს ახასიათებს. როგორც ჩანს, გრძობა-აღქმის სემანტიკით ძველ ქართულშივე არაერთგვაროვანი ზმნები გაერთიანდა, ასევე მოხდა და ხდება ამ ლექსიკურ-გრამატიკული ჯგუფის გადაფასება ენის განვითარების მანძილზე. ამ სემანტიკურ ველში მოქცევა უდავოდ ახდენს გავლენას ზმნურ ფორმაზე. ამის მაგალითად გამოდგება ვწუხ ზმნა. მისი ამოსავალი მნიშვნელობაა „დახუჭვა“, ძველ ტექსტებში ჯერ კიდევ დასტურდება ამ მნიშვნელობით:

თუალნი მათნი დაიწუხნეს მ. 13,15 DE (იხ. სუხიშვილი, 1976, გვ. 40).

ფუძის შინაარსის ცვლამ, კერძოდ გრძობა-აღქმის სემანტიკურ ველში მოქცევამ, ზმნის სტრუქტურის ცვლილება გამოიწვია.

აშკარაა, რომ ამ ზმნების თავისებურებათა გასაღები მათი სემანტიკის სპეციფიკაში უნდა ვეძიოთ და კვლევა ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.

გრძობა-აღქმის ზმნათა ზოგადი გრამატიკული მნიშვნელობაა სტატიკურობა. იგი მოიცავს ისეთ ფუნქციებს, როგორც პასიურობა, მიუმართაობა, განგრძობითობა. ამ ზმნების მეშვეობით ენა აფასებს მოქმედებას, პროცესს, როგორც „უნებურს“ ანუ პიროვნების „არანებისმიერ“ აქტს. სწორედ აღნიშნულ ზმნებთან შეიმუშავა ენამ ის მოდელი, რომელიც თანამედროვე ქართულში საკმაოდ პროდუქტიული გახდა (იგულისხმება მაგ., გუნების ვნებითები).

აღნიშნულ ზმნათა სემანტიკური თავისებურებების კვლევისას საგულისხმოა გრძობადი აღქმის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მხარის გათვალისწინება. ამის მიხედვით გრძობა-აღქმის ზმნებში შეიძლება გამოიყოს: 1. „აღქმის“ ზმნები, რომლებიც აღქმის

პროცესს აღნიშნავს: ვხედავ, მესმის... 2. „მეგრძნებათა“ ზმნები, რომლებიც ადამიანის საარსებო მოთხოვნილებებს უკავშირდება: შშია, მწყურია... 3. „გრძნობის“ ზმნები, რომლებიც ემოციური მდგომარეობის გამოხატველია: მიყვარს, მსურს... 4. „შეთასების“ ზმნები, როგორცაა: მგონია, მეეჭვება...

სავარაუდოა, რომ ამ ზმნათა სემანტიკური კვლევა ქართული ენის არაერთ საინტერესო თავისებურებას წარმოაჩენს. ამავე დროს, ქართულის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა ექნება ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

შეჯამება

დაბ. — დაბადებაი, წიგნი ძუელისა აღთქმისანი, I, თბ., 1971.

იაკ. — იაკობისი კათოლიკეი, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, თბ., 1956.

მ. — მათეს სახარება, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979.

მამ. სწ. — მამათა სწავლანი, თბ., 1955.

ფს. — ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, 1960.

ლიტერატურა

ბენვენისტი, 1974 — Э. Бенвенист, общая лингвистика, М., 1974.

ბიხოვსკაია, 1936 — С. Биховская, Объективный строй verba sentiendi, Язык и мышление, т., VI- VII, М., 1936.

დირი, 1950 — А. Дирр, Рутилский язык, Тиф., 1911.

კლიმოვი, 1980 — Г. Климов, А. Алексеев, Тирология кавказских языков, М., 1980.

ლაიონზი, 1978 — Дж. Лайонз, Введение в теоретическую лингвистику, М., 1978.

* აქ თავს იჩენს ერთი საყურადღებო თავისებურება. სამყარო ივალთ ან; ხედვითი აღქმა ქართული ენის მიერ შეფასებულია როგორც პიროვნ ნებისმ, კერა აქტი, ხოლო სმენითი აღქმა როგორც უნებური, არანებისმიერი.

ოსიძე, 1963 — ეკ. ოსიძე, ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, თბ., 1963.

სუხიშვილი, 1976 — მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976.

ფინკი, 1950 — Ф. Финк, О якобы пассивном характере переходного глагола, Эргативная конструкция предложения, М., 1950.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 8 ტომად.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ., ტ. III, თბ., 1980.

ჯორბენაძე, 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმო-ბრივი და ფუნქციური ანალიზის საკითხები, თბ., 1975.

აღწერიითი წარმოებრიდან ორბანულზე გადასვლა ნასახელარ
ზმნებში ძველ ქართულში

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულ ზმნურ ფუძეთა უღვლილებაში აღწერითი ფორმებისა და ორგანული წარმოების ისტორიული შენაცვლება საკმაოდ შესამჩნევი და მნიშვნელოვანი ფაქტია. იგი ისტორიული გრამატიკის შესწავლის ერთ-ერთ საინტერესო და ამავე დროს რთულ უბანს წარმოადგენს. ქართული ენის ისტორიის შესწავლა გულისხმობს ფონეტიკური სისტემების თავისებურებისა და ისტორიული ცვალებადობის, ენის სიტყვიერი მარაგის, მისი სემანტიკური მხარის განვითარებისა და, რაც მთავარია, გრამატიკული სტრუქტურის თავისებურებათა გამოკვლევას. ქართული ენის ამ მრავალფეროვან საკითხთა: ა¹ საინტერესო ფაქტია, თუ როგორ შეიცვალა აღწერითი (პერიფრაზული ანუ ანალიზური) ფორმები ორგანული (სინთეზური) წარმოებით, როგორ გამოიხატა ამგვარად მორფოლოგიური წყობის განვითარება ქართულ ენაში (ქავთარაძე, 1964, გვ. 161).

ცნობილია, რომ მთელ რიგ ენებში საპირისპირო გრამატიკული კატეგორიების გამოხატვისათვის წყვილი ფუძეები რიგ შემთხვევაში არ მოიპოვება, რის გამოც სახელთა ბრუნებისა თუ ზმნის უღვლილების ნაკლულოვან ფორმათა შესავსებად სხვადასხვა საშუალებაა გამოყენებული (სუბლექტური, აღწერითი ფორმები და ა. შ.). სხვადასხვა სისტემის ენებში ერთ-ერთ ასეთ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს ნასახელარი ზმნების წარმოება. სახელური ფუძის მქონე ზმნათაგან უმეტეს შემთხვევაში არ ხერხდება გრამატიკული წყვილების (მაგალითად, მოქმედებითი და ვნებითი, სრული და უსრული ასპექტი, აწმყო და ნაწმყო...) წარმოება. რაც უფრო ძველ ვითარებასთან გვაქვს საქმე, მით უფრო აშკარაა ნასახელარ ზმნათა დეფექტური წარმოება.

ენის გრამატიკული სტრუქტურა საუკუნეების განმავლობაში

მუშავდებოდა — მდიდრდებოდა, იხვეწებოდა. ძველ ქართულში ვპო-
ულობთ სხვადასხვა ისტორიულ დანაშრეგებს, რომლებიც წარმოა-
დგენს ოდესღაც მოქმედი გრამატიკული წესების გადმონაშთებს.
ისიც შესაძინეია, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე გრამატიკული კატე-
გორია სხვადასხვანაირად გამოიხატება. ამის ერთ-ერთი ნიმუშია დე-
ფექტურ ზმნათა ისტორია ძველ ქართულში.

დადგენილია, რომ ქართული ზმნის უღვლილების ოდინდელი
სისტემა ემყარებოდა ასპექტის მიხედვით ცვლილებებს, დროთა გან-
მავლობაში ასპექტის სისტემა დროის კატეგორიამ შეცვალა. უძვე-
ლესი ქართულის თქვს და თქუა სწორედ ასპექტის მიხედვით
უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ერთასპექტიანი ზმნური ფუძეები კი
სუბლექტური წარმოებით ქმნიდა სათანადო პარადიგმას: უფის — ეს-
უა ტიპი იყო ასეთი ვითარების დამახასიათებელი.

ძველ ქართულში დრო-კილოთა მოქნილმა და რთულმა სისტე-
მამ განვითარებისა და განზოგადების სრული სახე მიიღო (ქავთარა-
ძე, 1964, გვ. 162).

უძველესი ასპექტური ფუძე ძველმა ქართულმა თანდათანობით
გამოიყენა დროის ნაკვთების გამოხატვისათვის ფუძის შეუცვლელად.
ცვლილებები ერთბაშად არ მომხდარა ენაში და კანონზომიერების
დამყარებასაც დიდ ხანი დასჭირდა. განვითარების რთული გზა განვ-
ლო ნასახელარი ზმნების წარმოებასაც.

ნასახელარი ზმნების დიდი ნაწილი ძველ ქართულში აღწერითი
წარმოებით არის წარმოდგენილი:

„ადვილ-ყვნა უფალმან მცნებანი თჳსნი“. ფსევდ., 185,15.

„ადვილ-უჩნ ყოველივე მცნებანი“. ფსევდ., 247,7.

„სუბუქ-უჩნ მას ყოველივე“. ფსევდ., 247,9.

„ამბორს-უყო ორთავ და განვიდეს“. მცხ. ტობ., 47,23.

„ამბორს-უყოფთ“. მც. სჯ., 65,30.

„ამბორს-მიყო“. მც. სჯ., 66,26.

აღწერითი ფორმებისაგან იწარმოება ორგანული ზმნები, რო-
მელნიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება იყოს მოქმედე-
ბითი, ვნებითი ან საშუალი გვარისა, იმავდროულად სუბიექტური
თუ ობიექტური წყობისა. ნასახელარ ზმნათა ორგანული წარმოების
პირველ ეტაპზე, ორგანული წარმოების შექმნის დასაწყის ეტაპზე,
ზმნათა კონვერსიულ ფორმებზე მსჯელობა ნაკლებდამაჯერებელია.

აღწერითი და, შესაბამისად, ორგანული წარმოება ზოგჯერ ერთსა და იმავე კონსტრუქციაში თანაბარი მნიშვნელობით იხმარება, მწერალი თუ გადამწერი იმ გვარის ფორმას შექნიდა, რომლის საშუალებასაც აღწერითი წარმოების სემანტიკა ადვილად აძლევდა. აღწერითი წარმოება მზამზარეულად გადმოდიოდა ორგანულ წარმოებაში: ადულ-ყვნა = გა-ა-ადვილ-ა — მოქმედებითი გვარის ფორმას მისცემდა; ადვილ-უჩნ = ეადვილება — ვნებითისას; ხოლო „ადვილ არს“ — საშუალისას.

ქართულ ენას მდიდარი სინთეზური წარმოების ბაზისი ჰქონდა. აღწერითი წარმოებიდან ორგანულზე გადასვლისას ნასახელარი ზმნის ფორმა კონტექსტის მიხედვით იქმნებოდა. აღწერითი წარმოების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, კერძოდ კი ზმნა, სამივე გვარის თითქმის ყველა მწკრივის ფორმით გვხვდებოდა. ამიტომ დრო-კილოთა ჩამოყალიბებისას ორგანული წარმოების ზმნათა სხვადასხვა მწკრივისა და გვარის მიხედვით წარმოება ენას არ გაუჭირდებოდა:

- „თავყვანის-ვსცემთ“. ძლისპ., 52,8.
- „თაყუანის-იციემების“. ბას. კეს., 77,28
- „თაყუანის-სცა უფალსა“. მცხ. იობ., 101,20.
- „თაყუანის-სცეს ღმერთსა“. ძვ. აღთქმ. აპოკ., 169,1.
- „მეფე-მყავ მე მის წილ“. მცხ.ნეშტ., 295,20.
- „მეფე-ყვეს იგი“. მცხ.ნეშტ., 328,26.
- „მზა-უყავთ ძმათა თქუნთა“. მცხ. ნეშტ., 350,27.
- „მზა-ყავ საუნჯე სხუად“. მცხ.ტობ., 44,12.
- „მზა-გყყოფიეს“. მცხ.ნეშტ., 338, 39.
- „მზიარულ-ყუნა იგინი უფალმან“. მცხ. ეზრ., 396,6.
- „ამა საქმესა რად სახელ-ვსდვათ“. ბას. კეს., 108,28.
- „ხოლო ემშაკად სახელ-ედების“. ბას. კეს., 67,7.
- „ვითარმედ წერილი ჩუეულებით ჰაერსა სახელ-სდებს“. ბას. კეს., 67,24.
- „სახელ-სდვით“. ბას. კეს., 71,14.
- „სახელ-გედვა შენ ცოლად“. ძვ. აღთქმ.აპოკ., 125,9.
- „ნოტია-ყონ ქუეყანად“. კაცისა აგ., 228,2.
- „ზარ-მაც სიტყუად თვრალობისათჳს“. ბას. კეს., 181,8.
- „ზარ-გაც შენ და უდებ“. ბასკ. ეს., 141,25.

აღწერითი წარმოების ზმნური კომპონენტები სუბლექტური წარ-
მოებითაც დასტურდება:

„რადთამცა თავს ვიდევით თხრად“. ექუსთ., 71,12.

„იგი ჰირნი თავს-ისხნა“. ბას. კეს., 8,31.

„თავს-იდებდეს მავნებელისა რადსამე შეყუარებასა“. ბას. კეს.,
75,32.

„თავს-იდებდიან“. ბას. კეს., 100,9.

„თულ-უყვნა მისლვად მისა“. მამ. ცხ., 14,37.

„თულ-ვასხენ იოსაფატს“. მცხ. მეფ., 197,14.

„თულ ჰყოფდეს თულითა“. მცხ. დავ., 177,6.

„თულს-უყოფდეს ნიკოდემოზს“. მც. სჯ., 65,21.

თუ აღწერითი წარმოების ზმნური ფუძეები თავისუფლად ვარი-
რებს დრო-კილოთა, გვარის, ობიექტური და სუბიექტური წყობის
მიხედვით, სახელური კომპონენტები ძირითადად უცვლელია. ისინი
უშეტესად წარფელობითის ფორმით დასტურდება:

„მე კეთილ-კადნიერ ვიქმენ“ ძ; ც-ში — მხიარულ-ვიქმენ. ძვ.
აღთქ. აპოკრ., 84,13.

„პატივ-გუცა, ჳელოვნებანი მოგუმადლნა“. ბას. კეს., 49,32.

„სათნო-უწრდეს სიტყუანი ესე“. მცხ. ივდ., 62,9.

„ამა საქმესა სახელ-ვსდვათ“. ბას. კეს., 108,28.

„სირცხვლეულ-ყუნა იგინი“. ივდ., მცხ., 77,5.

„რადმე სიტყუა-უგო“. იობ. მცხ., 134,25.

იშვიათად სახელური კომპონენტი წარმოდგენილია მიცემითი ან
ნათესაობითი ბრუნვის ფორმით:

„ამბორს-უყო ორთავ და განვიდეს“. მცხ.ტობ., 47,23.

„ამბორს-უყოფთ“. მცხ.სჯ., 65,30.

„ვერ ცნეს ვიეთმე ესე და გულს-იდგინეს მათ“. ექუსთ., 126,5.

„რადთამცა თავს-ვისხნეთ“. ბასკ. კეს., 217,9.

„თაყუანის-სცა უფალსა“. მცხ.ტობ., 101,20.

„თულს-უყოფდეს ნიკოდემოზს“. მცხ.სჯ., 65,21.

„უგელებელს-ყავ ბრალთა ჩემთა სიმრავლშ“. ძლისპ., 47,8.

„შურს-ყვენ მისგან“. მცხ. იგი., 284,12.

„ცხოველს-ჰყოფს სიკუდილისაგან“. ფსევდ., 326,24.

შდრ.:

„ცხოველ-ყვნეს“. ფსევდ., 349,12.

„თაყუანი-სცა უფალსა“. მცხ.იობ., 101,20.

შდრ.:

„თაყუანი-სცეს ღმერთსა“. ტობ., 169,1.

ძველ ქართულში სახელისა და ზმნის კომბინაცია ნასახელარი ზმნის აღწერითი წარმოებისას ქმნის რთულ ზმნას:

„გულისჴმა-ყვი“. ბას. კეს., 102,13.

„გულისჴმა-ყავ თავი შენი“. ბას. კეს., 71,26.

რთული ზმნის პირველი კომპონენტი ყოველთვის სახელია, მეორე კი — ზმნა. რთული ზმნის განვითარების შემდგომი საფეხურია ნასახელარი ზმნის ორგანული წარმოება: მეფე ყვეს = გააძეფეს. ნასახელარი ზმნის ორგანული წარმოების შექმნა თანდათანობითი ევოლუციის შედეგია. იგი ძველ ქართულში მიმდინარე პროცესია და ეყრდნობა ენაში არსებულ რთულ ზმნებს, რაც ძირითადად დამოკიდებულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამხმარე ზმნის გვარის, პირის, სუბიექტური თუ ობიექტური წყობის ფორმაზე. ამიტომაც არის, რომ ზოგჯერ მოქმედებითი გვარის გვერდით ვნებითი არ დასტურდება, ან პირუკუ. კონვერსიული სისტემა ნასახელარი ზმნებისა უფრო გვიანდელ ეტაპზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, როცა სინთეზური წარმოებიდან ენა ძირითადად გადასულია ორგანულ წარმოებაზე. აღწერითი წარმოებისაგან განტვირთულ ენას შესაძლებლობა ეძლევა, შექმნას კონვერსიული ფორმები, რაც ენის განვითარების კანონზომიერებას შეესაბამება. თვით ძველ ქართულში არსებული რთული ზმნის წარმოებას წინ უძღვის წინადადების გარკვეული კონსტრუქცია, სადაც განსაზღვრული არაა სახელისა და ზმნის ადგილი, მაგრამ ნასახელარი ზმნის აღწერითი წარმოება სახეზეა.

„იქმნა კაცი იგი ცოცხალ“. კიმ. I, 254,28 = განცოცხლა.

„იქმნა თუალები ყოვლისა მის ქალებისაჲ მრულ“. მამ. ცხ.,

305,4 = გამრულდა.

„იყვნენ ყურნი შენნი მორჩილ ჴმასა ვედრებისა ჩემისა“. მცხ.

დავ., 263,23 = დაემორჩილონ.

„ქმნა სახლი იგი წმიდა“. მცხ. ნეშტ., 298,13 = განწმიდა.

„იქმნა იგი მწუხარე ვჲ სიკუდილმდე“. კიმ. I, 279,32 =

დამწუხრდა

„ყვენე იგინი განმჴეცებულ და ველურ“. კიმ. I, 276,36 =

განვაძევე და განვაველურე.

„და იქმნა სლვად მისი გზასა მას“. კიმ. I, 130,26 = გაემგზავრა.
„იქმნის ადგილი იგი ნათელ“. ექუსთ., 37,19 = განათლდა.
„იქმნის პერულ“. ექუსთ., 56,17. შდრ.: პეროვინ.
„იქმნის მეყსა შინა მის ყოვლისაგან ოვერ“. ბას. კეს., 139,11
აოჯრდა.

„იყავნ სახელი შენი კურთხეულ“. ტობ. აბ., 128,15 =
იკურთხოს.

„ყავ სიყუარული ღმრთისათჳს“ — შეიყუარე. ლიმონ., 57,7.
„ყვენ თავნი თჳსნი ღმრთისათჳს ცოფ“ (= გაიცოფეს). მამ. ცხ.,
304,5.

„ყვნის იგინი მძლე“. შტბ. კრ., 377,35 = განაძლიერეს.

„რამეთუ მყავ მე მოწაფშ შენდა“. მამ. ცხ., 226,367.

„და მე მოწაფშ შენი ვიყო“ = დაგემოწაფო. კიმ. I, 169,5.

„იყავნ სახელი ოსაი კურთხეულ. კიმ. I, 256,29 = იკურთხოს.

ამოსავალი პირველი საფეხური ნასახელარი ზმნების აღწერითი წარმოების შექმნისა სწორედ ასეთი უნდა იყოს. პირველ ადგილზეა ზმნა და შემდგომ სახელადი ნაწილი. წინადადების გარკვეული წევრები შეიძლება ჰყოფდეს ზმნას სახელადი ნაწილისაგან. დროთა განმავლობაში ზმნური ნაწილი სისტემატურად სახელადი ნაწილის გვერდით ჩნდება:

„იქმნენ ბრძენ“ = განბრძენდი. სინ. მრ., 167,20.

„იქმნა ჳაბუკ“. ცხ.წმ.ანტ., 7,12 = განჳაბუკნა.

„და ქმნა ხატი მსგავსად ძისა თჳსისა“ = გამოიხატა. კიმ. I,
135,29.

„მაშინ საქმშ... იქმნა ცხად საჩინო“ = განცხადნა. შატბ. კრებ.
112,18.

„იქმნა იგი ქრისტიანე“ = გაქრისტიანდა. მამ. ცხ., 178,17.

„და იქმნა იგი მოხუცებულ“ = მოხუცდა. კიმ. I, 132,10.

„იქმნა ოვერ“ = აოჯრდა. მცხ.ივლ. 59,23.

„იქმნა იგი ბოროტ“ = განბოროტნა. კაცისა აგ., 187,11.

„მან ყვნა იგინი ნათელ“ = განანათლა. ფსევდ., 272,11.

„იქმნა იგი მწუხარე“ = დამწუხრდა. კიმ I, 279,32.

აღწერითი წარმოების შემდგომი ეტაპი ნასახელარ ზმნებში არის წყობის შეცვლა. სიტყვათა რიგის სახელური ნაწილი პირველ ადგილას დგება:

- „ბერწ იყო ადგილი“. ძვ. აღთქმ. აპოკრ., 340,15.
 „მსუბუქ იქმნების“. ძვ. აღთქმ. აპოკრ., 256,2/ „განთიად
 იქმნების“. ძვ. აღთქმ. აპოკრ., 389,27.
 „ვმა ყვიან ვაებით“. კიმ.ი, 287,10.
 „გულისვმა ყო ალექსი გულსა შინა“. კიმ.ი, 162,33.
 „ამბორს უყო მას“. კიმ.ი, 221,22.
 „მტყუე ყვნეს იგინი“. მამ. ცხ., 228,10.
 „ვმა უყო მას“. კიმ.ი, 318,24.
 „ბოროტ უყავნ მწირმან სახლსა მისსა“. მცხ. იობ., 123,14.
 „პატროსან ჰყო ცოდვად იგი“. ბას. კეს., 131,27.
 „შენთვს ღმერთი კაც იქმნა“. ბას. კეს., 27,12.
 „და ნაცარ იქმნეს ჯორცნი“. ძვ. აღთქმ. აპოკრ., 188,15.
 „წმიდა ვყავ მათგან ქუეყანად ჩემი“. იოდას., 103,16.
 „პატროსან ჰყო ცოდვად იგი“. ძვ. ქართ. მწერ. 4 ძეგლი, 103,25.
 „ფრთხილ იყვენით“. მამ. ცხ., 51,38.

ორგანული წარმოების ნასახელარი ზმნების ერთი ნაწილი ძველ ქართულშივე ჩაისახა და განვითარდა, რითაც შესაძლებელი გახდა ორგანულისა და აღწერითვის პარალელურად ხმარების შემთხვევათა დადასტურება:

- „სწორ ჩუენდა ჰყუენ იგინი. DE, შდრ.: დამასწორენ C, ო.ო.ძვ. რედ., 69,32.
 „აპა, ესერა, პური ჩემი მზა მიყოფიეს“. DE, შდრ. C „აპა, ესერა პური დამიმზადებიეს“. ო.ო.ძვ.რედ. 22,4.

საერთო წარმოების ყალიბი უკვე დადგენილი იყო ძველ ქართულში და ამ ყალიბით იქმნებოდა ორგანული წარმოების ზმნები.

ძველ ქართულ ენაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გამოიყოფა ერთი ნაწილი ნასახელარი ზმნებისა, რომელთაც შეიძლება აქტიური ლექსიკური ფონდის ზმნები ვუწოდოთ. ნასახელარი ზმნების სემანტიკა ასპარეზს უქმნიდა ნეოლოგიზმებისა და ხელოვნურ ფორმათა წარმოებასაც, რომელთა ნაწილი ვერ იკიდებდა ენაში ფეხს, არ მიჰყვებოდა ენის განვითარებას.

ძველ ქართულში ნასახელარ ხმნათა სამივე გვარის ფორმა (მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი) ძალზე პროდუქტიულია. მათ თავთავისი წარმოების მოდელები გააჩნიათ.

ლიბარატურა

კიკნაძე, 1949 — ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, დისერტ. ფილოლ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1949.

ქავთარაძე, — ივ. ქავთარაძე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან ქართულში: იკე, XIV, თბ., 1964.

შანიძე, 1981 — ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, თხზულებანი, II, თბ., 1981.

მან ნაცვალსახელის თავისებურება აპარულში

საგანგებო ყურადღებას იქცევს აპარულში (კირნათ-მარადიდისა და მაჭახლის ხეობის მეტყველებათა ჩათვლით¹) მესამე პირის ნაცვალსახელის შემცველი სინტაქსური კონსტრუქცია, როცა სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი III პ. ნაცვალსახელითაა წარმოდგენილი.

განხილვას ვიწყებთ კირნათ-მარადიდული მეტყველებიდან, რომელიც სინტაქსურ კონსტრუქციათა თავისებურებით გამოირჩევა (სურმავა, 1991, გვ. 79-94). კირნათ-მარადიდულში მოქმედი სისტემის თანახმად, გარდამავალი ზმნა პირველსა და მეორე სერიებში სუბიექტს მართავს მოთხრობითში, ხოლო პირდაპირ ობიექტს — სახელობითში. შესაბამისად, სუბიექტისა და პირმომართი ობიექტების მესამე პირის ნაცვალსახელებით გამოხატვის შემთხვევაში, ვიღებთ კონსტრუქციას: მან (S) + გარდამავალი ზმნა I-II სერიაში + ისი, ესე (O პირდ.) + მას (O ირ.). ამ ფორმულის ილუსტრაციას წარმოადგენს ქვემოთ მოტანილი მასალა:

„ის (მას) არ იცნობ შენ“.

„რატომ მეზარა (=მეწყინა), იცი, ესეც (ამასაც) გეტყვი“.

„დღუქძახე ნაჩალიქს და (ვ)უთხარი: რაა-მეთქი, ეს (ამას) შენ იჯები, თუ ჭარებმა იჯებიან-მეთქი“.

„ახლა ესეც (ამასაც) წერავს მაქა?“

„იმის შვა ასე ჩავასობლით ლამაზათ და ეს (ამას) რომ ჩავასობლით, ჩურეგი ასე მევე(ი)წევდით“ (ნავის აღწერილობიდან).

„აქ მოველი, რომ საკმელი არ მქონდენ (=გკქონდა), ბალახი ვკამდით — ქალშავამ, ქათამნაცარამ, ის (იმას) ვკამდით“.

¹ ამ ბოლო დროს (მას შემდეგ, რაც თურქეთის ქართველთა მეტყველება შესასწავლად ხელმისაწვდომი გახდა) გაჩნდა მოსაზრება რომ კირნათ-მარადიდისა და მაჭახლის ხეობის მეტყველება აპარულისაგან გამოიყოს და გაერთიანდეს ცალკე დიალექტურ ერთეულებში — ლივანურსა (ნთვალურსა) და მაჭახლურში (ფურტკარაძე, 1995; ცინცაძე და ფალავა, 1998).

„ახლა ომ კასრულები არი დიდვანი, ისინიც (მათაც) იქ აკეთებენ, მიწისა, აგურიც აკეთებდენ“.

„ტყეფლისა კორაო (საწებელი, კვაწარახი) გავაკეთავთ. ის (მას) პაწაჲ ამეშლებთ და გავლესავთ“.

„ხაპი თუ მაქვა (მაქვს), ის (მას) ჩავყრით, შავ ფხალს გემო აძლევს მეტი. ძალიც დავაწვავთ“.

„ლობიოს ჟავე ვიცოდით, ისიც (მასაც) ჩავდებდით დერგში“.

„თუ ტანკი მოჰდა ახლოს, ეს (ამას) ოთხივე ესრი“.

„ისიც (იმასაც) გეტყვით“.

„ახლა ეს (ამას) ახმობენ“.

„ბილა ვთამაშობდით, მან (იგი) გამემქნევდა ისი (მას, ჯოხს), თუ დაატოლა ამ ხეს, მისია, მან (იგი) დემწყებს“.

„ძველათ ეს კინის კოვზები არ იყო, მაგი(ს) მოხელე იყო ისი, ჰელიმ-ოლი, მან ყიდვიდა“.

„ხან აქ სოფელში წამოშდოდენ კალაიჩები (მკალაეები), ის (იმას) წამედლებდენ, ბაქირის სილა და მუჟაკალიებდენ, ფარა მისცემდენ“.

„მართვე რომ გამუა, ის (იმას) მევ(ი)ტანთ — ჯერა, და იქში ჩავყრით“.

„იმან (ლომი) თავი ამედლებდა, დეჲკიდვიდა“.

„ქორწილებზე ეს (ამას) გააკეთვიდენ, ვიცი, იშტე“.

ამავე დროს კირნათ-მარადიდულში დასტურდება მასალა, სადაც პირდაპირ ობიექტად III პირის ნაცვალსახელია და იგი ზმნასთან შეწყობილია არა სახელობითის (როგორც მოსალოდნელი იყო), არამედ მოთხრობითის ფუძით. ამ დროს სუბიექტიც (სახელით ან ნაცვალსახელით გამოხატული) და პირდაპირი ობიექტიც (III პირის ნაცვალსახელით გამოხატული) — ორივე მოთხრობითშია. მაგრამ საკმარისია პირდაპირ ობიექტად მესამე პირის ნაცვალსახელის (მან, მათ) მაგივრად სახელი ჩაჯდეს, რომ მისგან წესისამებრ სახელობითი ბრუნვის ფორმა მოითხოვოს ზმნამ. ამრიგად, ვიღებთ კონსტრუქციას: (S) მან ან სახელი მოთხრობითში + გარდამ. ზმნა I-II სერიაში + (O პირდ.) მან ან სახელი სახელობითში.

მაგალითად:

„იგზე ავლაჲ მან (იგი) მოკლეს“. (შდრ. იქვე: ღომიძიები მოკლეს).

„ღმერთმა მან (იგი) არ ჩამეიყვანა“.

„ქალის ჩამორჩობა მას დააბრალეს მეგერ და მანაც (იგი) ჩამოარჩეს“.¹

სოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მესამე პირის ნაცვალსახელის მოთხრობითის ფუძით პირდაპირი ობიექტი შესაძლებელია გადმოიყვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაცვალსახელის შესატყვისი სახელი (რომლის მონაცვლედაც იგი გამოდის) ადამიანის აღმნიშვნელია. ამრიგად, მან (მათ) პირდაპირი ობიექტი ყოველთვის ადამიანს გულისხმობს. დაპირისპირების საშუალებას ზემოთ მოტანილი მასალაც იძლევა: მაგალითების წყებაში, სადაც პირდაპირი ობიექტი ის(ი)/ეს(ე) ნაცვალსახელით იყო გამოხატული, აღნიშნული ნაცვალსახელი, გარდა ორიოდ შემთხვევისა („ის არ იცნობ შენ“, „მაგის მოხელე იყო ისი, ჰელიმ-ოლი“), არა-ადამიანის ჯგუფის სახელს ენაცვლებოდა. ის(ი)/ეს(ე) ნაცვალსახელით შესაძლებელია სახელობითში დასმული ვინ ჯგუფის სახელის შენაცვლება, მაგრამ მან ნაცვალსახელი სახელობითში დასმული არა-ადამიანის ჯგუფის სახელის მონაცვლედ, ჩვეულებრივ, არ გვხვდება.

ინფორმატორთა განმარტებით, მან ნაცვალსახელს (სახელობითის ფუნქციით) ხშირად განსაზღვრებითობის ნიუანსი ახლავს, აღნიშნავს, რა „ის თვითონ“.

კირნათ-მარადიდული მეტყველებისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კანონზომიერების მიხედვით, მოთხრობითბრუნვიან სუბიექტს გარდაუვალ ზმნასთან შეიწყობენ მხოლოდ მედიოაქტიურები (სისტემატურად) და აქტიური მოქმედების გამოხატველი დინამიკური ზმნები (ზოგჯერ). მაგრამ როცა ობიექტად III პ. ნაცვალსახელია, რომელიც ვინ ჯგუფის სახელის ფარდია, იგი, ჩვეულებრივ, მოთხრობითის ფუძით გვხვდება ყოველგვარ გარდაუვალ ზმნასთან — დინამიკურთანაც და სტატიკურთანაც. მაგალითად:

„ქურდი მან იყო“.

„მან რა იყო (რას წარმოადგენდა), ჰყვობა (უჭიშობა — მთქმ. განმ.) დაამტკიცა მისი!“

„მან მარტოა“.

„მარტვამ მანაა მეორე სართულზე“.

¹ ორი უკანასკნელი ნიმუში დამოწმებულია მ. ცინცაძის ნაშრომიდან (ცინცაძე, 1954, გვ. 17).

„შანც მონდომებული იყო (ს)წავლაზე“.

„შან ერთია (დედისერთას მნიშვნელობით)“.

„მეგერ შან მოზიარე ყოფილა ამ საქმეში“.

„შანც აქა სოფსაბჟო იყო-და“...

შედარების მიზნით შეიძლება მოვიყანოთ მასალა, სადაც ასეთ-სავე სიტუაციაში, იმავე ზმნებთან, III პ. ნაცვალსახელის ადგილას სახელი გვაქვს და იგი აუცილებლად სახელობით ბრუნვაშია:

„ჩემი ბაბაი-ძმა ჩაათჩი (მესაათე) იყენ, საათი აკეთებდენ“.

„აქ ომ სამხედროებო იყვენ, დაკლეს და შიკამეს ელბეთ-და ძროხები“.

„დელას ერთი შვილი იყო ჩემი ქმარი“.

„იქიდან ქალებო გამოთხოვებული აქაა და შობლები იქ არიან“.

„გალმა ჩვენებური ხალღები არიან, თურქებიც იყვენ“ და მისთ.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კირნათ-მარადიდულში შან ნაცვალსახელის სახელობითის ფუნქციით გამოყენება ყოველთვის არ არის განპირობებული აქ მოქმედ სინტაქსურ კონსტრუქციათა სისტემით (პირიქით) გარკვეულ შემთხვევაში ამ სისტემის საწინააღმდეგოა), ამ მოვლენის სათავე თავად შან ნაცვალსახელის ბუნებაშია საძიებელი. ამაში გვარწმუნებს შემდეგი გარემოება:

შან ნაცვალსახელის სახელობითის ფუნქციით გამოყენება მხოლოდ კირნათ-მარადიდულის სპეციფიკას არ წარმოადგენს. იგი შეინიშნება მთლიანად აჭარულში. აჭარულისათვის კი დამახასიათებელია არა ჰანურისებური, არამედ დასავლურ დიალექტთათვის ტიპური სინტაქსურ კონსტრუქციათა სისტემა. მაგალითად:

„ამიდატურამ გააკეთებია მათ სახლი თჳარა, შან ვერ გააკეთებდა“.

„შანაც მუშაოფს“.

„შენ ვერც შეიკუტვედი იმასო და არც, და შან მოგეკუტებოდაო“ (მოკუტება — ზურგზე შესმა, ზურგით ტარება).

ამ ნიმუშებში ყველგან შან ნაცვალსახელს სახელობითის ფუნქცია აკისრია. აჭარულში შან ნაცვალსახელის გამოყენების თავისებურებაზე მიუთითებს შ. ნიჟარაძე: „ქვემდებარე იშვიათად | სერიაშიც მოთხ. ბრუნვაშია, ოღონდ ქვემდებარე, ჩვეულებრივ, პირის ნაცვალსახელით უნდა იყოს გამოხატული. მაგ.; მარტო შან ეხმარება; თელი დღია გუუწყვედლაჲ მუშაოფს მან; მან ჰად

არის აქამდე, გო!“ (ნიჟარაძე, 1975, გვ. 156).

ზაზი უნდა გაეხვას, რომ აქარულში ყოველთვის, როცა მან ნაცვალსახელი სახელობითის როლში გვევლინება, იგი ვინ ჩგუფის სახელის მონაცვლეა.

შეიძლება დავასკვნათ: 1. კირნათ-მარადიდულში, ისევე როგორც საერთოდ აქარულში, მან ნაცვალსახელი თავისებურებას ამჟღავნებს: აღნიშნულ ფუძეს (მან), გარდა მოთხრობითისა, შეუძლია გარკვეულ შემთხვევაში შეასრულოს სახელობითი ბრუნვის ფუნქციაც.

2. მოთხრობითსა და სახელობითს ერთმანეთისაგან არ განარჩევს მან ნაცვალსახელი იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს აღნიშნავს, ვინ ჩგუფის სახელს ცვლის.

3. ამგვარი მოქცევით III პ. მან ნაცვალსახელი I და II პირის ნაცვალსახელთა, აგრეთვე ვინ კითხვითი ნაცვალსახელის გვერდით დგება.

ისმის კითხვა: მან ნაცვალსახელის თვისება — შეითავსოს სახელობითი ბრუნვის ფუნქცია, გარდა აქარულისა, თუ ვლინდება სადმე სხვაგან, ქართველურ ენებსა და მათ კილო-თქმებში?

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ზანურის მონაცემები. ზანურში III პირის ნაცვალსახელის სახელობითის აღსანიშნავად მეტწილად გამოიყენება ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძეები: თინა/ინა „ის“, თენა/ენა „ეს“ (მეგრულში), ჰეა/ია/ჰიმ „ის“, ჰადა/ადა/ჰამ „ეს“ (ჭანურში).

მეგრულ-ჭანურში III პ. ნაცვალსახელის მოთხრობითის ფორმაა მუ-ქ. ქართული მან ფუძის სრული ეკვივალენტი მუნ დასტურდება მეგრულში მხოლოდითი რიცხვის სახელობითში — მუ(ნ) „ის თვითონ“ და მრავლობითის ფორმებში: მუ-ნ-ეფი „ისინი“, მუ-ნ-ენქ „მათ“. ზანურში III პ. ნაცვალსახელი მხოლოდითშიც და მრავლობითშიც იბრუნვის არსებითი სახელის ბრუნების შაბლონის მიხედვით და მოთხრობითში დაირთავს ქ ბრუნვის ნიშანს: მუ-ქ, მუნენ-ქ (მეგრული), მუ-ქ, მუთეფე-ქ (ჭანური). ასევე იქცევა კითხვითი ნაცვალსახელიც მი(ნ) „ვინ“, მოთხრ. მი-ქ. აღნიშნულ ნაცვალსახელთა ამჟამად დადასტურებული ბრუნების სახე მიჩნეულია „მეორეულად, შედარებით ახალ პროცესად“ (ჩიქობავა, 1939, გვ. 170).

მეგრულსა და ჭანურში მუქ ნაცვალსახელს თავისივე ფუძის სახელობითშიც ეწარმოება. ჭანურში მოთხრობითის ფორმა (მუქ) მეორდება სახელობითშიც: მუქ მომჩუ „მან თვითონ მომცა“, მუქ

რენ — სიტყვა-სიტყვით „მან თვითონ არის“ (ჩიქობავა, 1939, გვ. 171), ხოლო მეგრულში სახელობითი გვაქვს მუ(ნ).

მუნ-ფუძიანი სახელობითი მეგრულ-ჭანურში სემანტიკურად მთლიანად ვერ ფარავს ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძით გამოხატულ სახელობითს. პირველს უფრო განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს, ნიშნავს „ის თვითონ“: ემუქ უწუ „იმან უთხრა“, მუქ უწუ „თვითონ უთხრა“ (ჩიქობავა, 1936, გვ. 74).

როგორც ვხედავთ, აჭარულში მან ნაცვალსახელის გამოყენება გამოავლენს იმავე თავისებურებას, რასაც მეგრულ-ჭანურში. ეს მოვლენა რომ მხოლოდ კირნათ-მარადიდულში გვქონოდა, შეიძლება შეგვეფასებინა როგორც ზანიზმი, რადგან ამ კუთხის მეტყველებას ზანურის (ჭანურის) ძლიერი ზეგავლენა ემჩნევა, რაც არ შეიძლება ითქვას მთლიანად აჭარულის შესახებ.

მეგრულ-ჭანურში მუნ-ფუძიანი სახელობითის არსებობის ფაქტს არნ. ჩიქობავა აფასებს, როგორც „მოთხრობითის ისტორიის თვალსაზრისით საგულისხმო ჩვენებას“ (ჩიქობავა, 1939, გვ. 170). იგი წერს: „ქართულ ბრუნვათა ისტორიაში მოთხრობითი წინ უსწრებს სახელობითს; ამიტომ იყო შესაძლებელი გვქონოდა მან მოთხრობითის გაგებით და არ გვქონოდა სახელობითი, და როცა ამის საჭიროება შეიქმნა, სხვა სიტყვა (იგი, ის) ჩვენებითი ნაცვალსახელი ესესხებინა მესამე პირის ნაცვალსახელსა და მით შეეევსო დანაკლისი“. „მოთხრობითი და სახელობითი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან: მხოლოდ ამიტომ იყო შესაძლებელი - სახელობითშიც გამოეყენებინა ვინ ნაცვალსახელს (და არ ესესხებინა ახალი ფუძე სახელობითისათვის). მოთხრობითისა და სახელობითის ურთიერთობა ამ მხრივ მარტო ვინ ნაცვალსახელიდან არ ირკვევა: ჭანურში ანალოგიური ფაქტი გვაქვს თვით მესამე პირის ნაცვალსახელის ბრუნებაში: მუ-ქ მოთხრობითიც არის და სახელობითიც. ამას მეგრულის ჩვენებაც შეიძლება დაერთოს: მრავლობითში მესამე პირის ნაცვალსახელი მუნ-ს იძლევა; ეს მუნ ქართული მან ნაცვალსახელის სრული ეკვივალენტი ჩანს: მან ქართულში მოთხრობითია, მუნ მეგრულში სახელობითია, ე. ი. მოთხრობითის ფორმა სახელობითადაც არის გამოყენებული“ (ჩიქობავა, 1939, გვ. 170). ამრიგად, არნ. ჩიქობავასთან ქართული ვინ და მეგრული მუ(ნ)/მუქ ნაცვალსახელთა თვისება სახელობითსა და მოთხრობითში ფუძეთა გაუდიფერენცი-

რებლობისა, ერთ დონეზეა განხილული.

მან-ფუძიანი ნაცვალსახელის სახელობითის ფუნქციით გამოყენების მოვლენაში ძალზე მნიშვნელოვნად გვეჩვენება ერთი გარემოება: **მან** (ზან. მუნ)-ფუძიანი სახელობითი ზანურშიც და აჭარულშიც ერთი და იმავე სემანტიკის მქონეა. აჭარულშიც **მან** ხშირად „თვითონ“-ს აღნიშნავს. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „თვითონ“, ჩვეულებრივ (ამოსავალში მაინც), ადამიანს გულისხმობს. აჭარულში მან-ფუძიანი სახელობითი მხოლოდ და მხოლოდ ვინ ჭგუფის სახელს მიესადაგება. ზანურში ასეთივე ვითარება ჩანს — მუ(ნ), მუქ (სახელობ.) მხოლოდ ადამიანის მიმართ უნდა გამოიყენებოდეს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: 1. მეგრულ-ჭანურსა და ქართული ენის აჭარულ კილოში შეინიშნება ერთი და იგივე მოვლენა: III პირის ნაცვალსახელის მოთხრობითის ფუძის გამოყენება სახელობითისთვისაც. 2. სახელობითი მოთხრობითისაგან შეიძლება გაუდიფერენცირებელი იყოს აღსანიშნი სახელის აქტიურობის შემთხვევაში, თუ III პ. ნაცვალსახელი ვინ ჭგუფის სახელის მონაცვლეა. 3. ამ თვისების გამოვლენით, III პ. ნაცვალსახელი I და II პ. ნაცვალსახელთა, ვინ კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნების ტიპს მისდევს. 4. ზანურსა და აჭარულში გვაქვს ნიშნები სახელობითში III პ. ნაცვალსახელის ფუძეთა (მან, ის) დანაწილებისა არსებითი სახელის ჭგუფის მიხედვით — ვინ ჭგუფის სახელთა შესატყვისია მან (ზან. მუნ) ფუძე, რა ჭგუფის სახელთა შესატყვისი კი — ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძე. გამორიცხული არ არის, აღნიშნულ მოვლენას თავდაპირველ ვითარებასთან მივყავდეთ.

ლიტერატურა

ნიჟარაძე, 1975 — შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.

სურმავა, 1991 — ნ. სურმავა, კირნათ-მარადიდული მეტყველების სინტაქსური თავისებურება: დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1991.

ფუტკარაძე, 1995 — შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტოპოკლარჭეთისა და მუჭაჭირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტ. დისერტ. ავტორეფერატი, თბ., 1995.

ჩიქობავა, 1936 — არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ. თბ., 1936.

ჩიქობავა, 1939 — არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თსუ შრომები, X, თბ., 1939.

ცინცაძე, 1954 — მ. ცინცაძე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი: რუსთაველის სახ. ბათუმის პედ. ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, ბათუმი, 1954.

ცინცაძე, ფალავა, 1998 — მ. ცინცაძე, მ. ფალავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.), ბათუმი, 1998.

მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული სტილის ლინგვისტური
ანალიზის წიგნიერთი საკითხი*

სტილური თავისებურებანი ავტორის მხატვრული აზროვნების, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულების, მისი ზნეობრივი კონცეფციების გამოვლენაა. ამიტომ ყოველი მწერლის ინდივიდუალური ოსტატობის დადგენა მისი სტილის კვლევით უნდა დაიწყოს. ის, რომ ავტორი სათქმელის გადმოსაცემად ირჩევს ამა თუ იმ ფორმას ან სტრუქტურას და უარს ამბობს ყველა დანარჩენზე, მისი ესთეტიკური მრწამსის მაჩვენებელია. ამიტომ, ენობრივი სტილი უნდა გავიგოთ როგორც პიროვნების მიერ სამყაროს თავისებური ხედვის ენობრივი გამოხატულება.

მიხ. ჯავახიშვილის თხზულებათა ანალიზის დროს ჩვენი მიზანი იყო გაგვეჩვენა, რა მხატვრული თავისებურებანი გააჩნობენ მის სტილს, როგორია ამ თავისებურებათა ენობრივი მექანიზმი და, რაც მთავარია, რა მხატვრული ღირებულება აქვს მას ნაწარმოებში, როგორია მისი ფუნქციური დატვირთვა.

1) მოულოდნელობის ეფექტი. მის არსს ქმნის ის, რომ მეტყველების აქტი ერთიანი განუწყვეტელი ჯაჭვია — ყოველი ელემენტი საფუძველია შემდგომისათვის. ადამიანის შემეცნება თანდათან ეგუება აზროვნების ამგვარ დინებას და მიჰყვება მას. მაგრამ საკმარისია დაირღვეს ეს თანმიმდევრობა, რომ აღქმის სისტემას „გაუჩინდება წინააღმდეგობის სურვილი მის მიმართ. შექმნილი წინააღმდეგობის გრძნობის დაძლევა მოითხოვს ძალას მკითხველისაგან და ამიტომ უფრო ძლიერად მოქმედებს მასზე“ (არნოლდი, 1973, გვ. 42-43). ამდენად, მოულოდნელობის ეფექტის დანიშნულება

* შრომაში გამოყენებული მასალა დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: მიხ. ჯავახიშვილის თხზულებათა ექვსტომეული, ტ. I, თბ., 1969 წ., ტ. III, თბ., 1973 წ., ტ. V, თბ., 1977 წ.

მკითხველზე ზემოქმედებაა.

მიხ. ჭავჭავიძის პროზაში მოულოდნელობის ეფექტი უმთავრესად მიიღწევა: ა) ერთმანეთთან შინაარსობრივად შეუთავსებელი ლექსიკური ერთეულების შეხამებით; ბ) შესიტყვებაში აზრობრივი კონტრასტით; გ) სინტაგმატური წყვილებით, რომლებიც შინაარსობრივად უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც უჩვეულო — ჩვეულებრივს; დ) სინტაგმატური წყვილებით, რომლებშიც ერთმანეთთან დაპირისპირებულია სულიერი და უსულო საგნები; ე) ზომადენობის მიხედვით საგანთა მკვეთრი განსხვავებით; ვ) სიტყვათა იმგვარი შეთანხმებით, როდესაც შინაარსით კონტრასტული სიტყვები ქმნიან ახალ ცნებას ან წარმოდგენილი ცნების შინაგან წინააღმდეგობაზე მიუთითებენ. განვიხილოთ რამდენიმე ნიმუში:

„... იქვე ოქროთი მოვარაყებული ნიშნები მოსჩანს ძალაუფლების და სასჯელისა: სამეფო გვირგვინი, ორთავიანი არწივი, კანონთა კრებული და ლამაზი რომაული კონა როზგისა“ (V, 284)¹

ჩვეულებრივ მეტყველებაში ფრაზა „ლამაზი რომაული კონა როზგისა“ ალოგიკურად უღერს, რადგან „ლამაზი“ ესთეტიკური ფენომენია და შეუძლებელია მისი დაკავშირება წამების იარაღთან — როზთან. მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთთანაა შეხამებული. უჩვეულო აქ აზრობრივი შეთანხმებაა, რადგან საკუთრივ ენობრივი თვალსაზრისით გრამატიკული ნორმა ზედმიწევნითაა დაცული.

„მოულოდნელობის ეფექტის“ მქონე ყოველ ნიმუშს აუცილებლად სდევს წმინდა მხატვრული ფუნქცია: ა) სიტუაციის ან ამ სიტუაციაში გმირთა მდგომარეობის წარმოდგენის საშუალებაა; ბ) ავლენს გმირისა ან მოვლენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებას; გ) გამოიყენება გმირის შინაგანი ბუნების და სულიერი მდგომარეობის წარმოსაჩენად.

„მასპინძლებო! მაპატიეთ, პარადოქსებით გავავსე ეს დარბაზი, რადგან მე თვითონ პარადოქსი ვაზლავართ. მოგვხსენებთ, კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების...“

— ქათამი მოართვით შადურსა, ქათამი“ (III, 258).

აქ ზაზი ესმება საზოგადოების ირონიულ დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ: ადამიანი თავის სულიერ ტკივილებს უხსნის თანამე-

¹ რომაული ციფრი აღნიშნავს ტომს, არაბული — გვერდს.

ნახეებს და პასუხად კერძს სთავაზობენ.

II. განმეორებით მიღწეული ექსპრესია. ერთი და იმავე ფორმის განმეორება, მკითხველის ყურადღების გამახვილების მიზნით, ჩვეულებრივი ფაქტია ლიტერატურაში. მიხ. ჭავჭავაძის პროზაში განმეორებადი ელემენტებია: სახელი, ზმნა, მაქვემდებარებელი კავშირი „მაგრამ“. განსაკუთრებით საინტერესოა ზმნის განმეორების სტილური დანიშნულება. ზმნა — შემასმენელი თავისთავად დომინირებული ერთეულია, იგი წინადადების ბირთვია. მოქმედების ორჯერ დასახელებით წინადადებას გაცილებით მეტი დინამიზმი ენიჭება. სახელთა განმეორებისაგან ზმნა-შემასმენლის განმეორება იმით განსხვავდება, რომ სახელის განმეორება ერთი წინადადების ფარგალში ხდება და ამიტომ ფრაზის რიტმულობაც გარკვეულწილად ზღვარდადებულია — ერთი წინადადების ფარგლებს არ სცილდება, ზმნა-შემასმენლის განმეორებისას კი ერთი და იგივე ელემენტი ერთი წინადადებიდან მეორეში გადადის. გამოიყოფა ორი შემთხვევა:

ა) განმეორებადი ელემენტები ემეზობლებიან ერთმანეთს:

„მან რაჟდენი იპოვნა და მასთან ერთად კიბის ბაქანზე მოუსვენრად მომლოდინე კლიმიაშვილს პირისპირ მიადგა, მიადგა და უთხრა“ (V, 212).

ბ) განსხვავებული ემოციური ეფექტის მქონეა ერთმანეთს დაშორებული დუპლეტური ფორმები. ამ შემთხვევაში, პირიქით, ზმნა-შემასმენელი წინადადების თავშია:

„მოაგონდა მარგოს წელანდელი დახვედრა, პირის მორიდება, (. .) მოაგონდა და მიუხვდა ანჩხლობის და ცრემლის მიზეზს. მიუხვდა, ჩაფიქრდა და მარგოს გულში ჩაიხედდა“ (I, 318).

ერთმანეთს საკმაოდ დაშორებული დუპლეტური ფორმები ავტორს საშუალებას აძლევს არ მოადუნოს მკითხველის ყურადღება, წარმართოს იგი მისთვის სასურველი მიმართულებით. ამასთანავე, განმეორებული შემასმენელი ახალს ყოველთვის „და“ კავშირით უერთდება.

განმეორებასთან განვიხილავთ შერწყმულ წინადადებასაც. მართალია, აქ მეორდება არა ერთი და იგივე სიტყვა, არამედ წინადადების ერთი და იგივე წევრი, მაგრამ სტილური დანიშნულება აქაც ჩვეულებრივი განმეორების ანალოგიურია:

„მნებავს კი არა, მსურს, მწყურია, მშიან“ (III, 324).

შემასმენლის მიხედვით შერწყმას ამ შემთხვევაში ის დანიშნულება აქვს, რომ ხაზი გაუსვას, გაამწვავოს, მეტი ექსპრესიულობით გამოხატოს სათქმელი. წინადადების წევრთა განმეორება ფრაზას უჩვეულო რიტმულობას ანიჭებს. დინამიზმი და რიტმულობა კი ეპიკური თხრობის მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

III. თანაგანცდის ფაქტორი. ამ სტილური ხერხისათვის ამოსავალია ის გაშუალებული კონტაქტი, რომელიც მყარდება მოქმედსა და თანამოქმედს შორის:

„გაყინული მარგო თეიმურაზს მიუჯდება, დალილ თავს მხარზე მიადებს, გადაქლევტილ ხელ-ფეხს ცეცხლს მიუშვერს, თვითონაც ტკბილად ატირდება და თეიმურაზსაც აატირებს“ (I, 402).

ავტორი გმირის თანამოსაუბრეს ამით თანამოქმედდაც აქცევს, ანუ გმირის სულიერი ექსპრესია იმავე ძალით გადაეცემა მეორე პიროვნებასაც (თვითონაც ატირდება და თეიმურაზსაც აატირებს). აქ ხაზი ესმება ემოციის სიძლიერეს: იმდენად ძლიერია განცდა, რომ იგი იწვევს თანაგანცდას.

IV. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის მონაცვლეობა. ეს თავისებურება ემყარება იმ ფაქტს, რომ „პერსონაჟის მეტყველება სხვადასხვა საშუალებით შეაღწევს ავტორის მეტყველებაში და ექსოვება მას. ამ გზით ერთი პერსონაჟის მეტყველება შეიძლება გადმოიცეს მეორე პერსონაჟის ან ავტორის მეტყველებით — ირიბი თხრობის სახით“ (არნოლდი, 1973, გვ. 243). მიხ. ჯავახიშვილის პროზაში ირიბი თქმა შემოდის გმირის (მთხრობელის) ფიქრის ან სათქმელის გადმოცემისას, რამდენიმე შემთხვევა გამოირჩევა იმის მიხედვით, თუ როდის ხდება პირდაპირი და ირიბი თქმის მონაცვლეობა: ა) დიალოგი საკუთარ თავთან: გმირი ესაუბრება შინაგან ხმას; ბ) ავტორი ლაპარაკობს გმირის ნაცვლად, ამ შემთხვევაში ავტორი გმირის სათქმელს მაშინ გვაცნობს, როცა გმირს უჭირს სიმართლის თქმა; გ) ორი მოქმედი პირის საუბრისას ერთ-ერთის მეტყველება ირიბი ნათქვამის სახით გვეძლევა:

„— ეხლა როგორ ბრძანდები, შენი ჭირიმე?“

ეხლა? ეხლა არა უშავს რა თეიმურაზს. ეხლა ძალიან ყოჩაღად არის. რა სთქვა თომამ? მაწონი მაინც შესჭამოს თეიმუ-

რაზმა?

— მ...მმადლობელი, თომაჯან, მ...მმადლობელი; არა მშვიან (...)
გამაცილებ?

არა, გენაცვა, არა“ (I, 327).

დ) პირდაპირი და ირიბი თქმა მონაცვლეობს მხოლოდ ავტორის მეტყველებაში: გმირის შესახებ თხრობა ჩვეულებრივ პირდაპირი თქმით ხდება, ხოლო მისი ფიქრის გადმოცემა — ირიბით.

პირდაპირი და ირიბი თქმის მონაცვლეობას ორი ფუნქცია აქვს:

ა) გამოავლენს გმირისადმი ავტორის პოზიციას; ბ) ავტორს აძლევს გმირის დახასიათების საშუალებას:

„მოსამსახურემ ყველაფერი მიაშობო... ავი დღე დაგადგა, მაგრამ... მაგრამ სოფიომ, რა თქმა უნდა, გული არ უნდა გაიტეხოს“ (III, 212).

გმირი არ ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, ტყუილის თქმა კი უჭირს. მისი დახასიათება ხდება არა აღწერით, არამედ მისივე მოქმედებით.

V. მეტყველების ლოგიკური მდინარების დარღვევის სტილური ფუნქციები. მეტყველების ნაკადში მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება ვლინდება. თხრობის ბუნებრივი მდინარების შეცვლა ამ დამოკიდებულებაზეც ახდენს გავლენას. მიზეზ-შედეგობრივი მიმართების ცვლას ერთი მიზანი აქვს: მეტყველების ლაკონურობა და მკითხველის ყურადღების გამახვილება არსებით ფაქტებზე. თხრობის ბუნებრივი მდინარების დარღვევის რამდენიმე სახე გამოირჩევა:

ა) ავტორი ან გმირი იძლევა დასკვნას მოვლენებზე, რომელთა გადმოცემა ჭერ არ დამთავრებულა:

„არტუმას მეგობარი მურა-ძალი ჩანჩურას შალვარს საშინლად ემტერება, ამიტომ შალვარის პატრონს იმის დაკრებაზე ბევრი დრო ეკარგება“ (I, 38).

ბ) აზრის ბუნებრივი გაგრძელება არა გვაქვს, არც მისი გაწყვეტა, მაგრამ გაკეთებულია ძალიან შორეული დასკვნა ისე, რომ წინათქმულსა და მომდევნოს შორის გამოტოვებულია მთელი წყება ამბებისა, რომელთა ლოგიკურ დასასრულად ჩაითვლებოდა ბოლო ფრაზა:

„ — ეგ კ...კიდევ არაფერი, ჰაერშიც დაფრინავენ.
და აუწერდა ავიაციის დღევანდელ ვითარებას“ (I, 283).

გ) თხრობის დინამიურობისა და აზრის ლაკონურობისათვის მიხ. ჭავჭავიძევილი ხშირად ტოვებს ზმნას:

ვიღუპები! ხმამალლა კი —

ჭაყოს თქვენთან საქმე აღარ გაქვს“ (I, 382).

ღ)ავტორი გმირის ნააზრევის მთქმელია, ამ ნააზრევს კი ისევ გმირი უკეთებს დასკვნას:

„უცხოელია ის დედაკაცი, ამიტომ —

— მე კარტული არ ვიცი“ (III, 141).

VI. წინადადებათა და სიტყვათა რიგის სტილური ფუნქციები. წინადადებათა და მათ შიგნით სიტყვათა მიმდევრობის გარკვეულ რიგს შემდეგი ფუნქცია აქვს: იგი ქმნის რიტმს ან, პირიქით, არკვევს მას. წინადადებათა განსხვავებული შინაგანი წყობა განაპირობებს მათ სტრუქტურულ სახესხვაობასაც:

ა) მარტივ გაუვრცობელში წინადადებებს არა მარტო ერთნაირი აგებულება აქვთ, წევრთა რიგიც კი უცვლელად გადადის ურთიერთმიმდევარ წინადადებაში. ეს განაპირობებს რიტმის იგივეობას:

„აბაზს აბაზი ედება, მანეთს მანეთი მოსდევს, თუმანი თუმნისკენ მიილტვის, სიცოცხლე კი მიდის“ (III, 370).

აქ რიტმი ემყარება სამწევრიან წინადადებათა მონაცვლეობას, წინადადების წევრთა თანამიმდევრობა ერთნაირია: დამატება-ქვემდებარე-შემასმენელი. ამგვარი შემადგენლობა განაპირობებს შინაგანი დინამიზმის აღმავალ ხაზს, რაც წევრთა ინვერსიული წყობითაა მიღწეული: ტრადიციული წყობა: ქვემდებარე-შემასმენელი-დამატება შეცვლილია. ავტორის სურს მკითხველის ყურადღება გაამახვილოს მოქმედებაზე. ამან განაპირობა წევრთა რიგის შეცვლა. წინადადების ჩამკეტის პოზიცია შემასმენლის პოტენციურ შესაძლებლობებს კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს.

ა) მარტივი გავრცობილი წინადადების სტრუქტურა განაპირობებს განსხვავებულ რიტმულ ნაკადს:

„თეიმურაზმა მიბლეთილი თვალები ძლივს გაახილა, შეკრული კრიჭა ძლივს გახსნა და მიღეული გული ძლივს მოიბრუნა“ (I, 325).

დამატებით აქ „ძლივს“ სიტყვის განმეორებაც ქმნის რიტმულ ეფექტს.

გ) რთულ თანწყობილ წინადადებაში შეიძლება გვქონდეს ბინარული სინტაქსური წყვილები, რომლებიც შინაგან რიტმს ქმნიან.

ემოციური მახვილი ზუსტად გამოყოფს მათ.

„მოწინავე წითელი დროშა / ახლა ზურაბს ეჭირა.

მის მიერ მოყვანილი ლაშქარი / იმ ზღვაში შთაინთქა.

თვითონ ზურაბი და მისი მეგობრები / ტრიბუნას მიეკედლნენ.

ის ორატორულ აღფრთოვანებით იმეორებდა / სხვების ნათქვამს“
(V, 213).

სტრუქტურულად მყარი ოთხწევრიანი ერთეული (სახელი პრედიკატი და ზმნა პრედიკატი) ქმნის ფრაზის შინაგან რიტმს, რითაც მიიღწევა თხრობის მდორე, აუჩქარებელი მიმდინარეობა.

დ) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ფრაზის პარამონიულობას განაპირობებს ის, რომ ერთ მიმდევრობაში მოქცეულია თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც განსხვავდებიან სინტაქსური დამოკიდებულებით, მაგრამ იგივეობრივნი არიან რიტმული სტრუქტურის თვალსაზრისით:

„ბოლოს, როცა ტირილით გული მოიოხა და ფიქრთა ბრძოლა გაათავა, წელმოწყვეტილი ნაკაცარი ძლივს წამოდგა და ზღაზვნით გზას გაუდგა“ (I, 328).

არ შეიძლება ითქვას, რომ წინადადებათა რიგი განპირობებულია მათი შინაგანი აგებულებით, რადგან ერთი და იმავე აგებულების რთული ქვეწყობილი წინადადება შეიძლება ერთ შემთხვევაში მოწესრიგებული. რიტმული სტრუქტურისა იყოს, მეორეგან კი წინადადებათა დაქვემდებარება დისონანსური რიტმის მისაღწევად იყოს გამოყენებული. ამ შემთხვევაში წინადადებათა რიტმული თანხმობა შეესაბამება მოქმედების განვითარების თანდათანობით პროცესს. მაგრამ საკმარისია თხრობის ამგვარი ნაკადი რაიმე მოულოდნელობით დაირღვეს, რომ ეს გავლენას მოახდენს მის რიტმზეც:

„ქეთო ზევით ავიდა, თავის ოთახში შევიდა, ფანჯარაში გაიხედა და მართა დაინახა, რომელიც ნელი ნაბიჯით ავიდა კუთხემდის და ფრთხილად მოათვალიერა ქუჩები“.

რიტმის მონაცვლეობა ავტორს საშუალებას აძლევს გამოიჩინოს ერთმანეთისაგან სხვა მხრივ განურჩეველი მოვლენები, მკითხველის ყურადღება გაამახვილოს მისთვის მნიშვნელოვანზე. ამასთანავე სხვადასხვა აგებულების წინადადებათა მიმდევრობითი განაწილება ავტორს მხატვრული ფუნქციითაც აქვს გამოყენებული: მასში ვლინდება რო-

გორც მწერლის, ისე პერსონაჟის მხატვრული აზროვნების თავისებურებები, მწერლის პოზიცია მოვლენათა მიმართ.

VII. ტროპის სახეობათა სტილური დანიშნულება. მხატვრული სახე ენობრივი საშუალებებით რეალიზდება. ამიტომ ენობრივი სტილის ანალიზის დროს პოეტიკის საშუალებები უნდა განვიხილოთ როგორც გარკვეული ენობრივი კონსტრუქციები. მიხ. ჭავჭავიძის პროზაში გვხვდება ტროპის სახეთა როგორც ტრადიციული, ისე ახლებური ფუნქციით გამოყენება:

ა) ეპითეტი ძირითადად ტრადიციული დანიშნულებით გამოიყენება — დგას განსასაზღვრი საგნის წინ და რაიმე ნიშნის მიხედვით განმარტავს მას.

მიხ. ჭავჭავიძისათვის დამახასიათებელია ტროპთა განმეორება ფრაზის შიგნით, მხოლოდ განსხვავებული მხატვრული ფუნქციით — თუ ერთ შემთხვევაში იგი პერსონაჟის დახასიათებისთვისაა გამოყენებული, მეორედ — მწერლის პოზიციის გამოსავლენად.

ბ) გაპიროვნების შინაგანი ბუნება — სულიერის თვისების მიწერა უსულოზე მოქმედების დინამიურობის გასაძლიერებლადაა გამოყენებული:

„სკამი გარახუნდა და ფეხები გაფშოკა, საფერფლემ გაიკახუნა და ძირი ჰერს მიუშვირა“ (I, 166).

გ) შედარების ბუნება კონკრეტულ-შეგრძნებადია, სახიერი, რაც აღმნიშვნელისა და აღსანიშნის საერთო ნიშნების წარმოჩენის სურვილითაა განპირობებული. ხასიათის მიხედვით შედარება ორგვარია: ტრაფარეტული და ორიგინალური. ორიგინალურია შედარება „თეფშევით გაიბადრებოდა“ (I, 218), რადგან ასეთი სემანტიკა („გაბადრული თეფში“) მოულოდნელია მკითხველისათვის.

დ) მეტაფორის სამი სახეა ცნობილი: მეტაფორა არსებით სახელთან, ზედსართავთან და ზნანსთან. სამივე სახე გვხვდება მიხ. ჭავჭავიძის პროზაში. მეტაფორას ის ფუნქცია აქვს, რომ დაფარული შედარების საშუალებით სათქმელის ექსპრესია გააძლიეროს და მოგვაწოდოს მოვლენებზე დამატებითი ინფორმაცია. დიდ როლს თამაშობს მოულოდნელობის ფაქტორიც:

„და ბაზრისაკენ ღელვით მიდის მატყლის ლეები“ (III, 62).

ე) სიმბოლოთა გამოყენება როგორც ტრადიციულისა, ისე ორიგინალურისა, იშვიათია მიხ. ჭავჭავიძისთან. ტრადიციული სიმ-

ბოლოებიდან საინტერესოა ბიბლიური „უძღვები შვილის“ — როგორც ურჩისა და ბოლოს მაინც მონანიეს — მხატვრული ტრანსფორმაცია. ინდივიდუალური სიმბოლო ავტორის მხატვრული აზროვნების თავისებურებას ავლენს, ძირითადად კი ლაკონური თხრობისა და მოულოდნელობის ეფექტის მიზეზითაა განპირობებული: „ბაქოც მალე გაწითლდა“ (III, 353). ნიშნავს, რომ იქ რევოლუციამ გაიმარჯვა. ზმნის სემანტიკური ნიუანსი (გაწითლდა-წითელი გახდა) მწერალმა მოხდენილად მოიმარჯვა და ამით ფრაზამ დიდი ექსპრესიულობა შეიძინა.

ზნირია შემთხვევები, როცა ფრაზაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება მეტაფორა და შედარება, ან მეტაფორა და ეპითეტი. როცა მეტაფორა მოსდევს შედარებას, მათ შორის აშკარა მიზეზ-შედეგობრივი მიმართება შეინიშნება. ასეთივე მიმართებაა მაშინ, როცა მეტაფორა სიმბოლოს უსწრებს, მაგრამ საკმარისია ტროპთა რიგი აირიოს, რომ აზრობრივ ურთიერთდამოკიდებულებას აღარ ექნება ადგილი.

„მე, მირიან ბორინთელი და ეს კაცი (...) კნაჭა ცხენები-ბივით მივათრევდით სწავლის ურემს ვერაზე“ (III, 8). აშკარაა, რომ შედარება („კნაჭა ცხენებივით“) საფუძველია მეტაფორისათვის („სწავლის ურემს“), მაგრამ გვაქვს სხვაგვარი ვითარებაც: „ქალაქს უთვალავი თვალი ყვითლად ჰქონდა დაჰყეტილი. ახლა კი სამხედრო პატრულებს ხალხი შიგნით შეერეკათ, სიცილი მოეკლათ, ქალაქი დაპყრობილ ციხესავით დაეუფლათ“ (V, 155).

მიუხედავად იმისა, რომ ფრაზა შინაარსობრივად შეკრულია, მეტაფორა („თვალი ყვითლად ჰქონდა დაჰყეტილი“) არავითარ აზრობრივ მიმართებას არ ამყარებს შედარებასთან („დაპყრობილ ციხესავით“).

ტროპული აზროვნება მარტო წყობილსიტყვაობის მიზნით არაა გამოყენებული. იგი მწერალს საშუალებას აძლევს დამატებითი ქვეტექსტით დატვირთოს ფრაზა, გაზარდოს წინადადების ექსპრესიული ძალა, გამოხატოს მოვლენათა მიმართ თავისი პოზიცია.

ლიტერატურა

არნოლდი, 1973 — И. Арнольд, *Стилистика современного английского языка*, Л., 1973.

ლექსებში „მალალი“ და „დაბალი“, როგორც ხმის სიღრმის
მახასიათებლები

ტრადიციულ ფსიქოლოგიაში არჩევენ ტონის სამ ძირითად თვისებას სიმაღლეს, სიძლიერესა და ტემბრს.

სიმაღლე ეწოდება ბგერის იმ თვისებას, რასაც გადატანითი მნიშვნელობით ბგერის სიწვრილეს ეძახიან.

ტონის სიძლიერე კი (громкость) ჰაერის რხევის სიძლიერეს (ნათაძე, 1986).

ივ. ჭავჭავიძის მიაჩნდა, რომ ძველ ქართულში სიტყვები „მალალი“ და „დაბალი“ აღნიშნავდნენ ბგერის როგორც ტონურ სიმაღლეს, ისე სიძლიერეს: „ცნობილია, რომ ქართულად მალალ-დაბალი, როგორც ხმის საკუთრივ სიმაღლ-სიდაბლის, ისევე სიძლიერის ცნებათა გამომხატველად იხმარება. ამიტომაც, რომ ერთი მხრით მალალი ხმა უმწვერვალეს ბგერათა გამომღების აღმნიშვნელია, მეორე მხრით ხმა-მალლად და ხმა-მალლივი ძლიერად წარმოთქმულ სიმღერას გულისხმობდა და გულისხმობს ეხლაც. მაგ. თეიმურაზ II-საც ნათქვამი აქვს, რომ ქორწინების წესით „მეფის წასვლის დროს ასტეხონ ხმა-მალლად თვით მაყრულებიო“ (ჭავჭავიძე, 1996, გვ. 255).

ვფიქრობთ, მოყვანილ მაგალითში არსად ჩანს „უმწვერვალესი“, ანუ მალალი ხმით მღეროდნენ, თუ დაბალი, ანუ ბოხი ხმით. „ხმა-მალლად“ კი მიუთითებს სიმღერის ძლიერი, ომახიანი ხმით შესრულებასზე.

ჩვენი აზრით, ძველ ქართულში „მალალი“ ხმასთან მიმართებაში იხმარებოდა „ღიდის“ სინონიმური მნიშვნელობით და აღნიშნავდა ხმის სიძლიერეს: „ჴმა-ყო იესუ ჴმითა ღიღითა (მრ. 15, 34, 37), ჴმითა მალლითა ღაღად-ყო (ლ. 1,42), ჴმითა ღიღითა აღიდებდა ღმერთსა“ (ლ. 17, 15).

ხმის სიძლიერის აღმატებული ხარისხის გამოსახატავად გამოიყუ-

ნებოდა „აღწევნული“ და „საშინელი“. „ქართველთა აღიზახნეს კმითა საშინელითა (ჯუანშერი, 153, 7), იზახდეს კმითა აღწევნულითა სპანი“ (ჯუანშერი, 155,8).

„ვეფხისტყაოსანში“ „ხმა-მალალი“ მოქმედებითი ბრუნვის ფორმების ნაცვლად გვხვდება ვითარებითი ბრუნვის ფორმით: „ხმა-მალლად ხმობდეს, იზახდეს, მოგვშორდეს სალმობანია“, „ფრიღონ სტირს, მოსთქვამს ხმა-მალლად“, „ხმა-მდაბლად კჳადრებს...“.

დ. გურამიშვილთან ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივ დაკარგულია და გვაქვს „ხმა-მალლა“. „რაც საიდუმლო გსმენოდეთ, ხმა-მალლა ნულარ ჰყვირითა“.

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში „მალალი“ ბგერის, ხმის სიძლიერის აღმნიშვნელია.

ბგერის ტონური სიმაღლე ძველ ქართულში აღინიშნებოდა სიტყვებით „მსხვილი“ და „წულილი“

ჟმა-მსხვილი — ბოხხმიანი

ჟმა-წულილი — წვრილხმიანი (ძვ. ქ. ელ.)

„ჟმაწულილი და ენამძიმე ვარ მე“ (გამოსვლ. 4,10)

ძველ სლავურში ხმის სიძლიერის აღსანიშნავად გამოიყენებოდა სამსაფეხურიანი სისტემა. ხმა იყო დაბალი (тихий, малый), საშუალო (умерень, в меру) და ძლიერი, მაღალი (громкий).

„глаголетъ первый отъ митрополитовъ... малымъ гласомъ“ (Акты исторические, 1645-1652), „... гласомъ великымъ вопиюща“ (Великие Минен Четии, список XVI в).

ხმის ტონური სიმაღლის აღმნიშვნელი სიტყვები კი იშვიათად, ეპიზოდურად გვხვდება „Ектор... храбор, тяжкогласень“ (Хроника Иоанна Малалы, XIII в).

სპეციალურ მუსიკალურ ლიტერატურაში კი ხმის ტონური სიმაღლის აღმნიშვნელი ტერმინების ხმარება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს (მაკეევა, 2000, გვ. 109).

ქართულ ენაში წვრილი ხმის, როგორც მაღალი ხმის, და ბოხი ხმის, როგორც დაბალი ხმის გააზრება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მუსიკალურ სისტემასთან.

სავარაუდოდ, ეს შეიძლება ყოფილიყო ნევზური ნოტაცია. ნევზური ნოტაცია, რომელიც არ იძლევა მელიოდის ზუსტ ჩანაწერს და მიუთითებს მხოლოდ მიმართულებას, მკვიდროდა დაკავშირებული

შუა საუკუნეების მუსიკალურ პრაქტიკასთან.

„დადგენილია, რომ პალეობიზანტიური ხანის თითქმის ყველა ნეემი მიუთითებს არა ზუსტ ინტერვალურ ნახტომს, არამედ განსაზღვრავს მელოდის მიმართულებას“ (გერცმანი, 1988).

„მართალია ქართული ნეემები გაშიფრული არაა, მაგრამ გრაფიკული განსხვავებულობის მიუხედავად სავარაუდოა, რომ პრინციპი საერთო იქნებოდა ბიზანტიურთან, სლავურთან, ლათინურთან. მიქაელ მოდრეკილის (X ს). კრებულში გამოყენებული სამუსიკო ნიშნები, როგორც ჩანს მიგვითითებს მელოდის მიმართულებაზე ზევით ან ქვევით (ჩხიკვაძე, 1990).

გალობის დროს მელოდის ზევით, ანუ მაღლა ასვლის დროს ხმა წვრილდებოდა, ე. ი. ბგერის ტონური სიმაღლე იზრდებოდა და პირიქით, მელოდის ქვევით, ანუ დაბლა დაშვებისას ხმა უფრო და უფრო ბოხი ხდებოდა.

შესაძლებელია სწორედ ამიტომ მოხდა სიტყვებისათვის „მაღალი და წვრილი“, „დაბალი და ბოხი“ სინონიმური მნიშვნელობის მინიჭება.

ლიტერატურა

სარჯველაძე, — ზ. სარჯველაძე, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი. ჭავჭავაძის, 1990 — ივ. ჭავჭავაძის, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.

ნათაძე, 1986 — რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1986.

მაკეევა, 2000 — И. Макеева, Языковые концепты в истории русского языка. წიგნში: Язык о языке.

დონაძე, ჩიჭავაძე, ჩხიკვაძე, 1990 — კ. დონაძე, ო. ჩიჭავაძე, გრ. ჩხიკვაძე, ქართული მუსიკის ისტორია, თბ., 1990.

გერცმანი, 1988 — Е. Герцман, Византийское музыкознание, Ленинград, 1988.

შტო-გვარის სახელთა საზნობრივ-ლოგიკური
კლასიფიკაციის ცდა ჭართული ენის იმერული დიალექტის
მასალაზე

ცნობილი გამოთქმის მიხედვით ადამიანის გვარი სოციალური წარმოშობისაა. იგი წარმოიქმნება გარკვეულ სოციალურ ფენებში და ემსახურება მათ ინტერესებს. გვარები იგივე საკუთარი სახელებია, ოღონდ დამატებითი, მეორეული სახელები, რომელთა გაჩენა ისევ პრაქტიკულმა საჭიროებამ გამოიწვია. ადამიანთა დიფერენცირების ფუნქცია ბოლომდე ვერ იკისრეს ინდივიდუალურმა ანთროპონიმებმა და ამ „ხარვეზის“ შესავსებად კაცობრიობის კულტურული განვითარების პირველ საფეხურზევე პიროვნულ სახელს დაერთო მეორე სახელიც, რომელიც თანდათან ჩამოყალიბდა, როგორც გვარი. ადამიანთა ურთიერთგარჩევის მიზნით ენამ შეიმუშავა გვარ-სახელთა ლექსიკური ფონდი.*

სოციალური ურთიერთობები გარკვეული განსახლების პირობებში (სოფელი, დაბა) ხშირად ქმნიან ისეთ სიტუაციებს, როცა ოფიციალურად აღიარებული და დოკუმენტურად გაფორმებული გვარ-სახელი ვერ ასრულებს ადამიანთა დიფერენცირების ფუნქციას ე. ი. მოსახლეობის მჭიდრო თანაცხოვრების პირობებში ანთროპონიმთა დამთხვევის დიდი პროცენტის დროს იქმნება სიტუაცია, როცა ე. წ. საპასპორტო გვარ-სახელი უქმია. იგი ერთბაშად რამდენიმე პიროვნებას მიემართება. ასეთ შემთხვევაში აქტიურად ამოქმედდება პარალელური ანთროპონიმული სისტემა — შტო-გვარი, რომლის დართვა ძირითად გვარ-სახელზე აკონტროლებს და აზუსტებს დასახელებულ პირს.

შტო-გვარი განიმარტება, როგორც „გუფური ანთროპონიმი,

* ეს არ ნიშნავს, რომ ახალი ფორმები შეიქმნა. ეს არის უკვე არსებული სახელების ფუნქციის შეცვლა.

გვარის განაყოფის ზედწოდება“ (ცხადია, 1988, გვ. 128).

ივ. ჭავჭავაძის ერთ გამოუქვეყნებელ ნაშრომში აღნიშნული აქვს: „ძველ საქართველოში წესად ჰქონდათ, რომ საგვარეულო სახელების გარდა, გვარის სხვადასხვა შტოების გასარჩევად კიდევ დამატებით სახელწოდებასაც ურთავდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ, განმასხვავებელი სახელწოდება შემდეგში გვარის სახელადაც კი ქცეულა“ (დლონტი, 1986, გვ. 43).

არსებობს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომლის მიხედვითაც ჩოლოყაშვილი და მაცაშვილი ირუბაქიძის განშტოებაა, ბარათაშვილი — ქაჩიბაძისა და ყაფლანიშვილი — ორბელიანისა (დლონტი 1986, გვ. 43).

ალ. დლონტი თვლის, რომ „ყველაზე რელიეფურად ეს მოვლენა ამჟამად შემონახულია ქართული ენის ქიზიყურ დიალექტში (სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების მცხოვრებთა ყოფასა და მეტყველებაში). აქ გვარიდან აღმოცენებულია გამონაყოფი, ქვეგვარი რასაც საუბნო გვარი ეწოდება. ამის შესატყვისია ქართული დიალექტის კილოკავებში გავრცელებული სიტყვა — სახინჯარი (ხიჯ/მახინჯე/სემიდან) (დლონტი, 1986, გვ. 42). ვფიქრობთ, შტო-გვარის საერთოქართველური ტრადიციის სახელდება, აღწერა-კლასიფიკაცია უპრიანია მოხდეს არა ერთი რომელიმე ქართული დიალექტის მონაცემის საფუძველზე, არამედ შეძლებისდაგვარად ყველა კუთხის ჩვენების გათვალისწინებით.

შტო-გვარის გვართან მიმართება ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ უკვე შეიძლება იმის მტკიცება, რომ შტო-გვარის თვისება — გადაეცეს თაობიდან თაობას — საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მათზე, როგორც მეორეული გვარების შესახებ და ძირითადი ანთროპონიმული სისტემის გვერდით შტო-გვარების სახით გამოყოფის პარალელური ანთროპონიმული სისტემა.

ტერმინოლოგიური სიცხადის შემოტანა, ვფიქრობთ, უკავშირდება შტო-გვარის ქართველურ ენათა დონეზე შესწავლას. მართკომერულმა დიალექტმა¹ შტო-გვარის ოთხი შესატყვისი გამოავლინა:

¹ იმერულ შტო-გვარებზე საუბრისას, აქაც და ქვემოთ ვყარდნობით რამდენიმე თვის მანძილზე წყალტუბოს, ხონის, თერჯოლის, ვანის, სამტრედიის, ბაღდათის, ზესტაფონის, ხარაგაულის, კიათურის, საჩხერისა და ტყიბულის რაიონების 60-მდე სოფელში ჩაწერილ 150-ზე მეტი გვარის 600-მდე გვარზემეტი.

ქვემო (ვაკე) იმერეთის ძირითადი მოსახლეობა ამ მოვლენას იცნობს, როგორც — საგინებელი; პარალელურად გავრცელებულია მისაგნები; ზემო იმერეთში გასახელებელი. ოკრიბის ზონის სოფლებში გვარზემეტი, ასევე ცნობილია, რომ აბაშის რ-ნის ზოგიერთ სოფელში შტო-გვარს კილს უწოდებენ (კილი/გაკილ-ვა/საკილავი).

ტერმინი გვარზემეტი აღნიშნული მნიშვნელობით უკვე იყო ჩვენ მიერ გამოყენებული (იხ. ჩვენი ერთი მიკრორეგიონის პატრონიმიკური თავისებურებების შესახებ: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერმუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1992). მიგვაჩნია, რომ „შტო-გვარის“ გვერდით იგი შედარებით ყველაზე მეტად მიუთითებს ფაქტის არსსა და ფუნქციაზე. თხზვის პრინციპი (გვარზემეტი) გვიჩვენებს გვართან მის სიახლოვეს, გახზავს განსხვავებასაც. რაც მთავარია, „გვარზემეტში“ ემოციალური პლანი ნულის ტოლია, ამ რიგში განვიხილავთ „მისაგნებსაც“ (მიგნება/მონახვა). მართალია, ეს ტერმინიც მიუთითებს აღნიშნულ მოვლენაზე და დაკლილია ემოციისაგან, მაგრამ იგი ერთობ ვიწრო შემთხვევაზე მიგვანიშნებს და ცალმხრივად აღწერს შტო-გვარის ფუნქციებს.

მეორე წყება ტერმინებისა ამათგან ცალკე უნდა განვიხილოთ, რადგან მათში ემოციალური გამოხატულების ველი მთლიანად ფარავს ტერმინისათვის აუცილებელ აღწერის ფუნქციებს. ესენია: საგინებელი (გინება); გასახელებელი (გახელება); კილი (გაკილვა).

პ. ცხადაია თავის ლექსიკონში (ცხადაია, 1988, გვ. 66) შტო-გვარისათვის შესაფერისი ტერმინის შერჩევისას ეყრდნობა ქ. ძოწენიძის (ძოწენიძე, 1974, გვ. 620) მიერ ზემო იმერეთში მოპოვებულ ასორმოცდაათამდე შერქმეულ სახელს, რომელსაც თვითონ მკვლევარი მეტსახელებს უწოდებს. აქ ჭკუფური მეტსახელის ეს სახეობა კვალიფიცირებულია, როგორც მეტგვარი.

ბორჯომის ხეობის ქართლურში მეტგვარების განხილვისას ს. მე-ლიქიძე გვთავაზობს რამდენიმე ტერმინს: ლაღაბი სახელი; თი-კუნი; გასაბრაზებელი სახელი; სიგელი; გამოცვლილი გვარი; ოჯახის სახელი; მეტგვარი (მელიქიძე, 1983, გვ. 291).

შტო-გვარების სოციოლინგვისტური ანალიზისას თავს იჩენს ონომასტიკასა და სოციოლინგვისტიკას შორის მიმართების პრობლემათა მთელი სპექტრი. სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე განსხვავებული აზრია გამოთქმული, მაგრამ წინააღმდეგობას არ იწვევს ის ფაქტი, რომ სოციოლინგვისტიკასა და ანთროპონიმიკას აერთიანებს შესასწავლი ლექსიკა, რომელიც საკუთრივ ონომასტიკური კვლევის გვერდით სოციოლინგვისტური ანალიზის საშუალებასაც იძლევა. ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთი სპეციალისტი, მათ შორის ე. ბონდალეთოვიც (ბონდალიატოვი, 1970, გვ. 17-18), თვლის, რომ აუცილებელია გამოიყოს ე. წ. სოციალური ონომასტიკა, რომლის ობიექტი დაიდებოდა ონომასტიკისა და სოციოლინგვისტიკის გადაკვეთაზე.

აღნიშნული ანალიზისას უნდა დავეყრდნოთ იმ აზრს, რომ ანთროპონიმები რთული სოციალური მოვლენაა. ამიტომ მკვლევრები მათი სისტემატიზაციისა და კვალიფიკაციისას განსხვავებულ პრინციპებს იყენებენ. პრინციპი, რითაც ჩვენ მივუღდექით საანალიზო მასალას, გამომდინარეობს იქედან, რომ ანთროპონიმული სისტემა რთული სოციალურ-ისტორიული წარმონაქმნია, რომელიც ფუნქციონირებს კონკრეტულ სოციალურ პირობებში, როგორც ადამიანური ურთიერთობისა და აზროვნების აუცილებელი ელემენტი. ანთროპონიმები თავის მატერიალურ ფორმაში ატარებენ გარკვეულ ინფორმაციას მოცემული საზოგადოების მატერიალური თუ სულიერი კულტურის ისტორიის შესახებ. ამიტომ მიზანი ისეთი მეთოდის შერჩევა უნდა იყოს, რომლის საშუალებითაც უფრო ამომწურავად გავაანალიზებთ ამ ინფორმაციის მატარებელ ფორმას.

არსებობს ანთროპონიმების რამდენიმე კლასიფიკაცია:° ლინგვისტური (გრამატიკულ-ფონეტიკური ნიშნების მიხედვით), გენეტიკური (საწყისი სახელის მიხედვით), ლექსიკური; ექსპრესიულ-სტილისტიკური და სხვა. სასინჯმა კვლევამ აჩვენა, რომ მეტ-ნაკლებად მოსარგისი სოციოლინგვისტური ანალიზის მეთოდი შტო-გვარისათვის არის მათი საგნობრივ-ლოგიკური კლასიფიკაცია. ამ

° ეს კლასიფიკაცია გამოყენებულია სლავური ანთროპონიმების სოციოლინგვისტური კლასიფიკაციის ნ. ბახნიანთან იხ. *Антропонимика*, М., 1970, გვ. 64, თუმცა ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ კლასიფიკაციების პრინციპია სახელმძღვანელოდ აღებული, ხოლო წესები — მასალის სპეციფიკის მიხედვით — შეცვლილი.

კლასიფიკაციის წესებით საანალიზო მასალის გაწყობა ფორმისა და შინაარსის მიხედვით ორ დიდ ჯგუფს გვაძლევს. თავის მხრივ აქაც განირჩევა რთული და მარტივი (ფორმა) და დეტერმინატიული და კვალიფიკაციური (შინაარსი) ანთროპონიმები. ფორმის მიხედვით მარტივ შტო-გვარებს საფუძვლად მეტყველების ნაწილები აქვს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა, აქვეა ხმაბაძვითი (ბგერწერითი) სიტყვები. რთული წარმოდგენილი კომპოზიტები ასე ფორმულირდება: არსებითი სახელი + ზმნა; არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი; არსებითი სახელი + არსებითი სახელი; რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი; ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი. აქვე მოთავსდება ანთროპონიმების აფექსაციის არაქართული წესით, ქართველურ ენათა და არაქართული სიტყვებისაგან მიღებული შტო-გვარები.

შტო-გვარების შინაარსობრივმა პლანმა საშუალება მოგვცა გამოგვეყო შემდეგი ჯგუფები: ეთნოსის მიმანიშნებელი, პროფესიის, სამხედრო, სოციალური და რელიგიური მიკუთვნების ამსახველი, ასაკისა და ოჯახური ურთიერთობების გამომხატველი შტო-გვარები; აგრეთვე, პატრონიმებისაგან ჩამოყალიბებული. ცალკე დიდ ჯგუფს ქმნის კვალიფიციური შტო-გვარები, რომლებიც ჩამოყალიბდა მცენარეების, ცხოველების, ფრინველებისა და ქვეწარმავლების აღმნიშვნელი სიტყვებისაგან, რომლებიც გადმოგვცემენ სოციალურ და ინდივიდუალურ მახასიათებლებს, მათ შორის მორალურ-ფსიქოლოგიურს, მეტყველებრივ (საარტიკულაციო) გადახრებსა და თავისებურებებს, ლიტერატურულ-მითოლოგიური პერსონაჟების აღმნიშვნელ ტერმინებს, საყოფაცხოვრებო ნივთების სახელებსა და სხვა.

საბოლოოდ, ვიღებთ იმერული შტო-გვარების საგნობრივ-ლოგიკური კლასიფიკაციის ამგვარ სქემას:

ფორმის მიხედვით:

1) მარტივი შტო-გვარები: 1) არსებითი სახელებისაგან წარმოქმნილნი: ბაგირები (მხოლობითის ფორმა — ბაგირა); ბაბულები (ბაბულია); ბატები (ბატი); ბაწარები (ბაწარა); ბუზარები (ბუზარა); ბუიები (ბუია); ბურაკები (ბურაკი); ბუშიკები (ბუშიკა); გოდორები (გოდორა); დედუები (დედუა); ვახშამები (ვახშამა); ზაქები (ზაქი); თვალიები (თვალია); თუჯიები (თუჯია); კანჭები (კანჭა); კვალიები (კვალია); კვახიები (კვახია); კვერიკები (კვერია);

კოკორეები (კოკორა); კრუშკები (კრუშკა); კუდიანები (კუდიანი); კუმპალეები (კუმპალა).

2) ზედსართავი სახელებისაგან: ალალეები (ალალი); ბუმბერეები (ბუმბერა); ბუჟალეები (ბუჟალა); ბრიქები (ბრიქი); კეთილები (კეთილი); ქეციანები (ქეციანი); ჩენჩერეები (ჩენჩერა); ცეტები (ცეტი); მალეები (მალალი); ცქვიტები (ცქვიტი); ჭიუტები (ჭიუტი).

3) ზმნებისაგან, დალიეები (დალია); კრეჭიეები (კრეჭია); მანჭიეები (მანჭია); ყლაპიეები (ყლაპია); შოუწვიეები (შოუწვია).

4) რიცხვითი სახელებისაგან: ბათმანეები (ბათმანა).

5) ხმაბაძვითი სიტყვებისაგან: ბლუყუნეები (ბლუყუნა); ლულუნეები (ლულუნა); შხიფეები (შხიფი); წრიპინეები (წრიპინა); წრუპუნეები (წრუპუნა).

II. რთული შტო-გვარები: რომელსაც ქმნის 1) არსებითი სახელი + ზმნა: ბელტიყლაპიეები (ბელტიყლაპია); ბუზიყლაპიეები (ბუზიყლაპია); ბურღუგლეჩიეები (ბურღუგლეჩია); გობზეცუცქიეები (გობზეცუცქია); გოგიჭამიეები (გოგიჭამია); ვირიპარიეები (ვირიპარია); კარისტეხიეები (კარისტეხია); კაციჭამიეები (კაციჭამია); კვახჭამიეები (კვახჭამია); კოკრიჭამიეები (კოკრიჭამია).

არსებითი სახელი + არსებითი სახელი: აბრამიშვილები (აბრამიშვილი); გურულეიშვილები (გურულეიშვილი); დავითაშვილები (დავითაშვილი); დვალიშვილები (დვალიშვილი); თათარაშვილები (თათარაშვილი); კოზიაშვილები (კოზიაშვილი); ლოთიშვილები (ლოთიშვილი).

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი: სამფეხეები (სამფეხა); სამყურეები (სამყურა); ცხრაგვერდეები (ცხრაგვერდა); ცხრაჩულები (ცხრაჩულა); ორდოქეები (ორდოქა);

არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი: გულწითელები (გულწითელა);

ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი: მალაღიშვილები (მალაღიშვილი); ტკბილიკვერიეები (ტკბილიკვერი); ურჩიეშვილები (ურჩიეშვილი); ყრულაღიშვილები (ყრულაღიშვილი); მწარეკვახები (მწარეკვახი).

ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი: თეთრიგორგისშვილები (თეთრიგორგისშვილი); შავიგორგისშვილები (შავიგორგისშვილი).

ანთროპონიმების აფიქსაციის არაქართული წესი: მასტრედინები (მასტრედინი); ქრისტინინები (ქრისტინინი); ტრიკინები (ტრიკინი).

ქართველური ენების ლექსიკა: ჯოდორები (ჯოდორია).

არაქართული ლექსიკა: კრუმები (კრუმეა).

შინაარსის მიხედვით:

1. დეტერმინატიული შტო-გვარები, რომლებიც მიუთითებენ:

ა) ეთნოსს: დვალისელები (დვალისელი); ოსები (ოსი); ლეკები (ლეკი); ქართველიეები (ქართველია); ჭავახები (ჭავახი); გურულეისელები (გურულეისელი); თათარაშვილები (თათარაშვილი); კაკოურიები (კაკოურია).

ბ) პროფესიას (მოსაქმობის ხასიათი): მენაბდეები (მენაბდე); მეწელიეები (მეწელია); მეძაგრეები (მეძაგრე); მეწურბლეები (მეწურბლე); როსკიპები (როსკიპი); ბელტიყლაპიები (ბელტიყლაპია); ბუზიყლაპიები (ბუზიყლაპია); ბურდუგლეჩიეები (ბურდუგლეჩია); გობზეცუტქიეები (გობზეცუტქია); გოგოჭამიეები (გოგოჭამია); ვირიპარიეები (ვირიპარია); კარისტეხიეები (კარისტეხია).

გ) სამხედრო, სოციალურ და რელიგიურ მდგომარეობას: მაიორები (მაიორი); ლაშქარეები (ლაშქარი); ბუშიკეები (ბუშიკა); ურწმუნოები (ურწმუნო); ურჯულოები (ურჯულო).

დ) ასაკსა და ოჯახურ ურთიერთობებს: ბაბულიეები (ბაბულია).

ე) პატრონიმებს: აბრამაშვილები (აბრამაშვილი); ბეკინები (ბეკინა); დავითიშვილები (დავითიშვილი); ოთიაშვილები (ოთიაშვილი); ქრისტესიაშვილები (ქრისტესიაშვილი); ქრისტიანიჩები (ქრისტიანიჩი); თეთრიბესარიონიშვილები (თეთრიბესარიონიშვილი); შავიბესარიონიშვილები (შავიბესარიონიშვილი); ჭიჭიები (ჭიჭია).

2. კვალდიკაციური შტო-გვარები, რომლებიც ჩამოყალიბდა:

ა) მცენარეების აღმნიშვნელი სიტყვებისაგან: ბაძგვარეები (ბაძგვარა); ბურდუგლეჩიეები (ბურდუგლეჩია); ბუწალიეები (ბუწალია); კვახიეები (კვახია); კვახჭამიეები (კვახჭამია); კვირტიეები (კვირტია); კობიტეები (კობიტა); კუმპალეები (კუმპალა); მწარეკვახები (მწარეკვახი); ომბალოები (ომბალო); ოხრახუშები (ოხრახუში); სამყურეები (სამყურა); სოკოიანები (სოკოიანი); ტყემალეები (ტყემალა); ქურჩანეები (ქურჩანა); ლობიოსჭამიეები (ლობიოსჭამია).

ბ) ცხოველების, ფრინველების, მწერებისა და ქვეწარმავლების აღმნიშვნელი სიტყვებისაგან: ბატები (ბატი); ბუზარები (ბუზარა); ბუზიყლაპიეები (ბუზიყლაპია); ბუიეები (ბუია); ბურაკები (ბურაკი); ვირიპარიეები (ვირიპარია); ვირიფეები (ვირიფა); ზაქები (ზაქი); კატიშაშხები (კატიშაშხი); კობრები (კობრა); კოლოლეები (კოლოლა); ლომიძეები (ლომიძე); მგლისჭამიეები (მგლისჭამია); მელეები (მელია); მეწურბლეები (მეწურბლე).

3. სოციალური და ინდივიდუალური მახასიათებლები:

ა) თავის, სახისა და ორგანოების მიხედვით: თვალიეები (თვალია < თვალია „თვალი“); გარინჩები (გარინჩა) < („გარინჩა“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში „კოკლის“ სინონიმი); გოდორეები (გოდორა) < (გოდორა ამ კონკრეტულ შემთხვევაში „სიმსუქნის“ სინონიმი); თავბერიძეები (თავბერიძე) < (თავბერიძე „ჭალარას“ გაგებით); კანჭები (კანჭა) < (კანჭი „წვივი“); კუდიანები (კუდიანი) < (კუდიანი „კუდი“); კუზიანები (კუზიანი).

ბ) მორალურ-ფსიქოლოგიური და სულიერი მახასიათებლები: ბატები (ბატი — სისულელის გაგებით); ბუმბერეები (ბუმბერა — უჭკუოს გაგებით); ბეუალეები (ბეუალა — უაზროს გაგებით); ბრიქები (ბრიქი); ბლუნკიფეხი (ბლუნკია — მორცხვის გაგებით); იუდეები (იუდა — მწვალებლის შინაარსით); კაციჭამიეები (კაციჭამია — სასტიკის გაგებით); კეთილები (კეთილი); კრეკიეები (კრეკია — სიგიჟის გაგებით); ლოთიშვილები (ლოთიშვილი); მანჭიეები (მანჭია — არასერიოზული); მელეები (მელა — ცბიერის სინონიმი); მუდუები (მუდუ — გულჩათხრობილის მნიშვნელობით); ურჩეშვილები (ურჩეშვილი); ქეციანები (ქეციანი — მოუსვენარის მნიშვნელობით); ყინჩები (ყინჩი); ცეტები (ცეტი); ჰინჭყლები (ჰინჭყლი).

4. მეტყველებრივი საარტიკულაციო გადახრები და თავისებურებები:

ალულეები (ალულა); ბლუნუნები (ბლუნუნა); ღულუნეები (ღულუნა); წრიპინეები (წრიპინა); წრუპუნეები (წრუპუნა); პრაწუნეები (პრაწუნა).

5. ლიტერატურულ-მითოლოგიური პერსონაჟები: ბეკინები (ბეკინა) (დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟის

— ბეკინა სამანიშვილის მიხედვით).

6. რელიგიური ლექსიკა: იუდეები (იუდა); ურჯულოები (ურჯულო); ურწმუნოები (ურწმუნო); ცხრარჯულები (ცხრარჯულა).

7. დაავადებათა აღმნიშვნელი ლექსიკა: ხოკები (ხოკი) (ხოკი ცხოველის, უპირატესად ღორის დაავადება); ხოკერები (ხოკი); ხოკიეშვილები (ხოკიეშვილი).

8. საყოფაცხოვრებო ნივთების აღმნიშვნელი ლექსიკა: ბაწარები (ბაწარა); თუჯიები (თუჯია); გობზეცუცქიები (გობზეცუცქია).

ლიტერატურა

ბონდალაიკოვი, 1970 — Бондалятов В. Д., Ономастика и социолингвистика, в книге: Антропонимика, М., 1970.

მელიქიძე, 1983 — ს. მელიქიძე, მეტყვარი და მისი წარმოება ბორჯომის ხეობის ქართლურში: ონომასტიკა, I, თბ., 1983.

ღლონტი, 1986 — ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

ცხადაია, 1988 — პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988.

ძოწენიძე, 1974 — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1974.

ბარიელ წაბაკრაძე

სახელის ფორმაწარმოების საკითხები ქართულში

(I. თანდაბულად კვალიფიკაციის კრიტერიუმისათვის)

პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით 1983-86 წლებში მომზადდა ჩემი საკანდიდატო დისერტაცია: „სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ კილოებში“ (თბილისი, 1986 წ.). ნაშრომში გაანალიზებული აჭარული, გურული, იმერხეული, სამცხური და ჭავჭავური დიალექტური მასალის საფუძველზე ნაჩვენები იყო, რომ ბრუნვის ნიშნებს შერწყმულ (მირთულ) თანდებულებს ქართულ ენაში ხშირად დაკარგული აქვთ ძირითადი, ამოსავალი (ზმნისართული) მნიშვნელობა და კონტექსტის შესაბამისად რამდენიმე სემანტიკა უდასტურდებათ (მსჯელობისათვის იხ., ფუტყარაძე, 1986, გვ. 74-75); მაგალითად, -ზე თანდებულისანი მიცემითის ფორმა დიალექტებში გამოხატავს:

ინტერესის საგანს — „ამ კაცმა შეხედა კედელზე“ (||კედელს);

ადრესატს — „მესხეთ-ჭავჭავთი დააბრუნა საქართველოზე“
(||დაუბრუნა საქართველოს);

თანაობას — „მიაკრეს ბოძზე“ (|| ბოძს);

ოდენობას — „ას მანეთზე (|| მანეთს) არ დემიკლო“;

დანიშნულებას — „ამანათი აქ ჩემი შენზე (|| შენთვის) მოსაცემი“;

ინსტრუმენტალისს — ორივენი ერთ ტყვიანზე (|| ერთი ტყვიით) მშუკლია“;

მსგავსებას — „კამფეტს დავეჭრით იმ ფორმაზე (|| იმ ფორმის მიხედვით)“;

მიწვევითობას — „იმ ჭალეფში თივა წელზე (|| წელამდე) იყო“;

გამოსვლითობას — „ამ ქუბაზე (||ქუტიდან) წყალ გამუადენ“;

ისეთ ადგილს, სადაც გამოორიცხულია „საზედაო სიტუაციის“

მითითება — „ზოგი ქობულეთში ვიყავით, ზოგი მახინჭაურზე (|| მა-

ხინჯაურში“; შდრ., აგრეთვე: „სანთელს დაანთებენ ეკლესიაზე“ (|| ეკლესიაში“;

სიახლოვეს — „მივიტანე იმ კიტინაზე“ (|| კიტინასთან);

დროს — „ყოველ შაფათ-კვირაზე (|| შაბათ-კვირას) ცეკვა-თამაში იყო“; შდრ., აგრეთვე: ყურძნობაზე (|| ყურძნობისას) ვენახს დარაჯობენ“; შდრ., აგრეთვე: გაზაფხულზე, შემოდგომაზე, ზამთარში, ზაფხულში...

მიზანს — „კაცი მიდის თევზის კავებაზე (|| თევზის დასაკერად)“; შდრ., აგრეთვე: „დაუდენ საკმელზე“ (|| საკმელად);

მიზეზს — მე დამიპირეს ოქროზე (|| ოქროს გამო);

ვითარებას — „ზამთარში აშლი, ჰამ გემოზე“ (|| გემორიელად);

მანძილს — „პაწაზე (|| ცოტას) გვედენ და დეიწყეს ჩურჩული“;

ზარისხს — „ერთი ქალიშვილი ყავდა, ძალზე ლამაზი“;

შედარება-შეპირისპირებას — „შეხედა რომენ იმ ხანუმაზე ლამაზია ზოპროდ“;

საორიენტაციო პუნქტს — „დატია ჩარი ქალაქზე (|| ქალაქთან) ახლოს“;

წარმომავლობა-სადაურობას (აქარულ კილოში) — „იაკობაურზე (|| იაკობაურელი) არჩილაჲ ბათუმ რომ ჩამოვდა, პირველათ მე მომიკითხა...“

ამგვარი სემანტიკური ნაირგვარობა ახასიათებს ბრუნვის ნიშანზე მირთულ თუ შერწყმულ სხვა თანდებულებსაც. ამიტომ ჩვენს ნაშრომში, ბრუნვის ნიშნების მსგავსად, ამგვარი თანდებულები სინქრონული ანალიზისას ფორმამაწარმოებელ ერთეულებად მივიჩნით; ტრადიციულ გრამატიკებში წარმოდგენილი ქართული ენის თანდებულები ჩვენს სხვა ნაშრომში სამ სხვადასხვა ჯგუფად წარმოვადგინეთ:

ც. მორფემები, რომლებიც მსაზღვრელის გარეშეც გვხვდება წინადადებაში (წინ დგას, სახლის წინ დგას);

დ. მორფემები, რომლებმაც დაკარგეს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ საკუთარი მახვილი და ადგილი (კაცის მიერ გაკეთდა ეს საქმე“).

ე. მორფემები, რომლებიც მიუერთდნენ ბრუნვის ნიშანს („ვფიქრობ იმ მშვენიერ საღამოზე“)... დაწვრილებით იხ. ფუტკარაძე, 1997, გვ. 160.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში თანდებულთა შესახებ აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა, მაგ., -იდან მორფემას ზოგი მეცნიერი ლოკალურ ბრუნვად თვლის, ზოგი — თანდებულად, ზოგი კი ორი მორფემის — -იდ ბრუნვის ნიშნისა და -ან (←გან) თანდებულის მექანიკურ ჯამად; ამჟამად, რომ სამეცნიერო მსჯელობანი ჭერჭერობით შორსაა პოზიციების დაახლოებისაგან. ჩვენი აზრით, აზრთა ამგვარი სიჭრელე განპირობებულია არა მხოლოდ მიდგომათა სხვადასხვაობით, არამედ ცნებათა და ტერმინთა განსხვავებული გააზრებითაც.

წარმოდგენილ სტატიაში შევეცდებით, წარმოვადგინოთ ცნებათა და ტერმინთა ისეთი სისტემა, რომლის მიხედვით აგებულ მსჯელობაში შედარებით ნაკლებწინააღმდეგობრივი იქნება ქართულ (resp. ქართველურ) თანდებულად სახელდებული მორფემების კვალიფიკაცია.

ნებისმიერ ენაში არსებული ენობრივი ერთეულები იერარქიულად ასე წარმოდგინება: ტექსტი — წინადადება — სიტყვა — აფიქსი — ფონემა (|| სამეტყველო ბგერა). სიტყვა შეიძლება იყოს სრულმნიშვნელოვანი (მაგ., კაცი, ქალი, ბავშვი) და დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე; პირობითად, ამ უკანასკნელთ შეიძლება ვუწოდოთ დამხმარე სიტყვები (თუმცა ეს ტერმინი მიღებული არ არის ევროპულ საენათმეცნიერო ველში; ამის შესახებ იხ. იარცვა, 1990). ყოველგვარ სიტყვას თავისი მახვილი აქვს და მეტყველების დროს ცალკე გამოითქმის, ასევე, ცალკე იწერება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მორფოლოგიის ფარგლებში ჩვენთვის მისაღებია ბ. ჯორბენაძის მსჯელობა, რომლის მიხედვითაც ქართულში მეტყველების ნაწილები მხოლოდ ორ ჯგუფად წარმოდგინება: სახელებად და ზმნებად (ჯორბენაძე, 1995, გვ. 25); კერძოდ, მისი აზრით, „თანდებული და ნაწილაკი არსებითად არის მორფემა, ნაწევარი — მორფემოიდი; შორისდებული ლექსიკოლოგიური ცნებაა და ლექსიკოლოგიაში უნდა იქნეს განხილული; კავშირი სინტაქსური ცნებაა და სინტაქსში უნდა იქნეს განხილული, ზმნიზედა კი შეზღუდული ფორმაცვალების უნარის მქონე სახელია... (ჯორბენაძე, 1995, გვ. 23).

მეტყველების ნაწილთა წარმოდგენილი ზოგადი კლასიფიკაცია მართებულია მორფოლოგიის ფარგლებში, ვინაიდან დაჯგუფება გა-

კეთებულია ფორმათცვლილების პრინციპების მიხედვით, მაგრამ თუკი მორფოლოგიიდან გავალთ და ზოგადად ენაში არსებული სიტყვების დაჯგუფებას მოვახდენთ, ასეთ შემთხვევაში, „მეტყველების ნაწილთა“ კლასიფიკაციაში ახალი ჯგუფის — დამხმარე სიტყვების — გამოყოფა მაინც აუცილებელი იქნება, ვინაიდან კავშირები, ნაწილაკთა დიდი ნაწილი, თანდებულთა ერთი ნაწილი და შორისდებულები, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე, მაგრამ ცალკე მდგომი სიტყვები, ვერც სახელებთან და ვერც ზმნებთან ვერ გაერთიანდება; გარდა ამისა, ისინი უთუოდ უნდა გაიმიჯნონ ფორმამაწარმოებელი და სიტყვამაწარმოებელი აფიქსებისგან.

შენიშვნა: შესაძლებელია მორფოლოგიის ფარგლებშიც მოიძებნოს სხვაგვარი მიდგომაც, კერძოდ, ენაში არსებული ყველა სახის მონაცემი წარმოდგენილი იქნეს მორფემად; გვექნება: დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე მორფემა, დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმქონე ლექსიკური ერთეული (დამხმარე სიტყვა, ანუ ე. წ. „ფუნქციონალური ლექსიკა“. გრამატიკული მნიშვნელობის მქონე მორფემა — აფიქსი (სიტყვამაწარმოებელი, ფორმამაწარმოებელი).

ბ. ჯორბენაძის მიერ წარმოდგენილ მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციაში თანდებულები მორფემების ჯგუფშია წარმოდგენილი, ამდენად, საინტერესოა მორფემის ცნების მისეული გააზრებაც: „მორფემა როგორც უმცირესი ელემენტი, ხასიათდება საკუთარი ფორმობრივი თვისობითა და ქმედებით და მორფოლოგიური სტრუქტურის აგებაში მონაწილეობს, როგორც დამოუკიდებელი ელემენტი“ (ჯორბენაძე, 1995, გვ. 8).

აქვე, ბ. ჯორბენაძე ცალკე გამოყოფს მორფემოიდს, ანუ მოდალურ ელემენტს („ხოლმე“, „უნდა“...).

ჩვენი აზრით, თანდებულთა ის ნაწილი, რომელიც ბრუნვის ნიშანს არის შერწყმული და მასთან ერთად გარკვეულ გრამატიკულ მნიშვნელობას იძენს, მორფემების რიგში უნდა განვიხილოთ; კერძოდ, -ზე, -ში, -გან, -კენ... რიგის მორფემები სიტყვის, როგორც მორფოლოგიური სტრუქტურის აგებაში მონაწილეობენ, ხოლო მიერ, წინაშე... ტიპის თანდებულები მორფემოიდებად, ანუ დამხმარე სიტყვებად — ფუნქციონალურ ლექსიკად — უნდა კვალიფიციროდეს...

მორფემა ფორმოზორივ-სემანტიკური კატეგორიაა (ბილატერალური მონაცემია), გარკვეული ფონეტიკური აღნაგობისა და გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ერთეულია; შესაბამისად, დგება საკითხი, რომ -სავით || -ოვით, -სზე || ღზე, -ისკენ, -ოდან... შედგენილი მორფემები (ტერმინისათვის იხ. ფუტკარაძე, 1997, გვ. 159) ერთიან ფორმანტებად განვიხილოთ, ვინაიდან, მაგალითად, თანამედროვე ქართულში მსგავსებას ვერ გამოხატავს ვერც -სა, -ო ბრუნვის ნიშნისეული ელემენტები და ვერც -ვით მორფემა; -ოვით || ხავით ერთიანი შერწყმული ფორმანტი გამოხატავს მსგავსების სემანტიკას, მაშასადამე, გვაქვს -სავით || -ოვით მორფემა თავისი აღნაგობითა და თავისი მნიშვნელობით (მორფემის შესახებ ზოგადი მსჯელობისათვის იხ., გლისონი, 1959, გვ. 93). ეს მნიშვნელობა არ არის ლექსიკური, არ არის სიტყვაწარმოებითი — არ ცვლის საგნობრივ მიმართებას (ბ. ჯორბენაძე: როგორც წესი, „გამოყოფილ ელემენტს უნდა ჰქონდეს ან ლექსიკური, ან გრამატიკული მნიშვნელობა“; ჯორბენაძე, 1995, გვ. 15); -ოვით შერწყმული (შედგენილი) სუფიქსი მიმართების გამოხატველი უფროა; შდრ., აგრეთვე „ბავშვი ფიქრობს თავის სიზმარზე“ წინადადებაში -ღზე, შედგენილი მორფემა უთუოდ „მიმართებით მორფემად“ (ტერმინისათვის იხ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 9) უნდა კვალიფიცირდეს და არა „დამაზუსტებელ მორფემად“ (ტერმინისათვის იხ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 10)...

ამგვარად, ტრადიციულ გრამატიკებში წარმოდგენილი მეტყველების ნაწილი — „თანდებულები“ — ისტორიულად ერთ რანგში შეგვიძლია განვიხილოთ, მაგრამ ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ისინი შეიძლება გადანაწილდეს სამ სხვადასხვა ჯგუფში: ის მორფემები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სიტყვის მორფოლოგიური ყალიბის აგებაში, განხილულ უნდა იქნენ ფორმამაწარმოებელ აფიქსებში (ან: აფიქსებშიც!); ის მორფემები, რომლებიც სიტყვას არ ერწყმიან, ცალკე დგანან და დამოუკიდებელ ფორმას ინარჩუნებენ (მიერ, წინაშე...), დამხმარე სიტყვებად — წინდებულების ადეკვატ ერთეულებად — ნამდვილ თანდებულებად უნდა კვალიფიცირდნენ (აქვე აღვნიშნავთ: თურქულ, მონღოლურ და სხვა ენებში თანდებულები ცალკე დგანან), ხოლო წინ, უკან... ტიპის თანდებულები თავიანთი არსით ზმნისართებია და „სახლის წინ“ ტიპის შესიტყვებები მსაზღვრელ-საზღვრულად უნდა ჩაითვალოს (სახლის

წინ შესიტყვების, როგორც მსაზღვრელ-საზღვრულის შესახებ მსჯელობა იხ., ფუტკარაძე, 1986, გვ. 83, ფუტკარაძე, 1997, გვ. 160).

შენიშვნა: ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში მსაზღვრელ-საზღვრულად (სახელურ სინტაგმად) გვაქვს ჩათვლილი: **ც.** ზედსართაული შესიტყვებებიც (ძალიან კარგი, ყველაზე ლამაზი...)

ე. ისეთი პარციალური შესიტყვებებიც (ტერმინი ეკუთვნის ბ-ნ ანტონ კიზირიას), რომლებშიც შემაველ საზღვრულს ჭერ კიდევ არ აქვს გაწყვეტილი კავშირი ზმასთან, ანუ ჭერ არაა ჩამოყალიბებული თანდებულად (მაგ., ქალაქის || ქალაქთან ახლოს ცხოვრობს; შდრ., ახლოს ცხოვრობს)...

ლიტერატურა

გლისონი, 1959 — Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, М., 1959.

იარცევა, 1990 — В. Н. Ярдева, Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ფუტკარაძე, 1986 — ტ. ფუტკარაძე, სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, თბ., 1986.

ფუტკარაძე, 1997 — ტ. ფუტკარაძე, ბრუნება, როგორც სახელის ფორმათწარმოების ერთ-ერთი ასპექტი (სახელის სინთეზისა და ანალიზის ფორმალიზებული მოდელებისათვის): საიუბილეო კრებული გიორგი როგავას, თბ., 1997.

ჭორბენაძე, 1995 — ბ. ჭორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995.

ერთი ნაწმნარი მოღალაური ნაწილაკის საკითხი ლაზურში
(ჰანურში)

მყოფადის ერთ-ერთ მაწარმოებლად ხოფურში მინონ „მინდა“ მეშველ ზმნას თვლიან; სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ის იცვლის პირსა და რიცხვს, ზმნა კი მხოლოდობითში რჩება. ჩხალურში -უნონ უცვლელად რჩება მესამე პირში, ზმნა კი პირსაც იცვლის და რიცხვსაც (ყიფშიძე, 1994, გვ. 641; ჩიქობავა, 1936, გვ. 148; მისივე, 1944, 113).

არნ. ჩიქობავა შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ხოფური „ბკითხამინონ“, „კითხაგინონ“, „კითხასუნონ“, ჩხალური „ბკითხასუნონ“, „კითხასუნონ“, „კითხასუნონ“ ახალი ბერძნულის გავლენით აიხსნას, — რიგია ოლონდ შეცვლილი, — მეშველი ზმნა ბერძნულში წინ უსწრებს, ჩხალურში — მოსდევს, — წერს იგი (ჩიქობავა, 1944, გვ. 115-116). *კავშირებითი II + მინონ* (კავშ. + „ერე“-სთან ერთად) მყოფადის ნაკვთად გაიაზრება (იხ. ჩიქობავა, 1944, გვ. 156).

აღნიშნულ შემთხვევებში II კავშირებითის ფორმებთან თავისებური სემანტიკური ვითარება ჩანს: *მინონ/გინონ/უნონ* (=სურვილი, განზრახვა) აწმყოა, ხოლო საუღლებელი ზმნა (*ბკითხა „კკითხო“ /კითხა „კკითხო“ /კითხას „კკითხოს“*) მყოფადს გამოხატავს. საქმე გვაქვს ორი მორფოლოგიური ერთეულის კომბინაციასთან, რომელიც სინტაქსურ დონეზე ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ორ სხვადასხვა შემასმენლად რეალიზდება. თავად „*ბკითხამინონ*“ სინტაქსურად წარმოგვიდგენია, როგორც შეკუმშული ჰიპოტაქსური ოდენობა, რომელიც ასე შეიძლება გაიშალოს: *მა მინონ, ნამუღა ბკითხა* (მე მინდა, რომ კკითხო). ამდენად, *ბკითხამინონ*, ამ (შერწყმული) სახით იქნება ის თუ ცალ-ცალკე, დიფერენცირებულად უნდა განვიხილოთ (შდრ. კოტინოვი, 1986, გვ. 92-93). ნიმუშები:

მა მჭვემფეფიშენ-ნა მიძირუნ, ეშო პამინონ.

(ძველებიგან რომ მინახავს, ისე უნდა ვქნა /=მინდა ვქნა/) (ყიფშ., 8).

იყონეს ღო არ დიდი წკაიშ ხინჯის ქოგეუოდვეს, წკაის ღო-ლოტკოჩასინონან.

(წაიყვანეს და ერთი დიდი მდინარის („წყლის“) ხიდზე დადვეს, წყალში უნდა ჩააგდონ /=უნდათ ჩააგდონ/). (ასათ., 32)

ია ქურუმი ჩქინ ვა კჭკომაძინონა, გამათჩაძინონა ღო ემუშენი.

(ის ღომის კაკალი ჩვენ არ უნდა ვჭამოთ /=არ გვინდა ვჭამოთ/, უნდა გავყიდოთ /=გვინდა გავყიდოთ/ და იმისათვის). (იქვე, 45)

ღო აწი სი მიზდაგინონ-ია.

(და შენ უნდა მოხუროო /=გინდა მოხუროო/). (იქვე, 52)

მა-ია დადი პკითხამინონ-მა. მუქოში იკითხავინონ-მა? მა ღოპკითხუფ.

(მე იმ დეიდას მინდა ვკითხოო). როგორ გინდა იკითხოო? მე ვკითხავ. (იქვე, 44)

აწი პჭამინონ.

ახლა უნდა ვწერო. (იქვე, 78)

ანდლა მა სარფიშა ვიდამინონ.

დღეს სარფში უნდა წავიდე. (იქვე., 78)

ია კულანი ბგოამინონ, ბძირამინონია.

ის გოგო უნდა მოვნახოო, უნდა მოვძებნოო. (იქვე, 101)

საინტერესოა, რომ სურვილ-განზრახვის სემანტიკის გამომხატველი მინონ/გინონ/უნონ პირისა და რიცხვის (და არა მხოლოდ ამ კატეგორიების) მიხედვით იცვლება. ეს ფაქტი ერთობ საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ ამ ფორმათა ზმნურობაზე მეტყველებს და არა მოდალურობაზე, — ჩვეულებრივ, მოდალური ზმნა ფორმაკვალების თვალსაზრისით შეზღუდულია და მხოლოდ გარკვეულ სემანტიკურ ნიაუანსს ჰმატებს ამა თუ იმ ნაკვთის ფორმით წარმოდგენილ ზმნას.

რაც შეეხება კავშირებითი // + მინტუ (მინდოდა) კომბინაციას, — არნ. ჩიქობავას მიხედვით, ეს არის პირობითის ნაკვთი; მოცემულია პარადიგმა:

მა	ბ-ზიმ-ა-მინტუ	ჩქინ	ბ-ზიმ-ა-მინტეს
მე	გავზომავდი...	ჩვენ	გავზომავდი...
სი	ზიმ-ა-გინტუ	თქვან	ზიმ-ა-გინტეს
ემუქ	ზიმ-ა-ს-უნტუ	ენტეფექ	ზიმ-ა-ს-უნტეს
	ზიმ-ა-ს-ინტუ		ზიმ-ა-ს-ინტეს

„სართში მარწმუნებდენ, — წერს მკვლევარი, — ამ უკანასკნელი დროისაგან შეიძლება თურმეობითის წარმოებაო, ერ-ე-ს დართ-ვით ახალი დროის მიღებაო: მა ბ-ზიმ-ა-მინტ-ერ-ე, სი ზიმ-ა-გინტ-ერ-ე, ემუქ ზიმ-ა-ს-უნტ-ერ-ე-ნ (ანდა: ზიმ-ა-ს-ინტ-ერ-ე-ნ)... ტექსტებში ასეთი წარმოების თითო-ოროლა შემთხვევა გვაქვს (ჩიქობავა, 1936, გვ. 149-150).

ირაკვევა, რომ *მინონ* ზმნა შეიძლება როგორც აწმყოს, ასევე უწყვეტლისა და თურმეობითის ნაკვთის ფორმებით იყოს წარმოდგენილი კავშირებითი მეორესთან, თანაც, იგი იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით; რამდენად შეიძლება ასეთი გრამატიკული ერთეული (ერთეული უღვლილებისა) მოდალურ ელემენტად ჩავთვალოთ? ვფიქრობთ, ამის საფუძველი ნაკლებადაა. ასე რომ, ერთი შეხედვით, ალოგიკური წარმოება — *კავშირებითი II + მინტერე/ გინტერე/უნტერენ/ინტერენ* — სავსებით ბუნებრივად ჯდება საერთო სურათში და ლოგიკურად გვაფიქრებინებს, რომ *სურვილის, განზრახვის ან ვალდებულების* ნიუანსი *მინონ/გინონ/უნონ* ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ, ხოლო *მყოფადის, პირობითისა* თუ სხვა გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვა — თავად *კავშირებითის ნაკვთის* გრამატიკული შინაარსიდან ამოსვლით. მაგალითად:

ხოფ.: ანდლა ია ოხორჯა ქოპჭოფატი ეგერე-ნა, აშო გეაკნატი დო გოოქთამინტუი-და | 7,1 „დღეს ის ქალი რომ დამევირა, ასე დავვლებდი ხელს და მოვატრიალებდიო... მა ყალი *მემოჭკირაგინტურ-ი-ი* | 15,26 „ჩემთვის ყელი გამოგექრა, გინდოდაო? „ბავშვი ნასწავლი რომ არ ყოფილიყო, მოტყუვდებოდა... მუ *ყვასინტუ* ზურაბიქ? | 31,17 რა უნდა ექნა ზურაბს? ნანა მუშიში ბირაფაში სერსი-ნა შიგნუ, მუთხანი *გვაშინასინტუ*... | 32,21 დედის სიმღერის ხმა რომ გაიგონა, რაღაც უნდა მოგონებოდა... აქონი კოჩეფე მციქა ზენგინი *რტასინტეს* | 29,25 აქაური მაცხოვრებლები ცოტა მდიდა-

რი უნდა ყოფილიყვნენ... ამა დუბარათენ ხოჯამ. თიკანი ჭკომასინტეს | 8,25 „ამ ეშმაკობით ხოჯის თიკანი უნდა შეეკამათ...“ (ჩიქობავა, 1936, გვ. 149-152).

გენი მოიჭკიაფამინტეს, ჰამა ფუჭი ქანაჭკიუ.

ზბო გვინდოდა დაგვეკვლევინებინა, მაგრამ ძროხა დაკლა.

(ასათ., 29)

პილაშინტუ დო იმტუ.

უნდა მომეკლა და გაიქცა. (ასათ., 32)

ჩხალურში, როგორც აღინიშნა, უნონ(ინონ) სამსავე პირშია განზოგადებული, ამ დროს იგი ფორმაწარმოების შესაძლებლობას მოკლებულია და არსებითად გაქვევებული სახითაა წარმოდგენილი ზმნის ფორმასთან (როგორც წესი, ისევ *კავშირებით II*-სთან). უნონ მოდალური ელემენტი, რომელიც *დებიტივის (ვალდებულების)* სემანტიკას სძენს მასთან შეხამებულ ზმნას, გამოირიცხავს *ბკითხუნონ* ტიპის სტრუქტურათა გაგებას ჰიპოტაქსურ კონსტრუქციება (იხ. ჯორბენაძე, 1993, გვ. 275-276), თუმცა ეს მაინც არ ნიშნავს რომ ამ შემთხვევაში (და ასეთი წარმოების საშუალებით) *მყოფადის ნაკეთის* სპეციფიკური გრამატიკული შინაარსი გადმოიცემოდეს (იხ. ნათაძე, 1961, გვ. 35-36).

ვფიქრობთ, ლაზურის სათანადო ფორმებთან არამხოლოდ წარმოების თვალსაზრისით დადგება გურული *ვზომო უნდა...* ტიპის ფორმები, არამედ ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისითაც (შდრ. არნ. ჩიქობავა: „გურულში ჩვეულებრივია ჩხალური მყოფადის სრული ანალოგონები წარმოების მიხედვით: *ვზომო უნდა, ზომო უნდა, ზომოს უნდა...* მოვიდეს უნდა, მოხვიდე უნდა, მოვიდე უნდა... ოლონდ, — როგორც შენიშნულია, — ამგვარ წარმოებას მყოფადის მნიშვნელობა არა აქვს“ (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 149). კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ, როგორც ჩანს, ამგვარი წარმოება ვერც ლაზურში უნდა განვიხილოთ, როგორც *მყოფადის* წარმოება (სხვე დადგება საკითხი *ბჰიმინტუ* ტიპის პირობითის ნაკეთის დაკავშირებით).

ლიბრაბურა

კოტინოვი, 1986 — ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986.

ნათაძე, 1961 — ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.

ყიფშიძე, 1994 — ი. ყიფშიძე, Дополнительные сведения о чанском языке, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

ჩიქობავა, 1936 — არნ: ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

ჩიქობავა, 1944 — არნ. ჩიქობავა, ჭანური მყოფადის წარმოებისათვის: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №1, თბ., 1944.

ჭორბენაძე, 1993 — ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეათე, თბ., 1993.

**„თამაშობს“ ტიპის ზმნათა პირიანობის საკითხისათვის
ძველ ქართულში**

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „თამაშობს საშუალო ფორმა იმ ზმნათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება ერთპირიანობის ფუნქციითაც დაიტვირთონ და პარალელურად სხვა კონსტრუქციაში ორპირიანობის ფუნქციის მქონენიც იყვნენ: თამაშობს ის — თამაშობს ის მას“ (ჯორბენაძე, 1975, გვ. 190).

ძველ ქართულში დასტურდება თამაშობს ტიპის ზმნათა როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ფორმები:

ვაჭრობს (იგი): დაემკვდრნელ ამას ქუეყანასა და ვაჭრობდედ (დაბ., 34, 21); **ვაჭრობს (იგი მას):** რადთა ვაჭრობდეს მოცემულსა მას (სინ. მრ., 86, 37).

ზუაობს (იგი): მაგისტვის ნუ ზუაობ (ილ. აბ., მ. ცხ., 196); **ზუაობს (იგი მას):** სირცხვილი არს... რადთა უცხოსა ზედა ქველის საქმესა ვზუაობდე (ილ. აბ., მ. ცხ., 170).

დღესასწაულობს (იგი): ყოველი დაბადებული დღესასწაულობს (სინ. მრ., 31, 10); **დღესასწაულობს (იგი მას):** რავდენნი ხარებასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა დღესასწაულობდენ (სინ. მრ., 10, 26-27).

მიზეზობს (იგი): მიზეზობნ მედგარი და თქს (იგავ., 22, 13); **მიზეზობს (იგი მას):** ნუ ვინ მიზეზობნ უმეცრობასა (ილ. აბ., ბ. კეს., ექს. დღ., 103, 14).

შაბათობს (იგი): და შაბათობდა ერი დღესა მეშვდესა (გამ., 16, 30); **შაბათობს (იგი მას):** შაბათობდეთ შაბათსა მას თქუენსა (ლევიტ., 23, 32).

გალობს (იგი): გალობდეს ღებორა და ბარაჟ (მსაჯ., 5, 1) გალობდენ და იხარებდენ შენდამი ყოველნი (ფს., 69, 5); **გალობს (იგი მას):** რომელი-იგი მღდელთა ვერ ცნეს, მას გალობენ (სინ. მრ., 144, 38); **ჰგალობდა** ფსალმუნსა დავითისსა (კიმ., 11, 151, 19).

ქადაგებს (ოგო): ქადაგებდით და იტყოდით (მათე, 10, 7); ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა (მათე, 6, 2); ქადაგებს (იგი მას): არა უდაბნოსა ქადაგებენ სახარებასა (სინ. მრ., 31, 8); იყო იოვანე უდაბნოსა და ნათელ-სცემდა და ქადაგებდა ნათლის-ღებასა სინანულისა-სა მისატევებლად ცოდვათა (მარკ., 1, 4).

პირდაპირი დამატება ჩანს შესიტყვებაში **ტირის, გოდებს** ზმნებთანაც:

ს-ტირის (ოგო მას): და შეუღლა მას სიმრავლე ერისაჲ და ღედებისაჲ, რომელნი ეტყებდეს და სტიროდეს მას (ლუკა, 23, 27); ნუ სტიროთ მომკუდარსა (იერ., 22, 10); არცა სტიროდიან მას (იერ., 22, 18); შდრ. ტირის (ის): ნუ სტიროთ ჩემ ზედა (ლუკა, 23, 28).

ჰ-გოდებს (ოგო მას): რომელნი ეტყებდეს და ჰგოდებდეს მას (ილ. აბ., DE, ლ. 23, 27); ამისთვის ვითარცა იხილა იგი ეკლესიამან გვრგვინოსანი ეკლითა, შესაკრებელისა მის მათისა კადნიერებასა ჰგოდებს და იტყვს (სინ. მრ., 44, 29); შდრ. გოდებს (ოგო): ვგოდებდი და ვიფხურდი თმათა თავისა ჩემისათა (III ეზრა, 8, 72); და გოდებდენ შთასადებელნი სამკაულისა თქვენისანი (ესაია, 3, 26).

ზემოდასახელებული მაგალითებიდან აშკარაა, რომ **თამაშობს** ტიპის ზმნები ძველ ქართულში ლაბილური კონსტრუქციისაა. შესიტყვებაში ხანდახან ჩანს პირდაპირი დამატება, ხანდახან კი — არა. ამგვარი ზმნების შესახებ ნათქვამია: „იმის მიხედვით, დასტურდება თუ არა კონსტრუქციაში პირდაპირი დამატება, თითოეული მათგანი შეიძლება იყოს გარდამავალიცა (ე. ი. ჰქონდეს მოქმედებითის ფუნქცია) და გარდაუვალიც (საშუალო ფორმის ფუნქცია): ტიროდა ის — „საშუალო“ ფორმაა, ხოლო სტიროდა ის მას — მოქმედებითი გვარის ფუნქციის მქონე. ამ ტიპის ზმნები, ჩანს, იმ ძველ ვითარებას გვიჩვენებენ, როცა გვარის კატეგორია ჭერ არ იყო ჩამოყალიბებული და კონსტრუქცია განარჩევდა ზმნებს აქტიურობა-პასიურობის მიხედვით. ეს თავისებური ანარეკლი უნდა იყოს იმ ლაბილური კონსტრუქციისა, რომელიც დღესაც დასტურდება ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში“ (ჯორბენაძე, 1975, გვ. 195).

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში **თამაშობს** ტიპის ზმნათა უღვლილების პარადიგმის შემავსებელი ფორმები მყოფადსა და ნამყო ძირითადში ხან ერთპირიანია, ხან ორპირიანი: **ივაჭრებს (ოგო):** დაეშენენით და ივაჭრებდით მას ზედა და მოიგებდით მას

შინა (დაბ., 34, 10); **ივაჭირებს (იგო შახ)**: არა თუ რადთა თავისა თვისისა **ივაჭიროს** სათნობად (სინ. მრ., 12, 1).

ილოცებს (იგო): **ილოცე** მამისა შენისა მიმართ ფარულად (მათე, 6, 6); **ილოცებს (იგო შახ)**: ესე სიტყუად **ილოცა** (კიმ., 1, 274, 22).

იმარხებს (იგო): **იმარხეს** მას დღესა შინა და შეწირეს მსხუერპლი ცხორებისად (მსაჯ., 20, 26); **იმარხებს (იგო შახ)**: ყოველთა ჰურიათა **იმარხონ** დღე იგი სრულიად მარხვით და ღალატებით (ესთერ, 9, 31).

იბოროტებს (იგო): **იბოროტე**, რომელ ჰყავ მოკლვად კაცისა ღმრთისად პირისაგან სიყმილისა (იერ., 38, 9); **იბოროტებს (იგო შახ)**: **იბოროტეს** კაცთა ამათ ყოველნი, რავდენნი უყვეს იერემიას (იერ., 38, 9).

როგორც ზემოდასახელებული მაგალითებიდან გამოჩნდა, ძველ ქართულში **თამაშობს-თამაშებს** ტიპის ზმნები პირდაპირ დამატებას ხან შეიწყობდა, ხან — არა. პირველ შემთხვევაში ეს ზმნები გაგებულ იქნა როგორც მოქმედება, ხოლო მეორე შემთხვევაში — როგორც მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ამ ზმნებში მკვეთრად არაა დიფერენცირებული მოქმედებითი გვარისა და „საშუალი“ ფორმების ფუნქცია.

ორივე შემთხვევაში II სერიის ფორმებთან ჰვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **თამაშობს-თამაშებს** ტიპის ზმნები მოქმედებითი გვარის ზმნათა ყალიბებს იმეორებენ.

ძველ ქართულში „**თამაშობს**“, „**ტირბს**“ ტიპის ზმნებთან გვხვდება პირდაპირ დამატებად სახელი, რომელიც ზმნის ფუძეშია წარმოდგენილი:

დღესასწაულობს (იგო დღესასწაულს): **ვდღესასწაულობთ** დღესასწაულსა სიხარულისასა (სინ. მრ., 19, 15); **დღესასწაულობდ**, იუდა, **დღესასწაულთა** შენთა (ნაუმ., 1, 15);

იდღესასწაულებს (იგი დღესასწაულს): **დღესასწაული** ესე წმიდად **იდღესასწაულეს** (ანტიოქ., 54, 36).

ჰშაბათობს (იგო შაბათს): **ჰშაბათობდეთ** შაბათსა მას თქუენსა (ლევიტ., 23, 32);

იშაბათებს (იგი შაბათს): **იშაბათენით** შაბათნი თქუენნი (ილ. აბ., ლევიტ., 23, 31).

გალობს (იგო გალობას): რადთა მხოლოდ ოდენ **გალობდეს** სამკუდროსა მას **გალობასა** (ეტ., VII, 167, 29);

ფალობებს (იგი ფალობას): მამინ ფალობეს მოსე და ძეთა ისრაჲლისათა ფალობად ესე ღმრთისა მიმართ (გამ., 14, 32).

ანგაარობს (იგი ანგარებას): რომელი ანგაარობდეს ანგარებასა ბოროტსა სახლთა თვსთა (ამბ., 2, 9); რადთა ანგაპრობასა ანგაპრობდენ (ეზეკ., 22, 27).

მიზეზობს (იგი მიზეზობას): მიზეზობდეს იგინი მიზეზობასა ცოდვისასა (კიმ., 165, 3).

ჰმადლობს (იგი მადლს): ამისსა შემდგომად ვჰმადლობთ მადლსა მას ღმრთისასა (სინ. მრ., 67, 3).

გოდებს (იგი გოდებას): და გოდებდა გოდებასა ამას იერუსალიმსა ზედა (გოდ. იერ., 1); ცოლი მისი გოდებასა გოდებდა (აღწ., 184, 21).

ტოზიკობს (იგი ტოზიკს): ქრისტის ტოზიკსა ვტოზიკობ (ევსტ., 30, 13).

ტირის (იგი ტირილს): და ტიროდა ეზეკია ტირილსა დიდსა (ესაია, 38, 3).

იუნჯებს (იგი საუნჯეს): ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა თქუენთა ქუეყანასა ზედა (მათე, 6, 19); ხოლო თქუენ იუნჯებდეთ საუნჯეთა ცათა შინა (მათე, 6, 20).

იმარხებს (იგი მარხვას): მარხვად იმარხეთა ჩემად (ზაქ., 7, 5).

ილოცებს (იგი ლოცვას): ილოცა ლოცვად იაკობ და თქუა (დაბ., 28, 20); და ვითარცა ესე ლოცვად ილოცა იუდა, შეიძრა ადგილი იგი (სინ. მრ., 242, 4).

ზმნის ფუძისავე სახელი პირდაპირ დამატებად გვხვდება **ჰმსახურებს** ტიპის ზოგიერთ ზმნასთანაც:

ჰმსახურებს (იგი მას მსახურებას): და ჰმსახურებდეს ლევიტელი იგი მსახურებასა მას კარვისა საწამებელისასა (რიცხ., 18, 23); არა გმსახურებდეს შენ მსახურებასა მონისასა, ვითარცა მორეწე (ილ. აბ., G, ლევიტ., 25, 39).

ჰმონებს (იგი მას მონებას): არა გმონებდეს შენ მონებასა კირთებრ (ლევიტ., 25, 39).

აღნიშნულ ზმნებთან პირდაპირ დამატებად ზმნის ფუძისავე სახელის არსებობა, შესაძლებელია, ნათარგმნი ტექსტების გავლენის შედეგი იყოს, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ აქ ენის განვითარების გარდამავალ საფეხურთან გვექონდეს საქმე, როცა პირდაპირ და-

მატებად გამოყენებული სახელი ზმნის ფუძედ იქცევა, მაგრამ კონსტრუქციაში მისი პოზიციერებაც საჭიროა. შემდგომ ეტაპზე პირდაპირი დამატების ადგილს უბრალო დამატება იკავებს (ჩნდება პარონომაზიური ფორმები):

ტირის (იგი): ტიროდა ტირილითა (დაბ., 46, 29).

ტყუ(ვ)ის (იგი): ყოველი ძმა ტყუვლით ტყუვოდის (ილ. აბ., I იერ., 9, 4).

კმობს (იგი): კმობდეს კმითა დიდითა (მათე, 20, 30).

მეფობს, უფლობს (იგი): აწ მეფობით ნუ მეფობდია ჩუენ ზედა, ანუ უფლებით უფლობდე ჩუენ ზედა? (დაბ., 37, 8).

„ურქინა მან მას“ ტიპის ზმნათა შესახებ ნათქვამია: „უშუალო ობიექტი ზმნის ფუძის კუთვნილება ხდება: უ-რქ-ინ-ა მან მას (უშუალო ობიექტად ნავარაუდები საგანი — „რქა“ — ზმნის ფუძეში აღმოჩნდა ჩართული). ჩა-უ-ნისკარტ-ა მან მას იგივეა, რაც: ჩა-ს-ცხ-ო მან მას ნისკარტი“ (ჯორბენაძე, 1983, გვ. 177).

ძველ ქართულში ურქენს ტიპის ზმნათა შემცველ კონსტრუქციაში პირდაპირი დამატება ძალზე იშვიათად ჩანს, უმეტესად კი ან არა გვაქვს, ან მის ნაცვლად უბრალო დამატება გვხვდება:

უხარკებს (იგი მას ხარკს): აწ უკეთუ ქალაქი ესე აღაშენონ და ზღუდენი ამათნი აღესრულნენ, ხარკსა არა ვინ უხარკებდეს (III ეზრა, 2, 19); **შდრ. უხარკებს (იგი მას): მონასა გონიერსა აზნაურნი უხარკებედ** (ილ. აბ., ზირ., 0; 10, 28).

ურქენს (იგი მას): რქებითა თქუენითა ურქენდით (ეზექ., 34, 21).

უგალობებს (იგი მას): უგალობდით უფალსა გალობითა ახლითა (ილ. აბ., ეს., 42, 10).

იძინებს ტიპის ზმნათა შემცველ შესიტყვებებშიც პირდაპირი დამატების ადგილს ზმნის ფუძედ გამოყენებული სახელით გამოხატული უბრალო დამატება იჭერს:

იძინებს (იგი): დაიძინა სტეფანე ძილითა (სინ. მრ., 61, 8) **შდრ. დაიძინეს ძილი მათი** (ფს., 75, 6).

თანამედროვე ქართულში **თამაშობს ის/თამაშობს ის მას ტიპის ზოგიერთი ზმნის პირიანობა სტაბილური ვახდა. მაგ., ბუღობს, ბოგინობს, ბანაკობს, ვახშობს, შიმშილობს მხოლოდ ერთპირიანია, ხოლო ქირაობს, თაობს, თაკილობს, უცხოობს ზმნები — მხოლოდ ორპირიანი. ძირითადად, თამაშობს ტიპის ზმნათა პირიანობა კონსტრუქციითაა შეპირობებული.**

ამბ. — წინასწარმეტყველება ამბაკუმისი, მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1986.

ალწ. — ივ. ჭავჭავიძევილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.

ბარ. — წინასწარმეტყველება ბარუქისი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.

გამ. — წიგნი გამოსვლათა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.

გოდ. იერ. — გოდებანი იერემია წინასწარმეტყველისანი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.

დაბ. — წიგნი დაბადებისა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.

ევსტ. — მარტყოლბად და მოთმინებად წმიდისა ევსტათი მცხეთელისად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964.

ეზეკ. — წინასწარმეტყველებად ეზეკიელისი, გამოსცა თ. ცქიტევილმა, თბ., 1977.

ეზეკ. — წინასწარმეტყველებად ეზეკიელისი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.

ეზრა — წიგნი ეზრასი I, II, III მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1982.

ესაია — წინასწარმეტყველება ესაიასი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.

ესთერ — წიგნი ესთერისი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1983.

ეტი. — ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1961.

ზაქ. — წინასწარმეტყველება ზაქარიასი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1986.

იგავ. — იგავთა წიგნი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1983.

იერ. — წინასწარმეტყველება იერემიასი, მცხეთური ხელნაწერი,

გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.

ილ. აბ. — ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

კომ. — კიმენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, გამოსცა კ. კეკელიძემ, I, ტფილისი, 1918; II, თბ., 1946.

ლუკა — სახარებად ლუკადს თავი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979.

ლევიტ. — წიგნი მესამე ლევიტელთა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.

მათე — სახარებად მათეს თავისად, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979.

მარკ. — სახარებად მარკოზის თავისად, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979.

მეფ. — მეფეთა I, II, III, IV. მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1982.

მსაჯ. — წიგნი მსაჯულთა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.

მსწ. — მამათა სწავლანი, ილ. აბულაძის გამოცემა, თბ., 1960.

ნაუმ. — წინასწარმეტყველება ნაუმისი, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1986.

რიცხ. — რიცხუთა, მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.

სინ. შრ. — სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1959.

ფს. — დავით წინასწარმეტყველისა მიერ ქებად (ფსალმუნი დავითისი), მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1983.

ლიტერატურა

ჯორბენაძე, 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.

ჯორბენაძე, 1983 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

მოქმოდ ზმნისართ-ნაწილაკისათვის ლაზურში

ბრძანებითი კილოს წარმოებასთან დაკავშირებით ნ. მარი აღნიშნავდა, რომ უარყოფითი ბრძანებითისათვის ლაზურში გამოიყენება აწმყოს ფორმა მეორე პირისა დაა შო ნაწილაკი: მო ჭარუმ „ნუ წერ“, მოთ ოგზამ „ნუ ანთებ“... იქვე მითითებულია, რომ გვხვდება კავშირებითის ფორმებიც: მო ხაშკათ „ნუ თესავთ“ (не копайте, მარი, 1910, 55). თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი შემთხვევები იშვიათია: მო გაშქურინეტას, აქ მოხთი... (ყიფშ. 15.4) „ნუ გეშინია (გეშინოდეს), აქ მოლი...“ ჩქიმ ბერე ნა რენ მო ძგნეტაზ... (დიუმეზ. 1937, 20) „ჩემი შვილი რომ არის, არ გაიგონ (ნუ გაიგონ)...“ მო ძირუმტა კაობა (მარი, 107,41) „ნუ ნახავ სიყეთეს (ნუ გენახოს კარგობა)“. ავტორი სქოლიოში შენიშნავს, რომ მთქმელმა ეს ფორმა ლექსის საჭიროებით ახსნაო (ნაცვლად შო ძარომტი ფორმისა).

ნ. მარს შო ლექსიკონშიც აქვს შეტანილი და აფიქსირებს მის ოთხ მნიშვნელობას, რომელთაგან ორი ნაცვალსახელური პრეფიქსია, ერთი განმარტებულია, როგორც კითხვითი სიტყვა „რისთვის“, „რატომ“ (для чего? почему?): მო მეჩამ „რატომ აძლევ?“ ერთიც, როგორც უარყოფითი ნაწილაკი „ნუ“: მო მულურ „ნუ მოხვალ“. იქვე, ცალკე სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია შოდა ფორმა, რომლის მნიშვნელობად დასახელებულია „რატომ არა?“ (почему не?): სი ჭევაბი მოდა ვარ მომჩაფ „შენ პასუხს რატომ არ მაძლევ?“ (почему ты не даешь мне ответа?). ამავე სტატიაში აპარიანზე მითითებით ფიქსირებულია შოთა „რატომ“ და შოთ „როგორ?“ ვარიანტები: სი მოთ ქოგალასენ „შენ როგორ დასეირნობ?“ (как ты прогуливаешься? მარი, 1910, 168).

ი. ყიფშიძე მიზნის ზმნისართებში განიხილავს მუოთ, მოთ ფორმებს და განმარტავს როგორც „რატომ?“ (зачем?). ლექსიკონში

კი, მუ „რა“ კითხვითი ნაცვალსახელის სტატიაში, მიუთითებს მუშო^თ, მუოთ, მოთ, მუთ ფორმებზე, რომელთა მნიშვნელობად დასახელებულია „რატომ?“ „რად?“ (заучем: на что? ყიფშიძე, 1914, 0116).

არნ. ჩიქობავა აღნიშნულ ელემენტებს კილოს საკითხთან დაკავშირებით განიხილავდა. კერძოდ, იგი შენიშნავდა, რომ „უარყოფითი (დაშლითი) ფორმა ბრძანებითისა იწარმოება კავშირებითი მეორისაგან, თუ არ- ნაწილაკითაა ნაწარმოები და აწმყო-მყოფადისაგან, თუ ნუ- ნაწილაკია გამოყენებული (ქართ.: არ წერო!... ნუ წერ!); მეგრულსა და ჰანურში არ- ნაწილაკი ვა- ნაწილაკის სახითაა მოცემული, ნუ- ნაწილაკი ნუ-დ რჩება მეგრულში, ჰანურში კი სხვა ნაწილაკია გამოყენებული, სახელდობრ: მოთ || მო- ნაწილაკი: ვა ჰარა!... ნუ ჰარუნქ!... ჰან.: მო(თ) ჰარუმ!...“ (ჩიქობავა, 1936, 117).

მო(თ) ფორმის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გ. კლიმოვის და შემდეგ პ. ფენრიხსა და ზ. სარჯველაძეს გამოთქმული აქვთ მოსაზრება, რომლის თანახმად ლაზური მო-თ „ნუ“ კანონზომიერად შეესატყვისება სვანურ შა-დ-ე || შა-დ || შა-დ-ე „ნუ“ ფორმებს (ეს თვალსაზრისი არნ. ჩიქობავას გამოთქმული აქვს „ჰანურის გრამატიკულ ანალიზში“, გვ. 117), მეგრული და ქართული შესატყვისები გამოვლენილი არაა, ქართველური ფუძე-ენისათვის გ. კლიმოვის მიერ აღდგენილია *მაღ- არქეტაპი (კლიმოვი, 1964, 124; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 314).

ლაზური და მეგრული ტექსტების ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა:

1. ლაზურში მო, მოთ, მოდ პარალელურად დასტურდება, ვარიანტებია და ისინი ორი მნიშვნელობით გამოიყენება: ბრძანებით წინადადებაში ნუ-ს ტოლფარდია, კითხვით წინადადებაში — რა-ტომ-ისა.

ა) ბრძანებითი წინადადების ნიმუშები:

ბერემ-კალა გზას მო ამულურ! (მარი, 100, 23) „ბავშვთან (ერთად) გზას ნუ დაადგები!“

მუთუ მო მიწუმელ, მო მიდარლალ! (ყიფშ. 26,4) „ნურაფერს ნუ მეტყვი, ნუ მელაპარაკები!“

მთელი დულდას უჯი მოთ მეჩამთ, ნა-გიჩქინან-სთერი ვით (ქლენტი, 9, 15) „ყველა საქმეს ნუ გამოეკიდებით (ყურს ნუ ათხო-

ვებთ), რაც იცით, 'ის' აკეთებ (რომ იცითისნაირები ყავით)".

სქან-კალა ქობორტა დო ისტერ ჩქარ შოთ მჩამ გმარი! (ყიფშ. 69, 9) „შენთან ვიყო და, თუ გინდა, ნუ მაპმევ საკმელს!“

ბ) კითხვითი წინადადების ნიმუშები:

„ჰამ სიჯა შქიმიქ ჰაშო-ჰიშო შო კოკიწესს?“ (ჩიქ. II. 98,4) „ეს სიძე ჩემი იქით-აქეთ რატომ იყურება?“

„... ქომოლი სქანი-ა შო მოდლაფით“-მა (ყლენტი. 88, 16) „... კაცი შენო რატომ მოგვაკლევინეო?“

მუნ ორენ? შოთ ოკაილით? (ყიფშ. 28, 29) „რა არის? რატომ წაიკიდენით?“

კულანეფეს მაწკინდი შოთ მოდვია, დივეფე მოთ ყვილია? (კარტ. I. 155, 58) „გოგონებს ბეჭელი რატომ გაუყეთეო, დევები რატომ დახოცოო?“

„ნოღამისა ჩქიმი შოდ მებჩი...“ (ყიფშ. 27,18) „კოლი ჩემი რატომ მივეცი...“

მაქვალი შოდ ვა ჩამთ? (ჩიქ. II, 76,17) „კვერცხს რატომ არ აპმევთ?“

2. მეგრულში შო || შოთ აკრძალვითი შინაარსით (ბრძანებით წინადადებაში) არ დასტურდება. მის ნაცვლად ნუ || ნუმ გამოიყენება (ყიფშიძე, 1914, 070; ჩიქობავა, 1936, 117).

გამოქვეყნებულ მეგრულ ტექსტებში შოთ არცთუ იშვიათია, ხოლო შო ვერც დავადასტურებთ.

ბოში, დუდი მუოთ მიიყოთია? (ყიშ. 30, 6) „ბიჭო, თავი რატომ დაიღუპეო?“

მუოთ გავაგირძალა (ყიფშ. 33, 28) „რატომ გავაგრძელო 'საუბარი'“.

უჯგუში შოთ იცნ (ხუბ. 43, 3) „უკეთესი რატომ იქნება“.

შხვაში ვარდი შოთ მოკორდგ, მა შარას ბძირიკო ნი? (ყიფშ. 115, 15) „სხვისი ვარდი რად მინდოდა, მე გზაზე რომ მენახა?“

შოთ დოღუბი ოსურეფი, შოთ ქიმიანი საარაკო? (ყიფშ. 124, 16) „რატომ (რად) დაღუბე ქალები, რატომ ქენი საარაკო 'საქმე'“.

გური შოთ დომიკოროფი? (ყიფშ. 130, 24) „გული რად დამიწყლულე?“

რატომ, რად, როგორ კითხვითი ზმნისართების ფუნქციით ჩვეულებრივ გამოიყენება მუთ, რომელიც კითხვითი მუ ნაცვალსახე-

ლის ვითარებითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს ისევე, როგორც ქართველური სალიტერატურო ენის რად.

მუთ გამიბედი მა ქასაგანიში ცოთამა? (ხუბ. 99, 14) „როგორ გამიბედე მე ისრის სროლა?“

მუთ მუმაცონინე მა ინეფია... (ხუბ. 125,1) „როგორ შევძლებ მე მათ მოყვანას?“

მუთ კითხვით ზმნისართს ფორმალურად ემთხვევა მიმართებითი **მუთ** ნაცვალსახელი, რომლიც კითხვითი **მუ** ნაცვალსახელისა და **თ** ნაწილაკისაგან შედგება (ისევე, როგორც სალიტერატურო რაც ფორმა):

მუთ გემიხარჯებ სქანდან, მედინაფე ირფელია... (ხუბ. 196, 37) „რაც დამიხარჯია (დაგახარჯე თურმე) შენზე, დაკარგულა ყველაფერიო“.

ვეიქრობთ, **მოთ** (შოდ) მეგრულსა და ლაზურში და **მუთ** კითხვითი ზმნისართი მეგრულში ერთი წარმომავლობისა და სტრუქტურის ფორმებია. ამასთან, სავარაუდოა **მოთ** > **მუთ** პროცესი — ო > უ მ-ს გავლენით (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 314). არქაული ვარიანტი ლაზურშია შემონახული, მეგრულში კი ამოსავალი ფორმა პოზიციებს თმობს, თუმცა ჯერ კიდევ დაკარგული არ არის.

ლიტერატურა

მარი, 1910 — Н. Я. Марр, грамматика чанского (лазского) языка, С.-П., 1910.

კლიმოვი, 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

ფენრიხი, **სარჯველაძე**, 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000.

უიფშიძე, 1914 — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-П., 1914.

ჩიქობავა, 1936 — არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.

ქონების რთულსუფიქსიანი ზოგი სახელის
ეტიმოლოგიისათვის

-**იან**, -**ოვან**, -**იერ** რთული სუფიქსებით ნაწარმოებ ქონების სახელთა უმეტესობა გამჟღავნებულ აგებულებისაა და მათი ეტიმოლოგიური ანალიზი ძნელი არ არის, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ისეთი სიტყვებიც, რომელთა სეგმენტაცია ძირეულ და აფიქსურ მორფემებად და ძირის მნიშვნელობის დადგენაც გარკვეულ სიძნელებთან არის დაკავშირებული.

ზოგ სახელში თითქოს აშკარად გამოიყოფა მქონებლობის მაწარმოებელი ესა თუ ის სუფიქსი, მაგრამ ძირის მნიშვნელობის ძიებისას ირკვევა, რომ მათ ამ სუფიქსებთან საერთო არაფერი აქვთ. რამდენიმე ასეთი სახელი განხილული აქვს ა. შანიძეს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“. ესენია: **ბანოვანი**, **კრიალოხანი**, **მგოხანი**. პირველი მათგანი წარმოშობით სპარსული სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმაა, ქართულში მხოლოდითად გაგებული (ბანუ „ქალბატონი“, ბანუ-ან „ქალბატონები“). სპარსულიდან მოდის აგრეთვე **მგოხანი** (კოსან, გოსან „მეჩანგე“), **კრიალოხანი** კი მიღებულია ბერძნული გამოთქმისაგან (კირიე ელეისონ „უფალო, შავიწყალე“) (შანიძე, 1980, გვ. 124-125).

ზოგჯერ ესა თუ ის სიტყვა მქონებლობის სუფიქსით ჩანს ნაწარმოები, მაგრამ პარალელურად არსებულ იმავე ძირის მქონე სხვა ფორმებთან შედარება ცხადყოფს, რომ იგი სხვაგვარი აგებულებისა ყოფილა.

საბას ლექსიკონში წარმოდგენილია მკოდოვანი, რომელსაც ასეთი განმარტება ახლავს: „ფრიად გლახაკი“ (ZAA), „მოკლებული ანუ უქონელი“ (CD). დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, მკოდოვანი არის „გლახა, **книжник**“.

მკოდოვანი თითქოს -**ოვან** სუფიქსით ჩანს ნაწარმოები, მაგრამ ძველ ქართულში გვაქვს აგრეთვე **მკოდოვი**, რომელიც „მდიდრის“ ანტონიმია და „ლარიბს“, „ლატაკს“, „უქონელს“ ნიშნავს: „უკუეთუ

ავასხო ვეცხლი ძმასა შენსა შკოდოვსა“ (გამოსლ. 22, 25); „მდიდარმან არა შესძინოს და შკოდოვმან არა დააკლოს კერძოდსა მისგან სატირისა“ (გამოსლ. 30, 15); „ერთ ყვის გონებაჲ... მდიდრისა და შკოდოვისაჲ“ (1 ეზრა 3, 19).

გვხვდება აგრეთვე ამავე ძირისაგან ნაწარმოები **სიმკოდოვე II სიმკოდოვნი, უშკოდვესი** (აბულაძე, 1973).

ამრიგად, შკოდოვი და შკოდოვანი მნიშვნელობით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ფორმის მხრივ კი მათი შეპირისპირება ნათლად გვიჩვენებს, რომ შკოდოვანი ნაწარმოებია -ან სუფიქსით და არა -ოვან-ით. თუმცა თვითონ შკოდოვ-ში შეიძლება გამოიყოფოდეს -ოვ არქაული სუფიქსი (აგრეთვე მ-პრეფიქსიც), მაგრამ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია ძირის მნიშვნელობისა და წარმომავლობის გაურკვევლობის გამო.

თითქოს -ოვან სუფიქსით უნდა იყოს წარმოქმნილი **კეროვანი**, რომელიც ძველ ქართულში გვხვდება „დიდი ცვილის სანთლის“, „კელატრის“ მნიშვნელობით: „**კეროვნი**თა აღნთებულთა და საკუმეველთა სულნელითა აღვიჟუენით პატიოსანნი ძუალნი (შუშ. XIX, 9).

მაგრამ ამ სახელის პარალელურად გვაქვს **კერეონი**, რომელიც იშვიათად ახალ ქართულშიც დასტურდება და განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით უფრო მართებულ ფორმად არის მიჩნეული. ამ ორი ფორმის შეპირისპირება გვაფიქრებინებს, რომ **კეროვან-ში -ოვან** მეორეული უნდა იყოს.

ზოგ სახელში ქონების სუფიქსი თითქოს ამკარად ფუნქციონირებს, მაგრამ მისი გამოყოფის შემდეგ დარჩენილი ძირეული მორფემა დამოუკიდებელი სახით ქართულში არ დასტურდება და მისი მნიშვნელობა უცნობია. ასეთებია, მაგალითად: **შიდერი**, **ნოყიერი**, **დიზიანი** (შდრ. გალიზიანება) და სხვ. ზოგი ასეთი სახელი მხოლოდ ძველ ქართულში გვხვდება, ახალში კი აღარ იხმარება: **ანგროვანი** („ცხვრის ფარა“, „შინაური პირუტყვი“), **მხუეგროვანი** („ნახევარკმელი“), **შატროვანი** („ნაქსოვი“), **ჩარადოვანი** („ქანის ავადმყოფობით დაავადებული“), **შილიანი** („ლბილი“, „ელაბი“), **მტიერი** („ბელატი“) და სხვ.

ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში შეტანილია **ბორტნოანი**, რომელიც განმარტებულია როგორც ბალი, ბლჩა. საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ერთადერთი მაგალითი „მამათა ცხორებიდან“: „შეჰგავს მონაზონსა, რადთა არა მოცალე იყოს...

არცა წყაროებისათვის კეთილად აღმომდინარისა ანუ სამოთხეთათვის და ბორტნოანთა და ფერად-ფერადთათვის მხალთა (მ. ცხ. 79r).

როგორც ხელნაწერის შესწავლით ირკვევა, ეს სიტყვა ლექსიკონში შემთხვევით არის მოხვედრილი. რ-სა და ხ-ს გრაფიკული მსგავსების გამო მკვლევარს ხელნაწერიდან ამოუკითხავს არარსებული სიტყვა „ბორტნოანი“, „ბოსტნოანი“-ის ნაცვლად. „ბოსტანი“ ი. აბულაძეს განმარტებული აქვს როგორც „ბალი, ყვავილნარი“. როგორც ჩანს, ეს სიტყვა იხმარებოდა დღევანდელი გაგებითაც: „აპოთიკი და ბოსტანი და წისქვილი კელრისა საურავნი იყვნეს“ (იოანეს და ეფთჳმეს ცხოვრება 43, 29).

„ბოსტანი“ არაერთხელ გვხვდება „მამათა ცხოვრებაშიც“; ბოსტნისათჳს (96r), მებოსტნე (96r), ბოსტანი თვისი (იქვე).

„ბოსტნოანი“ იგივეა, რაც „ბოსტანი“, -ოანი სუფიქსს აქ მქონე-ბლობის გამოხატვის ფუნქცია არა აქვს, ისევე როგორც ზოგ სხვა შემთხვევაში (შდრ. მტილ-ოვანი-ი.: „მყის შეიმოსნეს თავნი მათანნი და განემზადნეს მტილოვანი“. ექუს. დღ. 75, 14).

ქონების -იერ სუფიქსით ჩანს ნაწარმოები მღ-იერ-ი. მისი ფუძე უნდა უკავშირდებოდეს მღილ-ს. ამგვარი დაკავშირების შესაძლებლობა ნაგულისხმევი აქვს ი. აბულაძეს, რომელიც თავის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „მღიერ“-თან მიუთითებს: „იხ. მღილი“.

აღნიშნული ლექსიკონის მიხედვით, მღილი იგივეა, რაც ჩრჩილი (tinea). ის ძველ ქართულში საქმოდ გავრცელებული სიტყვაა: „სამოსლისაგან გამოჳდის მღილი“ (ოშკის ბიბლია, ზირ. 42, 13); „სადა-იგი მპარავი არა მიეხება, არცა მღილმან განრყუნის“ (ლ. 12, 33); „მღილმან ვერ შეუძლოს ხესა მაგარსა და ფიცხელსა განრყუნად, არამედ ლბილსა და ფატარსა ეუფლის“ (მამათა სწავ. 152, 8).

მღიერი კანის დაავადებაა, რომელიც ძლიერ ქავილს იწვევს (scabies). მის სინონიმად ძველ ქართულში გვხვდება შეფხანი. გვაქვს მათგან ნაწარმოები ფორმებიც: მღიერ-იანი-ი, შეფხანი-იანი-ი, სი-მღიერ-ე: „ანუ კაცი, რომლისა თანა იყოს მის თანა მღიერი ძნელი ანუ შეფხანი“ (გელათის ბიბლია, ლევიტ. 21, 20); „ნუ არს მის თანა... მღიერი ანუ შეფხანოანი“ (ბაქარის ბიბლია, ლევიტ. 22, 22); „არა იყოს მის თანა... მღიერიანი ანუ შეფხანიანი (გელათის ბიბლია, ლევიტ. 22, 22); „გგუემოს შენ... „სიმღიერთა უცხოფთა და ფხანითა“ (მცხეთის ბიბლია, 2 შჯ. 28, 27).

ამჟამად ამ დაავადების სახელად უფრო გავრცელებულია მუნი

და ქეცი, მდიერო კი შემონახულია იმერულში ზღერ-ის ფორმით.

მდიერ-ის დაკავშირება მდილ-თან, ვფიქრობთ, სემანტიკურადაც ადვილი ასახსნელია და არც ფორმის მხრივ არის შეუძლებელი. როგორც ჩანს, ქავილის გამომწვევ მიზეზად მიჩნეულია უწვრილესი მატლი — მლილი, ხოლო ამ სახელწოდებაში, -იერ სუფიქსის დართვისას, -ილ (ფუძის შემადგენელი ნაწილი თუ დეტერმინანტი სუფიქსი) დაკარგულია: მლ-ილ-იერ → მლ-იერ-ი (მდრ. სიკუდილ-ი — სიკუდილ, სახელ-ი — სახილ და სხვ.).

-იერ სუფიქსი გამოიყოფა აგრეთვე უდიერ-ში, რომელიც ხშირად გვხვდება საშუალ ქართულში (პარალელურად გვაქვს აგრეთვე უდიარო). მისგან ნაწარმოებია უდიერად, უდიერობა, საუდიერო საბას განმარტებით, „უდიერო ძალის დატანება სიტყვით თუ საქმით“ დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონის მიხედვით კი უდიერო არის „ძალით შეუძლებლის მდომი, ან მთხოველი, მიბრჯნილი, თავისნება, უიათი, *настоишь, упрямый*“. ქეგლ-ში უდიერო განმარტებულია როგორც მოურიდებელი, მოძალადე, უტიფარი ადამიანი.

ამ სიტყვისათვის ამოსავალი უნდა იყოს ეთნიკური სახელწოდება იუდა, რომელიც ებრაულიდან არამეულის გზით შესულა არაბულში (წერეთელი, 1951, გვ. 298) და, ალბათ, ი უკანასკნელიდან — ქართულში. იუდა ეთნიკურ სახელად შედარებით იშვიათად გვხვდება, რადგან მას ძირითადად აღიქვამდნენ როგორც ქრისტეს მოლაღატე მოწაფის სახელს (იუდა ისკარიოტელი) და აქედან მოლაღატის, გამცემის მნიშვნელობა მიიღო. ეთნიკურ სახელად იუდას პარალელურად და მასზე უფრო ხშირად იხმარება იუდეველი, რომელიც ნიშნავს აგრეთვე ებრაული სარწმუნოების მიმდევარს (ბიბლიური პატრიარქის იუდას სახელიდან) (წერეთელი, 1979, გვ. 9-26; წერეთელი, 1979, გვ. 173-179). იუდა || იუდეველ-ის სინონიმებია ებრაელ-ი, ისრაელ-ი, ურია (აბაევი, 1980, გვ. 173-179).

მამასადამე, ჩვენი აზრით: უდიერ-ი ← ეუდ-იერ-ი ← იუდ-იერ-ი.

სემანტიკური ცვლილებების მხრივ სავსებით ასეთივე სურათია იმავე ძირისაგან ნაწარმოებ ჯიუტი სიტყვაში, რომელიც სხვადასხვა ენაში გვხვდება როგორც ეთნიკური, ასევე ზედსართაული მნიშვნელობით: არაბ. jahūd, არაბ.-სპარ. juhūd, თურქ. zivut, čivut, čunut, ოს zūt, ziwitt და სხვ.

ამრიგად, ჯიუტი ქართულში ნასესხები ფუძეა, უდიერო კი — საკუთრივ ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი. ძირი ორივეს საერთო

აქვს, მნიშვნელობითაც ახლოს დგანან.

ძველ ქართულში ცნობილი პარალელური ფორმებია **ფაშუნიერი** || **ფუშნიერი**: „**ფაშუნიერთურთ** მისით დაწუეს“ (ბაქარის ბიბლია, რიცხ. 19, 5); „ზუარაკი იგი და ტყავი მისი და ყოველი ჯორცი მისი და **ფუშნიერი** მისი დაწუეს ცეცხლითა გარეშე ბანაკსა მას“ (ოშკის ბიბლია, ლევიტ. 8, 17); „ყოველი ჯორცი მისი თავფერჯითურთ და ნაწლევით და **ფუშნიერთ**, და ყოვლადვე ჳბომ იგი განილოს გარე ბანაკსა მას ადგილსა წმიდასა“ (ოშკის ბიბლია, ლევიტ. 4, 11).

ფაშუნიერი **ფაშგ**-ის მრ. რიცხვის ფორმისაგან არის მიღებული -**იერი** სუფიქსის დართვით: **ფაშუნიერი** ისაა, რაც ფაშუშია მოთავსებული (შდრ. **მუცლიერი** „ნაწლევი“, ის, რაც მუცელშია მოთავსებული).

ზუსტად ასეთივე აგებულებისა და მნიშვნელობის მქონეა **ფუშნიერი**, რომელსაც იმავე **ფაშუ** ფუძეს უკავშირებენ (გელენიძე, 1974, გვ. 118).

ფუშ-ი **ფაშგ**-ის პარალელურად დასტურდება დიალექტებში (აჭარულში, გურულში) (ლონტი, 1975, გვ. 166). სწორედ მისი მრ. რიცხვისაგან არის წარმოქმნილი ფუშ-ნიერი-ი. ამავე ფუძისაგან არის ნაწარმოები ზმნა გამო-ფუშ-ვა („გამოფაშვა“, „გამოფატვრა“), ასევე: და-ფუშ-ვა, ჩა-ფუშ-ვა.

ამრიგად, ფაშგ-ი და ფუშ-ი ხმოვნის აბლაუტის გზით მიღებული პარალელური ფორმებია, რომელთა მრ. რიცხვის ფორმაზე -იერი სუფიქსის დართვით იწარმოება ასევე პარალელური ფორმები: ფაშუნიერი-ი || ფუშნიერი-ი.

შესაძლოა, წ ამ ფორმებში მრ. რიცხვის ნიშანი კი არ იყოს, არამედ ისევე იყოს გაჩენილი, როგორც ბედ-ნიერი-ში ან სახ-ნიერი-ში.

ერთი და იმავე (ოლონდ სხვადასხვახმოვნინანი) ფუძიდან ქონების სხვადასხვა სუფიქსის დართვით არის წარმოქმნილი **ნოყიერი-ი** (ძვ. ქართ. **ნუყიერი-ი**) და **ნაყრ-ოვანი-ი**.

ნაყროვანი-ი ილ. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს „გაუმძღარს“, ხოლო **ნუყიერი-ი** განმარტებულია როგორც „განმცხრომელი“ და მის სინონიმად წარმოდგენილია „კმასაყოფელი“; „ცხოვრებად **ნუყიერთაჲ** საქმითა კელთა მისთაჲთა დამტკიცნეს“ (ოშკის ბიბლია, ზირ. 40, 18); შდრ. ბაქარის ბიბლიის შესაბამისი ადგილი: „ცხოვრებად თვთ **კმასაყოფელი** მუშაკისა დატბეს“.

ამავე ლექსიკონში წარმოდგენილია ნაწარმოები ზმნური ფუძე-ებიც: **ნაყროვანება**, **ნაყროვნება**, **ნაყროვნობა** („გაუმძღვრობა“, „ღორმუცელობა“), **ნუყიერება** („სისიაცე“, „განცხრომა“).

ჩვენი აზრით, ორივე ეს სიტყვა (ნაყროვანი-ი და ნუყიერ-ი) ნაწარმოებია ერთი და იმავე ფუძისაგან, რომელიც არაბულ-სპარსულიდან არის ნასესხები. ესაა **ნუღლი** ანუ **ნუყლი**, რომელიც ქველ-ში დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონზე დაყრდნობით განმარტებულია როგორც „ნუშის გული დაშაქრული“. აღმოსავლურ ენებში ეს სიტყვა გვხვდება როგორც **უ** ხმოვანით, ასევე **ა** ხმოვნითაც (ნაყლ, ნაყლ) და აღნიშნავს საერთოდ ტკბილეულს, დესერტს, ხილს, უფრო კონკრეტულად — თხილს (орех). ქართულშიც თავდაპირველად ის ალბათ ნასესხები იყო უფრო ფართო მნიშვნელობით („ტკბილეული“), საიდანაც ადვილად შეიძლება განვითარებულიყო ის მნიშვნელობანი, რომელიც ცნობილი სუფიქსების დართვით მიუღია **ნაყროვანსა** და **ნოყიერს**.

ლიტერატურა

აბაევი, 1973 — В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, III, 1980.

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

გელენიძე, 1974 — ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.

წერეთელი, 1951 — გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951,

წერეთელი, 1974 — გ. წერეთელი, ებრაელის აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, თსუ შრომები, ტ. 20ბ, აღმოსავლეთ-მცოდნეობა, 1979.

წერეთელი, 1974 — გ. წერეთელი, ქართული ეთნიკური ტერმინის „ურია-ჰურიას“ შესახებ, კრბ. „არნოლდ ჩიქობავას“, თბ., 1979.

ღლონტი, 1975 — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, თბ., 1975.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბ., 1980.

-ა სუფიზისანი მცენარეთა სახელეპი ქართულში

ფორმაწარმოების მხრივ მცენარეთა სახელები ქართულში მრავალფეროვან სურათს წარმოგიდგენს. ფიტონიმთა მოტივაციის საფუძვლის ენობრივი ასახვა, ემყარება რა მოცემული ენის ფორმაწარმოების წესებს, ხშირად ხორციელდება საკუთრივ მცენარეთა სახელებისათვის ნიშანდობლივი ნიუანსებითა და თავისებურებებით. ამ მხრივ საყურადღებო ჩანს ა- დაბოლოებიანი სახელები, რომელთა სიუხვე განსაკუთრებით თვალშისაცემია ისედაც მდიდარ და მრავალფეროვან მასალაში. შეიძლება ითქვას, რომ ფიტონიმთა უმეტესობა ქართულის კილოებში სწორედ -ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელებია.

საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ სახელებში -ა არის საწარმოქმნო სუფიქსი, რომელიც გამოხატავს მქონებლობას, მსგავსებას, ან კინობითობა-ალერსობითობას (შანიძე, 1980, გვ. 120-126). „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ ეს ასეა წარმოდგენილი: -ა არის „სახელადი სუფიქსი, რომელიც გამოხატავს რისამე მქონებლობას: ცხვირ-ა „ცხვირიანი“... უპირატესად გვხვდება კომპოზიტებთან: შავტარა, წითელბერანგა... მქონებლობის -ა სუფიქსს შესაძლოა გაუტოლდეს ფუძისეული -ა: შავჩოხა... ა სუფიქსმა შეიძლება გამოხატოს რაიმე თვისების მქონებლობაც: შვინდა („შვინდის ფერის მქონე“), ბარბაცა (ის, რისთვისაც დამახასიათებელია ბარბაცი)... შეინიშნება სოკოების სახელწოდებებშიც: ტრედა, ჭადა...

-ა სუფიქსი, ჩვეულებრივ, აწარმოებს ზედსართავ სახელებს. ენაში გვაქვს მათი გაარსებითების (გასუბსტანტივების) შემთხვევები: ლურჯა (ლურჯი ფერის მქონე რაღაც), ბარბაცა (ის, რასაც ბარბაცი ახასიათებს)...

-ა სუფიქსი შეიძლება დაერთოს მიმღეობის ფორმასაც: მ-ჩხავ-ან-ა, ან მ-ტირ-ალ-ა, სა-ქან-ელ-ა... გამოიხატება ვისამე ან რისამე ნიშან-თვისება... აწარმოებს კინობით-საალერსო ფორმას. დაერთ-

ვის: 1. საზოგადო სახელებს (მხოლოდ თანხმომავანფუძიანებს): ქალა, დედოფალა... 2. საკუთარ სახელებს: ნოდარა, მერაბა... (ჯორბენაძე, 1988, გვ. 14-15).

როგორც ჩანს, ქართულში ამ სუფიქსის ძირითადი ფუნქცია მაინც მქონებლობის აღნიშვნა უნდა იყოს, რადგან ის უფრო ხშირად და მრავალფეროვნად ვლინდება, შდრ.: რისაჲმე მქონებლობა (ცხვირა, შავტარა...), ხშირად ამასვე უტოლდება -ა ფუძიანი სახელებიც (შეჩობა); რაიმე ნიშან-თვისების ან მსგავსების მქონებლობა (ბარბაცა, მტირალა, შვინდა...); გასუბსტანტივება, რაც გულისხმობს რაიმე ნიშან-თვისების მქონე საგნის აღნიშვნას (ლურჯა — „ის, რაც ლურჯი ფერის მქონეა“); კნინობითობა, რაც „მსგავსების მქონებლობას“ გულისხმობს, ოღონდ მცირე ფორმით: ქალ(ი) — ქალ-ა („ქალის ნიშან-თვისებების მქონე (მსგავსი) პატარა ქალი“), დედოფალ-(ი) — დედოფალ-ა („დედოფლის ნიშან-თვისებების მქონე (მსგავსი) პატარა დედოფალი“); ე. წ. „მსგავსების მქონებლობაა“ აღნიშნული სოკოთა სახელებშიც: მქადა („მქადის მსგავსი სოკო“), მტრედა („მტრედის მსგავსი შეფერილობის სოკო“)...

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ რიგ ა-დაბოლოებიან სახელებში ჰირს ა-ს კვალიფიკაცია და იგი მოგვიანებით გაჩენილი ჩანს. ამ რიგის სახელები ძველ ქართულში ბოლოთანხმომვიანები იყვნენ, მათ ფუძეს დროთა განმავლობაში დაერთო -ა და ბოლოხმომვიანებად იქცნენ (ძერ-ა, წიფელ-ა, ხუჭუქ-ა...). საზოგადოდ ეს ხმომვიანი „უმთავრესად დაერთვის არსებით სახელთა ფუძეს, რაც ამ ხმომვის წარმომავლობის გასარკვევად ნიშანდობლივი უნდა იყოს. ზედსართავ სახელთა ფუძეზე -ა ხმომვის დართვის თითო-ოროლა მაგალითი გვხვდება... -ა ერთვის მიმღეობათა ფუძეებსაც, მაგრამ ისეთებს, რომლებიც უმთავრესად არსებით სახელებად არიან გამოყენებული (მთხუნველ-(ი) → მთხუნველა → თხუნელ-ა; შშიშარ-(ი) → შშიშარ-ა...) განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ -ა ხმომვის დართვის შემთხვევები ყველაზე მეტად მოდის მცენარეთა სახელებზე. ეს უკანასკნელი ტენდენცია განსაკუთრებით ემჩნევა ქართული ენის დიალექტებს“ (მანჯგალაძე, 1956, გვ. 185).

ჩვენ გვინტერესებს; თუ რა სურათს წარმოვიდგენს ა-დაბოლოებიანი მცენარეთა სახელები ქართულში. უნდა აღინიშნოს, რომ

ა- ხმოვანზე დაბოლოებულ ფიტონიმთა უდიდეს ნაწილში ეს -ა საწარმოქმნო სუფიქსია, რიგ სახელებში ძნელდება მისი კვალიფიკაცია, ხოლო შედარებით მცირე ნაწილში ა- ფუძისეული ხმოვანია (კამა, ია, ბია...), ჩვენ ამჟერად საწარმოქმნო -ა სუფიქსიანი ფიტონიმები გვანტერესებს. ამიტომ შევეცდებით წარმოვადგინოთ ამ რიგის ფიტონიმთა ჯგუფები წარმოების თვალსაზრისით, გავარკვიოთ ამ სუფიქსის ფუნქციები და ის, თუ რატომ არის -ა მცენარეთა ნომინაციისას აგრერიგად პროდუქტიული საწარმოქმნო საშუალება, ვინაიდან საკვლევ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მრავალფეროვან საწარმოქმნო სუფიქსებს შორის ა-ს განსაკუთრებული ადგილი უკავია: იგი დაერთვის როგორც მარტივ, ასევე რთულ ფუძეებს; დასტურდება ქართულის ყველა კილოში; გვხვდება ცალკე და სხვა სუფიქსებთან ერთად.

მცენარეთა სახელებში¹ -ა სუფიქსი დაერთვის:

1. **არსებითი სახელის ფუძეს:** მტევან-ა (კახ.), კრავ-ა (აჭ.), ხაჭაპურ-ა (რაჭ., იმ.), კლანჭ-ა (კახ.)... ამგვარი წარმოების ფიტონიმები საკმაოდ ბევრია. აქ -ა სუფიქსი ძირითადად გამოხატავს: მცენარის რაიმე ნიშან-თვისების მქონებლობას (ნაოჭა, შხამა...), მსგავსებას, ანუ „მსგავსების მქონებლობას“ იმ საგანთან, რომელიც წარმოქმნილი სახელის ამოსავალი ფუძითაა აღნიშნული: ხმალ-ა (ფოთლის მსგავსება ხმალთან), ბეჭედ-ა (ყვავილის მსგავსება ბეჭედთან) და ა. შ., დანიშნულებას („მსგავსების მქონებლობასთან“ ერთად), მაგ.: ცოცხ-ა („ცოცხის მსგავსი და საცოცხე“).

2. **ზედსართავი სახელის ფუძეს** (პირველადი ზედ. სახელები-სას): მაგარ-ა (იმ.), ჭრელ-ა (ჩ.), ყრუ-ა (აჭ.). -ა სუფიქსი გამოხატავს მცენარის რაიმე ნიშან-თვისების მქონებლობას და მას, ამავე დროს, მასუბსტანტივებელი ფუნქციაც გააჩნია, მაგ.: ჭრელ-ა („ის მცენარეა, რომელსაც ჭრელი ფოთლები აქვს“)...

3. **ნაზმნარ სახელებს**

მიმღეობის ფორმებს: სა—ელ აფიქსით ნაწარმოებ მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობას, რომელიც თავის მხრივ, დანიშნულებას გამოხატავს: სამწიფელ-ა (გარ. კახ.), სასტვენელ-ა (ფშ.),

¹ მასალა ამოღებულია ალ. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონიდან“ (თბ. 1961), ასევე, მოპოვებულია ჩვენ მიერ.

სათრობელ-ა (აჭ. თუშ.), საფურცქვენელ-ა (მოხ.), საკვენეტელ-ა (რაჭ.)... ამგვარი წარმოება ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისთვისაა ნიშანდობლივი. -ა სუფიქსი ამ რიგის ფიტონიმებში მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა, რითაც, ასევე, გამოხატულია აღსანიშნის ნიშან-თვისებისა თუ დანიშნულების მქონე-ბლობა“, მაგ.: საფცქვენელ-ა („ის მცენარეა, რომელიც იფცქვენება, გაფცქვნის უნარის მქონეა“), სასტვენელ-ა („ის მცენარეა, რომლის ღერო სასტვენი დანიშნულების მქონეა“)...

მა—ელ აფიქსით გაფორმებულ სასუბიექტო მიმდებობას: მათრობელ-ა (კახ.), მახარობელ-ა (რაჭ.), მახრჩობელ-ა (ლიტ.)... ამგვარი წარმოების სახელები ხშირი არ არის. აქ -ა სუფიქსი მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა, რაც, ასევე, მქონებლობის სემანტიკასაც გულისხმობს, მაგ., მათრობელ-ა („ის მცენარეა, რომელსაც დათრობის უნარი აქვს“). ამგვარადვე ჩანს გაფორმებული რამდენიმე ფიტონიმიც, რომელთა ამოსავალი ფუძე ზმნური წარმოშობის კი არაა, არამედ სხვა მცენარის სახელია. აქ სახელდება მიმსგავსების საფუძველზე: მა-თუთ-ელ-ა (კახ.), მა-ტიტ-ელ-ა (მთ. რაჭ.)...

უარყოფის გამოხატველ ნამყო დროის საობიექტო მიმდებობას: ულეველ-ა (კახ.), ულევწელ-ა (ქართლ.კახ.), უცვეთელ-ა (ფშ. ქართლ.კახ.), უგრებელ-ა (ფშ.), უძოვარ-ა (სალიტ.), უხრავე-ა (მესხ.), უხარშავე-ა (იმ.), უჭკნობ-ა (მესხ.). -ა სუფიქსი ამგვარი წარმოების ფიტონიმებშიც მასუბსტანტივებელია, ამავე დროს, „მქონებლობასაც“ მიუთითებს. საინტერესოა, რომ უქონლობის სახელებსა (უფერულ-ა) და უარყოფის გამოხატველ ნამყო დროის მიმდებობაზე მასუბსტანტივებელი -ა სუფიქსის დართვა თავისებურ დატვირთვის ანიჭებს მთლიანად სახელის სემანტიკას, ვინაიდან ამ ფორმით გამოიხატება მცენარის იმ ნიშან-თვისების მქონებლობა, რომელიც თავისთავად, სწორედ რაღაცის ნაკლოვანება, რაღაცის უქონლობაა, მაგ.: ფერისა („უფერულა“), ხარშვის უნარისა („უხარშავე“), დაგრების უნარისა („უგრებელა“)... ამგვარი წარმოების ფიტონიმები ბევრი არ არის, მაგრამ მეტად საინტერესოა მოტივაციის საფუძველების ენობრივი გამოხატვის თავისებური ფორმით — უარყოფის, ნაკლულობის, უქონლობის „მქონებლობა“.

ნაირგვარი წარმოების მიმდებობის ფორმებს:

გაბლანდულ-ა (მესხ.ჭავ.), დაკოდელ-ა (აჭ.), მყრალ-ა (კახ.),

მწოვარ-ა (ხევს.), მკბენარ-ა (ხევს.), მკერვალ-ა (მოხ.), მჭამელ-ა (კახ.), მჭივან-ა (აღმ. მთა), მწივან-ა, მამასწარ-ა (ხევს.), მატკვლაცან-ა (რაჭ.).

-ა სუფიქსი ამ ფიტონიმებში მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა და მცენარის ამა თუ იმ ნიშან-თვისების მქონებლობასაც მიანიშნებს.

4. **მასდარის ფორმებს:** წივილ-ა (ქართლ. თუშ.), ქავილ-ა (ქვ. რაჭ.), პორწიალ-ა (იმ.), ლაწუნა (მესხ.)... ამ რიგის სახელები შედარებით მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. -ა სუფიქსი აქაც მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა და აღსანიშნი მცენარის რაიმეთვისების მქონებლობას გამოხატავს, მაგ.: ბრუალ-ა („ის მცენარეა, რომელსაც ბრუალის გამომწვევი უნარი აქვს“).

5. **ზედსართავი სახელის ოდნაობითი ხარისხის ფორმებს,** რომლებიც მო—ო აფიქსით იწარმოება: მო-მყრალ-უ-ა || მო-მყრალ-უ-ე, მო-ცერც-უ-ა || მო-ცერც-უ-ე, მო-შქერ-უ-ა || მო-შქერ-უ-ე, მო-ჭარხლ-უ-ა || მო-ჭარხლ-უ-ე (ლაჩხ.). ამ რიგის ფიტონიმები დასტურდება ლეჩხუმურში. სპეციალურ ლიტერატურაში მათ შესახებ აღნიშნულია: „სახელდების პრინციპის თვალსაზრისით ღირსსაცნობია მცენარეთა სახელწოდებანი ნაწარმოები მო—ო აფიქსით, რომელსაც დაერთვის მასუბსტანტივებელი -ა; სახელდება ხდება მიმსგავსების საფუძველზე: მო-შქერ-ო-ა → მო-შქერ-უ-ა (რეგრესული დისიმილაციით) || მოშქერუე (ჯორბენაძე, 1989, გვ. 510).

6. **დანიშნულების სახელებს, რომლებიც სა-პრეფიქსით იწარმოება:** საყვით-ა, საღვიძლ-ა, სარწყილ-ა, საცოცხ-ა (მოხ.)... ამ რიგის ფიტონიმები ძირითადად დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში, მეტწილად — თუშურში. ცნობილია, რომ ოდენ სა-პრეფიქსით სახელთა წარმოება უფრო პროდუქტიული იყო ძველ ქართულში და ამ წარმოების ზოგი ფორმა შემოინახეს აღმ. საქართველოს მთის დიალექტებმა. ვფიქრობთ, მცენარეთა ამ რიგის სახელებშიც ოდენ სა-პრეფიქსით ნაწარმოებ დანიშნულების სახელებზეა დართული მასუბსტანტივებელი ფუნქციის -ა სუფიქსი.

დანიშნულების სახელებს, რომლებიც სა—ე აფიქსით იწარმოება: საჭამი-ა, საბაქნი-ა (მთიულ.), საბეკდი-ა (მოხ.), სატრი-ა (ფშ.ხევს.), სამაჭრი-ა (იმ.), სატილი-ა (აჭ.), საკოკი-ა (ლეჩხ.)... როგორც ჩანს, სა—ე დანიშნულების აფიქსით ნაწარმოებ სახელზე -ა

სუფიქსის დართვისას რეგრესული დისიმილაციით ვიღებთ -**ა** და ბოლოებას **ე-ა** → **აა**, ამიტომ გვაქვს: საბეჭდია (← საბეჭდე-ა) და მისთ. ამგვარივე წარმოების ტოპონიმებში -**ა** სუფიქსი მიჩნეულია კნინობითობის აღმნიშვნელად, სამტრედია-**ა** (← სამტრედე-**ე-ა**) და მითითებულია, რომ „ანალოგიური ვითარება დამოწმებულია საზოგადო სახელებშიც (დიალექტებში)“ — (ქორბენაძე, 1988, გვ. 213). ჩვენი დაკვირვებით, ანალოგიური წარმოების ფიტონიმებში -**ა** სუფიქსის სხვა ფუნქცია იკვეთება: შდრ.: მცენარე „ჰანკყატას“ კილოური სინონიმებია: სა-ტრ-ე (ერ.), სა-ტრ-ი-**ა** (ხევს.), ჩიბუხტარ-**ა** (რაჭ.)... აქ გამოიყოფა ტარ/ტრ ძირი, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა კარგად მიაჩნება წარმოდგენილ ფიტონიმთა მოტივაციის საფუძველს. (შდრ.: ტარ-ი — 1. სახელური 2. თითისტარი — ქეგლ; „სატრე (ფშ.) — ბოლოში გამოყვანილი გამხმარი ხე, რომლისგანაც სართავ ტარს (თითისტარს) აკეთებენ“ — გიგინეიშვილი, 1961, გვ. 594). ჩანს „ჰანკყატას“ სინონიმური სახელების მოტივაციის საფუძველი მცენარის დანიშნულებაა (სათითისტარედ ან საჩიბუხტარედ გამოყენებული). ამ დანიშნულებას გამოხატავს სა-**ა** ფიქსი, ხოლო მასზე დართული -**ა** სუფიქსი მასუბსტანტივებელ ფუნქციისაა და მცენარის ამ „დანიშნულების მქონებლობასაც“ მიუთითებს.

7. ხელობის (დანიშნულების...) სახელებს: მეთო(ვ)ლია (გურ.), მეიფუნია, მეფერ(ვ)იე (← მეფერ(ვ)ია), მეძინია (ლეჩხ.)... ამ რიგის სახელები ბევრი არ არის. აქ უნდა გამოიყოს **შე-ე** აფიქსი, რომელიც საზოგადო სახელებისაგან აწარმოებს ხელობის სახელებს, ასევე, შეიძლება გამოიხატოს ვინმეს ან რაიმეს დამახასიათებელი თვისება, დანიშნულება. ჩვენს ნიმუშებში მას დაერთვის მქონებლობის -**ა** სუფიქსი და ფონეტიკური ცვლილების შდეგად (**ე+ა**→**ია** — დისიმილაცია) ვიღებთ -**ა** დაბოლოებას, საბოლოოდ კი **შე-ა** გაფორმების სახელს, რომელიც მცენარის რაიმე თვისების ან „მსგავსების მქონებლობას“ გამოხატავს. ამგვარად ნაწარმოები ფიტონიმები ბევრი არ არის და ქართულის ოდენ დასაჯ ურ კილ-ებში დასტურდება. ვფიქრობთ, იგი მეგრულის ანალ კიით უნდა იყოს დამკვიდრებული, ვინაიდან მეგრულში გვაქვს **შა-ა** აფიქსიანი წარმოება, რომელიც ორგანული და დამახასიათებელი ანს მცენარეთა მეგრული სახელების გაფორმებისას: მათირია, ჭურია, მ-

ფატია, მაქვიდია, მაჯარღვია... ამგვარი წარმოების სახელების მოტივაციის საფუძველია მცენარის რაიმე თვისება, მსგავსება, ნაირობა. „აღმოჩნდა, რომ (მეგრულში — ნ.ხ.) შა—ოა (-ია) ცირკუმფიქსის უნარი, გამოხატოს სახელსაღები საგნის მიმსგავსება (რაიმე ნიშნით) მცირე საგნისადმი, არც თუ იშვიათადაა გამოყენებული მცენარეთა თუ ცხოველთა აღმნიშვნელი საზოგადო სახელების საწარმოებლად“ (ცხადია, 1996, გვ. 287). მეგრულ-ჭანური მა- პრეფიქსი კანონზომიერი შესატყვისია ქართული მე- პრეფიქსისა, ეს მე- პრეფიქსი კი ქართულში სუფიქსებთან ან დამოუკიდებელივ აწარმოებს ხელობის, დანიშნულების, თვისების სახელებს, ვნებითი გვარის ზოგიერთი ზმნისაგან კი — სასუბიექტო მიმღეობას (გამოიხატება რისაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისება: მე-წველ-ი...). თავად მეგრული შა—ოა რთული შედგენილობისად მიიჩნევა: „ამ მიმღეობებში მაწარმოებელი უნდა იყოს შა—ე: მა-ხარ-ე, მა-რულ-ე, რომელთაგან -ა სუფიქსის დართვით მივიღეთ მახარეა → მეხარია, მარულეა → მარულია. ამ სახის მიმღეობები მეგრულში გასუბსტანტივებულია და უმეტესად აღნიშნავს მცენარეთა და მწერთა სახელებს“ (ნადარეიშვილი, 1962, გვ. 179).

8. **ზანური წარმოშობის (ან გაფორმების) დანიშნულების სახელებს:**¹ ოტყაჩუ-ა, ონჯახუ-ა, ოკნატუ-ა, ოხატუ-ა (გურ.), ომო-შუ-ა, ოყრალუ-ა (იმ.), ოლალუ-ა, ოხოკუ-ა / ოხაკუ-ა (იმ. გურ.)... აქ -ა სუფიქსი მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა და მქონებლობის გაგებასაც შეიცავს. ო-ტყაჩ-უ-ა (გურ.) იგივეა, რაც „სა-ტყაც-ი-ა“ ე. ი. „ის, რასაც ტყაცუნის თვისება აქვს, გასატყაცუნებელია“. ამ მცენარის სახელდებისას ამოსავალია მისი თვისება-დანიშნულება (მცენარის ბუშტის მსგავსი ნაყოფი მწიფობისას სკდება. იგი შეიძლება ხელითაც გატყაცუნდეს). წარმოდგენილი ფიტონიმის (ო-ტყაჩ-უ-ა) საწარმოქმნო ფუძე ტყაჩ ლექსიკური მნიშვნელობა სწორედ ამას მიანიშნებს, შდრ.: ზანური „ტყაც || ტყაჩ || ტყვაც, ქართული ტყაცანი; ჭანური ტყვაც — გასკდომა, აფეთქება; მეგრული: ტყვაც — მეხის გავარდნა; სვანური: ლიტყცანე — ცემა“ (ფოჩხუა, 1974, გვ. 320). ამასვე მიანიშნებს მცენარის სხვა სახელები: სა-ტყაჩ-უნ-ა (აჭ.),

¹ ამგვარი წარმოების ფიტონიმებზე იხილეთ ჩვენი სტატია (ზოქოლავა, 2000, გვ. 419-423).

ტყვატყვაც-ია (მეგრ.) - ტყვაც — რედუბლიცირებული ფორმა).

უ-ა დაბოლოებიან მცენარეთა სხვა სახელებში -ა სუფიქსი მიჩნეულია მასუბსტანტივებლად (იხ. ზემოთ). იქვე მითითებულია, რომ „მასუბსტანტივებელი ფუნქციითაა გამოყენებული -ა ფორმანტი სოკოთა სახელებშიც: ღვინო-ა → ღვინუ-ა, მჭადო-ა → მჭადუ-ა (ჯორბენაძე, 1989, გვ. 510).

9. -ა სუფიქსი გვხვდება არა ერთი რთული სუფიქსის შემადგენლობაში: ურ-ა/ულ-ა: შემოდგომურა (კახ.), ხვევნურა (თუშ.), პიტნურა (კახ.), ღვედურა (ქართლ.), ცოცხუნა (კახ.), ღობურა (მესხ.), ბოლოკურა (ლიტ.), ქიზიყურა (კახ.), კარაქულა (კახ.), მარიაშულა (ხევს.)...

ან-ა: წებოვანა (ქართლ.ფშ.), თაფლანა (ფშ.), ქოლგანა (ლეჩხ.), კიტრანა (კახ.), გიჟანა (ფშ.), ვაშლანა (ლიტ.)...

ელ-ა: ნარგიზელა (ლიტ.), მარწყველა (კახ.)გ, წიკწიკელა (ქიზ.), ჯდომელა (ზმ. იმ.), ყურწუმელა (იმ. რაჭ. ლეჩხ.), სტვინელა (ჭავ.), წუწკნელა (მესხ. ჭავ.).

უნ-ა პრასუნა (იმ.), მჟაუნა (ლიტ.), ქადუნა (კახ. ქართლ.)...

არ-ა: ქინძარა (ლიტ.), კოშმარა (გრ. ვახ.).

ინ-ა: გოლგოთინა (მესხ.), პრასინა (ზმ. იმ.), კოკოტინა (მსხ. ჭავ.).

ერ-ა: ხაპერა (გურ.), ხოკერა (იმ.)...

ობ-ა: ცოცხობა (გურ.)...

ევან-ა: ერძევანა, რძევანა (მოხ. მთიულ.)...

ოსან-ა: ბუშტოსანა (ლიტ.)...

იერ-ა|| იელ-ა: ჯდომიერა (ზმ. იმ.), მწყურთიელა (ხევს.).

წარმოდგენილი რთული სუფიქსები ქართულ ფიტონიმთა წარმოებისას ნაკლებპროდუქტულია. მათი უკანასკნელი კომპონენტი -ა შესაძლოა ზოგან უკვე წარმოქმნილ ფიტონიმს მოგვიანებით დაერთო: ქიზიყ-ურ-(ი) → ქიზიყ-ურ-ა¹; სხვაგან კი, თავიდანვე რთულმა სუფიქსმა აწარმოა ფიტონიმი: კიტრ-ანა, ქოლგ-ანა, წიკწიკ-ელა...

ამ რიგის სახელებში რთულ სუფიქსის შემადგენელი -ა-ს ფუნ-

¹ ამგვარად ნაწარმოებ სახელებში წინ წამოწეულია წინამძღვლი იფიქსის ძირითადი ფუნქცია, ხოლო -ა სუფიქსი მასუბსტანტივების როლში გველინება (ტუს-კია, 1977, გვ. 250).

ქცია ძირითადად მასუბსტანტივებელია, ან მქონებლობის აღნიშვნაა, მაგრამ ისეთ ფიტონიმებში, სადაც საწარმოქმნო ფუძე სხვა მცენარის სახელია, მასზე დართული -ა (რთული სუფიქსიც) კინოზობის თანამნიშვნელობასაც გამოხატავს: მარწყვ-ელ-ა, პიტნ-ურ-ა, კიტრ-ან-ა...

ზმირ შემთხვევაში ჰირს სუფიქსთა (და სხვათა) არა მხოლოდ ფუნქციის გარკვევა, არამედ მათი გამოყოფაც და იგი მხოლოდ ეტიმოლოგიის დონეზეა შესაძლებელი. ამ მხრივ საგულისხმოა შენიშვნა: „გაურკვეველია -ერა დაბოლოების მნიშვნელობა ხაპერა — სიტყვაში, მაგრამ ის კი ნათელია, რომ ამ დაბოლოებამ ზაპმ „გოგრა“ სხვა სიტყვად აქცია: ხაპერა „გოგრის (ხაპის) ერთ-ერთი სახეობა“ არის; ზაპერა მოტივირებული სიტყვაა“ — (ფოჩხუა, 1974, გვ. 109).

10. **ფუძეგაორკეცებულ ფორმებს:** ფუჰეფუჰა (ლიტ.), ტაყტაყა (გურ.), პუჰპუჰა (ერ.)... აქ -ა სუფიქსი მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა და მცენარის ნიშან-თვისების მქონებლობასაც მიუთითებს.

11. **ფუძეგაორკეცებულ სახელთა თითოეულ კომპონენტს:** თაფლა-თაფლა, ღვინა-ღვინა, ცოცხა-ცოცხა, თითა-თითა, ქინძა-ქინძა/ე, მყარალა-მყარალა, ძარღვა-ძარღვა (გურ.); ფერა-ფერა, ქონა-ქონა (გურ. იმ.). რძია-რძია (რაჰ. ლეჩხ. იმ. გურ.)... ამ რიგის ფიტონიმები დასტურდება ქართულის დასავლურ დიალექტებში, ძირითადად გურულში. ამგვარი ფორმები ვერ თავსდება რედუპლიციურებულ სახელთა ტრადიციულ კლასიფიკაციაში. აქ ხდება მარტივი გაორკეცება ისეთი ფორმებისა, რომელთაც გაორკეცებამდე დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნიათ და, ამასთან, თითოეული კომპონენტი მქონებლობის -ა სუფიქსით გაფორმებული წარმოქმნილი სახელია: თაფლი → თაფლ-ა → თაფლა-თაფლა („ქერიფქლა“); მყარალი → მყარალ-ა → მყარალა-მყარალა („ხემყარალი“). ფიტონიმთა ამგვარი წარმოებისას ხდება მცენარის ამა თუ იმ ნიშან-თვისების „მქონებლობის“ გამოხატველი -ა სუფიქსიანი სახელის სრული რედუპლიკაცია, ამასთან ერთად კი მოტივაციის საფუძვლის გამოკვეთა და ექსპრესიულობის ერთგვარი გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ გაორკეცებულ სახელთა ეს რიგი იშვიათია და დასტურდება ძირითადად ფიტონიმებში. საინტერესოა, რომ გურულსა და ნაწილობრივ ქვ. იმერულშიც შეინიშნება ტენდენცია, გაორკეცდეს

არა მხოლოდ მქონებლობის გამოხატველი -ა სუფიქსიანი სიტყვა, არამედ საზოგადოდ -ა ფუძიანი ფიტონიმი, მაგალითად: ინა-ინა (გურ.), კამა-კამა (გურ. ქვ. იმ.), ია-ია, (გურ. იმ. რაჭ. ლეჩხ.)... როგორც ჩანს, აქ -ა მიჩნეულია საწარმოქმნო სუფიქსად, ხოლო თავად ფიტონიმები გაფორმებულია „თაფლა-თაფლა“-ს ანალოგიით.

12. **სხვადასხვა ტიპის ფუძეთა შეერთებით მიღებულ ატრიბუტულ კომპოზიტებს** (როგორც პირდაპირი, ასევე შებრუნებული წყობით): კრელფოთოლა (კახ.), შავბალახა (ლიტ.), წითელხილა (მოხ.), შავეკალა (მესხ.), შავქალა (გურ.), ცხრაძარღვა (ლიტ.)... ქალშავა (გურ.), ძირთეთრა (გურ.), ძირმაგარა (იმერ. კახ.), ხეშავა (აჭ.), ძირტკბილა (მხ. ფშ. ხევს. იმ. გურ. ლეჩხ.), სახემშვენიერა (ქვ. იმ. გურ. ქვ. აჭ.), ბოლოკვერცხა (გურ.), ხემარწყვა (ლიტ.)... ამგვარი წარმოების ფიტონიმები უხვად დასტურდება დიალექტებში. როგორც ჩანს, იგი მოხერხებულია მოტივაციის ამა თუ იმ საფუძვლის წარმოსაჩენად, ვინაიდან ატრიბუტუსაზღვრელიანი კომპოზიტი, თავის მხრივ, კარგად გამოხატავს აღსანიშნის რაიმე ნიშან-თვისებას, ხოლო მასზე დართული -ა სუფიქსი მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა და იმ საგანზე მიანიშნებს, რომელიც ამ ნიშან-თვისების მქონეა, მაგ.: ძირ-ტკბილ-ა „ის მცენარეა, რომელსაც ტკბილი ძირი აქვს“. შავ-ეკალ-ა — „მცენარე, რომელსაც შავი ფერის ეკალი აქვს“, სოკო-კვერცხა — „სოკო, რომელიც კვერცხთან მსგავსების მქონეა“ და ა. შ.

13. **კომპოზიტის I კომპონენტს**: ბორბალაბალახი (რაჭ.), კაკაია (კახ.), ზღარბანარი (კახ.), მელაკუდაფეტვი (მთიულ.), მთვრალაბალახი (ქიზ.)...

განსაკუთრებით მიღებული ჩანს ამგვარი წარმოება სოკოთა სახელებისათვის: კალმხასოკო (ლიტ.), პაჭიქასოკო (ქართლ.), მჭადასოკო (ლიტ.), ყურასოკო (ლიტ.), წკრიალასოკო (ლიტ.)¹...

ამ ჯგუფშივე გამოიყოფა ერთი რიგი თხზული სახელებისა, რომლებიც იმით გამოირჩევა, რომ მათი ორივე კომპონენტი მცენარეთა (ან მცენარის რომელიმე ნაწილის) სახელებია. და ამ მცენარეთა ურთიერთმსგავსებას გამოხატავს: ქონდარაფიჭვი (ლიტ.), პრასაყვავილი (იმ.), კვახაბალახი (ზმ. იმ.), სვილაბალახი (თუშ.), ფოთოლა-

¹ ამ ჯგუფის სოკოთა სახელები ერთად უნდა დაიწეროს.

ბალახი (რაჭ.), ბალახავარდი (სბ.)... -ა სუფიქსი აქ „მქონებლობის“ აღმნიშვნელია.

ამ რიგის ფოტონიმებში გამოხატულია მცენარის ნიშან-თვისება, მსგავსება რაიმე საგანთან ან სხვა მცენარესთან (რომლის სახელიც თავად ფიტონიმში ფიგურირებს). როგორც აღვნიშნეთ, I კომპონენტზე დართული -ა სუფიქსი მქონებლობას გამოხატავს (შხამასოკო — „შხამიანი სოკო“), ან მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა (მთვრალა-ბალახი — „ის ბალახი, რომელსაც სიმთვრალის გამომწვევი თვისება აქვს“).

14. **კომპოზიტს, რომლის I კომპონენტი -ა სუფიქსიანი სახელია:** დათვაკანაფა, დათვამსხალა, ძალდაყურძენა, ჩიტავაშლა, თავგაყურა (აჭ.)... ამგვარი წარმოება ძირითადად აჭარულისთვისაა ნიშანდობლივი. საგულისხმოა, რომ საზოგადოდ აჭარულში „მქონებლობის“ გამომხატველ სახელთა საწარმოებლად ფართოდ გამოიყენება -ა სუფიქსი; სახელდება ხდება რაიმე ნიშან-თვისების მიხედვით: ნარინჯად, თავგად, ყვავილად (საქონლის სახელებია), თეთრად (მსხლის ჭიშია), შაქრად (ვაშლის ჭიშია), წყალად (გოგრის სახეობა)“ — (ჯორბენაძე, 1989, გვ. 507).

ამ რიგის სახელებში I კომპონენტი ყველგან მქონებლობის სახელია, რაც, შესაბამისად -ა სუფიქსით არის განპირობებული (დათვა, ძალდა, თავგა, ჩიტა), მაგრამ ერთ ქვეჯგუფში, იქ, სადაც II კომპონენტი თავად არის რომელიმე მცენარის ან მისი ერთ-ერთი ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა, შეინიშნება გარკვეული თავისებურება: -ა სუფიქსიანი I კომპონენტი აქ კუთვნილებას, განკუთვნებას გამოხატავს, მაგ.: **დათვამოცვა** იგივეა, რაც „ის მოცვი, რომელიც დათვისთვისაა განკუთვნილი“. აქ ჩანს, აგრეთვე, ერთგვარი ცოდნა-დაკვირვების შედეგი. ამგვარად გაფორმებული ფიტონიმები „გვამცნობენ“, რომ აღნიშნულ მცენარეს განსაკუთრებით ეტანება მის სახელშივე დასახელებული ეს თუ ის სულიერი. საგულისხმოა, რომ ამგვარ სახელთა კილოურ ვარიანტებში -ა სუფიქსიანი I კომპონენტს ხშირად ენაცვლება ნათ. ბრუნვაში დასმული იგივე სახელი, შდრ.: **დათვამსხალა** (აჭ.) — **დათვი(ს)მსხალა** (იმ.), **თუნთიში** სხული (მეგრ. „დათვის მსხალი“); **ხარაძირა** (მესხ.) — **ხარისძირა** (ლიტ.), **ხარი(ს)ძირა** (აჭ.).

ამგვარივე გაფორმების ის ფიტონიმები, რომელთა II კომპონენ-

ტი მცენარის აღმნიშვნელი სახელი არ არის, მიუთითებენ აღნიშნული მცენარის (ან მისი რომელიმე ნაწილის) მსგავსებას | კომპონენტად დასახელებული სულიერისადმი, მაგ., **თაგვაყურა** არის „ის მცენარე, რომელიც (რომლის ფოთოლიც) თავის ყურის მსგავსია“.

საგულისხმოა, რომ ზოგჯერ ამგვარ კომპოზიტებში | კომპონენტად წარმოდგენილია არა -> სუფიქსიანი, არამედ ა-ფუძიანი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით, მაგრამ იგი ზემოთ განხილული ნიმუშების მსგავსად, კუთვნილებას გამოხატავს. მაგ.: **მიწამოცვა** იგივეა, რაც „მიწის მოცვი“, **მიწამაყვალა** — „მიწის მაყვალი“. აქ სახელდება ხდება მცენარის გავრცელების მიხედვით. როგორც ჩანს, | კომპონენტის -> ხმოვანი ამ შემთხვევაში მქონებლობის -> სუფიქსთანაა გაიგივებული.

წარმოდგენილი რიგის ფიტონიმებზე ბოლოს დართული -> სუფიქსი მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა და მქონებლობასაც აღნიშნავს. შდრ.: **დათვამსხალა**-> (← **დათვამსხალი**), „ის მსხალი, რომელიც დათვისთვისაა განკუთვნილი“. **თაგვაყურა**-> (← **თაგვაყური**) „ის მცენარე, რომელიც თავის ყურის მსგავსია“.

15. **მართლმსაზღვრელიან კომპოზიტს**: **დათვისკიტრა** (თუმ.), **ქრისტესბეჭედა** (რაჭ. ლეჩხ.), **ცხენისკბილა** (იმ.), **ასისთავა** (ლიტ.), **ყანისხაზვა** (ჩ.), **ჩიტისთავე** (← **ჩიტისთავა**) (ქვ.იმ. გურ.), **ცხვრისკუნელა** (იმ.)... | კომპონენტის ნთ. ბრუნვის ს ელემენტი ხშირად მოკვეცილია: **კრავიკულა** (რაჭ. იმ.), **მელიძვალა** (რაჭ. ლეჩხ. იმ.), **ჩიტიფეტვა** (ლიტ.), **საპნიყვავილა** (კახ.); **ჩიტისაკენკარა** (ზმ. იმ.), **დათვისაგებელა** (ქართლ.), **ყურისაგებელა** (გურ.)... **კომპოზიტის** | ნაწილი შეიძლება თ-ანიანი მრავლობითის ფორმითაც იყოს წარმოდგენილი (ემფატიკური ა-ს გარეშე): **კატათკულა**, **დათვყურძენა**, **დათვთჟოლა**, **ჯორთკულა**... (თუმ.), **ყვავთნიორა** (ფშ. თუმ.), **ნადირთმხალა** (ხევს.). ამ წარმოების უკანასკნელი ჯგუფის ფიტონიმები ძირითადად დასტურდება აღმ. საქართველოს მთის კილოებში, განსაკუთრებით თუშურში. რიგ ფიტონიმებში ნათ. ბრუნვის ნიშანი შეიძლება სულაც არ იყოს წარმოდგენილი: **ჯორფეხა** (იმ.), **ძალხახვა** (ჯავ.), **თავმტკივანა** (მთიულ.), **ცხვარსახოცელა** (მოხ. გუდ.)...

წარმოდგენილი რიგის თხზულ სახელებზე დართული -> სუფიქსი მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა და, ამასთან, მქონებლობასაც

მიუთითებს (ნიშან-თვისების, მსგავსების, „განკუთვნების“).

აღსანიშნავია, რომ წინა რიგის ფიტონიმების დარად (იხ. ზემოთ № 13), ამ რიგის თხზულ სახელებშიც შეიმჩნევა ერთი თავისებურება: როცა კომპოზიტის I ნაწილი რომელიმე სულიერის აღმნიშვნელია, ხოლო II — მცენარისა, მთლიანად თხზული სახელი (ფიტონიმი) გამოხატავს აღსანიშნი მცენარის „განკუთვნებას“ მის სახელშივე დასახელებული სულიერისადმი. ე. ი. იმას, რომ აღნიშნულ მცენარეს განსაკუთრებით ეტანება ესა თუ ის სულიერი (ცხოველი, ფრინველი...), მაგ.: **დათვთჳოლა** (დათვისთვის „განკუთვნილი“ უოლა), **ცხვრისკუნელა** (ცხვრისთვის „განკუთვნილი“ კუნელია, მცენარეს განსაკუთრებით ეტანება ცხვარი) და ა. შ. ხოლო, თუკი თხზული სახელის (ფიტონიმის) II კომპონენტი რომელიმე მცენარის სახელი არ არის (კრავეკუდა, ჩიტისთავა, ჯორთკუდა...), მთლიანად ფიტონიმი მიუთითებს აღსანიშნი მცენარის მსგავსებას კომპოზიტში ნათ. ბრუნვიანი მსაზღვრელ-საზღვრულით გამოხატული მნიშვნელობისადმი, რასაც სწორედ თხზულ ფორმაზე დართული -ა სუფიქსი განახორციელებს. ე. ი. რომელიმე კრავეკუდა „ის მცენარეა, რომელიც რაღაცით კრავის კუდის მსგავსია“. საგულისხმოა, რომ ამგვარი წარმოებისათვის აჭარულმა და თუშურმა საკუთარ ხერხებს მიმართეს: კომპოზიტის I კომპონენტად აჭარულში ძირითადად წარმოდგენილია მქონებლობის -ა სუფიქსიანი სახელი (ამდენად, ფიტონიმში -ა სუფიქსი ორჯერ დასტურდება: დათვამოცვა, თავვაყურა...), ხოლო თუშურმა ამავე I კომპონენტის ნათ. ბრუნვის თანიანი მრავლობითით წარმოდგენას მიანიჭა უპირატესობა (დათვთჳეხა, ყვავთნიორა...).

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მცენარეთა სახელების საწარმოებლად გამოყენებული მეტად პროდუქტული სუფიქსი -ა ძირითადად მქონებლობას გამოხატავს. მაგრამ ეს არის მქონებლობა ფართო გაგებით, რაც ასევე გულისხმობს კნინობითობის, მსგავსების, კუთვნილების გამოხატვას. რაც შეეხება -ა სუფიქსის მასუბსტანტივებელ ფუნქციას, ფიტონიმებში ძირითადად ჰირს მისი გამიჯვნა მქონებლობის ფუნქციისაგან. რაკი არქაულ მასალაში, ისტორიულად, -ა „სუფიქსს უნდა მიეწეროს ზმნური (ზმნასთან საერთო) ძირის სუბსტანტივაცია“ (არაბული, 2001, გვ. 85), ივარაუდება, რომ, საზოგადოდ -ა სუფიქსის მასუბსტანტივებელი ფუნქცია

ქართულში უძველესია. ვეყრდნობით აღნიშნულ მოსაზრებას და ვვარაუდობთ, რომ ფიტონიმებში -ა სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია იყო მასუბსტანტივებელი, რაც იმთავითვე გულისხმობდა მქონებლობას ფართო გაგებით (იხ. ზემოთ). გვიანდელ ფორმებში იგი დიფერენცირებული სახით წარმოგვიდგა: რისამე მქონებლობა, რისამე ნიშან-თვისების მქონებლობა, რაიმე „მდგომარეობის მქონებლობა“, რაიმესთან „მსგავსების მქონებლობა“, კინობითობა (რაც ასევე „მსგავსების მქონებლობას“ უკავშირდება) — ყველა ეს სემანტიკა (შესაძლოა სხვა ვარიაციებიც) თავს იყრის მქონებლობის სემანტიკაში ფართო გაგებით, რაც თავის მხრივ სუბსტანტივაციის სემანტიკასთან მიდის, უფრო ზუსტად, მისი შემადგენელი ნაწილია.

მცენარეთა სახელდების საკითხებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ აღსანიშნი მცენარის რაიმე ნიშან-თვისების მქონებლობა მოტივაციის ძირითადი საფუძველია მცენარეთა ნომინაციისას ქართულში. ხოლო ამ ძირითადი საფუძვლის ენობრივი გაფორმების დროს ენა უპირატესობას მაინცდამაინც -ა სუფიქსს ანიჭებს (ამიტომაც დასტურდება იგი ასე ხშირად ფიტონიმებში). ეს კი იმიტომ ხდება, რომ -ა-ს თავდაპირველი, ძირითადი ფუნქცია სუბსტანტივის გამოხატვა იყო, ხოლო მცენარე, თავისთავად, გარკვეული ნიშან-თვისებების მქონე სუბსტანტივია. და, თუკი ქართულში შეინიშნება ისტორიულად თანხმომავანფუძიანი სახელების -ა ფუძიანად ქცევის ტენდენცია (მანჯგალაძე, 1956), ჩვენი ვარაუდით, ამას უმთავრესად სწორედ -ა სუფიქსის ძირითადი, თავდაპირველი — მასუბსტანტივებელი — ფუნქცია განაპირობებს. სწორედ ამ ფუნქციის გამო, ერთგვარი ინერციითა თუ ანალოგიით, ხდება -ა ხმოვნის დართვა თანხმომავანფუძიან სახელებზე, უმთავრესად ფიტონიმებზე, როგორც ქართული (ძეწნ-(ი) → ძეწნა-ა), ასევე, არაქართულ წარმოშობისა (ზაფრან-(ი) → ზაფრან-ა); ამავე მიზეზით ჩნდება ეს, ერთი შეხედვით უფუნქციო -ა, ისტორიულად თანხმომავანფუძიან სხვა სახელებსა თუ მიმღეობურ ფორმებშიც¹ (ძერ-ა, ხუჭუჭ-ა, თხუნელ-ა²...) და აქ ენა (განსაკუთრებით კი დიალექტები) შესამჩნევ მიდრეკილებას აჩვენავ-

¹ მ-თხუნელ-(ი) → მხუნელ-ა → თხუნელ-ა; მსგავსად ამისა, დგება საკითხი არა ერთი გაუმკვირვალე ეტიმოლოგიის ქონე ფიტონიმის მიმღეობური წარმომავლობისა (შესაბამისად, ზმნური ძირების ძიებისა): ცირცულა, კუნელა, ძახულა...

ნებს. ამავე მიზეზით უნდა იყოს განპირობებული -ა სუფიქსის გამო-
რჩეული შესაძლებლობა ქართულში წარმოქმნას ქონება-მსგავსება-
ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სახელები, რაც ასე აქტიურად და
წარმატებულად არის გამოყენებული სამეცნიერო ტერმინოლოგიაში,
კერძოდ, მემცენარეობის, მეფრინველეობის, იქთიოლოგიის... ტერ-
მინების შესაქმნელად (ჯიბუტი, 1993, გვ. 177-182).

რაკი მასუბსტანტივებელი -ა სუფიქსი ივარაუდება მცენარეთა
არა მხოლოდ გვიანდელ, არამედ უძველესი წარმოშობის ფიტონი-
მებში, შესაბამისად, დგება საკითხი უძველეს ძირთა ძიებისა მცენა-
რეთა -ა დაბოლოებიან რიგ სახელებში.

ლიტერატურა

არაბული, 2001 — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუ-
ძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.

გიგინეიშვილი, თოფურია, ჯავთარაძე, 1961 — ი. გიგინეიშვი-
ლი, ვ. თოფურია, ი. ჯავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ.,
1961.

მანჯგალაძე, 1956 — ალ. მანჯგალაძე, -ა ხმოვანზე დასრუ-
ლებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში: სახე-
ლის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956.

მაყაშვილი, 1961 — ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი,
თბ., 1961.

ნადარეიშვილი, 1962 — ლ. ნადარეიშვილი, მიმღობა
ზანურში: იკე, XIII, თბ., 1962.

ტუსკია, 1974 — ტუსკია, ა სუფიქსის ფუნქციები სახელებში:
თსუ შრომები, თბ., 1974, ტ. 8-9.

ფოჩხუა, 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია,
თბ., 1974.

ქეგლ, 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ.,
1986.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის სა-
ფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1980.

ცხადაია, 1996 — თ. ცხადაია, მა- პრეფიქსის ერთი ფუნქციონისათვის მეგრულში: ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთ. 1996.

ხოჭოლავა, 2000 — ნ. ხოჭოლავა, ზანიზმები მცენარეთა სახელწოდებებში: ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთ. 2000.

ჯიბუტი, 1993 — ი. ჯიბუტი, -იან, -ოვან, -ა სუფიქსთა ფუნქციონისათვის სიტყვაწარმებაში, 1993.

ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

~

სარჩევი

მ. ბერიძე — „ურდულის“ ეტიმოლოგიისათვის.....3

კ. გაბუნია — მწკრივი და ნაკვთი (ზმნის მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიების გამიჯნვისათვის ქართულში).....9

თ. ვაშაკიძე — „ყოფს“ და „ქმნა“ მეშველზმნიან აღწერით ფორმათა სემანტიკისათვის ძველ ქართულში.....18

თ. ზვიადაძე — თავისებურად ნაწარმოები მიმღებების შესახებ დ. კლდიაშვილის თხზულებებში.....23

კ. კაკიტაძე — ანაბარი და ამანათ ლექსემათა მნიშვნელობის ცვლილებისათვის ქართულში29

ც. კვანტალიანი — შე- ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება.....36

ზ. კიკვიძე — კომპეტენციის ცნება ენათმეცნიერებაში.....44

მ. კიკონიშვილი — ი ელემენტის ერთი ფუნქციისათვის ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავში.....55

მ. კობაიძე — უ და ჭ მთიულურში.....59

მ. კობიაშვილი — მრავალგზისობის გამოხატვა მოხეურ დიალექტში68

ნ. ლოლაძე — გრძნობა—აღქმის ზმნები ქართულში74

ნ. მუზაშვილი — აღწერითი წარმოებიდან ორგანულზე გადასვლა ნასახელარ ზმნებში ძველ ქართულში83

ნ. სურმავა — მან ნაცვალსახელის თავისებურება აქარულში.....91

ი. ტაბატაძე — მიხეილ ჭავჭავიშვილის მხატვრული სტილის ლინგვისტური ანალიზის ზოგიერთი საკითხი.....99

ნ. ურთაშვილი — ლექსემები „მალალი“ და „დაბალი“, როგორც ხმის სიდიდის მახასიათებლები..... 108

ზ. ფურცხვანიძე — შტო-გვარის სახელთა საგნობრივ-ლოგიკური კლასიფიკაციის ცდა ქართული ენის იმერული დიალექტის მასალაზე..... 111

ტ. ფუტკარაძე — სახელის ფორმაწარმოების საკითხები ქართულში (I. თანდებულად კვალიფიკაციის კრიტერიუმისათვის)	120
ჭ. ქირია — ერთი ნაშენარი მოდალური ნაწილაკის საკითხი ლაზურში (ჭანურში).....	126
დ. შენგელია — „თამაშობს“ ტიპის ზმნათა პირიანობის საკითხისათვის ძველ ქართულში	131
რ. შეროზია — მოქმოდ ზმნისართ-ნაწილაკისათვის ლაზურში.....	138
ნ. ჭუმბურიძე — ქონების რთულსუფიქსიანი ზოგი სახელის ეტიმოლოგიისათვის.....	142
ნ. ხოჭოლავა — -ა სუფიქსიანი მცენარეთა სახელები ქართულში.....	148

- ბ. ჭობენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995, 80 გვ.
- ბ. ჭობენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995, 448 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბ., 1995, 180 გვ.
- ე. ჭავჭავაძე, საქართველოს საზღვრები (რუკებითურთ), თბ., 1996, 48 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996, 325 გვ.
- ბ. ჭობენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997, 204 გვ.
- გ. გოგოლაშვილი, ფიქრები დედანაზე, თბ., 1997, 88 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბ., 1997, 164 გვ.
- ბ. ჭობენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. II, თბ., 1998, 674 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბ., 1998, 196 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999, 292 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999, 336 გვ.
- ბ. ჭობენაძე, პოეზიის ენა, თბ., 1999, 104 გვ.
- ზ. კიკვიძე, თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები, თბ., 1999.
- საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000, 316 გვ.
- გ. გოგოლაშვილი, თ. ხმალაძე, ერთველ საქართველოში, თბ., 2000, 116 გვ.
- გ. გოგოლაშვილი, მარადიულნი თანამედროვენი, თბ., 2000, 140 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, XI, თბ., 2001, 332 გვ.
- გ. გოგოლაშვილი, ე. ავალიანი, „დედანა“ — წიგნთა წიგნი, თბ., 2001, 32 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, XII, თბ., 2002, 344 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბ., 2002, 332 გვ.
- გ. წიბაბაშვილი, ენა შემკული და... ხელყოფილი, თბ., 2002, 124 გვ.
- საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბ., 2003, 256 გვ.
- ბესარიონ ჭობენაძე, — ბიროვნება, მეცნიერი, მოღვაწე, თბ., 2003, 336 გვ.
- ბესარიონ ჭობენაძეს, თბ., 2003, 168 გვ.

აბიტურიენტებისა და უფროსკლასელებათვის

- ლ. გიგუჩიაძე, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1997, 52 გვ.
- ლ. გიგუჩიაძე, ქართული ენა, ნაწილი II, თბ., 1999, 96 გვ.
- ლ. გიგუჩიაძე, ქართული ენა, ნაწილი III, თბ., 2001, 120 გვ.
- იოვანე საბანის ძე, აბოს წამება, თბ., 1997, 80 გვ.
- ე. ჭავჭავაძე, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1998, 22 გვ.

- გ. ორბელიანი, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1998, 24 გვ.
- ნ. ბარათაშვილი, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1998, 24 გვ.
- ნ. ბარათაშვილი, ბედი ქართლისა (განხილვითურთ), თბ., 1999, 24 გვ.
- ო. ჭავჭავაძე, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1997, 44 გვ.
- ა. წერეთელი, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1998, 60 გვ.
- ვაჟა-ფშაველა, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 19978 24 გვ.
- ვაჟა-ფშაველა, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1997, 30 გვ.
- მ. ჭავჭავაძე, ჭილდო, მიწის ყივილი (განხილვითურთ), თბ., 1999, 40 გვ.
- ა. ნიკოლეიშვილი, მიხეილ ჭავჭავაძის „ჩაყოს ხიზნები“, თბ., 2001, 120 გვ.
- ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიალი დედაკაცი, ტრაგედია უკმირთ (განხილვითურთ), თბ., 1997, 36 გვ.
- ლ. ქიანალი, პაკი აბა (განხილვითურთ), თბ., 1998, 84 გვ.
- ბ. ლეონიძე, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1997, 24 გვ.

ყოველთვიური გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“ (I ნომერი გამოვიდა 1995 წლის ივლისში, 29-ე – 1997 წლის ივლისებში); 1998 წლის იანვრიდან გამოდის ყოველთვიური ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა“.

1) ა. ჭორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენციის მასალები: I – 1994; II – 1995; III – 1996; IV – 1997; V – 1998; VI – 1999; VII – 2000; VIII – 2001.

- 1 ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თელავი, 1993.
- ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თელავი, 1995.
- აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თელავი, 1997.
- რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თელავი, 1998.
- ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თელავი, 1999.
- გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თელავი, 2000.
- ალექსანდრე უაზბეგისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თელავი, 2001.
- ვახილ ბარნოვისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თელავი, 2002.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.05.2003
ფორმატი A5 (60X80^{1/16});
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,5
შეკვეთა №23 ტირაჟი 150
ფასი სახელშეკრულებო